„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონების და სარჩოს მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიც არ მოეჩვენება.„

(ილია)

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
მ ო ა მ ბ ე

В Е С Т Н И К
АКАДЕМИИ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ

NEWSLETTERS
OF
ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA

№17

თბილისი - TBILISI - ТБИЛИСИ
2018

რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე" გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო საბჭო:
ნათელა ვასაძე - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, ზურაბ ხონელიძე - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ავთანდილ ასათიანი - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, ლიუდმილა ბეჟენარუ - იასის უნივერსიტეტის პროფესორი (რუმინეთი), სერგეი ბოგდანოვი - სანკტ-პეტერბურგის გერცენის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი (რუსეთი), რაფაელ გუსმან-ტირადო - გრანადის უნივერსიტეტის პროფესორი (ესპანეთი), დენ დევიდსონი - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი (აშშ), იან კე - გუანჯოუს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ჩინეთი), ვენტა კოცერე - ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, ირენა კუდლინსკა - ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი (პოლონეთი), კლავდია ლასორსა - რომის უნივერსიტეტის (la sapience) ემერიტუს – პროფესორი (იტალია), როინ მეტრეველი –საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სვეტლანა ტერ-მინასოვა - მოსკოვის მ.ლომოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, რუსეთის პედაგოგთა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი.

სარედაქციო კოლეგია:
ავთანდილ ასათიანი - მთავარი რედაქტორი, ნათელა მაღლაკელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე, მარინე არუშიძე, რევაზ ბალანჩივაძე, იმერ ბასილაძე, ლუბა ბიბილეიშვილი, როზა გაბეჩავა, ლია მენთეშაშვილი, ნათელა მოსიაშვილი, ლამარა ქადაგიძე, ინდირა ძაგანია.

Scientifically Reviewed and Referenced Periodical Journal `Moambe of the Georgian Academy of Education Sciences~ is issued by the decision of the Georgian Academy of Education Sciences

Editorial Board:
Natela Vasadze – Head of the Editorial Board, Honored president of the Georgian Academy of Education Sciences, Zurab Khonelidze - President of the Georgian Academy of Education Sciences, Avtandil Asatiani – Co-president of the Georgian Academy of Education Sciences, Ludmila Bezhenaru – Professor at IAS University (Romania), Sergey Bogdanov – Rector of St. Petersburg Gertsen University (Russia), Rafael Gusman-Tirado – Professor at Granada University (Spain), Dan Davidson – President of the American Councils for International Education (USA), Yan Ke – Professor at Guanjo University (China), Claudia Lasorsa – Emeritus Professor at Rome University (La Sapienza) (Italy), Roin Metreveli – Vise-president of the Science Academy of Georgia, Svetlana Ter-Minasova – Honored President of Moscow Lomonosov State University, President of Russia's United Association of Teachers
Editors:
Avtandil Asatiani – editor in chief, Natela Maghlakelidze – deputy editor in chief, Marine Aroshidze, Revaz Balanchivadze, Lia Menteshashvili, Natela Mosiasvili, Imer Basiladze, Luba Bibileishvili, Roza Gabechava, Lamara Kadagidze, Indira Dzagania.

Рецензируемый и реферируемый периодический журнал «Вестник Академии образовательных наук Грузии» издается по решению Академии образовательных наук Грузии.

Редакционный совет:
Васадзе Натела - председатель редакционного совета, почетный президент Академии образовательных наук Грузии, Зураб Хонелидзе – президент Академии образовательных наук Грузии, Автандил Асатиани – сопрезидент Академии образовательных наук Грузии, Людмила Беженару –профессор Ясского университета (Румыния), Сергей Богданов – ректор Герценского государственного педагогического университета (Россия), Рафаэль Гусман-Тирадо – профессор Гранадского университета (Испания), Дэн Дэвидсон – президент американского совета международного образования, Ян Кэ – профессор университета Гуанчжоу (Китай), Вента Коцере – директор Латвийской Академической библиотеки, Ирэна Кудлинска – профессор университета экономики (Польша), Клаудиа Ласорса –эмиритус профессор (la sapience) Римского университета, Роин Метревели – вице-президент Академии наук Грузии, Светлана Тер-Минасова – заслуженный профессор Московского государственного университета им. Ломоносова, президет объединенного совета педагогов Росии.

Редакционная коллегия:
Автандил Асатиани - Главный редактор, Натела Маглакелидзе - заместитель главного редактора, Марина Арошидзе, Реваз Баланчивадзе, Имер Басиладзе, Люба Бибилеишвили, Роза Габечава, Ламара Кадагидзе, Лия Ментешашвили, Натела Мосиашвили, Индира Дзагания.

ზოგადი პედაგოგიკა

ნათელა მაღლაკელიძე
ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი

დედაენა და 21-ე საუკუნის გამოწვევები

21-ე საუკუნეში დედაენა, მშობლიური ენა, ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. საყოველთაო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესმა ახალი ენობრივი რეალობის წინაშე დაგვაყენა. განუზომლად გაიზარდა უცხო ენების სწავლების მნიშვნელობა, რამაც ისეთი მცირერიცხოვანი ერების დედაენა, როგორიც ქართულია, გარკვეული საფრთხის წინაშე დააყენა.

ბოლო ათწლეულებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკური ვითარების შეცვლამ გამოიწვია ენობრივი პოლიტიკის შეცვლაც. დღეს ქართული ენა აფხაზურთან ერთად საქართველოში სახელმწიფო ენაა. იგი ამავე დროს სწავლების ენაა ქართულ სკოლებში, სადაც ძირითადად ქართულენოვანი ბავშვები სწავლობენ. მათთვის იგი მშობლიური ენაა, დედაენაა, რომლის სწავლებაც ბავშვის აზროვნების, ინტელექტის განვითარებისა და, გარკვეული კუთხით, ეროვნული ფასეულობების ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული. არაერთგზის აღუნიშნავთ დიდი ფილოსოფოსებსა და მოაზროვნეებს, რომ ენა სულია ხალხისა: „ენა ხალხისა არის მისი სული და სული ხალხისა – მისი ენა“ (ვ. ჰუმბოლდტი). ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ქართველი ხალხის სული ქართული ენაა, რომელსაც „დედაენას“ ვეძახით.

საქართველოში ამ ლამაზი სიტყვის სიცოცხლე ი. გოგებაშვილმა უკვდავყო თავისი „დედა ენით“. მისი აზრით, ქართული ენა, როგორც დედაენა, ერის ფენომენთან უღრმეს კავშირშია. იგი ქართველთა ეროვნულობის საფუძველია: „სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ჰქონია და აქვს დედაენა“ (ი. გოგებაშვილი, გვ. 124). ამავე აზრს ავითარებს ცნობილი ქართველი ლინგვისტი პროფ. გ. რამიშვილი: „დედა ენა მთავარია იმ გაგებით, როგორც დედამიწა, დედაბოძი, დედაქალაქი... დედაენა ენობრივი სოციუმის თვისებაა და არა ინდივიდისა“ (გ. რამიშვილი, გვ. 23).

დღევანდელი ქართული სკოლა თავისი არსით მულტილინგვალურია. დღეს უკვე პირველი კლასიდან იწყება უცხო ენის სწავლება ქართულ სკოლაში. აქედან სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ეს არის ინგლისური ენა, ხოლო მეორე უცხო ენა, როგორც წესი, არჩევითია და მისი არჩევა სკოლას უწევს მე-5 კლასიდან (რუსული, ფრანგული, გერმანული, თურქული, იტალიური, ესპანური...), რაც შეეხება მესამე უცხო ენის არჩევას, ეს სკოლის რესურსებისა და სურვილიდან გამომდინარე ხდება მე-10 კლასში.

ამდენად, 6 წლის მოსწავლეს (და ზოგ შემთხვევაში 5 წლისასაც, რადგანაც 2011-14 წლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით სკოლებში დაიშვებოდნენ 5 წლის ბავშვებიც) უწევს ერთდროულად ორი ენის - მშობლიური ენისა და უცხო ენის (უპირატესად ინგლისური ენის) - დაუფლება.

დღეს დედაენაზე სწავლების შესახებ სპეციალისტთა შორის განსხვავებული მოსაზრება არსებობს. არც თუ იშვიათად მიიჩნევენ, რომ მისი სწავლება სასკოლო განათლების პროცესში აღარ არის ისე აქტუალური, როგორც ეს გასულ წლებში იყო, როდესაც ის ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება გახლდათ. ქართველები ყოველთვის იწონებდნენ თავს უცხო ენების ცოდნით, ასეა დღესაც. უკვე საბავშვო ბაღში იწყებენ პატარები ინგლისურის (ან სხვა უცხო ენის) შესწავალას. მეტად პრესტიჟულ საქმედ გადაიქცა 6 წლის ბავშვების მიყვანა უცხოენოვან სკოლებში, სადაც უკვე პირველი კლასიდან ასწავლიან ზოგჯერ 2

უცხო ენასაც კი. რა ზიანი ადგება ამით ბავშვის აზროვნებას? მის მეტყველებას? შევეცდებით ამის ჩვენებას.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში წერდნენ ჩვენი დიდი მოაზროვნეები ადრეული ასაკიდან უცხო ენებით გატაცების მავნებლობაზე. ნიმუშად ი. გოგებაშვილის სტატიებიც კმარა. ი. გოგებაშვილის დროს გენეტიკა, როგორც მეცნიერება, ჯერ კიდევ არ არსებობდა. მაგრამ დიდი პედაგოგი თავისი განათლებისა და გამოცდილების წყალობით მივიდა დასკვნამდე, რომ „დედაენა არ არის ტანისამოსი, რომლის გამოცვლა და მორგება ადვილად შეიძლება. მას ღრმად აქვს გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში“ (ი. გოგებაშვილი, გვ. 128).

აქ არ შეიძლება რამოდენიმე სიტყვა არ ვთქვათ ენის ფუნქციებზე. ტრადიციულად გამოყოფენ ენის ორ ფუნქციას: საკომუნიკაციოსა და ექსპრესიულს. ენა, უპირველეს ყოვლისა, აზრის გამოხატვის საშუალებაა. მხოლოდ მშობლიური/პირველი ენა არის კოჰერენტობის მიმართებაში აზროვნებასთან.

მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ენა, რომელიც მხოლოდ აზრის გამოხატვის საშუალებაა. იგი იმავდროულად ურთიერთობის იარაღად გამოიყენება. ექსპრესიული ფუნქციისათვის ადამიანს ენა არ შეუქმნია. „მხოლოდ ექსპრესიული ფუნქცია ენას ვერ გააჩენს. რომც გაჩნდეს, ვერ განვითარდება“ (ა. ჩიქობავა, 1983: გვ. 27). არნ. ჩიქობავას ასეთი საინტერესო მაგალითი მოაქვს: ზანგი მოყვა აფხაზთა წრეში. რა ენაზე აზროვნებს ეს ზანგი? რა თქმა უნდა, მშობლიურ ენაზე, რადგანაც მან აფხაზური არ იცის, მაგრამ საკმარისია, ის დაეუფლოს აფხაზურს, მისი აზროვნების ენაც აფხაზური გახდება. „წაართვით ენას საკომუნიკაციო ფუნქცია და ის ვერ შეინარჩუნებს ექსპრესიულ ფუნქციას - ადრე თუ გვიან დაკარგავს უნარს, იყოს აზროვნების იარაღი სათანადო ენობრივი კოლექტივისათვის“ (არნ. ჩიქობავა, 1972: გვ. 36). აქედან გამომდინარე, ენის დაცვისათვის ბრძოლა იქითკენ არის მიმართული, რომ გაფართოვდეს მისი გამოყენების არეალი. ასეთი კი პირველ რიგში სკოლაა, რომელიც ერთდროულად ზრუნავს როგორც მოსწავლის აზროვნების (მეტყველების) განვითარებაზე, ასევე უზრუნველყოფს მის გამოყენებასაც. ენა, რომელსაც არავინ არ ხმარობს ურთიერთობის იარაღად, კვდება. „ენა, რომელსაც არც ერთი დედა არ ასწავლის შვილს აკვნიდანვე, მკვდარი აღმოჩნდება“ (ი. გოგებაშვილი, გვ. 31).

რა შეხედულება აქვთ ამ საკითხზე თანამედროვე მკვლევარებს? ტრადიციული შეხედულების თანახმად (პიაჟე), ახალდადაბადებული ბავშვი ლინგვისტური თვალსაზრისით წარმოადგენს სუფთა დაფას. ბავშვს აქვს უნარი, შეითვისოს ნებისმიერი ენა, რომელ ენობრივ კოლექტივშიაც იზრდება. ამ თავალსაზრისით ბავშვის მშობლიური ენა შეიძლება იყოს ნებისმიერი მათგანი. ე.ი. ახალდაბადებულ ბავშვს აქვს თანდაყოლილი მეტყველების ნიჭი, რომელიც შემდეგ ენად გარდაიქმნება იმის მიხედვით, თუ რომელ კოლექტივში იზრდება იგი.

მაგრამ არის განსხვავებული მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ ენა გარკვეული თვალსაზრისით გენეტიკური მოვლენაა და ბავშვი წინასწარ არის „დაპროგრამებული“ საიმისოდ, რომ ამა თუ იმ ენაზე ამეტყველდეს. ამ თეორიის მიხედვით ახალდაბადებული რუსი ბავშვი „დაპროგრამებულია“ სწორედ რუსული ენის შესასწავლად, ქართველი – ქართულის შესასწავლად და ა.შ. „ჩვილს თან დაჰყვება გარკვეული ლინგვისტური პროგრამა და ეს პროგრამა შეიძლება იყოს მხოლოდ მშობლიური ენის გენეტიკური პროგრამა. ამ პროგრამის რელიზებას სჭირდება საზოგადოება, სწორედ საზოგადოება გარდაქმნის თანდაყოლილ ლინგვისტურ ნიჭს საკომუნიკაციო სისტემად“ (გ. ნებიერიძე). ამ შეხედულებას ამყარებს ზ. ჯაფარიძის მიერ სამშობიაროში ჩატარებული ცდებიც. ცდის შედეგები გამაოგნებელი აღმოჩნდა: ახლადდაბადებული ქართველი და რუსი ბავშვები თურმე „სხვადსხვა ენაზე“ ტირიან; უფრო მეტიც, ჩვილის ტირილით გამოწვეული ჰაერის ტალღების რხევის სიხშირე ემთხვევა დედის საუბრით გამოწვეული ჰაერის ტალღების რხევის სიხშირეს.

ძალზე საინტერესოდ განსაზღვრავს დედაენის როლს ადამიანის ცხოვრებაში პროფ. ნ. ნათაძე. იგი ღნიშნავს, რომ ყველა ენას აქვს **ა) საკუთარი ბგერათსისტემა, ბ) საკუთარი ცნებათსისტე-**

მა. ენის ბგერათსისტემა „დამყარებულია“ იმ გენეტიკურ (თანდაყოლილ) ბუნებრივ მონაცემებზე, ამა თუ იმ ხალხს თავისი ჩასახვის დროიდან რომ მოსდევს. ასეთი მონაცემებია: ჩვენი სამეტყველო ორგანოების, ჩვენი ნერვული სისტემის აღნაგობა, რომელიც ბგერათწარმოთქმის სხვადსხვა თავისებურებებს განაგებს. მისი აზრით, სხვადასხვა ენა სხვასხვაგვარად „ხედავს“ სამყაროს, სხვადასხვა საგნებს ამჩნევს და ასხვავებს. სხვასხვა ენა სამყაროს სურათს სხვადასხვაგვარად გვიხატავს. ენას „ერი იცავს, მასში ერის სული ფეთქს და ერის სული იხატება“ (ნ. ნათაძე, გვ.16). აქვე ნ. ნათაძეს მოაქვს ერთი მეტად საინტერესო მაგალითი, ჩატარებული იაპონელ ბავშვებზე: ერთი მხრივ, იმ ბავშვებზე, რომლებიც ერთენოვნების (იაპონურის) გარმოცვაში გაიზარდნენ, და იმ იაპონელ ბავშვებზე, რომლებიც ორენოვნების (იაპონურ-ინგლისურის) პირობებში გაიზარდნენ. პირველთა უპირატესობა აშკარა აღმოჩნდა როგორც ჰუმანიტარულ საგნებში, ისევე მათემატიკაში. აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის პროფ. ნ. იმედაძის ბოლოდროინდელი კვლევა, სადაც იგი აღნიშნავს: „6 ენაზე აგებული ნარატივების ანალიზმა აჩვენა, რომ ერთსა და იმავე სურათებს ბავშვები **აღწერენ განსხვავებულად** მათი ასაკისა და **ენობრივი მიკუთვნელობის** (ხაზი ჩვენია – ნ.მ.) გამო“ (ნ. იმედაძე, გვ. 101).

„უკვე 6 წლის ბავშვს სკოლაში დედაენით მეტი მოაქვს, ვიდრე ლინგვისტიკაში გაწაფულ მასწავლებელს შეუძლია მას აუხსნას და მიაწოდოს“, წერდა გ. რამიშვილი (გ. რამიშვილი, გვ. 28). მართლაც, სკოლაში ახალშემოსულმა ბავშვმა უკვე პრაქტიკულად იცის: ა) მეტყველების ყველა ნაწილი, ბ) იყენებს ენის ფორმათსისტემას, გ) ესმის და თვითონაც იყენებს სიტყვათწარმოების ყველა შესაძლებლობას, დ) შეთვისებული აქვს სინტაქსის ძირითადი სტრუქტურები...

დ. უზნაძე იმ აზრს ავითარებს, რომ 4-5 წლის ბავშვი პრინციპულად უკვე დაუფლებულია მშობლიური ენის როგორც მორფოლოგიას, ისე სინტაქსს (დ. უზნაძე, გვ. 321).

თავის კვლევებში კიდევ უფრო შორს მიდის თანამედროვე ამერიკელი ფსიქოლოგი დ. სლობინი, რომელმაც ეს საკითხი სპეციალური შესწავლის საგნად აქცია და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ბავშვს მართლაც უნდა ჰქონდეს თანდაყოლილი ენობრივი სტრუქტურები, ენის დაუფლება კი ნიშნავს ამ სტრუქტურების ასიმილაციას ინფორმაციასთან“, ამავე დროს, „განსხვავებული ტიპის ენები ათვისების განსხვავებული ტიპის პრობლემებს განაპირობებენ„ (D.I. Slobin, გვ. 89).

დასკვნა ერთია: ადრეულ ასაკში უცხო ენის სწავლებამ ზედმეტად არ უნდა გაგვიტაცოს, -ასეთი აზრისანი არიან როგორც პედაგოგიკის კლასიკოსები, ისე თანამედროვე მეცნიერებიც. ეს სიტყვები სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ უარი ვთქვათ უცხო ენების სწავლებაზე. სამართლიანად წერდა გოეთე: „ვინც დედაენის გარდა სხვა ენა არ იცის, მან რიგიანად არც დედაენა იცისო“. ი. გოგებაშვილის თქმისა არ იყოს, „მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს, ზურგი შეაქციეთ უცხო ენებს და დარჩით მარტო დედაენის ამარაო“ რა თქმა უნდა, ჩვენმა მოზარდმა თაობამ უცხო ენები აუცილებლად უნდა შეისწავლოს, მაგრამ არა ადრეულ ასაკში და არა მშობლიური ენის ხარჯზე, რადგანაც ამ ასაკში უცხო ენის შესწავლა სწორედ დედაენის ხარჯზე ხდება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვი გამართულად დაიწყებს მშობლიურ ენაზე მეტყველებას, შეისწავლის ქართულ წერა-კითხვას, შეიძლება ვიფიქროთ უცხო ენების შესწავლაზე. ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი არამცთუ ხელს შეუშლის, არამედ დაეხმარება კიდეც მას გონებრივ განვითარებაში.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი იაკობ, 1966: რჩ. პედ. თხზულებანი, თბილისი
2. იმედაძე ნათელა, 2017: ბავშვის მიერ ქართულის, როგორც მშობლიური ენის დაუფლების საიდუმლოებანი, ფსიქოლინგვისტური პერსპექტივა, თბილისი
3. ნათაძე ნოდარ, 1986: დედაენის როლი ადამიანის ცხოვრებაში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 4. თბილისი, გვ.15-19
4. ნებიერიძე გივი: 1989, მშობლიური ენა და გენეტიკა, გაზ. „სახალხო განთლება“ № 45-48, თბილისი

5. რამიშვილი გურამ,2000: დედაენის თეორია, თბილისი
6. უზნაძე დიმიტრი, 2003: ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი
7. ჩიქობავა არნოლდ, 1083: ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბილისი
8. ჩიქობავა არნოლდ, 1972: ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, I. თბილისი
9. Slobin an, 1973: Cogn itive Prerequizites for the evelopment of rammar, in Studies of Chilq Language evelopment, eqs. Ferguson, Slobin, N. Y. Holt

NATELA MAGLAKELIDZE
dr. of Education, Professor of Ilia State University

NATIVE LANGUAGE TEACHING AND MODERN CHALLENGES

The article analyzes various forms of teaching languages and compares teaching systems of Georgian and other countries among the pupils of different ages. Native language teaching process faces the new challenges in the 21th century. Georgian traditional methodology has devoted much attention to the problem of teaching Georgian language as a mother tongue. If a man speaks only his native language, his concepts are directly associated with the expression of the concepts in this tongue. Preceding from psychological peculiarities of native language assimilation, and taking into account the basic process of thought, we may come to the conclusion, that in order to master a foreign language, children must have a lot practice in their native language. The pupils mother tongue often interferes with the target language; the formation of new habits is hindered by habits already acquired. Modern psychology helps methods to determine the role of mother tongue in different stages of teaching. We try to analyze some progressive pedagogical experience concerning teaching Georgian and foreign languages.

ზანგალაძე მზია
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორიენტირებული კითხვა, მოსმენა და აზროვნება

კითხვა არის საფუძველი წიგნიერებისა, რომელიც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. კითხვის დაწყებამდეა საჭირო იცოდე თუ რისთვის კითხულობ, რას კითხულობ და როგორ უნდა წაიკითხო.

ორიენტირებული კითხვა ერთ-ერთი პოპულარული მეთოდია მსოფლიოში. აღნიშნულია, რომ ორიენტირებული კითხვისას ტექსტი წინასწარ იყოფა რამდენიმე ნაწილად, ოღონდ საკვანძო საკითხებთან, რათა შემდეგ მონაკვეთში მოსწავლეებმა ვარაუდი გამოთქვან მოცემული სიუჟეტის შესახებ. მასწავლებელი კლასს განუმარტავს, რომ ტექსტის თითოეული ნაწილის კითხვის დროს აუცილებელია ყურადღებით მოსმენა, რათა კარგად გაიაზრონ წაკითხული მონაკვეთი, რაც დაეხმარება ვარაუდების გამოთქმასა და მოსაზრებების გადამოწმებაში.

ორიენტირებული კითხვა მოიცავს სამ ფაზას: **წაკითხვამდე**, **კითხვის დროს**, **წაკითხვის შემდეგ**. კითხვის წინა აქტივობები "აიძულებენ" მოსწავლეებს, უპასუხონ კითხვებს, გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები, რაც ხელს უწყობს შემდგომში წაკითხულის უკეთ გაგებასა და გააზრებას. კითხვამდე ეტაპის ძირითადი მიზანია მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება. კითხვის ეტაპის ძირითადი მიზანი ტექსტის შინაარსისა და იდეის გაგებაა, ხოლო კითხვის შემ-

დგომი ეტაპის ძირითადი მიზანი კი- ავტორისეულ იდეებზე, ჩანაფიქრზე, პრობლემებზე ფიქრისა და მსჯელობის უნარის განვითარება.

პირველ ფაზაზე აქტიურ როლს მასწავლებელი ასრულებს. მისი ძირითადი მიზანი უნდა იყოს, დაეხმაროს მოსწავლეს გააზრებული კითხვის უნარის გამომუშავებაში, ასწავლოს, როგორ განსაზღვროს კითხვის მიზანი, როგორ მიიღოს კითხვის სიამოვნება, როგორ დაამყაროს კონტაქტი ტექსტთან და როგორ მივიდეს კომპლექსურ გაგებამდე. ამ ფაზაზე მოსწავლეები ააქტიურებენ წინარე ცოდნას, აყალიბებენ ტექსტის წაკითხვის მიზანს/დანიშნულებას და დემონსტრირებისა და პრაქტიკული ვარჯიშის გზით ივითარებენ ეფექტური კითხვისა და გააზრება/გაგებისათვის საჭირო უნარებს. კითხვის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების გამოყენებით მოსწავლეები ცდილობენ გააკონტროლონ გაგების პროცესი. როგორიცაა: წაკითხულის შეჯამება, დასკვნების გამოტანა, შეკითხვების დასმა, ვარაუდის გამოთქმა და ა.შ. ასევე, მოსწავლეები ცდილობენ, გაარკვიონ, თუ რა ვერ გაიგეს სათანადოდ და როგორ არის შესაძლებელი მისი დაძლევა. წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი უძღვება დისკუსიას, რაც მოცემული ტექსტის წაკითხვის თავდაპირველ მიზანზეა ფოკუსირებული.

ორიენტირებული კითხვის მეთოდი გულისხმობს ისეთი ძირითადი საფეხურების გავლას როგორიცაა: **შესავალი** (რა ვიცით ამ საკითხის / თემის შესახებ?); **ვარაუდების გამოთქმა** (რას გვეუბნება სათაური?); **ვარაუდების მოდიფიცირება** (ახლა რას ფიქრობთ-ხომ არ შეცვლიდით ვარაუდს?); **გააზრება-რეფლექსია** (ტექსტის რომელი ადგილების მოშველიებით შეგიძლიათ თქვენი ვარაუდების დადასტურება?) და სხვა.

ორიენტირებული კითხვა რამდენიმე დანიშნულებით გამოიყენება, კერძოდ:

- მოსწავლე იაზრებს სიტყვების მნიშვნელობას და ცდილობს მათ შორის კავშირის დამყარებას;
- მოსწავლე სწავლობს, თუ როგორ მიადევნოს თვალყური გაგების პროცესს და როგორ გადაჭრას გააზრების დროს წამოჭრილი პრობლემები;
- მოსწავლე ეჩვევა ტექსტის წაკითხვის მიზნის ჩამოყალიბებას კითხვის დაწყებამდე.

ორიენტირებული კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეებს უკეთ გაიაზრონ და სიღრმისეულად დაამუშაონ თხრობითი ტექსტები. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება. ეს მეთოდი გამოიყენება როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე. წაკითხულის გააზრების პროცესი მრავალი კოგნიტური უნარის გამოყენებით მიმდინარეობს და მოიცავს გაგებას, დასკვნის გამოტანასა და კრიტიკულ აზროვნებას. მოსწავლე თავდაპირველად ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კრებს, რაც გაგების პროცესში ეხმარება. შემდეგ გამოაქვს დასკვნები ტექსტში დაფარული საკითხების შესახებ. ყველაზე მაღალი დონე კრიტიკული კითხვაა, სადაც არა მარტო წაკითხულის გააზრებაა საჭირო, არამედ დასკვნების გამოტანაც. ტექსტის შინაარსის გაგება მასში გადმოცემული აზრების გაცნობიერებასა და გამთლიანებას გულისხმობს, ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს, როგორ აკავშირებენ მოსწავლეები ტექსტის სტრუქტურულ ნაწილებს. ტექსტის სტრუქტურის ცოდნა ხელს უწყობს გაგებასა და დამახსოვრებას. ამ ცოდნის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია ტექსტების კლასიფიცირება და მათთვის კითხვის შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა. ეს მეთოდი მიზნად ისახავს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას კითხვის პროცესში, ინტერესის აღძვრას, ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა ჩამოყალიბებას. მოსწავლეს შეუძლია კრიტიკულად აღიქვას, გააანალიზოს მასალა, მონაწილეობა მიიღოს კითხვა-პასუხში. შეკითხვის ყოველი სახე სხვადასხვა ტიპის აზროვნებაზეა ორიენტირებული. გამოიყოფა შემდეგი სახის კითხვები:

1. ფაქტზე ორიენტირებული კითხვები ჩვეულებრივ ინფორმაციის გახსენებას მოითხოვს და მასზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს მხოლოდ შინაარსის ცოდნა მოეთხოვება.
2. გადატანაზე ორიენტირებული კითხვები გულისხმობს წაკითხულის სურათის სახით წარმოდგენასა და მის აღწერას.

3. ინტერპრეტაციაზე ორიენტირებული კითხვები ყოველთვის შეიცავს თავის თავში კითხვას - რატომ? და გულისხმობს სხვადასხვა აზრებს, ფაქტებს, განსაზღვრებებსა და ღირებულებებს შორის კავშირის დამყარებას.
4. გამოყენებაზე ორიენტირებული კითხვები გულისხმობს იმის გამოკვლევას, თუ რამდენად გონივრულია ნაწარმოების ფინალი, ხომ არ მოუძებნიდნენ მას სხვა დაბოლოებას.
5. სინთეზზე ორიენტირებული კითხვები ხელს უწყობს პრობლემის შემოქმედებით გადაჭრას ორიგინალური აზროვნების გამოყენებით.

კითხვის ძირითადი მიზანი წაკითხულის გაგება, ტექსტის შინაარსის გააზრება, მასში გადმოცემული აზრის მნიშვნელობის კონსტრუირება და მიღებული ინფორმაციის შეფასებაა. ამ მიზნის მისაღწევად, ძალზე ეფექტურია ორიენტირებული მოსმენისა და აზროვნების მეთოდი. მოსმენა უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო პროცესია. დღის უმეტეს ნაწილს მოსწავლე სკოლაში მოსმენაში ატარებს და მისი ცოდნის დიდი წილი მოსმენის გზით არის მიღებული. ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეს სკოლაში ჰქონდეს იმის საშუალება, რომ მიზანმიმართულად ივარჯიშოს მოსმენის უნარის განვითარებაში. მოსმენა ენის გამოყენებისა და ფიქრის უნარს საჭიროებს, ამიტომ ნაყოფიერი მოსმენის უნარი ვითარდება მოსწავლის ენობრივი უნარების განვითარებასა და გონებრივ მომწიფებასთან ერთად.

მოსწავლეები ხდებიან აქტიური მსმენელები მაშინ, როდესაც:

- გააზრებულად უსმენენ ორატორს იმ განზრახვით, რომ დაუყონებლივ გამოიყენონ ან შეაფასონ აზრები / ინფორმაცია;
- უნდათ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წერილობით ჩანიშვნა, რათა შემდგომ დაეყრდნონ მას;
- არიან საუბრის მონაწილენი და შეუძლიათ გამოხატონ თანხმობა ან დასვან შეკითხვები;
- უნდათ ორატორისათვის დასასმელი შეკითხვის ჩამოყალიბება;
- უნდა შეაფასონ ორატორის მიერ გამოთქმული იდეები, განსაზღვრონ მისი გამოსვლის მოტივი, გამიჯნონ ერთმანეთისაგან ფაქტი და თვალსაზრისი.

მოსმენის პროცესი თავისი ბუნებით შექცევადია: მოსწავლეებს შეიძლება ესმოდეთ მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ბგერები, სიტყვები, ფრაზები და ჰქონდეთ უნარი, მიახლოებით მაინც გაიმეორონ მოსმენილი (***სიტყვასიტყვით მოსმენა***); შეიძლება მოსწავლეებმა მოსმენის პროცესშივე გაიაზრონ მოსმენილის შინაარსი, თვალი გაადევნონ მის სტრუქტურას, გასცენ პასუხი მას შემდეგ, რაც გაიხსენებენ საუბრის ძირითად მომენტებს ***(ინტერორეტაციული მოსმენა***). მოსმენის კიდევ უფრო მაღალი დონე იქნება, თუ მოსწავლეები შეაფასებენ მოსმენილს, გააკეთებენ დასკვნებსა და შეძლებენ მის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას (***კრიტიკული მოსმენა***).

მოსმენა აზროვნების წინა პირობაა და მისი განვითარების საფუძველს ქმნის. აზროვნება შეგრძნებების, აღქმის, წარმოდგენების გზით ვითარდება და აზრთა შედარება-შეპირისპირების, მსჯელობისა და დასკვნების გამოტანის პროცესია. აზროვნების მეშვეობით მოზარდი საგნებსა და მოვლენებს შეადარებს, განაზოგადებს, რითაც გარეგანი თუ შინაგანი მოქმედების ერთიან სისტემას ქმნის და ამ გზით იღებს ცოდნას. მოზარდი სწავლობს სწორედ აზროვნებისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებით, რის შედეგადაც უყალიბდება უფრო რთული შემეცნებითი უნარები. აზროვნება არის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი, რომლის საშუალებითაც ხდება მიზეზშედეგობრივი კავშირებისა და მიმართების დამყარება გარე სამყაროს მოვლენებსა და ობიექტებს შორის.

ბავშვის შემეცნებითი აქტივობა და ცნობისმოყვარეობა მიმართულია გარემოს შემეცნებაზე. აზროვნება უშუალოდაა დაკავშირებული მეტყველებასთან. რაც უფრო მაღალია ბავშვის გონებრივი აქტივობა, მით უფრო ბევრ და მრავალფეროვან კითხვას სვამს იგი. აზროვნების მეშვეობით მოზარდი საგნებსა და მოვლენებს შეადარებს, განაზოგადებს, რომლის

საშუალებითაც იღებს ცოდნას. მასწავლებელმა უნდა შეძლოს, რომ ენობრივ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობა სასიამოვნო პროცესად აქციოს. მაგ. აძლევს დავალებას და მიმართულებას, აწყვილებს მოსწავლეებს, რთავს დისკუსიაში, ასწორებს მეტყველების დროს დაშვებულ შეცდომებს, ყურადღებას ამახვილებს მხატვრულ დეტალებზე, სადაც მჟღავნდება აზროვნების ნაირგვარობა, ამავე დროს მოსწავლეთა წახალისების მიზნით გამოთქვამს მოწონებას.

მოზარდი სწორედ აზროვნებისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებით სწავლობს, რის შედეგადაც უყალიბდება უფრო რთული შემეცნებითი უნარები. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსმენის უნარი. ორიენტირებული მოსმენისა და აზროვნების მეთოდი ხმამაღლა კითხვის აქტივობით წარიმართება. მოსწავლეებმა კითხვაში წარმატებას რომ მიაღწიონ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტივობას წარმოადგენს უფროსების მიერ ხმამაღლა კითხვა. მას ბევრი დადებითი შედეგი აქვს, კერძოდ: ავითარებს კითხვისა და საუბრის უნარ-ჩვევებს; აუმჯობესებს მოსმენის უნარსა და ხარისხს; ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს; აღვიძებს ცნობისმოყვარეობასა და შთაგონებას; განავრცობს გამოცდილებებს.

ორიენტირებული კითხვის, მოსმენისა და აზროვნების მეთოდი ადრეული ასაკიდან ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარს. მოსწავლეს უჩენს ტექსტის კითხვის მოტივაციას და ეხმარება წარმოსახვის, გამართულად მეტყველების, კომუნიკაციისა და სოციალური უნარების განვითარებაში. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად მოსწავლე აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებსა და შედეგებს. კერძოდ:

- შეუძლია გამართული მეტყველება, წარმოსახვა, თავისუფალი მსჯელობა, შემოქმედობითობა;
- საკუთარი და სხვა ადამიანის ემოციების ამოცნობა და გამოხატვა;
- აცნობიერებს საკუთარი აზრის გამოხატვის მნიშვნელობასა და ღირებულებას;
- იყენებს სათანადო ლექსიკას;
- ხდება ყურადღებიანი მსმენელი, დამოუკიდებელი მკითხველი და კარგად მოაზროვნე და სხვა.

ზემოთ აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგით მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- სხვადასხვა **ლიტერატურული ჟანრის ტექსტების წაკითხვა,მოსმენა, და საკუთარი ემოციებისა და აზრის გამოხატვა**;
- მოსმენილი ან წაკითხული მხატვრული ნაწარმოების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან;
- ტექსტის ეპიზოდების ერთმანეთთან დაკავშირება და მთავარი თემის განსაზღვრა; გმირის საქციელის შეფასება;
- მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი ფუნქციის ახსნა; მხატვრული ტექსტების შექმნა;
- საკუთარი ინტერესების მიხედვით საკითხავი ლიტერატურის შერჩევა.

ამრიგად, ორიენტირებული კითხვის, მოსმენისა და აზროვნების მეთოდი ხელს უწყობს სააზროვნო, საკომუნიკაციო და კვლევითი უნარების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ორიენტირებული კითხვა, მოსმენა, აზროვნება, მეთოდები, უნარები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა, თბ., 2013.
2. ლიპარტელიანი რ., დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები, თბ., 1999.
3. გამოცდების ეროვნული ცენტრი, როგორ ვასწავლოთ კითხვა, 2010.

4. ინასარიძე მ., ნაჭყებია მ., ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბ., 2006.
5. სოსელია მ., ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები, თბ., 2002.

MZIA ZANGALADZE, TAMUNA KHETAGURI
Gori State Teaching University

ORIENTED READING, LISTENING AND THINKING

Abstract

The paper presents the methods of oriented reading, listening and thinking. It reviews that the oriented reading mostly contains understanding of the reading materials, comprehending the text and evaluation of the received materials. Oriented methods of listening and thinking are used by the reading exercises that are pointed out in this work which develop reading and speaking skills, improve listening skills, enrich vocabulary, etc. This work emphasizes the oriented reading, listening and thinking methods that develop thinking, communicating and stuɑyinɡ skills.

Key words: oriented reading, listening, thinking, methods, skills

ლევან ჯინჯიხაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგია

კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგია წარმოადგენს სასწავლო სტრატეგიებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიით მუშაობისას მოსწავლე ახდენს თავისი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების რეალიზებას, სწავლობს თავისი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრას, აგრეთვე – თავისი მოქმედების შეფასების ხერხებს.

კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგიას გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები:

- სასწავლო პროცესის აგება მეცნიერულად დასაბუთებულ კანონზომიერებებზე;
- საგანმანათლებლო ტექნოლოგიის ეტაპების (გამოწვევა, გაცნობიერება, რეფლექსია) გამოყენებისას მასწავლებლის ორიგინალურობა და მოქნილობა ნებისმიერ სასწავლო სიტუაციაში. აქ იგულისხმება სხვადასხვა თვალსაჩინო (ვიზუალური) ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენება ტექსტზე მუშაობის დროს, დისკუსიის ორგანიზება, პროექტების რეალიზების პროცესი;
- ტექნოლოგიური სტრატეგიების გამოყენების გზით ყოველი სასწავლო პროცესის წარმართვა თანამშრომლობის, ერთობლივი დაგეგმვისა და გააზრების პრინციპების საფუძველზე [1, 120-121].

მოცემულ მომენტში ტერმინი **ტექნოლოგია** არ გულისხმობს ალგორითმული დავალების მოცემულობას, არამედ, აქ უკვე იგულისხმება სტრატეგიების ღიაობა, რომელიც განაპირობებს პიროვნების (მოსწავლის) დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების ფორმირებას. ქართუ-

ლი ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგიის გამოყენებით მასწავლებელი ავითარებს მოსწავლის პიროვნებას, რის შედეგადაც მიმდინარეობს კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირება, რაც უზრუნველყოფს კომფორტულ პირობებს შემეცნებითი მოქმედებისა და თვითსრულყოფისათვის.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ძირითადი პარამეტრები (გლობალური აზროვნების კომპონენტები) განათლების მიზნებს განსაზღვრავენ და ამდიდრებენ შინაარსით. ეს არის: თანამედროვე სამყაროს ერთიანი აღქმა; სამყაროს შემეცნება მასში არსებული ურთიერთქმედებებით შემმეცნებელთან ერთად; პიროვნების ღიადობა ახალთან მიმართებაში; პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების ხედვა; სტერეოტიპების დაძლევა[2, 46].

კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგიით წარმართული გაკვეთილის ძირითადი ეტაპებია: **გამოწვევა**, **გაცნობიერება** და **რეფლექსია**.

გამოწვევის სტადიაზე, სხვადასხვა ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით (ინდივიდუალური/წყვილებში/ ჯგუფური მუშაობა; გონებრივი იერიში; შინაარსის პროგნოზირება; პრობლემური კითხვები და ა. შ.) ადრე მიღებული ცოდნა გამოდის გაცნობიერების დონეზე. ახლა იგი შეიძლება ახალი ცოდნის მიღებისათვის ბაზა გახდეს, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას ეფექტურად დაუკავშიროს ძველი ინფორმაცია ახალს და შეგნებულად, კრიტიკულად მიუდგეს ახალი ინფორმაციის გაგებას. გამოწვევის სტადიაზე მოსწავლეებს შეუძლიათ შესასწავლ თემასთან დაკავშირებით გამოთქვან საკუთარი თვალსაზრისი თავისუფლად, ძალდაუტანებლად. აუცილებელია მოსწავლეთა მოსაზრებები დაფიქსირდეს, რადგან ეს მოსაზრებები შესაძლებელია გახდეს საჭირო მათი შემდგომი სწორი მიზანმიმართული მუშაობისათვის. ამიტომ ამ ეტაპზე არ არსებობს სწორი თუ არასწორი მოსაზრებები. აუცილებელია ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პროცესში მოხდეს აზრთა ურთიერთშეთანხმება. ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლეებს ხელს უწყობს მოახდინონ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების აქტუალიზირება. ხოლო ჯგუფური მუშაობა შესაძლებელს ხდის მოსწავლეებმა გადმოსცენ და დააფიქსირონ საკუთარი თვალსაზრისი, მოისმინონ განსხვავებული აზრი. აზრთა ურთიერთგაცვლის პროცესში შესაძლოა გაჩნდეს და ჩამოყალიბდეს ახალი იდეები, საინტერესო კითხვები, რომლებზედაც პასუხების ძიება განაპირობებს მოსწავლეების მიყვანას ახალ ცოდნამდე.

გაცნობიერების სტადიაზე, როცა მოსწავლე ახალ ინფორმაციასთან ან იდეასთან შედის კონტაქტში, რასაც არ უნდა აკეთებდეს –ტექსტს კითხულობს, უსმენს თუ სხვა – სწავლობს იმას, რომ ყურადღება უნდა მიაქციოს ახლის გაგებას, დაუკავშიროს ახალი ინფორმაცია არსებულ ცოდნას, გამოიკვლიოს რაც ყველაზე უფრო აინტერესებს, ჩაიწეროს შენიშვნები, უყურადღებოდ არ დატოვოს არც ერთი ხარვეზი გაგებაში, მოემზადოს მოსმენილის ან წაკითხულის ანალიზისა და განხილვისათვის. თითოეული მოსწავლე ვალდებულია თქვას, რა გაიგო, როგორ გაიგო ესა თუ ის მნიშვნელობა, რა ორიენტაციები დაეხმარა მას ამაში და ა.შ.

რეფლექსია. კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის პირველ ორ სტადიასთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს ერთგვარი დასკვნა, რომ ამ ორივე სტადიაზე, მართალია, ხდება მუშაობის გაწევის ერთგვარი რეფლექსიური ანალიზი და შეფასება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მას სულ სხვა ფორმები და ფუნქციები გააჩნია. მესამე სტადიაზე რეფლექსიური პროცესი უკვე მასწავლებლისა და მოსწავლეების სასწავლო საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

ფსიქოლოგიაში განასხვავებენ რამდენიმე სახის რეფლექსიას: კომუნიკაციურს, პიროვნულსა და ინტელექტუალურს.

კომუნიკაციური რეფლექსიის ობიექტია მეორე, სხვა ადამიანის შინაგან სამყაროსა და მისი ქმედების მიზეზებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა. **პიროვნული რეფლექსიის** შემეცნების ობიექტს კი წარმოადგენს თავად შესამეცნებელი პიროვნება, მისი თვისებები, ქცევა, სხვებთან ურთიერთობის სისტემა. **ინტელექტუალური რეფლექსია** გამოიხატება სხვადასხვა სახის დავალების შესრულებითა და შესაბამისად შესრულების გზების გაანალიზებით. რეფლექსია გვაქვს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური. **ინდივიდუალურია** რეფლექსია, როდესაც მოსწავლის მიერ ხდება საკუთარი გაწეული სამუშაოს ანალიზი და შეფასება. ხოლო **ჯგუფურია** მაშინ, როდესაც ჯგუფის თითოეული მონაწილე აქცენტს აკეთებს მაქსიმალურ შე-

დეგზე. რეფლექსია ფორმის მიხედვით გვაქვს ორი სახის: **ზეპირი** და **წერილობითი**. რეფლექსია **ზეპირია** მაშინ, როდესაც წარმოებს კონკრეტული საკითხის ან პრობლემის გადაჭრა მოსწავლეების მიერ საუბრის (დიალოგის, დისკუსიის, ჯვარედინი დისკუსიის და სხვ.) გზით და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებასაც [1, 125].

სწავლებაში რეფლექსიური ანალიზი ძირითადად მიმართულია ახალი მასალის დედააზრის კიდევ უფრო გარკვევა-გაშუქებისაკენ, სწავლების შემდგომი გზის დაგეგმვისაკენ (რა გაიგო, რა ვერ გაიგო, რა უნდა გაიგოს კიდევ). ამ სტადიაზე მოსწავლე ფიქრობს იმაზე, რა გაიგო და როგორ შეუთავსდა ახალი გაგებული ძველს. მოსწავლეთა შორის იდეების გაცვლა-გამოცვლა ხელს უწყობს სხვადასხვა თვალსაზრისს შეხედოს კრიტიკულად. მოსწავლე ღრმავდება თავის თავში. რეფლექსია გულისხმობს ახალი შეძენილი ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებას.

როგორც ცნობილია, კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია ძირითადად განიხილება კითხვისა და წერის სწავლების ბაზაზე. ასეთი სწავლების ამოცანებია ასწავლოს მოსწავლეს:

- გამოყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.
- განიხილოს ახალი ცოდნა და იდეები ძველთან კონტექსტში.
- უკუაგდოს არასაჭირო ან არასწორი ინფორმაცია.
- გაიგოს, როგორაა დაკავშირებული ერთმანეთთან ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილები.
- გამოყოს შეცდომები მსჯელობებში.
- გააკეთოს დასკვნა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად ვის ფასეულობათა ორიენტაციებს, ინტერესებს, იდეურ განწყობებს ასახავს ტექსტი ან მოლაპარაკე ადამიანი.
- მოერიდოს კატეგორიულობას მტკიცებებში.
- იყოს პატიოსანი თავის მსჯელობებში.
- გაარკვიოს ცრუ სტერეოტიპები, რომელთაც არასწორი დასკვნები მოსდევს.
- გამოავლინოს წინასწარ აკვიატებული აზრები და მტკიცებები.
- შეძლოს, გაარჩიოს ფაქტი, რომლის შემოწმება შეიძლება, ვარაუდის ან პირადი აზრისაგან.
- დაეჭვდეს ლოგიკურ არათანმიმდევრულობაში ზეპირი ან წერითი მეტყველების დროს.
- შეეძლოს ტექსტში მთავარი გაარჩიოს მეორეხარისხოვანისაგან [3, 13-14].

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის კონცეპტუალური თავისებურებებია:

- არა ცოდნის მოცულობა ან ინფორმაციის რაოდენობა არის განათლების მიზანი, არამედ ის, თუ როგორ მართავს მოსწავლე ამ ინფორმაციას.
- არა მითვისება მზამზარეული ცოდნისა, არამედ ახალი, საკუთარი ცოდნის კონსტრუირება.
- სწავლების კომუნიკაციურ-მოქმედებითი პრინციპი, რომელიც გულისხმობს მეცადინეობის დიალოგურ, ინტერაქტიურ რეჟიმს, თანამშრომლობით მიმართებას მასწავლებელთან.
- კრიტიკულად აზროვნების უნარი – ეს არ არის ხარვეზების გამოძიება, არამედ შესამეცნებელი ობიექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების ობიექტური შეფასება.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის საწყისი მიმოხილვა;
- არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოძიება გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის შესაქმნელად;
- პირველადი დასკვნების გაკეთება;
- სხვა შესაძლო მოსაზრებების განხილვა საკითხის შემდგომი დაზუსტების მიზნით;
- შეჯამება - საბოლოო დასკვნის გაკეთება.

1. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის ტექნოლოგიური ალგორითმი შეიძლება ასეთი იყოს:

პირველი ტექნოლოგიური ეტაპი – გაკვეთილის პირველი სტადია. გამოწვევა: ადრე მიღებული ცოდნის აქტუალიზაცია; ახალი ინფორმაციის მიღებისადმი ინტერესის გაღვივება; მოსწავლის მიერ სწავლების საკუთარი მიზნების დაყენება.

მეორე ტექნოლოგიური ეტაპი – გაკვეთილის მეორე სტადია. შინაარსის გააზრება:ახალი ინფორმაციის მიღება; მოსწავლის მიერ სწავლების დაყენებული მიზნების კორექტირება.

მესამე ტექნოლოგიური ეტაპი – გაკვეთილის მესამე სტადია. რეფლექსია: ფიქრები, საკუთარ თავში ჩაღრმავება, ახალი ცოდნის წარმოქმნა; მოსწავლის მიერ სწავლების ახალი მიზნების დაყენება.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის სტადიების შესაბამისი მეთოდიკური ხერხები შეიძლება ასეთი იყოს:

პირველი სტადია – გამოწვევა.

მასწავლებლის საქმიანობა ორიენტირებულია მოსწავლეებში შესასწავლ საკითხზე ადრე მიღებული ცოდნის გამოწვევაზე; მათი საქმიანობის აქტივიზაციაზე; შემდგომი მუშაობის მოტივაციაზე.

მოსწავლეთა საქმიანობა: მოსწავლე იხსენებს, რა არის მისთვის ცნობილი შესასწავლ მასალასათან დაკავშირებით, სისტემაში მოჰყავს ინფორმაცია ახალი მასალის შესწავლამდე, იძლევა კითხვებს, რომლებზეც უნდა პასუხის მიღება.

შესაძლო ხერხები და მეთოდები: დგება „ცნობილი ინფორმაციის„ სია: ვარაუდები საკვანძო სიტყვების მიხედვით; მასალის სისტემატიზაცია (გრაფიკული); სწორი და არასწორი მტკიცებები; არეული ლოგიკური ჯაჭვები და სხვა.

გამოწვევის სტადიაზე მიღებული ინფორმაცია მოისმინება, ჩაიწერება, განიხილება. მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში.

მეორე სტადია – შინაარსის გააზრება.

მასწავლებლის საქმიანობა ორიენტირებულია: თემისადმი ინტერესის შენარჩუნებაზე; ძველი ცოდნიდან ახალი ცოდნისაკენ თანდათანობითი სვლა.

მოსწავლეთა საქმიანობა: მოსწავლე კითხულობს (უსმენს) ტექსტს, იყენებს მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ კითხვის აქტიურ მეთოდებს, აკეთებს ჩანაწერებს ახალი ინფორმაციის გააზრების კვალდაკვალ.

შესაძლო ხერხები და მეთოდები: აქტიური კითხვის მეთოდები: მარკირებისათვის იყენებენ სიმბოლოებს: „V„, „+„, „–„, და სხვ., რომლებსაც სვამენ ველზე. აკეთებენ ჩანაწერებს: ეძებენ პასუხებს გაკვეთილის პირველ ნაწილში დასმულ კითხვებზე.

შინაარსის გააზრების სტადიაზე ხორციელდება ახალ ინფორმაციასთან უშუალო კონტაქტი. მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად და წყვილებში.

მესამე სტადია – რეფლექსია.

მასწავლებლის საქმიანობა: აბრუნებს მოსწავლეებს საწყის ჩანაწერებთან; შეაქვს ცვლილებები, დამატებები; შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე აძლევს დავალებებს.

მოსწავლეთა საქმიანობა: მოსწავლეები ერთმანეთს უფარდებენ ახალსა და ძველ ინფორმაციებს, იყენებენ შინაარსის გააზრების სტადიაზე მიღებულ ცოდნას. მოსწავლეთა საქმიანობის შესაძლო მეთოდები და ხერხებია: კლასტერებისა და ცხრილების შევსება; ინფორმაციის ბლოკებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება; საკვანძო სიტყვებთან, სწორ და არასწორ მტკიცებებთან დაბრუნება; პასუხები დასმულ კითხვებზე; ზეპირი და წერითი მრგვალი მაგიდის ორგანიზება; სხვადასხვა დისკუსიის ორგანიზება და სხვა.

რეფლექსიის სტადიაზე ხორციელდება შესწავლილი ინფორმაციის ანალიზი, შემოქმედებითი გადამუშავება, ინტერპრეტაცია. მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში.

აღსანიშნავია, რომ გაკვეთილის სტადიებს თავისი ფუნქციები გააჩნიათ:

გამოწვევა: მოტივაციური; ინფორმაციული; კომუნიკაციური.

შინაარსის გააზრება: ინფორმაციული; მოტივაციური; სისტემატიზაციური.

რეფლექსია: კომუნიკაციური; ინფორმაციული; მოტივაციური; შემფასებლური.

ამგვარად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ტექნოლოგია მასწავლებელს აძლევს საშუალებას:** შექმნას კლასში თანამშრომლობის ატმოსფერო; გამოიყენოს ეფექტური მეთოდები კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით; გახდეს პრაქტიკოსი, რომელსაც შეუძლია ანალიზი გაუკეთოს საკუთარ შემოქმედებას.

ტექნოლოგია მოსწავლეს აძლევს: ინფორმაციის აღქმის ეფექტურობის ამაღლებას; ინტერესის ამაღლებას როგორც ახალი მასალის, ისე სასწავლო პროცესის მიმართ; კრიტიკულად აზროვნების უნარს; საკუთარი განათლებისადმი პასუხისმგებლობით მოკიდებას; სხვებთან თანამშრომლობაში შრომის უნარს.

საკვანძო სიტყვები: კრიტიკული აზროვნება, ტექნოლოგია, გამოწვევა, გაცნობიერება, რეფლექსია

ლიტერატურა:

1. ჯინჯიხაძე ლ. ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია. თბილისი, 2014
2. ჯინჯიხაძე ლ. პედაგოგიკურ-მეთოდიკური წერილები ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკაში. თბილისი, 2012
3. ჯინი ლ. სთილი, ქერთის ს. მერედითი, ჩარლზ თემფლი. გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასება. პროექტისათვის კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის. სახელმძღვანელო 6. 1998.

LEVAN JINJIKHADZE
Sokhumi State University

EDUCATIONAL TECHNOLOGY FOR DEVELOPMENT OF CRITICAL THINKING

Abstract

Contemporary demands towards the lessons of Georgian Language and Literature are significantly high. On these lessons teaching interconnecting tasks should be realized. For the purpose of fulfilling these tasks modern school requests to insert innovative methods in school learning processes, which will cause teaching individualization and development of pupils' independence. From this point of view among the new methods the technologies of critical thinking would have a priority. As for technologies of critical thinking - it is a complex technology, which provides implementation of upbringing and educational goals. It creates the skills of proving one of the priorities among the ideas, abilities of solving complicated tasks and settling argument based disputes.

Key words: Critical thinking, technology, challenge, understanding, reflection.

ავთანდილ ასათიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ღირებულების პრობლემა აღზრდაში

გლობალიზაციის თანამდევმა პროცესება და ლიბერალურმა რეფორმებმა ქართულ საზოგადოებაში დაუცველობის განცდა წარმოშვა. დღეს, სახეზეა საუკუნეებით ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემის რღვევის ტენდენცია და მათი ჩანაცვლება არატრადიციული, ინოვაციების საბურველში შეფუთული შეხედულებებით, რაც გარკვეულ დაძაბულობას ქმნის ჩვენს

საზოგადოებაში. მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები ქართული საზოგადოების ლოკალურ სახეცვლილებას და სოციალური სისტემის არსებით ტრანსფორმაციას იწვევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად უმნიშვნელოვანეს ამოცანად გვესახება თანამედროვე ახალგაზრდობის სოციალიზაციის ოპტიმალური გზების ძიება. ნიშანდობლივია რომ ეს გვიხდება იმ პირობებში, როცა აშკარა საფრთხის წინაშე დგას ეროვნული, კულტურული და რელიგიური იდენტობა, რაც მეორეს მხრივ გზას უხსნის ქსენოფობიას, ექსტრემიზმს და ზოგადად საზოგადოებაში აგრესიას.

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ სულიერებას მოკლებულ საზოგადოებას ღირსეული მომავლის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას და ზრუნვას მოითხოვს ტრადიციული რელიგიური ღირებულებების საფუძველზე მომავალი თაობის აღზრდა, რაც ჰუმანურ-დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების პირობად უნდა იქცეს.

მცდარია შეხედულება იმის თაბაზე, რომ მხოლოდ სეკულარული ღირებულებები სრულად საკმარისია საზოგადოების ზნეობრივი განვითარებისა და სრულფასოვანი სოციალიზაციისათვის, რადგან ისეთი ღირებულებების გარეშე, როგორიცაა ცოდვა, მადლი, მიტევება, მოყვასის სიყვარული და მასზე ზრუნვა, საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაციის თავიდან აცილება შეუძლებელია. თანამედროვე ახალგაზრდობის სოციალიზაციის პროცესიდან ტრადიციული რელიგიური ინსტიტუციის გამორიცხვა გამოიწვევს ზნეობრივ კორდინატთა კიდევ უფრო მეტად რღვევას პიროვნულ, ოჯახურ და საზოგადოებრივ დონეზე.

ხანგძლივი გამოცდილებით დადასტურებულია, რომ საზოგადოების სოციალური და კულტურული გარემო მხოლოდ მაშინაა მყარი, თუკი შეხედულებები და წარმოდგენები ხანგძლივი დროის განმავლობაში გადაეცემა თაობიდან თაობას, ხოლო მათ შორის ესტაფეტის წყვეტა, ცოდნისა და შეხედულებების გადაცემაში ფრაგმენტულობა, პირიქით, ხელს უწყობს არასტაბილური და არამყარი ეთიკური, სოციალური და კულტურული ღირებულებების აღმოცენებას.

ქართული საზოგადოება ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ შეაშფოთა მოსწავლე-ახალგაზრდებში დამკვიდრებულმა ასოციალურმა მოვლენებმა. სამწუხაროდ, გახშირდა მოსწავლეთა შორის ბულინგის ფაქტებიც, რაც ზოგჯერ ფატალურად მთავრდება. მოზარდებში იმდენად მოიმატა ძალადობის მიმართ მიდრეკილებამ, რომ ხშირად ე.წ. „საქმის გარჩევებს" უმძიმესი შედეგები მოსდევს, და ეს არც არის გასაკვირი; იმ საზოგადოებაში, სადაც მიტევება და ბოდიშის მოხდა დავიწყებულია, უკეთესის მოლოდინიც არ უნდა გვქონდეს. გარემოს როლის შესახებ აღზრდაში ჯერ კიდევ როდის, დემოკრიტე და სოკრატე მიუთითებდნენ. ცხადია, აგრესიული საზოგადოება შესაბამის კვალს ტოვებს მოზარდებზე და შედეგიც სახეზეა. თუმცა, მარტო კრებით პასუხისმგებლობაზე, რომ არ ვილაპარაკოთ, ამგვარ ტრაგედიებს კონკრეტული მომქმედი პირებიც ჰყავს.

დავიწყოთ ოჯახით: განა ყველაფერი რიგზე გვაქვს შვილებთან ურთიერთობაში? ჩვენს შვილებს თანატოლის პატივისცემასა და მიტევებას შთავაგონებთ თუ სამაგიეროს გადახდისათვის განვაწყობთ? თუმცა ჭეშმარიტ მართლმადიდებლობაზე გვაქვს პრეტენზია.

რაც შეეხება სკოლას, აქ სახელმწიფოს ცოდვები აშკარად გამოკვეთილია. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, 2004 წელს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები" და საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" გვერდს უვლის აღზრდას. ამ დოკუმენტების მიხედვით პრიორიტეტი განათლება და სწავლებაა. თუმცა, რამდენად წარმატებულია ჩვენი სკოლა ამ ამოცანების შესრულებაში, ყველასთვის ცნობილია. პედაგოგიკის ელემენტარულ დონეზე ცოდნაც საკმარისია იმის გააზრებისათვის, რომ სწავლა და აღზრდა განუყოფელია. აღზრდა ადამიანისეული მოვლენაა და ამას ყველა დროის სკოლაში აღიარებდნენ. ესეც პლატონის ეპოქიდან იცის კაცობრიობამ, მაგრამ განათლების სამინისტრომ სხვა გზა აირჩია.

ჩვენს პოლიტიკოსებს და განათლების მესვეურებს ძალიან მოსწონთ ილია ჭავჭავაძის გამონათქვამების დამოწმება, მაგრამ რატომღაც ყურად არ იღებენ ამ ბრძენკაცის მოწოდებას, რომლის თანახმად, „...სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთვნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში". თუმცა ილიამ კარგად იცის, რომ წურთვნას ანუ აღზრდას და სწავლას სხვადასხვა საგანი და ამოცანა აქვს: „წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს - სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა-კი გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე” (4. 208). სკოლა ზნეობასაც უნდა სწვრთნიდეს და გონებასაც, ხოლო თუ საქმე არჩევანზე მიდგება, ილია ზნე-ხასიათგაუწვრთნელ ადამიანს ისევ გონებაგანუვითარებელ ადამიანს ამჯობინებს, რადგან კაი-კაცობა მხოლოდ ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს.

აღზრდისა და სწავლების პრობლემათა გადაკვეთის წერტილები უამრავია, სწორედ მათი ეფექტური გამოყენება არის სკოლის ძირეული ამოცანა. შეუძლებელია ამ ორის სფეროს გამიჯვნა. ნებისმიერი საგნის პედაგოგი ერთდროულად პასუხისმგებელია როგორც აღზრდაზე, ისე სწავლებაზე. სწორედ ამას მოითხოვს პედაგოგის მაღალი დანიშნულება.

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კაცობრიობამ თვალნათლივ დაინახა ადამიანის სულიერი გადარჩენის ერთადერთი გზა, რომელიც ღმერთთან მიდის. ამიტომ ისეთი ქრისტიანული ტრადიციის ქვეყანა, როგორც საქართველოა მაქსიმალურად უნდა ეცადოს მომავალი თაობის აღზრდა-განათლება მართლმადიდებლურ ზნეობაზე ააგოს.

ბავშვთა აღზრდას, ცხადია, ოჯახში ეყრება საფუძველი, რაც შემდეგ უფრო მაღალ საფეხურზე სკოლაში ადის. მაგრამ, რაოდენ სამწუხაროა, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში აღმზრდელობითმა მუშაობამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. ამას, ზემოთ აღნიშნული კანონისა და მთავრობის დადგენილების მსგავსად, ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტიც”, რომლის თანახმად, მასწავლებლის მთავარ საქმიანობად, სწავლებაა აღიარებული, რაც გაუმართლებელია. კვლავ ვიმეორებ: სწავლება და აღზრდა ერთიანი პედაგოგიური პროცესის შემადგენელი ნაწილებია, არც ერთი მათგანის უგულველყოფა არ შეიძლება. ამიტომ ორივე მათგანს თანაბარი ყურადღება უნდა მიექცეს.

იმის მიუხედავად, რომ ქართველი ხალხი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკური რეჟიმის მიერ თავსმოხვეულ ათეიზმის პირობებში ცხოვრობდა, მაინც შეინარჩუნა ტრადიციული ქრისტიანული ზნეობა. ამიტომ საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის ყველაზე სწორი გზა ტრადიციული მართლმადიდებლური მორალის განმტკიცება და ახალგაზრდობის ქრისტიანულ სათნოებებზე აღზრდაა. სწორედ მართლმადიდებლური სათნოებები უნდა იქნეს მიჩნეული აღზრდის საბაზო ღირებულებებად, რაც ნაყოფიერ საფუძველს ქმნის დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებისათვის.

პიროვნების ზნეობრივ ფორმირებაში უმნიშვნელოვანესი სწორედ რელიგიური აღზრდა და განათლებაა. ტერმინით „რელიგიური ფაქტორი" განისაზღვრება, რელიგიის როგორც სოციალური ინსტიტუტის გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა არარელიგიურ მხარეებზე. რელიგიური ფაქტორი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ ურთიერთობებზე. სწორედ ასეთი გავლენით ხდება პიროვნებისა და საზოგადოების სულიერი საფუძვლების ფორმირება.

რელიგია გვასწავლის რჯულშემწყნარებლობას და ლოიალურად განგვაწყობს განსხვავებული აზრისადმი, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში. ამის გარეშე კი გზა ეხსნება დემოკრატიული საზოგადოებისათვის შეუთავსებელ ისეთ გამოვლინებებს, როგორიცაა ექსტრემიზმი, ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირება, სიძულვილი და კონფლიქტები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდის ძირითადი ამოცანებია ახალგაზრდებში სწორი მსოფლმხედველობის ფორმირება, აქტიური მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და მაღალი ზნეობრივი ღირებულების აღზრდა. სწორედ ტრადიციული სულიერ-

ზნეობრივი ღირებულებები და ეროვნული კულტურის გაცნობიერება იძლევა ქართველი ხალხის თვითიდენტიფიკაციის საშუალებას და ხელს უწყობს ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას გლობალიზაციის პირობებში.

განათლება მუდამ კავშირშია ღირებულებთან, ამიტომაც მიიჩნევდნენ ძველი ბერძენი ფილოსფოსები ცოდნას სათნოებად. თუმცა, როგორც მოგვიანებით დადასტურდა, უპირობოდ არც ცოდნა ყოფილა სათნოება. ამიტომაც აღიარეს სიკეთის ნება უპირობო სათნოებად, რაც აღზრდით მიიღწევა.

ჩვენს ყოველდღიურობაში პოპულარულია გამოთქმა „საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებები", რაც პირობითი ცნებაა და გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. სამწუხაროდ ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობენ ყველა ლიბერალურ ღირებულებას, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი საყოველთაოა მთელი მსოფლიოსთვის. ასეთი აბსტრაქტული შეფასება გვაშორებს საკითხის არსის გარკვევას და უფრო მეტ ბუნდოვანებას იწვევს. არავინ დავობს იმაზე, რომ კულტურული კაცობრიობა დიდი ხანია შეთანხმებულია საერთო დემოკრატიული ღირებულებზე, მაგრამ ეს არ გამორიცხვს ეროვნულ და რელიგიურ თვითმყოფადობას. სამყაროც იმიტომაა მშვენიერი და საინტერესო, რომ მრავალფეროვანია. ამაში თავისი წვლილი ყველა ხალხს შეაქვს და გამონაკლისი არც ქართველი ხალხია, რომელსაც სახელწიფოებრიობის სამიათასწლიანი ტრადიცია და ქრისტიანობის ორიათასწლოვანი ისტორია აქვს.

სწორედ ქრისტიანობა იქცა იმ ქვაკუთხედად, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა ქართული კულტურა და სახელმწიფოებრიობა. დღეს, როგორც სასულიერო, ისე საერო საზოგადოება თანხმდება იმის თაობაზე, რომ მხოლოდ მართლმადიდებლობას შეუძლია ეროვნული ცნობიერების აღორძინება და შენარჩუნება, რაც მსოფლიოს ხალხთა თანმეგობრობაში ჩვენი ქვეყნისთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა.

თანამედროვე ლიბერალიზმის იდეოლოგები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ქვეყნის იდეოლოგიას. მათ საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ იდეოლოგიის გარეშე ქვეყანა, ერი და საზოგადოება იმ ნავს დაემსგავსება, რომელიც ოკეანეში უკომპასოდ ცურავს და არავინ იცის, დინება რომელ ნაპირზე გარიყავს.

ქართულმა საზოგადოებამ დიდი ხანია უკუაგდო ერთპარტიული კომუნისტური იდეოლოგია და ცივილიზებულ სამყაროში დამკვიდრებულ დემოკრატიულ ღირებულებს გაუხსნა გზა. ეს სწორედ ის ღირებულებებია, რომელიც ქრისტიანობის წიაღში განვითარდა და ყველაზე კარგად შეესაბამება ადამიანის მაღალ ღირსებას, მის ღვთიურ წარმომავლობას. ამიტომ გვერდზე უნდა გადავდოთ ყოველგვარი ორჭოფობა იმის თაობაზე, თითქოს იდეოლოგია ტოტალიტარიზმის წინაპირობაა და დავუბრუნდეთ ისტორიულ ფესვებს, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული ჩვენი სახელმწიფოს და ერის მიზან-ამოცანები ისტორიული განვითარების მოცემულ ეტაპზე. სწორედ ასეთი იდეოლოგია სჭირდება საქართველოს, რომელიც დაშენებული იქნება ისტორიულ მეხსიერებაზე და ქრისტიანულ ღირებულებებზე, რაც თავსებადია საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ ღირებულებებთან.

ამჟამად მართლმადიდებლობა ქვეყნის მოსახლეობის 84 % - ის ზნეობრივი კრედოს მთავარი განმსაზღვრელია. ისტორიულად მართლმადიდებლობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებასა და ქართული კულტურის განვითარებაში, რაც საგანგებოდაა აღნიშნული სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის არსებულ კონსტიტუციურ შეთანხმებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მოსახლეობის 84 %-ზე მეტი საკუთარ თავს მართლმადიდებლობას მიაკუთვნებს და აქედან გამომდინარე, მათი სულიერებისა და ზნეობის საყრდენიც მართლმადიდებლობაა. ამიტომ, სამართლიანობა მოითხოვს, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნას რელიგიის სწავლება და რელიგიურად ორიენტირებული საგნების თემატიკაში მართლმადიდებლობამ შესაბამისი ადგილი დაიჭიროს. თუმცა ეს შეიძლება იყოს არჩევითი საგანი, რადგან ჩვენშიც აღმოჩნდებიან ისეთი მშობლები, რომლებიც „მსოფლიო რელიგიების ისტორიის" ან „რელიგიისა და კულტურის ისტორიის" ნაცვლად, თავიანთი შვილებისათვის „სამოქალაქო ეთიკის" სწავლებას მოისურვებენ. თუმცა, როცა ქვეყნის მოსწავ-

ლე-ახალგაზრდობას რელიგიური საგნების შესწავლის ალტერნატივას ვთავაზობთ, აქ მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ორი მომენტი: მართლმადიდებლობა, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მაფორმირებელი საფუძველი, და რელიგიური განათლება, რაც მოსწავლეთათვის ეკლესიის ღვთისმსახურების შესწავლას გულისხმობს.

არ შეიძლება რელიგიას სკოლაში ისე ვასწავლიდეთ, როგორც ვასწავლით მეცნიერებათა საფუძვლებს. რელიგიის სწავლება რწმენის დოგმატების გათავისებას და პიროვნების სულიერ სამყაროზე ზემოქმედებას ემსახურება. თუმცა სეკულარულ საზოგადოებაში რომელიმე კონფესიის რელიგიის სწავლება ღვთისმეტყველების კუთხით მიუღებელია. ამიტომ საქართველომ სხვა გზა უნდა აირჩიოს. ჩვენის აზრით, უნდა ვასწავლოთ არა რომელიმე რელიგია, თუნდაც მართლმადიდებლობა, არამედ რელიგიების ისტორია, კულტუროლოგიურ და ზნეობრივ კონტექსტში, რაც სრულად თავსებადია თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებთან. ასეთი სასწავლო კურსი ორიენტირებული უნდა იყოს რელიგიური სათნოებების და სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებათა მემკვიდრეობასა და თავსებადობაზე.

ზოგასაგანმანათლებლო სკოლებში რელიგიის სწავლების საჭიროებაზე მიუთითებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც, რომელმაც 2005 წელს მიიღო რეკომენდაცია № 1720 „განათლება და რელიგია“. ამ რეკომენდაციაში საპარლამენტო ასამბლეა ადასტურებს, რომ ყოველი პირის რელიგია, მათ შორის, არარელიგიურობა, მკაცრად განსაზღვრული პირადი საკითხია. თუმცა აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ხედვას, რომ რელიგიის ზოგადი ცოდნა და მისი თანმდევი ტოლერანტობის განცდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

ევროსაბჭო განათლებას გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის და აღნიშნავს, რომ სკოლებში რელიგიების სწავლებას არ ეთმობა სათანადო ყურადღება. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ სამ მონოთეისტურ ბიბლიურ რელიგიას საერთო წარმომავლობა (აბრაამისეული) აქვს, ფასეულობები, რომელთაც მხარს უჭერს ევროპის საბჭო, სწორედ მათგან მოდის.

შეუძლებელია მომავალი თაობის პატრიოტულ აღზრდაზე გვქონდეს პრეტენზია და ანგარიშს არ ვუწევდეთ იმ გარემოებებს, რომ ქვეყნის ისტორიას არ ვსწავლობდეთ, არ ვუფრთხილდებოდეთ ეროვნულ ტრადიციებს და უფრო მეტიც, იგი წარსულის მავნე გადმონაშთად მიგვაჩნდეს. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არც თუ ცოტაა ისეთი პიროვნება თუ საზოგადოებრივი გაერთიანება, ვისაც პატრიოტიზმზე საუბარი დრომოჭმულად, ჩამორჩენილობად მიაჩნიათ. კიდევ უფრო მძიმდება სიტუაცია, როცა ასეთ იდეოლოგიას მასმედია უჭერს მხარს. ამიტომაც სახეზე გვაქვს ეროვნული ნიჰილიზმი, რაც სახიფათოა როგორც ეროვნული, ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ განათლებაზე ორიენტაციამ და აღზრდის განდევნამ ჩვენი სკოლებიდან ადამიანის სულიერებას, მის ჰარმონიულ განვითარებას საფრთხე შეუქმნა. დიდწილად სწორედ და ამან გამოიწვია აგრესიული ფონის ზრდა, ძალადობისკენ მიდრეკილება, ეროვნული ცნობიერების დევალავაცია და სხვა დევიანტური ქცევები ახალგაზრდობაში. აღზრდის გარეშე ცოდნა-განათლებას და სწავლება-სწავლას კოსმოპოლიტური ხასიათი აქვს, ხოლოს აღზრდასთან კავშირში - ეროვნული.

ეროვნული და რელიგიური იდენტობა არა თუ ხელს უშლის დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეების აღზრდას, პირიქით, ხელს უწყობს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას, შემწყნარებლობას, თანადგომას და ურთიერთპატივისცემას. სამოქალაქო საზოგადოება პიროვნების უფლებებისა და პასუხისმგებლობის თანაფარდობაზეა დაფუძნებული, რაც უმცირესობისა და უმრავლესობის აღმსარებლობის პატივისცემასა და თითოეული მოქალაქისაგან ქვეყნის ისტორიისა და სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ქრისტიანობა ვერ ეგუება უმრავლესობის ნებით, უმცირესობის, თუნდაც ერთი ადამიანის დაჩაგვრასაც. როგორც ამის შესახებ პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი წერდა: ერთი ყოველთვის მნიშვნელოვანია და ოთხმოცდაცხრამეტზე უფრო ფასეული და სანამ ეს ასეა, შეუძლებელი იქნება დამიანის პიროვნების განადგურება.

როცა ახალგაზრდები მოწყვეტილნი არიან ჯანსაღ ზემოქმედებას, მათ სულიერებას არ კვებავს ეროვნული ტრადიციები და ჭეშმარიტი რელიგია, მათ ადგილს იჭერს მაგია, სექტანტობა და სხვა ანტიჰუმანური გაერთიანებები, რაც სავალალო გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე.

საბედნიეროდ, დღეს რელიგიის მიმართ დადებითი განწყობაა. ახალგაზრდები დიდ ინტერესს იჩენენ რელიგიის მიმართ. მთავარია, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა და შესაბამისმა უწყებებმა თვალი გაუსწორონ რეალობას. სწორედ ამას ადასტურებს ჩვენ მიერ სტუდენტებში ჩატარებული გამოკითხვაც. სტუდენტთა აზრით, რელიგიური აღზრდა და განათლება როგორც პიროვნების რელიგიური ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა განხორციელდეს შემდეგი გზით:

- რელიგიების ისტორიების სწავლებით სკოლებში - 40,3 %
- ეკლესიებთან არსებულ საკვირაო სკოლებში - 26,4 %
- რელიგიის პოპულარიზაციით მასმედიით - 16,3 %
- რელიგიური ლიტერატურის გამოცემით - 15,1 %

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ეროვნული კულტურა, რომლითაც თითოეული ჩვენგანი სამართლიანად ამაყობს, ყოველთვის რელიგიით საზრდოობდა. ამიტომ განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალების და ღირებულების საფუძველზე მომავალი თაობის მსოფლმხედველობის და ზნეობრივი ორიენტირების ფორმირებას, რაშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი სწორედ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიული გამოცდილებასა და კულტურულ ტრადიციებს უჭირავს.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო ღირებულებები, სოციალიზაცია, ქრისტიანული სათნოებები, ღირებულებათა თავსებადობა, ზნეობრივი აღზრდა, პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1991: ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი.
2. განათლება დემოკრატიისათვის სწავლება - დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, 2013: რედაქტორები: როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ვილტრუდ ვეიდინგერი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი.
3. რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში, 2016: კავშირი „21-ე საუკუნე", ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, თბილისი.
4.ჭავჭავაძე ილია, 1987: რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბილისი.
5. Banks, J.A. (2013) An Introduction to Multicultural Education, 5th Ed. Pearson.
6. ევროინტეგრაცია (თემატური კატალოგი), http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00

AVTANDIL ASATIANI
Georgian Technical University

THE PROBLEM OF VALUE IN UPBRINGING

Abstract

Only civil values are not sufficient for moral development of the society and proper socialization. Exclusion of the traditional religious institutes from the process of socialization of modern young people would cause undermining of moral coordinates. Social and cultural environment of the society can be stable only where the views and beliefs are transferred from one generation to the other for a long period while breaking of the links between them contributes to emergence of unstable social values. For moral soundness of the society, the best way is strengthening traditional Orthodox Christian moral and educating of young people on the basis of Christian virtues. Orthodox Christian virtues should be regarded as the basic values of upbringing, as this provides fertile soil for fostering of the civil values necessary for democratic society.

Keywords: civil values, socialization, Christian virtues, compatibility of values, moral upbringing, patriotism and cosmopolitism.

მზია თამაზაშვილი
სსიპ ქ.თბილისის ვახტანგ გზირიშვილის
სახელობის 173-ესაჯარო სკოლა
დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებელი

თანამედროვე გაკვეთილი და მისი მრავალფეროვანი ასპექტები

21-ე საუკუნე ახალი გამოწვევების საუკუნეა განათლების სისტემაში. განუწყვეტლივ შემოდის საგანმანათლებლო სივრცეში ახალი მიდგომები, სწავლა-სწავლების ახალი მეთოდები, მიზნის მიღწევის ახალი საშუალებები.

21-ე საუკუნე თავისთავად გლობალური აზროვნების საუკუნეა. ჩვენი ყოველდღიურობა გაჯერებულია პრობლემებით, კონფლიქტებით, მიზნებით, რაც, თავის მხრივ, პიროვნებისგან მოითხოვს შესაბამის საპასუხო ქმედებას, ამოცანისთვის თავის გართმევის უნარს და, საერთოდ, დახვეწილ სოციალურ უნარ-ჩვევებს. ამასთან დაკავშირებით, განათლების ექსპერტთა მიერ შემუშავებული და წარმოდგენილია სწავლების ძირითადი სტრატეგიები 21-ე საუკუნის მასწავლებლისთვის: ლიდერობა, კომუნიკაცია, პრობლემის გადაჭრა, გლობალური და კულტურული ცნობიერება, ინოვაცია და სხვ.[1]

თვით ესგ-ისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის შედეგად განსაზღვრულია მრავალგვარი აქტივობა, სტრატეგია, საგაკვეთილო მოდელი, რის შესაბამისადაც უნდა წარმართოს თავისი პედაგოგიური პრაქტიკა თანამედროვე მასწავლებელმა.

ინტერესმოკლებული არაა, წარმოვადგინოთ სამოდელო გაკვეთილის ტიპები, რომლებიც მოცემულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების გაზამკვლევში (II ნაწილი). კერძოდ, ესენია: ინტეგრირებული, გამჭოლი კომპეტენციების, პრობლემებზე ორიენტირებული და ინოვაციური გაკვეთილები. თითოეულ მათგანს აქვს თავისი მიზანი, შეესაბამება მისთვის დამახასიათებელი აქტივობები, სტრატეგიები, კლასის ორგანიზებისა და შეფასების ფორმები.

თანამედროვე სკოლაში არსებითად შეიცვალა სწავლების შინაარსი, მიმართება, კერძოდ, დღეს ჩვენ გვაქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის პიროვნული და ინტელექტუალური მონაცემების გათვალისწინებას მიზნის მიღწევის გზაზე. სწავლების დროს განსაკუთრებით უნდა იყოს ხაზგასმული უმაღლესი პოსტულატი - პიროვნების თავისუფლება, მისი უფლებები - იმგვარად, რომ ამავე დროს მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს საკუთარი მოვალეობის გაცნობირების უნარი.

დღევანდელ გამოწვევებს რომ უპასუხოს, მასწავლებელს, თავისი საგნის ცოდნასთან ერთად, თვითონაც მოეთხოვება განსაკუთრებული უნარ-ჩვევებს ფლობა, გარკვეული მიზნებისა და შედეგების გათვალისწინება. კერძოდ, დღეისთვის ჩამოყალიბებულია 15 მახასიათებელი მაინც, რომლებიც უნდა ჰქონდეს მასწავლებელს. ესენია:

1. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება და ინდივიდუალური ინსტრუქციები მოსწავლეებისათვის;

[1]მ. ელიაშვილი, 21-ე საუკუნის სწავლების სტრატეგიები მასწავლებლებს. „ყველა სიახლე„, 3.02.2018,

2. მოსწავლეების გათვალისწინება, როგორც „მწარმოებლებისა„ (ბლოგი, ვიდეო, პოსტერები, „წიგნები„, კრებულები და სხვ.);
3. ახალი ტექნოლოგიების ათვისება და პრაქტიკაში გამოყენება;
4. აზროვნებისა და სასწავლო პროცესის გლობალურობა;
5. სისხარტე, ვარირების უნარი, ინტელექტუალური „მოქნილობა„;
6. მასწავლებელი - ბლოგერი, ელექტრონული ჟურნალის მომხმარებელიც და ავტორიც;
7. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება (დოკუმენტაციისთვის, სასწავლო მიზნებისთვის);
8. თანამშრომლობა მოსწავლეებთან;
9. „ჩატისა„ და „მეილის„(ელექტროფოსტის) გამოყენება მოსწავლეებთან კომუნიკაციის დროს;
10. კვლევითი უნარების ჩამოყალიბება მოსწავლეებში;
11. პროექტზე დაფუძნებული სწავლება;
12. საკუთარი საიტის, გვერდის შექმნა და მოსწავლეებისთვის გაზიარება სასწავლო მასალასთან დაკავშირებით
13. დეკოდირება, გაშიფრვა - კომპიუტერში ვებ-გვერდის გაშიფრვა-გაანალიზება;
14. სიახლეების (ინოვაციების) დანერგვა საკლასო ოთახში;
15. სწავლის გაგრძელება განუწყვეტლივ.[2]

ბუნებრივია, ამგვარი მასწავლებლის წინაშე დგას სრულიად ახლებური გაკვეთილის ჩატარების საჭიროებაც და შესაძლებლობებიც. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროცესი ხდება დღითიდღე უფრო და უფრო ინოვაციური და იტვირთება ახალ-ახლი ფორმებით.

დღესდღეობით სკოლებში განათლების რეფორმის შედეგად უკვე დამკვიდრებულია არა მხოლოდ ინდივიდუალური სწავლების მეთოდი (რაც გახლდათ ძირითადი ტრადიციული გაკვეთილის დროს), არამედ გაკვეთილის ორგანიზების ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ჯგუფური მეცადინეობა, წყვილებში მეცადინეობა, დისკუსია, როლური თამაში და სხვ. ინოვაციური გაკვეთილის სახით სსიპ თბილისის 173-ე საჯარო სკოლაში ჩვენ ჩავატარეთ გაკვეთილი-კონფერენცია „შოთა რუსთაველი - 850„; აგრეთვე, გათვალისწინებული გვაქვს გაკვეთილი - „წიგნის ფესტივალი„. აღვნიშნავთ, რომ ყველა ტიპის გაკვეთილი გაწერილია თანამედროვე გაკვეთილის სამფაზიან მსვლელობაში და ითვალისწინებს მოტივაციას, ძირითად ნაწილსა და რეფლექსიას.

ამგვარი ტიპის გაკვეთილებზე სხვადასხვა დროს გამოყენებულია სხვადასხვა სასწავლო მეთოდი, რომლებიც მოიცავს დიდაქტიკურ ძიებებს, სწავლების პროცესში განსახორციელებელი ეტაპების დროში განაწილებას, ურთიერთობის ხასიათს, ანუ მასწავლებლისა და მოსწავლის როლების ურთიერთდამოკიდებულებებს, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას.

თანამედროვე პედაგოგიკაში, ძირითადად, სწავლების შემდეგი სახის მეთოდები გამოიყოფა: სასწავლო-კვლევითი, სიტუაციური მოდელირება, დისკუსია, დიდაქტიკური მეთოდი, პრეზენტაცია-დემონსტრირების მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი, სწავლა აღმოჩენით, სწავლა კეთებით და სხვ.

ყველა ეს მეთოდი ემსახურება სასწავლო მიზნების დასახვასა და მიღწევას, ხოლო მიზნების მიღწევა, თავის მხრივ, ხორციელდება მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიებითა და აქტივობებით. კერძოდ, შეიძლება ჩამოვთვალოთ: კოგნიტური სქემები, „შებრუნებული საკლასო ოთახი„, „ქეისებით„ სწავლება, „დისნეის სამი სკამი„, ლექცია, მართული კითხვის მეთოდი „შნესკა„ (შეწყობილ ნიშანთა სისტემა ეფექტური კითხვისა და აზროვნებისთვის), პაუზებით კითხვა, ვარაუდების სქემები და სხვ.

[2]. როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის მასწავლებლის 15 მახასიათებელი, „ყველა სიახლე„, 15. 11. 2015.

თანამედროვე გაკვეთილის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება. სწორედ ამას ემსახურება ის მრავალფეროვანი ფორმები, მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები, რასაც ითვალისწინებს დღევანდელი სასწავლო პროგრამა და სტანდარტი.

ამერიკელი პედაგოგი და ფილოსოფოსი ჯონ დიუ მიიჩნევს, რომ კრიტიკული აზროვნება იწყება მაშინ, როცა მოსწავლეები იწყებენ კონკრეტული პრობლემის შესწავლასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. თავის წერილში „რა არის აზროვნება?„[3] დევიდ ქლუსთერი აღნიშნავს, რომ მოსწავლის მიერ მეხსიერებით აღქმული და ათვისებული ცოდნა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს კრიტიკულ აზროვნებას, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე ამ დროს იმახსოვრებს თავისთვის უცნობ ბევრ საკითხს, მათ შორის, ამა თუ იმ პიროვნებისა და მოძღვრების იდეებსა და შეხედულებებს. ეს ჯერ კიდევ არაა კრიტიკული აზროვნება. კრიტიკული აზროვნება იწყება მაშინ, როდესაც ახლადშესწავლილი, „უკვე აღქმული იდეები მოწმდება, ფასდება, ვითარდება და გამოიყენება„ [3] მოსწავლის მიერ. ამის შემდეგ მოსწავლეს უვითარდება უნარი მის წინაშე არსებული პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრისა. სწორედ ამას ემსახურება, სხვა ტიპის გაკვეთილებთან ერთად, საკუთრივ პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი, რომელიც სამოდელო გაკვეთილის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. თანამედროვე განათლება სწორედ იმაზე აკეთებს აქცენტს, რომ მოსწავლეებში ჩამოყალიბდეს კრიტიკული აზროვნების უნარი და ჩვენმა მოსწავლეებმა არა მარტო გაკვეთილზე, არამედ თავისი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე შეძლონ ცხოვრებისეული გამოწვევების მიღება, თავის წინაშე არსებული პრობლემების გააზრება, გადაჭრა და უმჯობესი გზით წარმართვა. ეს ყოველივე, თავის მხრივ, გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში (ზგემ), რაც თანამედროვე განათლების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ თანამედროვე გაკვეთილი გულისხმობს აზროვნების განვითარების ექვს საფეხურს, რაც ბლუმის ტაქსონომიას ემყარება, კერძოდ: გაგება, გააზრება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება.

როგორც უკვე ითქვა, სწორედ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას ემსახურება თანამედროვე გაკვეთილის ფორმები და ასპექტები. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თანამედროვე გაკვეთილის აღჭურვა ციფრული ტექნოლოგიებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით.

ბოლო წლების განმავლობაში უკვე ფართოდ დაინერგა სკოლის პრაქტიკაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ამის მეშვეობით ხდება გაკვეთილების დაგეგმვა, მოსწავლეთა შეფასება, მონაცემთა ბაზის დატვირთვა და ინფორმაციის მიღება და სხვ.[4] მასწავლებლები მონაწილეობენ ტრენინგებზე, სემინარებში, კონფერენციებში, რომლებიც ტარდება ამასთან დაკავშირებით (მაგ.: ტრენინგი „ვიდეო, როგორც სასწავლო რესურსი„ და სხვ.).თვით მასწავლებელი და მოსწავლეები ქმნიან ჯგუფებს, ელექტრონულად უზიარებენ ერთმანეთს ამა თუ იმ სასარგებლო რესურსსა თუ ინფორმაციას, აძლევენ და ამოწმებენ დავალებებს, აანონსებენ საჭირო განცხადებებს. მაგალითად, პროფ. ხ. გოგიას მოხსენება „ვეფხისტყაოსნის„ იდეალური გმირი„ ჩვენ განვათავსეთ მე-10 კლასის მოსწავლეთა ჯგუფის გვერდზე, სადაც მოსწავლეები გაეცნენ ამ სასწავლო რესურსს და გაკვეთილისთვის გამოიყენეს იგი.

უკვე ფართოდ არის გაკვეთილებზე დანერგილი პროექტორის მეშვეობით სლაიდშოუსა და სხვა სახის პრეზენტაციების ჩვენება. ერთ-ერთ სამოდელო გაკვეთილზე, რომელიც ჩატარდა სსიპ ქ. რუსთავის 23-ე საჯარო სკოლაში, მასწავლებლის, პროფ. ლ. კვარაცხელიას, მიერ „მომავლის კლასში„ მოსწავლეებისთვის გადაგზავნილ იქნა დავალებები ელექტრონულ ფოსტაზე (გაკვეთილის ძირითად ნაწილში) და შემდეგ მოსწავლეებმა შესრულებული დავალება გადააგზავნეს მასწავლებლის ფოსტაზე, საიდანაც შეირჩა მასალა გაკვეთილის რეფლექსიისთვის.

---

[3].ინტერაქტიური სწავლება. რეკომენდაციები პედაგოგიური ტრენინგისათვის თბ. 2007.

[4]. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. თბ. 2010. გვ.29, 43, 77.

საინტერესოა გაკვეთილის ჩატარება სკაიპის მეშვეობით სხვა რომელიმე სკოლასთან ერთად, განსაკუთრებით, სხვა ქალაქთან, საქართველოს რომელიმე რაიონთან. აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უკვე გამოცხადებულია ვიდეო-გაკვეთილების ჩატარების შესახებ. აღნიშნულ გაკვეთილებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ჩაუტარებენ საჯარო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში.

ფართო თვალსაწიერს ხსნის სწავლება ბლოგების მეშვეობით. ხშირ შემთხვევაში მასწავლებელი თვითონ არის ბლოგერი, რაც მას საშუალებას აძლევს, ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით გაშალოს სასწავლო ურთიერთობა თავის მოსწავლეებთან, განათავსებს რა ბლოგზე სწავლებისათვის საჭირო და საინტერესო რესურსებს. ამით მასწავლებელი მაგალითს აძლევს მოსწავლეებს, რომლებიც, თავის მხრივ, თვითონაც არიან ბლოგერები, ავტორები, „კრებულების„ შემდგენლები და სხვ.

გაკვეთილის მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ რესურსს წარმოადგენს, აგრეთვე, მასწავლებელთა მიერ შექმნილი საიტები და ვებ-გვერდები. ჩვენ მიერ შექმნილია გვერდი „ქართველი რომანტიკოსები, რომელსაც ვუთითებთ კიდევაც მოსწავლეებს შესაბამისი მასალის შესწავლის დროს, როგორც დამატებით სასარგებლო რესურსს.

თავისთავად, თანამედროვე გაკვეთილი ასპარეზს აძლევს მასწავლებლის შემოქმედებით გასაქანს, მის ორიგინალურ ხედვას. სწორედ ამას ითვალისწინებს სამოდელო გაკვეთილის ერთ-ერთი ტიპი - ინოვაციური გაკვეთილი. მასში მოიაზრება, მაგალითად, „დისნეის სამი სკამი „შებრუნებული საკლასო ოთახი„ და სხვ. ინოვაციები განათლების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ერთი მხრივ, ინოვაციები ამკვიდრებს სიახლეს და ცხოვრებას მიჰყვება ფეხდაფეხ, მეორე მხრივ, განაპირობებს კრიტიკული აზროვნების განმტკიცება-გაძლიერებასა და ცხოვრებისეული გამოწვევებისადმი მზადყოფნას. აქედან გამომდინარე, აქტუალურია, რომ თანამედროვე გაკვეთილზე ყურადღება მიექცეს გაკვეთილის ინოვაციურ ფორმებს, მეთოდებსა და სტრატეგიებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე არსებული ინოვაცია შეიძლება გარკვეული დროის განმავლობაში ფართოდ დამკვიდრდეს ან მოძველდეს, ამიტომ განუწყვეტლივ საჭიროა ინოვაციური ფორმების ძიება, შემოტანა და დამკვიდრება. ეს განუწყვეტელი პროცესია.

დღესდღეობით განათლების სწორი ორიენტირებისთვის მნიშვნელოვანი გახდა განათლების ფილოსოფიის საკითხები და ამ თვალსაზრისით ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის სიღრმისეული განხილვა. უკვე „საკამათო არ არის, რომ საგანმანათლებლო კონცეფციებში არსებული პლურალიზმი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების მონოლოგური ფორმიდან პლურალისტურისკენ გადასვლის პროცესს ასახავს„, რაც თვით გაკვეთილის დაგეგმვასა და მიზნებშიც აისახება.[5] დღევანდელ განათლებას იმდენად ცოდნის გადაცემის პრობლემასთან არ აქვს საქმე, რამდენადაც „იმ მეთოდების გამომუშავება-ათვისებასთან, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნების განვითარებას„. [6]

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია, ერთმანეთს შევადაროთ ტრადიციული და თანამედროვე გაკვეთილი. ტრადიციულ გაკვეთილზე, როგორც ცნობილია, ძირითადად გამოიყენება ბიჰევიორისტული და დიდაქტიკური მიდგომები და მეთოდები. გაკვეთილზე დროის განაწილება, ინტერიერი, სახელმძღვანელო(„საინფორმაციო წყარო„), ხშირ შემთხვევაში, ძირითადად, ერთი და იგივეა, თითქმის უცვლელია. უფრო მეტი დრო ეთმობა მასწავლებლის საუბარს, შეფასება ხდება მხოლოდ ნიშნით (განმსაზღვრელი შეფასება).

თანამედროვე გაკვეთილის დროს ინოვაციური და მრავალფეროვანია სტრატეგიები, მეთოდები, კლასის ორგანიზება, ინტერიერის ცვლილება(მერხებისა და სკამების განაწილება გაკვეთილის ტიპის მიხედვით), შეფასების ფორმები. მასწავლებელი მოიაზრება, როგორც შემოქ-

[5] მ. ზაბორსკაია, განათლების ფილოსოფია და პედაგოგიური პროცესის მართვის პრობლემა თანამედროვე სკოლაში. www.mastsavlebeli. გe. 25. 12.2012.
[6]იქვე.

მედი, მოსწავლეებთან ერთად, თანამშრომელი, რომელსაც ძირითადი აქცენტი გადააქვს კრიტიკულ აზროვნებაზე, რაც, თავის მხრივ, ფაქტობრივ ცოდნას უნდა ემყარებოდეს. საინფორმაციო წყარო თანამედროვე გაკვეთილზე მრავალფეროვანია და მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება, აქ სხვა მრავალთან ერთად იგულისხმება ინტერნეტრესურსებიც,. დროის განაწილების თვალსაზრისითაც მეტია შემოქმედებითობის საშუალება.

ამდენად, თანამედროვე გაკვეთილი მრავალმხრივი ინოვაციისა და შემოქმედებითი მიდგომის ასპარეზად გვევლინება, იგი ორიენტირებულია მოსწავლეზე. როგორც აღნიშნავს განათლების მკვლევარი მ. ზაბორსკაია, „როგორც უნდა გაიგებოდეს პედაგოგიკა, მკაცრ მეცნიერებად თუ ხელოვნებად, მისი ყურადღების ცენტრში ყოველთვის არის მოსწავლე, როგორც განუმეორებელი ინდივიდი„.[7]

თუმცა თანამედროვე მიდგომებმა, სწავლების კომპიუტერიზაციამ თან მოიტანა რიგი ნაკლოვანებებისა, როგორიცაა მოსწავლეებში გაუარესებული კალიგრაფია, ასოების აღრევა, ამავე დროს, ცოდნის ერთგვარი ზედაპირულობა. თანდათანობით პრობლემური ხდება მასალის დაწვრილებითი, საფუძვლიანი შესწავლა და სიღრმისეული ანალიზი; აგრეთვე, ძნელდება (საკმარისი დროის უქონლობის გამო) მიღებული ფაქტობრივი ცოდნის განმტკიცება, გამეორება. ზოგჯერ სტრატეგიების მრავალფეროვნება „დააბნევს„ ხოლმე ბავშვის გონებას. ამიტომაც ამასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და სხვადასხვა სტრატეგია მიწოდებული უნდა იყოს ამ საკითხის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ყოველგვარი ინოვაცია გამოყენებული იყოს პედაგოგიური თვალსაზრისით, აღმზრდელობითი დანიშნულებით. ჩვენ აქ ვგულისხმობთ იმას, რომ გაკვეთილის ამ მრავალფეროვან ფორმებში, რომლებიც ითვალისწინებს განათლების გლობალიზაციის საკითხებს, მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს სწორი ორიენტირები თავისი სამშობლოსა და სარწმუნოების მიმართ. ამგვარი მიდგომა არსებითია საქართველოს მომავლისთვის, ქართველი ერის ხვალინდელი დღისთვის. დღევანდელი გლობალიზაციისა და ტოლერანტობის ზღვაში მოსწავლეები უნდა აღიზარდონ ეროვნული სულისკვეთებითა და მტკიცე სარწმუნოებით, რათა მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქაში შეძლონ თავანთი წვლილის შეტანა (ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი„ გავიხსენოთ). განათლების ასეთი ხედვა მუდამ იყო ჩვენი წინაპრების, ჩვენი სახელოვანი მოღვაწეების დამახასიათებელი. ქართველ მეფეებს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აჰყავდათ განათლების განმტკიცება და მასზე ზრუნვა.

ამჟამად პედაგოგიკაში აქტუალურია განათლების ფილოსოფია და მასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა-წარმოჩენა. თავის წერილში „განათლების ფილოსოფიის პრობლემები„ ა. ასათიანი, განიხილავს რა ვ. ასათიანისა და რ. ბალანჩივაძის მონოგრაფიას„პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები„ (თბ., 1997) წერს: „პედაგოგიკა სპეციალური მეცნიერებაა, იგი მსოლფმხედველობა არ არის; სამაგიეროდ პედაგოგიკა არის მეცნიერება, რომელიც წარმართავს ადამიანის მსოფლმხედველობრივი ფორმების პროცესს, ეძებს იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომლითაც უნდა მოხდეს ადამიანის ამგვარი თუ იმგვარი მსოფლმხედველობრივი ფორმირება„. [8]

ასე რომ, ყოველგვარმა ინოვაციამ პედაგოგიკაში კვლავ მტკიცედ უნდა გაკვალოს გზა ადამიანის სულიერ-ზნეობრივ-ინტელექტუალური სიმაღლეებისაკენ და ქართველ მოსწავლეებს ჩაუნერგოს თავისი სამშობლოსა და სარწმუნოების სიყვარული, რასაც ისინი გამოხატავენ და გააცხადებენ კიდევაც მსოფლიო გლობალური პროცესების კვალდაკვალ. თავის უმაღლეს ფასეულობებად მომავლის ქართველი კვლავ უნდა მიიჩნევდეს სამშობლოსა და სარწმუნოებას და, ამგვარი ცნობიერებით აღჭურვილი, ჩაერთოს მსოფლიოს აქტუალურ პრობლემებში.

საკვანძო სიტყვები: გაკვეთილი, ინოვაცია, კრიტიკული აზროვნება, აქტივობები,ისტ.

გამოყენებული ლიტერატურა:

[7] იქვე.

[8] ა. ასათიანი, განათლების ფილოსოფიის პრობლემები. http:// qvelly.com/roup/philosophy.

1. მ. ელიაშვილი, XXI საუკუნის სწავლების სტრატეგიები მასწავლებლებს. „ყველა სიახლე„, 3.02.2018.
2. როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის მასწავლებლის 15 მახასიათებელი, „ყველა სიახლე„, 15.11.2015.
3. ინტერაქტიური სწავლება. რეკომენდაციები პედაგოგიური ტრენინგისთვის,თბ., 2007.
4. ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში, თბ. 2007.
5. მ. ზაბორსკაია, განათლების ფილოსოფია და პედაგოგიური პროცესის მართვის პრობლემა თანამედროვე სკოლაში. www.mastsavlebeli. ge. 25. 12.2012.
6. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2008.
7. ა. ასათიანი, განათლების ფილოსოფიის პრობლემები, http:// qvelly.com/group/philosophy.

MZIA TAMAZASHVILI
LEPL Tbilisi Vakhtang Gzirishvili Public School N 173.
The Georgian Leanguage Teacher
Dr,of Philology
Archpriest Michael ChabaShvili
Ekvtime Takaishvili Higher Educational Institution
Dr. of Philology, Associated Professor

MODERN CLASS AND ITS VARIOUS ASPECTS

Abstract

Contemporary class is characterized by innovative and multi-sided strategies including learning/teaching methods, class management, change of interior, assessment forms, etc. A teacher is meant to be a creator and a cooperator with students mainly focusing on critical thinking based on factual knowledge. Information sources in a modern class are various and not limited to only a textbook. Time management availabilities are also extremely rich to be creative.
Key words: Lesson, innovation, critical thinking, activities, IT.

მესხიძე შორენა
გორგოშაძე მადონა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერული პრობლემები თანამედროვე სკოლაში

სამეცნიერო–პედაგოგიური ლიტერატურა ნაკლებად ეხება თანამედროვე სკოლაში მასკულინობისა და ფემინობის პრობლემების შესწავლას. მეტწილად სასწავლო–მეთოდური ლიტერატურა პრაქტიკულად უსქესოა და ეს იმ დროს, როდესაც მასწავლებლის პროფესია მოითხოვს მართვისა და ლიდერობის უნარ–თვისებების არსებობას. ამ მდგომარეობაზე მიუთითებენ ვ.დ. ერემეევა და ტ.პ. ხრიზმანი. ისინი მიუთითებენ, რომ მრავალ მეთოდურ დამხმარე

სახელმძღვანელოში, რეკომენდაციაში, სახელმძღვანელოში, წიგნში ულმობლად წერია: 1 წლის ასაკში ბავშვმა უნდა... 4 წლის ასაკში უნდა... და ა.შ. მოყვანილია ასაკობრივი ცხრილები, თუ რა უნდა შეეძლოს უსქესო ბავშვს. ამავე დროს ბავშვის შემდგომი ცხოვრებისთვის შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი გოგონებისა და ვაჟების სიმაღლისა და წონის მაჩვენებლები ცალ–ცალკე არის ნაჩვენები. გამოდის, რომ სხეულის წონა და შესაბამისად ტვინის წონა განსხვავებულია, ხოლო ყველაფერი რაც კი მათი (გოგონებისა და ვაჟების)საქმიანობის შედეგია (მოძრაობის ნებისმიერობა, აღქმა და ინფორმაციის ანალიზი, აზროვნება, მეხსიერება და სხვა ყველაფერი ერთნაირია? რა თქმა უნდა არა (Ильин Е.П., 2002:296). ვ.დ. ერემეევისა და ტ.პ. ხრიზმანის ამ მოსაზრებაში ჭეშმარიტების მარცვალი ნამდვილად არის; საჭიროა საფუძვლიანი რეკომენდაციები, თუ როგორ აღვზარდოთ და ვასწავლოთ გოგონებსა და ვაჟებს (Ильин Е.П., 2002:297). იმის მიუხედავად, რომ გაცნობიერების დონეზე, გარკვეულია განსხვავებები მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის, რაც მათი უნარების, მიდრეკილებების, ინტერესების, ქცევის თავისებურებებში ფიქსირდება, მაინც პედაგოგიკა რჩება უსქესო. უსქესო სწავლება და აღზრდა იწვევდა (Компейре Г., 1910) და იწვევს ახლაც (Бреслав Г. М., Хасан Б.И., 1990; Еремеева В.Д. и Хризман Т.П., 2001) წუხილს გოგონებისა და ვაჟების დამახინჯებული აღზრდისა და მათი სწავლების საშუალებების არაადეკვატურობის გამო. ა.ს. ვოლოვიჩის მიხედვით (1990) გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა შორის სასკოლო მოთხოვნებს ძირითადად ქალიშვილები (85%) აკმაყოფილებდნენ, ხოლო ის ვაჟები კი, რომლებიც მოსწავლეთა ასეთ ჯგუფს ეკუთვნიან, ხასიათდებიან ტრადიციულად ქალური თვისებებით: სამაგალითო ქცევა, ბეჯითობა, შემსრულებლობა და ა.შ. (Ильин Е.П., 2002:297). მრავალი ავტორი აღნიშნავს გოგონებისა და ვაჟების განსხვავებას შემეცნებითი ინტერესების სფეროში: გოგონები უფრო მეტ ინტერესს ავლენენ ჰუმანიტარული, ხოლო ვაჟები კი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ (Ильин Е.П., 2002:298). გოგონებისა და ვაჟების უნარ–თვისებების განსხვავება აგრეთვე იწვევს საკითხს გოგონებისა და ვაჟების ცალ–ცალკე სწავლების შესახებ. თანამედროვე პირობებშიც კი შემორჩენილია სასკოლო სწავლების ე.წ. ამერიკული და ევროპული მოდელები. ამერიკული მოდელი გულისხმობს გოგონებისა და ვაჟების ერთობლივ სწავლებას (Ильин Е.П., 2002:300), თუმცა ამჟამად იქ ერთსქესიანთა სკოლების გახსნის ძლიერი ტენდენცია არსებობს. ევროპული მოდელი გოგონებისა და ვაჟების ერთობლივ სწავლებას ითვალისწინებს, თუმცა ის მრავალ ევროპულ ქვეყანაში შეიცვალა ერთობლივი სწავლების მოდელით.

თვლიან, რომ ერთობლივ სკოლებს ახასიათებს ამხანაგური, მეგობრული და თანასწორი ურთიერთობები გოგონებსა და ვაჟებს შორის. ვაჟები „მდიდრდებიან“ გოგონების დადებითი თვისებებით (თავშეკავებულობა, დელიკატურობა), სწავლობენ ქალების პატივისცემას, ხოლო გოგონები ვაჟებთან ურთიერთობის პროცესში თავისუფლდებიან ზედმეტი მფრთხალობისაგან. ასეთი რამდენადმე მიამიტური მოლოდინები აშკარად აგებენ ერთობლივი სწავლების ნეგატიურ შედეგებთან შედარებაში. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდნენ, რომ გოგონებსა და ვაჟებს შორის ამხანაგური ურთიერთობების დამყარება იწვევს განათლებულ ადამიანთა შორის ქორწინებათა რაოდენობის შემცირებას, რადგან ფიზიოლოგიური მიზიდულობის ძალა მეგობრობის გრძნობის უკუპროპორციულია. რა თქმა უნდა, ეს ახსნა ხელოვნურად გამოიყურება, მაგრამ უდავო ფაქტად რჩება ის, რომ რომანტიკული სიყვარული ქრება და მასთან ერთად გრძნობების სიღრმეც (Ильин Е.П., 2002:300). ჩვენ ვართ გ. კომპეირის მოსაზრების ჭეშმარიტების მოწმეები, რომელიც ამბობდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მხოლოდ მდედრობითი სქესი დარჩება, ხოლო ქალურობა კი გაქრება. ამ საკითხთან დაკავშირებით გ.მ. ბრესლავისა და ბ.ი. ხასანის მიხედვით, როგორც ქალიშვილები ისე ვაჟები, ქალისათვის სასურველ თვისებებად ასახელებენ ტრადიციულად ისეთ მამაკაცურ თვისებებს, როგორიცაა ვაჟკაცობა, დამოუკიდებლობა, საკუთარ თავში დარწმუნებულობა, მიზანსწრაფულობა, რომლებიც დომინირებენ წმინდა ქალურ თვისებებზე. მერვე, მეცხრე კლასების მოსწავლეებში დომინი-

რებს ურთიერთობათა ძალისმიერი, უხეში ფორმები, როდესაც გოგონები წარმატებით იყენებენ ზუსტად „მამაკაცურ“ საშუალებებს (Ильин Е.П., 2002:301).

თანამედროვე საჯარო სკოლების პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ სასწავლო გეგმებისა და სასწავლო საგნების შინაარსს აქვს აშკარად ტექნოკრატიული და საბუნებისმეტყველო–მეცნიერული მიმართულება, ე.ი. ძირითადად მამაკაცური მიმართულება. ამ სტრატეგიულ ხაზს კი უმრავლეს შემთხვევაში ახორციელებენ ქალი–მასწავლებლები, რომელთა მოთხოვნები (ბეჯითობა, გულმოდგინება, დისციპლინირებულობა) უფრო ახლოსაა გოგონებისთვის. სასკოლო მოთხოვნები ორიენტირებულია დავალებების საგულდაგულოდ შესრულებაზე, დეტალების დამუშავებაზე. დავალებებში ჭარბად არის შემსრულებლობა და ნაკლებია შემოქმედება. ყველაფერი ეს უფრო სასარგებლოა გოგონებისთვის, რადგან ქალები ჩვეულებრივ უკეთ ასრულებენ არა ახალ, ტიპიურ, შაბლონურ ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ მონდომებას, ბეჯითობას (Ильин Е.П., 2002:301).

აღნიშნავენ, რომ ამჟამად დასტურდება აგრეთვე ფსიქოლოგიის ფემინიზაცია, მაგალითად სანქტ–პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის მამაკაცებისა და ქალების შეფარდება უდრის 1–3,5–ზე (Ильин Е.П., 2002:311). იგივე ტენდენცია დასტურდება საქართველოშიც. სასკოლო განათლების სფეროში ქალები უმრავლესობას შეადგენენ. მაგალითად, გერმანიაში და საფრანგეთში ქალები მასწავლებელთა (60%) შეადგენენ. (Ильин Е.П., 2002:309). სასკოლო სისტემაში უმრავლესობას შეადგენენ ქალები აგრეთვე საქართველოშიც. სასკოლო განათლების ფემინიზაციის მიზეზების დადგენისას მიუთითებენ სოციალურ–ეკონომიკურ პირობებზე. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე დემოგრაფიული მდგომარეობა პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ, არასაკმარისი ანაზღაურება და მასწავლებლის შრომის პრესტიჟულობის შემცირება. სუბიექტურ ფაქტორთა შორის მიუთითებენ ბავშვებთან ურთიერთობაზე ქალების მიდრეკილებაზე. გასაგებია, რომ მამაკაცებს ქალთა შემადგენლობაში უჭირთ ურთიერთობების დაკმაყოფილება, ქალებთან საერთო ენის მოძებნა. ასეთი ვითარება კი იწვევს იმას, რომ სკოლიდან უფრო ხშირად მიდიან და არ მოდიან მამაკაცები. ამის შედეგად სკოლაში იქმნება გარკვეული პრობლემები ვაჟების აღზრდის სფეროში. სკოლის ფემინიზაციამ გარდაუვლად გამოიწვია მოსწავლეების მიმართ მოთხოვნილებების ფემინიზაცია, ქცევის ქალური ეტალონების დამყარება, როდესაც ვაჟებისთვის დამახასიათებელი ინიციატივა და ავტონომია ძალიან არ არის მხარდაჭერილი, ურთიერთობათა რიტუალი ჭარბობს შინაარსზე, ხოლო გარეგნული დისციპლინა – თვითორგანიზაციაზე (Бреслов Г.М., Хасан Б.Н., 1990) (Ильин Е.П., 2002:311).

აღნიშნავენ, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლის მდგომარეობის უფრო მეტი ენერგეტიკული დანახარჯები (ხმამაღალი საუბარი, სწრაფი და მკვეთრი მოძრაობები ე.ი. მამაკაცური მოქმედებები ჩვენი აზრით შ.მ.) ვაჟებში იწვევენ დადებით განცდას და უარყოფითს გოგონებში, ხოლო პედაგოგის მდგომარეობის ნაკლებ ეფექტიანი გარე გამოვლინებები (წყნარი ხმა, ნელი მოძრაობები – ე.ი. ქალური მოქმედებები, ჩვენი აზრით, შ.მ.) დადებითად მოქმედებენ გოგონებზე და უარყოფითად მოქმედებენ ვაჟებზე (Латыпова А.Ф., 2008:13).

მიუთითებენ, რომ სასკოლო სწავლების პირობებში ვაჟების ტრადიციული სტერეოტიპები ასოცირდებიან „ნამდვილი მამაკაცის“ ხატთან. მაგრამ ვაჟები ხშირად ვერ ხედავენ რეალურ მაგალითს მასკულინარული თვისებების მოდელირებისათვის (არასრული ოჯახი, ძმის, ბაბუის ოჯახში არ ყოფნა, ოჯახში დედის მხრივ აღზრდის პროცესის წარმართვა, ხოლო სკოლაში ისევ მასწავლებელი ქალის მიერ). ამიტომ, ასეთ პირობებში აღზრდილი ვაჟისთვის ძნელია სქესისადმი (მამრობითი) საკუთარი კუთვნილების განსაზღვრა.

არც თუ ისე მარტივია სკოლაში ქალური ინდივიდუალობის ფორმირებაც. გოგონების აზრით, „წარმატებული ქალი“ მამაკაცური თვისებებით არის დაჯილდოებული. ამიტომ იმისათვის, რომ დაიმკვიდროს თავისი ადგილი სკოლაში და სოციუმში, გოგონა ხშირად გადაიღებს ხოლმე საპირისპირო სქესის თვისებებს (Безруких Е.Б., 2012:397-399).

ამრიგად, სასკოლო სიტუაცია, სადაც უმრავლესობას ქალები შეადგენენ, ნაკლებ ეფექტიანია ვაჟებში მასკულინარული, ხოლო გოგონებში კი ფემინური თვისებების ჩამოყალიბებაში. როგორც აღნიშნავს ბეზრუკიხი, ვაჟები სკოლაში ვერ პოულობენ მისაბაძ მაგალითს, ხოლო გოგონები კი ქალი–მასწავლებლის მიერ ლიდერის (მამაკაცის) როლის შესრულებაზე დაკვირვების შედეგად მიდიან დასკვნამდე, რომ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად საჭიროა „მამაკაცური" თვისებების დაუფლება და გამოყენება.

საყურადღებოა, თანამედროვე მასწავლებლების გენდერული განწყობების შესწავლის (Кириллова Н.А.) შედეგები, რომლის მიხედვით ავტორს გამოყოფილი აქვს სწავლების მამაკაცური, ქალური და შერეული სტილები. ავტორის მიხედვით, მამაკაცური სტილი დაკავშირებულია ნეგატიურ თვითაღქმასთან, რაც მის მიერ როგორც საკუთარი, ისე მოსწავლეების შესაძლებლობების შეზღუდულობაში გამოიხატება. ეს მოსწავლეების სპონტანობისა და გაკვეთილზე შემოქმედებითი ატმოსფეროს არარსებობაში ვლინდება. პედაგოგიური საქმიანობის ინდივიდუალური სტილი გამოიხატება განწყობაში – „ბავშვი როგორც ზემოქმედების ობიექტი". ავტორიტატული ტენდენციების არსებობა გამოიხატება გადაწყვეტილებებში, დავალებების ხისტ კონტროლში. გენდერული იდენტობა აყალიბებს მამაკაცისა და ქალის გაცნობიერების სტერეოტიპულ სტრუქტურას.

ქალური სტილი დაკავშირებულია მასწავლებლის არამყარ თვითშეფასებასთან, რომელიც დამოკიდებულია გარემოებებზე, სხვა მნიშვნელოვანი პირების თვალსაზრისზე. პრიორიტეტულად მიღებულია კოლეგების მოკავშირეებად აღიარება, მათ მხრივ გაგებისა და მხარდაჭერის მიღებაზე ორიენტირებულობა. პედაგოგიური საქმიანობის ინდივიდუალური სტილი ლიბერალურია (მშვიდობის მყოფადობა), დამახასიათებელია სხვების სამუშაოს შესრულების საკუთარ მხრებზე აღება. საკლასო ურთიერთობები გაუბედავობისა და მერყეობის პირობებში ხორციელდება. ეს სტილი აყალიბებს ქაოტურ გენდერულ იდენტობას, წინააღმდეგობრივ სტრუქტურას საკუთარი თავის, მამაკაცისა თუ ქალის გაგებაში.

შერეული სტილი ხასიათდება ადეკვატური თვითაღქმით. პრიორიტეტულ ღირებულებას მოსწავლე წარმოადგენს. ინდივიდუალური სტილი პედაგოგიური საქმიანობისა არის ბავშვი, როგორც პარტნიორი. სწავლების შერეული სტილი ხასიათდება სხვადასხვა ფორმის მეცადინეობათა, მამაკაცური და ქალური სტილისათვის დამახასიათებელი მეთოდური საშუალებების გამოყენებით.

ამ შემთხვევაში ყალიბდება გენდერული იდენტობის მთლიანობითი ხასიათი, როდესაც ინდივიდს გაცნობიერებული აქვს საკუთარი თავის მამაკაცური თუ ქალური ჯგუფისადმი კუთვნილება, ამავე დროს ის მხედველობაში ღებულობს არსებულ სოციალურსა და გენდერულ ნორმებს.

ცხადია, ეს გამოკვლევა იმაზე მიუთითებს, რომ პედაგოგიური პროცესის დროს ფაქტობრივად მასწავლებლის მიერ ანდროგინული თვისებების გამოვლენის შესაძლებლობის მქონე პიროვნება ღებულობს უპირატესობას.

მასწავლებელთა გენდერული თვისებების ინტერპრეტაციის დროს საყურადღებოა მოზარდების (ანუ მოსწავლეების) მიერ მამაკაცებისა და ქალების მიმართ გამოყენებული მახასიათებლები. აღნიშნავენ, რომ ქალებს ხშირად მიაწერენ „მამაკაცურ თვისებებს" (თვითდარწმუნებულობა, ენერგიულობა, გაბედულობა), ხოლო მამაკაცებს კი „ქალურ" თვისებებს (სიკეთე, გულშემატკივრობა, მომხიბვლელობა). ამიტომ მოზარდებში ე.ვ. კაგანის გამოკვლევის მიხედვით მამაკაცებისა და ქალების მახასიათებლები უფრო მეტად ანდროგინული გამოვიდა (Ильин Е.П., 2002:58). ასეთ მდგომარეობას იმით ხსნიან, რომ, როგორც ჩანს, მოსწავლეებს ჯერ არ აქვთ ჩამოყალიბებული მამაკაცისა და ქალის სტერეოტიპები (Ильин Е.П., 2002:58). კანონზომიერია დავსვათ კითხვა, ხომ არ არის ასეთი მდგომარეობა იმით გამოწვეული, რომ მდედრობითი სქესის მასწავლებლები სკოლაში თამაშობენ მამაკაცის როლს და ცდილობენ უფრო დარწმუნებულები, შემტევები იყვნენ, რაც ლიდერობის აუცილებელი კომპონენტებია; ხოლო მამრობითი სქესის მასწავლებლები კი იძულებულნი არიან

უფრო მეტად გამოავლინონ მზრუნველობა, რაც თავისთავად ემპატიასთან, გულშემატკივრობასთან შეიძლება იქნეს დაკავშირებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ სკოლის პედაგოგთა გენდერული შემადგენლობა თავისებურ ზემოქმედებას ახდენს სკოლის მოსწავლეების წარმოდგენებზე საზოგადოებაში არსებული გენდერული განსხვავებულობის სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე.

საკვანძო სიტყვები: სკოლა , მასწავლებელი, მოსწავლე, მასკულინობა, ფემინობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Безруких Е.Б. Понимание гендерных стереотипов в педагогике. Е.Б. Безруких//Молодой ученый. – 2012. №4. с. 397-399 (http;//www. Moluch.ru/archive 139145801.
2. Ильин Е.П. Дифференциальная психофизиология мужщины и женщины, Питер, СПб., 2002.
3. Кириллова Н.А. К вопросу о гендерных установках современных учителей. Fpo. ru /i/konkurs / kriliova 1/ Adoc.
4. Латыпова А.Ф. Возрастные особенности взаимосвязи психических состояний школьников и учителей в процессе взаимодействия на уроке. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата психологический наук. Казань, 2008.

SHORENA MESKHIDZE
MADONA GORGOSHADZE

GENDER PROBLEMS AT CONTEMPORARY SCHOOL

Abstract

The paper deals with problems of masculinity and felinity in modern school, gender ratio of teachers per school, impact on performance of the pupils of gender differentiation in society.

Key words: School, Teacher, Pupil, Masculinity, Feminism.

ლალი (ბარბარე) აბდალაძე
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მაია ახვლედიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

სახალხო განათლების კერები გურია-სამეგრელოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

სასულიერო სასწავლებლების გარდა, XIX საუკუნის პირველი ნახევრის გურია-სამეგრელოში სასულიერო განათლების, პედაგოგიური აზროვნებისა და სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის საერო, სახალხო განათლების კერები: სამაზრო სასწავლებლები, მონასტრებთან არსებული, საკვირაო, საშინაო და კერძო სკოლები.

საქართველოს ავტოკეფალიისა და კათედრების გაუქმებით (1811) მრავალი საეკლესიო-სამონასტრო სკოლა გაუქმდა, მაგრამ დროთა ვითარების გამო მოთხოვნილება ელემენტარულ განათლებაზე ისე იზრდებოდა, რომ ბევრი ასეთი სკოლა კვლავ გაიხსნა 20-30-იან წლებში. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოებდა ჯრუჭის,

ოზურგეთის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკისა და შემოქმედის ეკლესია-მონასტრებთან არსებულ საეკლესიო სამრევლო სკოლებსა და სასწავლებლებში. მათ შორის აღსანიშნავია შემოქმედის მონასტერთან არსებული სკოლა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ამ მონასტერთან აქტიურ სასწავლო-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა ამავე მონასტრის ბერი დუმბაძე და ეს სკოლა ცნობილია დუმბაძე ბერის სკოლის სახელწოდებით. აქ ასწავლიდნენ წერას, კითხვას, გალობას, გრამატიკას, ღვთისმეტყველებას, საღვთო წიგნებს, კატეხიზმოს და სხვ.

სამაზრო სასწავლებლები საქართველოში შეიქმნა 1828 წლის 8 დეკემბრის გამოცემული დებულებით 1830 წლიდან იმ მიზნით, რომ რუსეთის მეფის მთავრობას მოხელეთა კადრები ადგილობრივ მკვიდრთაგან დაეკომპლექტებინა. სასწავლებლები განკუთვნილი იყო „ყველა მდგომარეობის ხალხისთვის“ და მიზნად ისახავდა დაწყებითი ცოდნის გავრცელებას. ის იყო დაბალი საფეხურის სკოლა, ღატაკი პროგრამითა და მშრალი, უსულგულო შინაარსით. მის უვარგისობას ემატებოდა უცხო (რუსულ) ენაზე სწავლება.

რუსის მთავრობის მიერ სწავლა-განათლების საქმე იმერეთსა და გურიაში სრულიად მივიწყებულია. მასში არ არის მოხსენიებული ზუგდიდის სამაზრო სკოლა. ფაქტია, რომ მთავრობამ საჭირო და სარწმუნო ცნობებიც ვერ შეკრიბა ოთხი თვის განმავლობაში. დამახინჯებულია ცნობები გურიის შესახებ. ასევე არაა საუბარი საშინაო სკოლებზე, რომელთა შესახებაც სოკ. ძიმისტარაშვილი შენიშნავს: „ზოგიერთ ოჯახებში იმ დროს ოჯახის დედებს საპატიო საზოგადოებრივ ღვაწლად მიაჩნდათ თავიანთ სახლში ნათესავ-მოყვრების შვილებისათვის ესწავლებინათ საღვთო სჯული და წერა-კითხვა“ (ძიმისტარაშვილი სოკ.: 6-131).

საინტერესოა სამეგრელოს სამაზრო (ანუ საერო) სასწავლებელი სოფ. ნოღალევში, რომელიც გაიხსნა 1830 წლის 23 დეკემბერს. ნოღალევის სასწავლებელი მას პირობითად შეიძლებოდა რქმეოდა, რადგან „სასწავლებელი წელიწადში რამდენჯერმე იცვლიდა ადგილ-სამყოფელს იმის მიხედვით, თუ სად იმყოფებოდა მთავარი – ზუგდიდში, სენაკში, გორდში თუ სხვაგან. ეს კი, ცხადია, უარყოფითად მოქმედებდა სწავლების პროცესსა და ხარისხზე“ (ქ.ცა 8: ფ. 86. საქმე №2, ფურც. 2-4).

თვითმპყრობელობამ საქართველოში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან რუსეთის მსგავსი სასკოლო სისტემა შემოიღო „ტუზემური“ ენების გაძლიერებით, რაც ადგილობრივი მართვა-გამგეობის აპარატის საჭიროებით იყო გამოწვეული.

სამაზრო სასწავლებელში, სანამ ის ორკლასიანი იყო (1835 წლამდე), ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა, ადგილობრივი ენა, ანგარიში და სუფთა წერა. ადგილობრივ ენას ორ-ორი საათი ჰქონდა დათმობილი.

ორკლასიანი სამაზრო სასწავლებელი, ორი წლის კურსით, ვერც გიმნაზიისთვის ამზადებდა მოწაფეთა კონტინგენტს და არც სამსახურისთვის იყვნენ კურსდამთავრებულნი შესაფერისად მომზადებულნი. მთავარმართებელ როზენის პროექტით, 1835 წლიდან სამაზრო სასწავლებელში სამწლიანი კურსი იქნა შემოღებული და გაძლიერდა ადგილობრივი ენების სწავლება. ყველა მოსწავლეს ევალებოდა, მათ შორის რუსებსაც, ადგილობრივი ენის შესწავლა.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან 50-იანი წლების ნახევრამდე ქართული ენა სავალდებულო საგანი იყო თითქმის ყველა სასწავლებლის მოსწავლისათვის. XIX საუკუნის პირველ ნახევარში გურია-სამეგრელოში ქართული ენის გაბატონებული მდგომარეობა აიძულებდა მთავრობას, გაეხადა ის სავალდებულო შესწავლის საგნად, რასაც ვერ ვიტყვით XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ ვითარებაზე.

სამაზრო სასწავლებლის სასწავლო პროგრამაში შეიტანეს ისეთი საგნებიც, როგორებიცაა: ისტორია, გეოგრაფია და დაწყებითი გეომეტრია. სამაზრო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება გიმნაზიაში. მართალია, ეს ახალი დებულება წინანდელთან შედარებით აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ არსებითი ცვლილება სწავლების ხარისხს არ განუცდია. კავკასიის სასწავლებლების დირექტორიც კი აღიარებდა, რომ

„სამაზრო სასწავლებლების მოსწავლეები სამი წელიწადი მხოლოდ წერა-კითხვის შესწავლას უნ-დებოდნენ“ (სსცა. 7 : ფ .2. საქ. №4444, ფურც. 24).

პედაგოგიკურ მეცნიერებაში დღეს გაბატონებულია აზრი და მას ჩვენც ვიზიარებთ იმის თაობაზე, რომ ქართველ მოწაფეთა ჩამორჩენილობისა და სწავლაში წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზი ის რეჟიმი და არაპედაგოგიური აზროვნება გახლდათ, რომელიც მაშინ გაბატონე-ბული იყო სასწავლებლებში. აღმზრდელები აღსაზრდელებზე მოქმედებდნენ არა დარიგებით, შეგონებით, პირადი მაგალითებით, არამედ შიშითა და მუქარით, ცემა-ტყეპითა და როზგით.

ვფიქრობთ, მოსწავლეთა სწავლაში წარუმატებლობისა და სკოლაში გამოუცხადებლობის რამდენიმე ძირითადი მიზეზი უნდა იქნეს დასახელებული: სასულიერო სასწავლებლები სრული-ად არ იყვნენ შეგუებული ადგილობრივ პირობებსა და მოთხოვნებს; სასწავლებელში სწავლება ბავშვებისათვის სრულიად უცნობ, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა; გაუგებარ ენაზე რამდენიმე საგნის გაკვეთილის დასწავლა მოწაფისთვის ყოველდღიურ წამებად იყო გადაქცეული; სასწავ-ლებელში მოსვლისას მას ფიზიკური სასჯელი მოელოდა გაკვეთილის დაუსწავლელობისა და სხვა რაიმე დანაშაულის გამო; მრავალი ზრდასრული მოწაფე 17-19 წლისა 7-8 წლიან ბავშვებ-თან ერთად ერთ კლასში იჯდა; მოზრდილებს გაკვეთილების შეუგნებლად დაზეპირება უფრო უჭირდათ, ეს კი მათ სწავლაში ჩამორჩენასა და სასწავლებელზე გულის აყრას იწვევდა; საქარ-თველოში არასტაბილური, შფოთიანი მდგომარეობა, მღელვარებანი, ომიანობა, ლეკთა თარე-ში, მოარული სენი, შავი ჭირი, საერთო შიშს ბადებდა მოსახლეობაში და ისეთ განწყობილებას ქმნიდა მშობლებში, რომლის გამოც მათ სკოლისთვის არ ეცალათ. აღსანიშნავია, რომ ამ პერი-ოდში – XIX საუკუნის ოცდაათიან-ორმოციან წლებში – სხვადასხვა მოარული სენი, განსაკუთ-რებით შავი ჭირი, ხშირი მოვლენა იყო საქართველოში, რომლის შედეგადაც მთელი სოფლები წყდებოდა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, შეგნებულ მშობლებსაც კი ვერგაუჩენდა მოტივაციას, ასეთ პირობებში გაეგზავნათ ბავშვები სასწავლებელში. სიღარიბე ერთ-ერთი მიზეზი იყო, რაც მოწაფეთა წარმატებას აბრკოლებდა და სასწავლებელზე ხელს აღებინებდა; სასწავლებლის რე-ჟიმი, ფიზიკური სასჯელი, რაც ნებადართული იყო, გულს უცრუებდა მოწაფეებს სწავლაზე.

ცხოვრების მძიმე პირობები, მასწავლებელთა დაბალი განათლების დონე, სწავლების არა-პედაგოგიური მეთოდები, სწავლება მეგრელი ახალგაზრდებისათვის სრულიად უცხო, რუსულ ენაზე, იყო ის უმთავრესი მიზეზი, რომლებმაც განაპირობა სამეგრელოს სამაზრო სასწავლებ-ლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მოსახლეობის მხრიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებში დასავლეთ საქართველოში სახაზინო, სასულიერო და კერძო სკოლების გარდა, არსებობდა სამეგრელოსა და გურიის მთავართა მიერ დაარსებული სასწავლებლებიც. დიდი იყო მოსახლეობის, განსაკუთრებით, გაბატონებული კლასის მისწრაფება სწავლა-განათლების მიღებისაკენ. საისტორიო წყაროების მიხედვით, ამ პერიოდში მამია გურიელმა „ყმაწვილთა სასწავლებლად“ გააჩინა ოზურგეთის სკოლა, წამოიყ-ვანა ევროპიდან მუსიკის მასწავლებელი, შეადგინა მუსიკა და ჩვეულებად გააჩინა ევროპული ტანცები...“ (გაზ. „მოგზაური“ 9 : №12). როგორც ჩანს, გურიელი ხელს უწყობდა გურიაში ევ-როპული მუსიკალური ხელოვნებისა და კულტურის დანერგვას.

სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საერო სასწავლებლების ქსელი და ასევე ეკლესია-მო-ნასტრებთან არსებული სკოლები (თეკლათის) ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნი-ლებას სწავლაზე. ამიტომ მოსახლეობა ხშირად მიმართავდა საოჯახო ინდივიდუალურ აღ-ზრდას.

საოჯახო ინდივიდუალური აღზრდის პრაქტიკა გავრცელებული იყო უმთავრესად თავა-დაზნაურობაში. ამ წოდების ბევრი წარმომადგენელი ქირაობდა გუვერნიორებს, აღმზრდე-ლებს, მასწავლებლებს და დიდი ხნით აძლევდა მათ თავიანთ შვილებს. ეს პრაქტიკა XIX საუ-კუნის პირველი ნახევრის საქართველოში არაფრით განსხვავდებოდა ამავე პერიოდის დასავ-ლეთ ევროპასა და რუსეთში არსებული პრაქტიკისაგან. საჭიროა მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ,, ქართველ არისტოკრატიას შვილების აღსაზრდელად ხშირად ჰყავდა უცხოელები ან რუსები. მათ უმთავრესად იწვევდნენ უცხო ენების მასწავლებლებად.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გურია-სამეგრელოში არსებობდა საშინაო სკოლები მღვდლების, ზოგჯერ გლეხების ოჯახებთანაც. ამ სკოლებში სწავლების ხარისხი ძალზედ დაბალი იყო. კ.ბოროზდინი წერდა: „სოფლებში აქა-იქ თავისთავად გაიხსნა სკოლები, სადაც მასწავლებლად თითქმის უვიცნი არიან. ერთ ამგვარ სკოლათგანში ერთადერთი წიგნი შეგვხვდა რუსული–სამხედრო დებულება და ამწიგნის მეშვეობით ბავშვები რუსულ კითხვას სწავლობდნენ“ (ბოროზდინი. კ. 2: 65). ასეთი სკოლები იყო: დადიანისა, ჩიქოვანისა (სამეგრელოში), გურიელისა (გურიაში) და სხვ.

ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები უმთავრესად მამრობითი სქესის ბავშვებს ემსახურებოდა. ამის გამო მათ პარალელურად საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა ე.წ. „საშინაო სკოლები“, სადაც გოგონებს „ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვებს, ხოლო გოგონებს, ამის გარდა ხელსაქმეს ასწავლიდნენ მეტ შემთხვევაში „საშინაო სკოლების“ მქონე ქალები, იშვიათად კი სათანადო სახელმწიფო ან სასულიერო სასწავლებლებში სწავლამიღებული პირები. „საშინაო სკოლებში“ ასწავლიდნენ მამაკაცებიც, მაგრამ ყველა ესენი, გარდა მცირე გამონაკლისისა, იყვნენ მოხუცებულნი ან ინვალიდები, მაგრამ მათ შორის ხშირად ერივნენ მცოდნე (თვით განათლების გზით) და ხანგრძლივი პრაქტიკით პედაგოგიურად დახელოვნებული, ავტორიტეტული მასწავლებლები...“ (თავზიშვილი გ. 3 : 114-115).

სამეგრელოში მოსახლეობის დაბალ ფენებში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული ხელოსნობის სწავლება. ხელოსნობის სწავლებას მოზარდს ადრეული პერიოდიდან აწყებინებდნენ და სწავლა გრძელდებოდა ოთხი-ხუთი, ზოგჯერ ათი წლის განმავლობაში. „ხელოსნობის სასწავლებლად თვით მთავრები აგზავნიდნენ თვიანთ ყმებს იმისდა მიხედვით, თუ რა ხელობის ხელოსანი სჭირდებოდა მათ. ი. მეუნარგიას ცნობით, დავით დადიანი წელიწადში 12 კაცს აგზავნიდა ხელობის შესასწავლად. მთავარი თვითონ იხდიდა სწავლების გადასახადს“ (მეუნარგია ი. 4 :167).

სამეგრელო მდიდარი იყო საერო აღზრდის მეტნაკლებად გავრცელებული სხვა ფორმებითაც, რომელიც უძველესი დროიდან იღებდა საფუძველს. დიდი ყურადღება ექცეოდა რაინდულ აღზრდას. იშვიათად იყო სამეგრელოში მამაკაცი, რომელიც არ ყოფილა კარგი ცხენოსანი, მონადირე, მოისრე, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას თავადაზნაურობაზე. ბეკო საბახტარს კ. ბოროზდინი ასე ახასიათებს: „უნაგირზე მშვენივრად იჯდა, აჭენებდა უბელო გადარეულ ცხენებს, ხუთმეტი ნაბიჯის მანძილზე დანას თოფიდან ტყვიას ახვედრებდა, ოცდაათიდან კვერცხებს ამტვრევდა, ჰაერში ძერას კლავდა, მიმინოთი მწყერებზე ნადირობდა და ძაღლებით ირმებს, მელიებს იჭერდა, შინა ყმებთან ყოველგვარ მეგრულ სიმღერებს მღეროდა, თამაშობდა აფხაზურად და ლეკურად“ (ბოროზდინი კ. 2 : 72). ეს თვისებები ახასიათებდა როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის წარმომადგენლებსაც. ისინი მემკვიდრეობით ღებულობდნენ ამ თვისებებს.

„სამეგრელოში ფართოდ იყო გავრცელებული შვილების გაბარება-გაძიძავება, რომელსაც მაღალი წოდების წარმომადგენლები მიმართავდნენ. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სამეგრელოს თავადაზნაურობა შვილებს აძიძავებდა აფხაზეთში, ხოლო აფხაზები–სამეგრელოში. მაგ., ლევან ახმედბეგ შარვაშიძე იზრდებოდა სამეგრელოში პეტრე მხეიძის ოჯახში, ბეკო საბახტარი კი–აფხაზეთში“ (ქადარია თ. 5 : 214).

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში განათლების ძველი კერები თანდათანობით ქრება და მის ადგილს იკავებს განათლების ახალი ქსელი. იქმნება რუსეთის განათლების სისტემისადმი დაქვემდებარებული სასულიერო საერო სასწავლებლები. ფართოდ ვრცელდებოდა ინდივიდუალური ტიპის სასულიერო სასწავლებლები, ინდივიდუალური სწავლების ფორმები. კვლავინდებურად დიდი ყურადღება ეთმობოდა რაინდულ აღზრდას და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიური აზროვნება, სასწავლო - სააღმზრდელო სისტემა, სასწავლო პროგრამა, საერო სასწავლებელი, ინდივიდუალური აღზრდა.

ლიტერატურა:

1. ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861 წწ. თბილისი.,1934 წელი.
2. თავზიშვილი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური იდეები XIX ს. პირველ ნახევარსა და 60–იან წლებში., თბილისი, 1948 წელი.
3. მეუნარგია ი., ქართველი მწერლები , ტ.II, თბილისი. 1954 წელი.
4. ქადარია თ., სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი, 2001 წელი.
5. ძიმისტარაშვილი კ., კერძო სასწავლებლები საქართველოში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში ., მასალების კრებული., I. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა. ტფილისი. 1937 წელი.
6. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. (სსცა) ფ. 2.
7. ქუთაისის ცენტრალური არქივი. ფ.86.
8. გაზ. „მოგზაური„, 1902, №12.

LALI (BARBARE) ABDALADZE
Shota Meskhia Zugdidi State Teaching University As. Professor
MAIA AKHVLEIANI –
Associate Professor of Akaki Tsereteli State University

SECULAR, PUBLIC EUCATION CENTERS IN URIA-SAMERELO IN THE FIRST HALF OF THE 19 TH CENTURY

Abstract

We have studied the pedagogical thinking and education system in Guria-Samegrelo of the first half of the XIX century. The important information about this is provided by the secular, public education centers: the master schools, Sunday schools, home schools and private schools at monasteries. Our special attention was attracted by Samegrelo Secular School in Noghalevi with the individual teaching practice and individual teaching forms of the period.

Keywords: Pedagogical thinking, Learning and Upbringing System, Training program, Secular School, Individual upbringing.

სკოლამდელი აღზრდა

ფალავანდიშვილი მარინე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალიზაცია და საგანმანათლებლო სტანდარტები
(სკოლამდელთა ასაკი)

გლობალიზაცია, როგორც საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი თანამედროვე ტენდენცია, არ წარმოადგენს უნიკალურ მოვლენას. ისტორიაში ცნობილია მისი მაგალითები, დაწყებული უძველესაღმოსავლური იმპერიებიდან და დამთავრებული უახლოესი წარსულით. თანამედროვე გლობალიზაციას ახასიათებს ინოვაციური სპეციფიკა, რომელიც, პირველ რიგში, ნეოლიბერალური ხასიათისაა, რადგან მის საფუძველს შეადგენს არა იდეალები (როგორც ადრე იყო), არამედ ინტერესები.

გლობალიზაცია ძირითადად განიხილება სამ განზომილებაში, როგორიცაა:

- მუდმივი ისტორიული პროცესი;
- მსოფლიოს უნივერსალიზაცია;
- ნაციონალური საზღვრების „წალეკვა„.

დღეს ძნელად წარმოსადგენია, როგორ წარიმართება გლობალიზაცია თავისი სამივე განზომილებით. ამავდროულად ნათლად იკვეთება ხალხთა მოთხოვნილება და ინტერესი ინტეგრაციისადმი მსოფლიოს უნივერსალიზაციის მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია ობიექტური აუცილებლობაა და მისი აბვივალენტური ბუნება შეიცავს პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს.

პოზიტიურს მიეკუთვნება ინფორმაციული სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პირობებს კულტურის, განათლების, ბიზნესის ურთიერთობათა გაფართოებისა და გაღრმავებისათვის.

უარყოფით ემოციებს იწვევს კულტურული ფასეულობების სტანდარტიზაცია, ნაციონალური კულტურისა და ტრადიციების გაქრობა და სხვ. (ვასაძე, 2003, 175). ჩვენ, როგორც მცირე ქვეყნის ხალხმა, უნდა ვიფიქროთ მესამე განზომილებაზე, ყველანაირად დავიცვათ და შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნულობა – ერი, მამული, სარწმუნოება (ი. ჭავჭავაძე).

ტექნიკური და ელექტრონული საშუალებების, დისტანციური განათლების მასობრივი კომუნიკაციების განვითარების საფუძველზე გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა განათლებაშიც, რაც აისახა საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებში.

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები გლობალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა. იგი განსაკუთრებით საჭიროა კერძო განათლების მკვეთრი გაზრდის დეცენტრალიზებული სისტემის მართვის პირობებში. სახელმწიფო სტანდარტები უნდა იძლეოდეს განათლების კონტროლისა და სწავლების ხარისხის გარანტიას; ის უზრუნველყოფს განათლების თანასწორობას, რომ განსაზღვროს საგანმანათლებლო სივრცის კონტურები, რომელიც ქვეყნისათვის ერთიანი უნდა იყოს. ზოგადი მარეგულირებელი ფუნქციის შესრულებისას სტანდარტებს უნდა ეროვნული ფესვები ჰქონდეს და ეყრდნობოდეს ეროვნულ კულტურას, ტრადიციებს, განათლების მიღწევებსა და, ამასთანავე, ათანხმებოდეს მსოფლიო საზოგადოების გამოცდილებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ისინი დადებითად შეფასდეს.

ახალგაზრდა თაობის უწყვეტი განათლების სისტემაში სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მის პირველ საფეხურს, რომლის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოფს ბავშვის მრავალმხრივი განვითარება, შემდგომ ასაკობირივ პერიოდზე გადასვლა და ყველა ბავშვისათვის შეძლებისდაგვარად თანაბარი სტარტი სკოლაში შესასვლელად.

ჩვენს საზოგადოებაში მომხდარმა სოციალურ-ეკონომიკურმა და იდეოლოგიურმა ცვლილებებმა განაპირობა ახალი შინაარსის საგანმანათლებლო დოკუმენტების შექმნა, რომლიც მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლების მრავალფეროვნება, ოჯახთან თანამშრომლობა და სხვ. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეიქმნა სკოლამდელი აღზრდის კონცეფცია, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგანმანათლებლო სტანდარტებს ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროს მიხედვით (ფიზიკური, სოციალური, შემეცნებითი და ესთეტიკური). კონცეფციაში საგანმანათლებლო სტანდარტები განსაზღვრულია როგორც ბავშვის პიროვნების დახასიათება სკოლამდელი ასაკის თითოეული წლისათვის და ჩამოყალიბებულია სკოლამდელი ბავშვის პორტრეტი (წლების მიხედვით დინამიკაში).

სკოლაში შესვლის წინ ბავშვის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები გაერთიანებულია განათლების შინაარსისა და ასაკობრივი შესაძლებლობების დონისადმი წაყენებული მოთხოვნების სისტემაში სფეროების მიხედვით:

- ფიზიკური განვითარების მაჩვენებლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა მოძრაობის დაუფლებას, რაციონალური ტანადობის ჩამოყალიბებას, რაც ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და მის ადეკვატურ რეაგირებას ცვალებად პირობებზე;
- სოციალურ განვითარებაში წარმოდგენილია ბავშვის თამაში, ურთიერთობა თანატოლებსა და მოზრდილებთან, რაც განიხილება როგორც საკუთარი ქცევის მართვის საშუალება, ზნეობრივი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ეროვნული ტრადიციების გათავისება;
- მეტყველების განვითარებაში ხდება ენის ლექსიკური და გრამატიკული მხარეების დაუფლება, მეტყველების ბგერითი კულტურის ჩამოყალიბება, მწყობრი მეტყველების აქტიური გამოყენება არა მხოლოდ ამბის გადმოსაცემად, არამედ საკომუნიკაციო საშუალებად; სამეტყველო ლექსიკონის გამდიდრება (3000–4000 სიტყვების ფარგლებში); მარტივი სიტყვების წაკითხვა მთლიანი სიტყვების მეთოდით;
- შემეცნებითი განვითარება ხელს უწყობს ბავშვებში ცნობისმოყვარეობასა და ინტელექტუალურ აქტივობას, ინფორმაციის აღქმას და მარტივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტას;
- ესთეტიკური განვითარება მიზნად ისახავს ბავშვის მხატვრულ აღზრდას მუსიკის, სახვითი საქმიანობისა და ლიტერატურის საშუალებებით, აგრეთვე გარემო სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

შეიცვალა დრო, ვითარდება ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა, მუშავდება სწავლების ახალი ტექნოლოგიები, რის საფუძველზე საჭირო გახდა საგანმანათლებლო სტანდარტების „ახალი თაობის„ შედგენა, რომელიც უფრო ზუსტად მოგვანიშნებს, თუ რისი გაკეთება შეუძლია სკოლამდელი ასაკის ბავშვს. ამისათვის შექმნილია სტანდარტების სხვადასხვა სახე, მაგალითად, სტანდარტები, რომელიც ხელმძღვანელობს:

- პროგრამებს;
- აღმზრდელის განათლებას;
- მშობელთა განათლებას (კაგანი, 2008).

პირველ შემთხვევაში სტანდარტები აკონკრეტებს, თუ რა უნდა გააკეთოს და უზრუნველყოს პროგრამებმა, რომ შეუწყოს ხელი განვითარების ხარისხს.

მეორე შემთხვევაში სტანდარტები აზუსტებს, თუ რა უნდა იცოდნენ პედაგოგებმა და რისი გაკეთებაა საჭირო აღმზრდელობით-საგანმანათლებლო პროცესის სამართავად.

მესამე შემთხვევაში სტანდარტები შეიცავს მითითებებს, რჩევებს მშობლებისთვის, თუ როგორ უნდა შეასრულონ მათ თავიანთი მოვალეობა.

ბავშვის გასავითარებლად მნიშვნელოვანია ჩამოთვლილი სტანდარტების თითოეული სახე. აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღი და ოჯახი მხოლოდ ერთობლივი ძალებით მეცნიერულ საფუძველზე სწორად შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შეძლებენ მიაღწიონ წარმატებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდაში.

ბოლო წლებში საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა მუშაობა სკოლამდელთა აღზრდა-განათლების სფეროში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საბავშვო ბაღს ძირითადად ანიჭებდა აღზრდის (მოვლის) ფუნქციას.

სკოლამდელი დაწესებულება თანდათან იბრუნებს თავის საგანმანათლებლო სტატუსს. მისი მიზანია, მშობლებთან თანამშრომლობით იზრუნოს ბავშვის განათლებაზე, მის სრულყოფილ განვითარებაზე, რათა უკეთ მოამზადოს სკოლისათვის. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ახალი თაობის სტანდარტების შექნა, რომელიც, ერთი მხრივ, საბავშვო ბაღსა და ოჯახის ყურადღებას მიაქცევს სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, გაუზრდის პასუხისმგებლობას თითოეულ აღსაზრდელს; მეორე მხრივ, სტანდარტებს შეუძლია დაუბრუნოს სკოლამდელ დაწესებულებას ადრინდელი პრესტიჟი იმ შემთხვევაში, თუ საბავშვო ბაღი მჭიდროდ ითანამშრომლებს ოჯახთან და, ამასთანავე, პროფესიულ დახმარებას გაუწევს ბავშვების აღზრდას და სკოლისათვის მომზადებას.

საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბაზაზე შემუშავდა ასეთი სახის კომპლექსური სტანდარტები მრავალპროფესიული ჯგუფის მიერ (განათლების ექსპერტები, ექიმები, ფსიქოლოგები, ბიოლოგები, ფინანსისტები და სხვ.). ამ მუშაობის საფუძვლად უდევს საზღვარგარეთელი სპეციალისტების გამოცდილება, კერძოდ, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ ლინ კაგანისა, რომელმაც შემოგვთავაზა სტანდარტების შესაქმნელად ფართო მიდგომა. ჩვენ გავეცანით ლინ კაგანის შრომებს, მივიღეთ მონაწილეობა სემინარის მუშაობაში (ELS) და დადებითად შევაფასეთ მისი გამოკვლევები. ამ გამოცდილების გამოყენება დაგვეხმარა სკოლამდელთათვის თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნასა და რეალიზებაში. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს ამ დარგის ჩვენი კლასიკოსი მეცნიერებები, გამოჩენილი მეთოდისტები და პრაქტიკოსები (დ. უზნაძე, ბ. ხაჭაპურიძე, ნ. ადამიშვილი და სხვ.).

ამრიგად, გლობალიზაცია ობიექტური მოვლენაა, ამ პროცესს ვერ შევაჩერებთ. სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების სტანდარტების შესაქმნელად უნდა გვახსოვდეს მრავალფეროვანი წყაროდან მიღებული ინფორმაცია. ამავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს შევუნარჩუნოთ მომავალ თაობას ეროვნული კულტურა, ტრადიციები და ადათწესები.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, საგანმანათლებლო სტანდარტები, სკოლამდელი აღზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. 2017. http://ncp.ge/ge/preschool-education/general-part/content-and-goals
- ბალანჩივაძე რ. 2011. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა როგორც განათლების მეცნიერება. უნივერსალი. თბილისი.
- ვასაძე ნ. 2003. გლობალიზაცია და ეროვნული სკოლა // მოამბე. №6, 173-180.
- Iltus Selim. 2007. School readiness in eorgia // UNISEF Publication, 4-18.
- Kagan S. L. 2008. Validation overview: Early learning & evelopment standards. Training material, eorgia: UNISEF Publications.

MARINE PALAVANISHVILI
ILIA STATE UNIVERSITY

LOBALIZATION AN EUCATIONAL STANARS

(Pre-School Age)

Abstract

Nowadays the normal social development of the country is impossible without globalization, but it ought to be perceived with the least losses of national interests. State educational standard is a form of globalization which guarantees high quality of education. The pre-school educational standards ensure an

equal start for every child who is entering a school. The educational status of a pre-school institution, as a first step in the educational system, has to define the conditions of the full-fledged psycho-physical development of a child and his timely preparation for school.
Key words: globalization, educational standards, pre-school education

საგანთა სწავლების მეთოდიკა

გიორგი ბერძულიშვილი
გიორგი ბრეგაძე
ბაკურ ბაკურაძე
ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოთხკუთხედის ელემენტებს შორის ზოგიერთი მეტრული თანაფარდობის დადგენის ერთი არასტანდარტული ხერხი

მათემატიკის სასკოლო კურსში გეომეტრიული მასალის სწავლების დროს განიხილება ისეთი საკითხები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია გამოვსახოთ სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფიგურების ელემენტებს შორის დამოკიდებულებები, რომელიც მოსწავლეთათვის საინტერესოა, მაგრამ სასწავლო კურსში არ განიხილება. მეთოდურად მიზანშეწონილად ვთვლით, გეომეტრიული ფიგურების ელემენტებს შორის ასეთი სახის დამოკიდებულებების დასამყარებლად გამოყენებულ იქნეს ისეთი მიდგომები, რომლებიც მარტივად აღსაქმელი იქნება მოსწავლეებისათვის და გაუმდიდრებს მათ მათემატიკურ ცოდნას. ჩვენ პრაქტიკაში ვიყენებთ სასკოლო გეომეტრიული მასალის ტრადიციული სწავლებისაგან განსხვავებულ მეთოდიკას, რომელიც ეყრდნობა კომპლექსური რიცხვების გამოყენებას.

კომპლექსური რიცხვების სწავლებას არ ითვალისწინებს საშუალო სკოლის მათემატიკის პროგრამა. მათი სწავლება შესაძლებელია მხოლოდ მათემატიკის ფაკულტატურ კურსში. მაგრამ აქაც ხშირად კომპლექსური რიცხვები იმდენად მშრალად ეცნობა, რომ მოსწავლეებისათვის ხშირად გაუგებარი რჩება, რა საჭიროა ამ კურსის სწავლება, თუ ვერ შეძლებენ მის პრაქტიკულ გამოყენებას.

ჩვენ მეთოდურად დავამუშავეთ კომპლექსურ რიცხვთა გამოყენებით პლანიმეტრიის საკითხების სწავლება, რათა მტკიცე საფუძველი ჰქონოდა მის სწავლებას საშუალო სკოლების ფაკულტატიურ კურსში და ამავე დროს გვეჩვენებინა მათემატიკის სხვადასხვა დარგს შორის მტკიცე და პირდაპირი კავშირები. სანიმუშოდ განვიხილოთ სასკოლო გეომეტრიული შინაარსის ზოგიერთი საკითხის დამტკიცება კომპლექსურ რიცხვთა გამოყენებით, რაც წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს განხილული მიდგომის ეფექტურობაზე.

თეორემა. ნებისმიერი ამოზნექილი $ABCD$ ოთხკუთხედისათვის ადგილი აქვს ტოლობას:

$$AC^2 \cdot BD^2 = AB^2 \cdot CD^2 + BC^2 \cdot AD^2 - 2AB \cdot BC \cdot CD \cdot DA \cdot \cos\left(\hat{A} + \hat{B}\right)$$

ამ ტოლობას ბრეტშნაიდერის დამოკიდებულებას უწოდებენ.

დამტკიცება. $ABCD$ ოთხკუთხედის A წვერო ჩავთვალოთ სისტემის სათავედ. ვთქვათ, $ABCD$ ოთხკუთხედის წვეროთა აფიქსებია

$$A(0), B(b), C(c), D(d).$$

მაშინ გვაქვს:

$$\hat{A} + \hat{C} = \arg\frac{d}{b} + \arg\frac{b-c}{d-c} = \arg\frac{d(b-c)}{b(d-c)}.$$

ამიტომ,

$$\cos\left(\hat{A}+\hat{C}\right)=\frac{d\bar{b}(b-c)\left(\bar{d}-\bar{c}\right)+\bar{d}b\left(\bar{b}-\bar{c}\right)(d-c)}{2\cdot AB\cdot BC\cdot CD\cdot DA}. \quad (1)$$

ტოლობის მარცხენა მხარის მრიცხველში მოთავსებული გამოსახულება გარდაქმნის შემდეგ მიიღებს სახეს:

$$d\bar{b}(b-c)\left(\bar{d}-\bar{c}\right)+\bar{d}b\left(\bar{b}-\bar{c}\right)(d-c)=$$

$$=b\bar{b}(d-c)\left(\bar{d}-\bar{c}\right)+d\bar{d}(b-c)\left(\bar{b}-\bar{c}\right)-c\bar{c}(d-b)\left(\bar{d}-\bar{b}\right).$$

ჩავსვათ მიღებული მნიშვნელობა (1) დამოკიდებულებაში, გვექნება:

$$\cos\left(\hat{A}+\hat{C}\right)=\frac{b\bar{b}(d-c)\left(\bar{d}-\bar{c}\right)+d\bar{d}(b-c)\left(\bar{b}-\bar{c}\right)-c\bar{c}(d-b)\left(\bar{d}-\bar{b}\right)}{2\cdot AB\cdot BC\cdot CD\cdot DA}.$$

რადგან,

$$AB^2=b\cdot\bar{b},\quad AD^2=d\cdot\bar{d},\quad AC^2=c\cdot\bar{c},\quad BD^2=(b-d)\cdot\left(\bar{b}-\bar{d}\right),$$

$$CD^2=(d-c)\cdot\left(\bar{d}-\bar{c}\right),\quad BC^2=(b-c)\cdot\left(\bar{b}-\bar{c}\right).$$

ამიტომ გვაქვს:

$$\cos\left(\hat{A}+\hat{C}\right)=\frac{AB^2\cdot CD^2+AD^2\cdot BC^2-AC^2\cdot BD^2}{2\cdot AB\cdot BC\cdot CD\cdot DA},$$

საიდანაც,

$$AC^2\cdot BD^2=AB^2\cdot CD^2+BC^2\cdot AD^2-2AB\cdot BC\cdot CD\cdot DA\cdot\cos\left(\hat{A}+\hat{B}\right)$$

თეორემა დამტკიცებულია.

პტოლემეოსის თეორემა. თუ $ABCD$ ოთხკუთხედი ჩახაზულია წრეწირში, მაშინ ამ ოთხკუთხედის დიაგონალების ნამრავლი მოპირდაპირე გვერდების ნამრავლების ტოლია.

$$AC\cdot BD=AB\cdot CD+BC\cdot AD. \quad (2)$$

დამტკიცება. რადგან წრეწირში ჩახაზული $ABCD$ ოთხკუთხედისათვის

$$\hat{A}+\hat{C}=180^0,$$

ამიტომ

$$\cos\left(\hat{A}+\hat{C}\right)=-1$$

და ბრეტშნაიდერის დამოკიდებულება მიიღებს სახეს:

$$AC^2\cdot BD^2=AB^2\cdot CD^2+2AB\cdot BC\cdot CD\cdot DA+BC^2\cdot AD^2,$$

ანუ,

$$(AC\cdot BD)^2=(AB\cdot CD+BC\cdot AD)^2$$

საიდანაც მიიღება დასამტკიცებელი ტოლობა.

როგორც ცნობილია, ჰარმონიულ ოთხკუთხედში მოპირდაპირე გვერდების ნამრავლები ერთმანეთის ტოლია

$$AC\cdot BD=BC\cdot AD.$$



ნახ.1.



ნახ.2.

პტოლემეოსის თეორემიდან $ABCD$ ჰარმონიულ ოთხკუთხედისათვის მივი-ღებთ:

$$AC \cdot BD = BC \cdot AD = \frac{1}{2} AB \cdot CD$$

ჰარმონიული ოთხკუთხედის მაგალითია წრეწირში ჩახაზული დელტოიდი. დელტოიდი არის ამოზნექილი ოთხკუთხედი, რომელიც მისი ერთი დიაგონალის სიმეტრიულია (ნახ. 1).

ჰარმონიულ ოთხკუთხედს წარმოადგენს აგრეთვე კვადრატი. ჰარმონიული ოთხკუთხედი შეიძლება იყოს ტრაპეციაც (ნახ.2), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს დამატებით პირობებს:

$$AC = BD, \qquad AC^2 = AD \cdot BC.$$

ვთქვათ, ჰარმონიული $ABCD$ ოთხკუთხედის AB და CD დიაგონალები გადაიკვეთება M წერტილში. თუ ოთხკუთხედში ჩახაზულ წრეწირს ჩავთვლით ერთეულოვან წრეწირად, მივი-ღებთ:

$$\overline{m} = \frac{a+b-(c+d)}{ab-cd}$$

რადგან,

$$m = \overline{\overline{m}} = \frac{\overline{a}+\overline{b}-(\overline{c}+\overline{d})}{\overline{a}\overline{b}-\overline{c}\overline{d}},$$

ხოლო

$$\overline{a} = \frac{1}{a}, \overline{b} = \frac{1}{b}, \overline{c} = \frac{1}{c}, \overline{d} = \frac{1}{d},$$

ამიტომ,

$$m = \frac{\frac{1}{a}+\frac{1}{b}-\left(\frac{1}{c}+\frac{1}{d}\right)}{\frac{1}{a}\cdot\frac{1}{b}-\frac{1}{c}\cdot\frac{1}{d}} = \frac{(a+b)cd-(c+d)ab}{cd-ab},$$

ანუ,

$$m = \frac{(c+d)ab-(a+b)cd}{ab-cd}.$$

გამოვთვალოთ $\lambda = \dfrac{a-m}{m-b}$ ფარდობა, რომლითაც M წერტილი AB დიაგონალს ყოფს. გვაქვს,

$$\lambda=\frac{a-m}{m-b}=\frac{a-\frac{(c+d)ab-(a+b)cd}{ab-cd}}{\frac{(c+d)ab-(a+b)cd}{ab-cd}-b}=\frac{a(ab-cd)-(c+d)ab+(a+b)cd}{(c+d)ab-(a+b)cd-b(ad-bc)}=$$

$$=\frac{a^2b-acd-abc-abd+acd+bcd}{abc+abd-acd-bcd-ab^2+bcd}=\frac{a^2b-abc-abd+bcd}{abc+abd-acd-ab^2}=$$

$$=\frac{ab(a-c)-bd(a-c)}{ac(b-d)-ab(b-d)}=\frac{b(a-c)(a-d)}{a(b-d)(c-b)}.$$

ე.ი.

$$\lambda=\frac{b(a-c)(a-d)}{a(b-d)(c-b)}.$$

რადგან,

$$\frac{a-d}{b-d}=-\frac{a-c}{b-c},$$

მაშინ,

$$\lambda=\frac{b(a-c)^2}{a(c-b)^2}.$$

გავითვალისწინოთ, რომ

$$AC^2=(a-c)(\bar{a}-\bar{c})=(a-c)\left(\frac{1}{a}-\frac{1}{c}\right) \text{ და } BC^2=-\frac{(a-c)^2}{bc},$$

მივიღებთ:

$$\lambda=\frac{AC^2}{BC^2}=\frac{AD^2}{BD^2}.$$

ამრიგად,

$$\frac{m-a}{b-m}=\frac{AC^2}{BC^2}=\frac{AD^2}{BD^2}.$$

ანალოგიურად,

$$\frac{m-c}{c-m}=\frac{BC^2}{BD^2}=\frac{AC^2}{AD^2}.$$

ე.ი. ჰარმონიულ ოთხკუთხედში დიაგონალების გადაკვეთის წერტილი თითოეულ დიაგონალს ყოფს ფარდობით, რომელიც ტოლია ამ ოთხკუთხედის მიმდებარე გვერდების სიგრძეთა კვადრატების ფარდობისა.

ბრეტშნაიდერის დამოკიდებულებიდან პტოლემეოსის თეორემა მიიღება იმ შემთხვევაში, როცა $ABCD$ ოთხკუთხედში სრულდება პირობა:

$$\hat{A}+\hat{C}=180^0,$$

საიდანაც ვღებულობთ, რომ

$$\cos\left(\hat{A}+\hat{C}\right)=-1.$$

მიღებულ დამოკიდებულებებს ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა

$B\hat{A}D = 0^0$ და $BC\hat{D} = 180^0$, ან $B\hat{A}D = 180^0$ და $BC\hat{D} = 0^0$.

ამ შემთხვევებში წერტილები A, B, C და D კოლინეარულია. თუ A, B, C და D წერტილებისათვის სრულდება (2) დამოკიდებულება, მაშინ $ABCD$ ოთხ-კუთხედი ჩახაზულია წრეწირში. ე.ი. ადგილი აქვს პტოლემეოსის თეორემის შებრუნებულ თეორემას.

კომპლექსური რიცხვების გამოყენებით შესაძლებელია მათემატიკის სასკოლო კურსის გეომეტრიული მასალის ეფექტურად სწავლება, ამოცანების მარტივად ამოხსნა, გეომეტრიული თეორემების მოკლე და გონებამახვილური დამტკიცებები და ჩართვა მათემატიკის ფაკულტატიურ მეცადინეობებზე და საწრეო მუშაობაში. განხილული საკითხების მიმართ ჩვენი მეთოდური მიდგომა ეყრდნობა უმაღლეს და საშუალო სკოლებში ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე დაგროვილ პედაგოგიურ გამოცდილებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე-წარმოსახვითი რიცხვებით გეომეტრიის სწავლების მეთოდური თავისებურებები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2018 წელი. 303 გვ.
2. გიორგი ბერძულიშვილი-სასკოლო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტე-ტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2018 წელი. 565 გვ.

GIORGI BERDZULISHVILI
GIORGI BREGADZE
BAKUR BAKURADZE
Akaki Tsereteli State University

DIFFERENT METHODICAL APPROACH TO DETERMINING SOME METRIC CORRESPONDENCE BETWEEN ELEMENTS OF THE QUADRANGLE

Abstract

The article discusses a methodological approach different from the traditional teaching of school geometric material, which is based on the use of complex numbers. The use of complex numbers is based on the dependence of Bretschneider, the theorem of Ptolemy, the metric correspondence in a harmonious quadrangle. Unlike the traditional approaches of teaching geometric material in mathematical school courses, the methodological approach used can be taught at a higher scientific level, easily solving tasks, short and intellectual approvals of geometric theorems are convenient. According to this methodological approaches, teaching geometric materials could be used for the mathematical schools and training workshops, the efficacy of which is proven by the long-pedagogical practice of the authors of higher and secondary schools.

მამული გუჭუხიშვილი
თეიმურაზ გიორგაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დირიხლეს პრინციპის გამოყენება გეომეტრიული ამოცანების ამოხსნისას საშუალო სკოლაში და მისი სწავლების მეთოდიკა

გერმანელი მათემატიკოსის დირიხლეს სახელს უკავშირდება მტკიცება, რომელი ამყარებს კავშირს ობიექტსა და სუბიექტს შორის გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში.

ინგლისურსა და სხვა ენებში ეს მტკიცება ცნობილია, როგორც „პრინციპი მტრედებსა და ყუთებს შორის„ (Pigeonhole principle), როცა ობიექტად მიჩნეული მტრედები, ხოლო სუბიექტად-ყუთები. გერმანულად იგი გამოითქმის როგორც „ყუთების პრინციპი„ (Schubfach prinzip).

დირიხლეს პრინციპი ხშირად გამოიყენება თეორიების დასამტკიცებლად, ძირითადად დისკრეტულ მათემატიკაში; კერძოდ, დიოფანტეს მიახლოების პრინციპში წრფივ უტოლობათა სისტემების ანალიზის დროს.

დირიხლეს პრინციპის გამოყენებით გეომეტრიული შინაარსის მქონე არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის განხილვა არ უნდა დავიწყოთ მანამ, სანამ მოსწავლეები კარგად არ გაერკვევიან დირიხლეს პრინციპის გამოყენებით არითმეტიკული და ალგებრული შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანების ამოხსნაში. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ეტაპობრივი გადასვლა გეომეტრიული შინაარსის მქონე არასტანდარტული ამოცანების ამოხნაზე პრინციპით „მარტივიდან რთულზე„, მაგრამ თავიდან მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა დაეხმაროს გაერკვნენ კონკრეტულ ამოცანაში, რა არის „გალია„ და რა „კურდღელი„, რადგან ზოგადად მათემატიკური ამოცანების ამოხნა დირიხლეს პრინციპის გამოყენებით დაიყვანება „კურდღლებისა„ და „გალიების„ არჩევაზე. ხშირად არც თუ ისე ცხადია, რა არის ამოცანაში „კურდღელი„ და რა „გალია„. დროთა განმავლობაში მასწავლებლის ჩარევა ამოცანების ამოხსნაში უნდა შემცირდეს და მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა შეძლონ დირიხლეს პრინციპით გეომეტრიული შინაარსის მქონე არასტანდარტული ამოცანების ამოხსნა.

ნებისმიერ სამ მომდევნო ნატურალურ რიცხვს შორის რომ ერთი რიცხვი აუცილებლად სამის ჯერადია, ცხადია. ასევე ცხადია, რომ ნებისმიერ 13 ადამიანს შორის მოიძებნება ორი მაინც ისეთი, რომლებიც ერთ თვეში არიან დაბადებული. ერთიც და მეორეც შეიძლება დავუკავშიროთ შემთხვევების განხილვას, მაგრამ უფრო გონივრულია მსჯელობა წავმართოთ საწინააღმდეგოს დაშვების მეთოდის გამოყენებით. მეორე შემთხვევისათვის შეიძლება ასე ვიმსჯელოთ:

დავუშვათ, რომ არ მოიძებნა ისეთი ორი ადამიანი, რომლებიც ერთ თვეში არიან დაბადებულნი. მაშინ 12 თვიდან თითოეულში დაიბადებოდა არაუმეტეს ერთი ადამიანი, ე.ი. სულ არაუმეტეს 12 ადამიანი, რაც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას, რადგან 12<13.

ასეთი მსჯელობები ძალიან ხშირად გვხვდება ამოცანების ამოხსნის დროს, ამიტომ ის გამოყვეს როგორც დამტკიცების განსაკუთრებული სახე და მად დირიხლის პრინციპი უწოდეს. ამ პრინციპის ფორმულირება ასეთია: თუ (n+1) კურდღელი ჩასმულია n გალიაში, მაშინ მოიძებნება გალია, რომელშიც სულ ცოტა ორი კურდღელი მაინც ზის.

ამ დებულების დასაბუთებაც საწინააღმდეგოს დაშვების მეთოდით ხდება:

დავუშვათ, რომ ყველა გალიაში ზის ორზე ნაკლები კურდღელი (ერთი ან არცერთი). მაშინ ყველა n გალიაში ზის არაუმეტეს n კურდღელი. რაც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას.

არითმეტიკული და ალგებრული შინაარსის მქონე მათემატიკური ამოხსნების დროს შედარებით ადვილი გასარკვევია, თუ რა შეიძლება ვიგულისხმოთ „გალიაში„ და რა – „კურდღლებში„, მაგალითად, ჩვენ მიერ განხილულ ამოცანაში „კურდღლების„ როლს ასრულებს 13 ადამიანი, ხოლო „გალიების„ როლს – წელიწადის თვეთა რაოდენობა: 12 თვე. მაგრამ გაცილებით რთული

გასარკვევია, გეომეტრიული შინაარსის მქონე არასტანდარტულ ამოცანებში რას წარმოადგენს „კურდღლები„ და რას – „გალიები„, რადგან არითმეტიკული და ალგებრული შინაარსის მქონე მათემაატიკური ამოხსნებისაგან განსხვავებით, გეომეტრიული შინაარსის ამოცანებში ეს უმრავლეს შემთხვევაში თვალნათლივ არ ჩანს.

ამოცანა 1. კუბის წახნაგი შეღებილია ორ ფერად. დაამტკიცეთ, რომ მოიძებნება ორი მეზობელი წახნაგი, რომელიც ერთ ფერზეა შეღებილი.

განვიხილოთ კუბის სამი წახნაგი, რომელთაც ერთი საერთო წვერო აქვთ. დავარქვათ მას „კურდღლები„, ხოლო ფერებს – „გალიები„. დირიხლეს პრინციპის თანახმად, მოიძებნება ორი წახნაგი, რომლებიც შეღებილია ერთ ფერად და მეზობელია.

ანალოგიურად დამტკიცდება დირიხლეს ზოგადი პრინციპი: თუ n კურდღელი ჩასმულია k გალიაში, მაშინ მოიძებნება გალია, რომელშიც არანაკლებ n/k კურდღელი ზის.

ოდნავ სახეცვლილი ფორმით, რომელშიც წილადი ჩანაწერი არ არის, დირიხლეს ზოგადი პრინციპი შეიძლება ასეც ჩამოვაყალიბოთ:

„თუ nk=1 კურდღელი ჩასმულია k გალიაში, მაშინ მოიძებნება გალია, რომელშიც ჩასმულია არანაკლებ (n+1) კურდღელი„.

ამოცანა 2. კვადრატის ფორმის ხალიჩა, რომლის გვერდის სიგრძე 1მ-ია, ჩრჩილმა დააზიანა, გაუკეთა ხვრელი 51 ადგილას (ხვრელი წარმოადგენს წერტილს). დაამტკიცეთ, რომ კვადრატული ფორმის ნაჭრით, რომლის გვერდის სიგრძე 20სმ-ია, შეიძლება დავფაროთ არანაკლებ სამი ხვრელი.

მთელი ხალიჩა შეიძლება დავფაროთ 25 ასეთი ნაჭრით, რადგან

51=25*2+1

ამიტომ დირიხლეს პრინციპის გამოყენებით რომელიმე ნაჭერი აუცილებლად დაფარავს არანაკლებ სამ ხვრელს.

ზოგჯერ დირიხლეს პრინციპი არ მუშაობს „პირდაპირ„, არ ჩანს, კმაყოფილდება თუ არა დირიხლეს პრინციპის პირობები, მოითხოვს დამატებით დაზუსტებებს, რის შედეგადაც დირიხლეს პრინციპის გამოყენება შესაძლებელი ხდება და ამოხსნის პროცესი მარტივდება.

ზოგჯერ მოსახერხებელია ამოცანის ამოხსნის დროს მოვიყვანოთ კონტრმაგალითი, რომელიც აჩვენებს წინააღმდეგობას ამოცანის პირობაში მოყვანილ სიტუაციასთან, რითაც დადასტურდება, რომ ამოცანის პირიობაში მოყვანილი სიტუაციის შესრულება ზოგად შემთხვევაში შეუძლებელია.

ამოცანა 3. დაამტკიცეთ, რომ ტოლგვერდა სამკუთხედი შეუძლებელია დავფაროთ მასზე უფრო მცირე ორი ტოლგვერდა სამკუთხედით.

მოსწავლეებს უნდა შევახსენოთ, რომ თუ რაიმე სამკუთხედის გვერდების სიგრძეები არ აღემატება a-ს, მაშინ სამკუთხედის ნებისმიერი ორი წერტილის შემაერთებელი მონაკვეთის სიგრძე a-ს არ აღემატება.

თუ ტოლგვერდა სამკუთხედის დაფარვა შესაძლებელია ორი, მასზე ნაკლები ზომის ტოლგვერდა სამკუთხედით, მაშინ დირიხლეს პრინციპის თანახმად, ერთ-ერთი სამკუთხედი ფარავს მოცემული ტოლგვერდა სამკუთხედის ორ წვეროს, ე.ი. გამოდის, რომ დამფარავი სამკუთხედი შეიცავს ისეთ მონაკვეთს, რომლის სიგრძე მეტია, ვიდრე მისი გვერდი. მივიღეთ წინააღმდეგობა. ე.ი. ტოლგვერდა სამკუთხედის დაფარვა შეუძლებელია ორი, მასზე ნაკლები ზომის ტოლგვერდა სამკუთხედით.

ამოცანა 4. სიბრტყე შეღებილია ორ ფერად. დაამტკიცეთ, რომ არსებობს ორი წერტილი, რომელთა შორის მანძილია 1 მეტრი და ისინი შეღებილია ერთ ფერად.

განვიხილოთ ტოლგვერდა სამკუთხედი, რომლის გვერდის სიგრძეა 1 მეტრი. მისი სამი წვეროდან ორი მაინც შეღებილია ერთ ფერზე, რადგან ფერები ორია, წვეროები კი სამი.

ამოცანა 5. დაამტკიცეთ, რომ ნებისმიერ 6 ადამიანს შორის ყოველთვის იქნება სამი წყვილ-წყვილი ერთმანეთს ნაცნობი, ან სამი წყვილ-წყვილად ერთმანეთის უცნობი.

გამოვსახოთ ჩვენი 6 ადამიანი წერტილების სახით სიბრტყეზე. წერტილები შევაერთოთ ერთმანეთთან წითელი მონაკვეთებით, თუ წერტილების შესაბამისად ადამიანები ერთმანეთს იცნობენ (ნაცნობობა ორმხრივია); შევაერთოთ ეს წერტილები ლურჯი მონაკვეთებით, თუ წერტილების შესაბამისი ადამიანები ერთმანეთს არ იცნობენ. ამრიგად, ამოცანაში მოითხოვება დავამტკიცოთ, რომ სიბრტყეზე აუცილებლად იქნება დახაზული ან წითელი სამკუთხედი წვეროებით არჩეულ წერტილებში, ან ლურჯი. დავამტკიცოთ ეს. ავირჩიოთ ექვსი წერტილიდან ერთ-ერთი. ვთქვათ A, მაშინ ის დანარჩენ ხუთ წერტილთან შეერთებულია ან წითელი, ან ლურჯი მონაკვეთებით. დირიხლეს პრინციპის თანახმად არანაკლებ სამ წერტილთან ის შეერთებულია ერთი ფერის მონაკვეთებით. ვთქვათ, ეს არის წიტელი მონაკვეთები. განვიხილოთ ეს სამი წერტილი. თუ მათ შორის ორი ასევე შეერთებულია წითელი მონაკვეთით, მაშინ A-თან ერთად მივიღებთ წითელ სამკუთხედს. თუ ასეთი წერტილები არ არსებობს, მაშნ არჩეული სამი წერილი ადგენს ლურჯ სამკუთხედს. ცხადია, რომ მსჯელობა ასეთივე იქნება, თუ A წერტილში გავლებული იქნება უფრო მეტი ლურჯი მონაკვეთი, ვიდრე წითელი.

ამ ამოცანის ამოხსნის დროს ჩვენ გამოვიყენეთ ამოცანისადმი გეომეტრიული ინტერპრეტაცია. შეგვეძლო განგვეხილა სუფთა გეომეტრიული შინაარსის ამოცანა, რომელიც განხილული ამოცანის ტოლფასია, კერძოდ,

ამოცანა: სიბრტყეზე მოცემულია ექვსი წერილი ისე, რომ ნებისმიერი სამი მათგანი ერთ წრფეზე არ ძევს. წერტილის ნებისმიერი წყვილი შეერთებულია ერთმანეთთან ან წითელი ან ლურჯი ფერით. დაამტკიცეთ, რომ მოცემულ წერტილებს შორის შეგვიძლია შევარჩიოთ სამი ისეთი წერტილი, რომ მათი შეერთების შედეგად მირებული სამკუთხედი შეღებილი იქნება ერთ ფერად.

ამოხსნის პროცესი წარიმართება წინა შემთხვევის ანალოგიურად.

დირიხლეს პრინციპის გამოყენებით ამოცანების ამოხსნის დროს გაკვეთილზე ან მათემატიკის საგნობრივი წრის მეცადინეობაზე რეკომენდირებულია, მოსწავლეებს დავუსვათ შეკითხვები და მათგან არასრულყოფილი პასუხის შემთხვევაში განვუმარტოთ მოცემულ ამოცანებში რა ასრულებს „გალიის„ და რა „კურდღლის„ ფუნქციებს. ასეთი წარმოდგენები ამარტივებს ამოცანების ამოხსნას, ამცირებს ამოცანის ამოხსნისათვის საჭირო დროს, უფრო გასაგებს ხდის ამოცანის ამოხსნას და მეთოდური თვალსაზრისით მისაღებია.

ამოცანა 6. კუბის ყოველ წვეროში დაწერეს რიცხვები 1 ან 0. კუბის წახნაგებზე დაწერეს მის წვეროებში დაწერილი რიცხვების ჯამი. შესაძლებელია თუ არა, რომ ყველა წახნაგზე დაწერილი რიცხვები განსხვავებული იყოს?

შევნიშნოთ, რომ კუბის წახნაგებზე შესაძლებელია ეწეროს ერთ-ერთი 5 რიცხვიდან:

0,1,2,3 ან 4

მაგრამ კუბს 6 წახნაგი აქვს, რაც დირიხლეს პრინციპის თანახმად ნიშნავს, რომ რომელიმე ორ წახნაგზე მაინც დაწერილი იქნება ერთმანეთის ტოლი რიცხვები.

ამოცანა 7. დაამტკიცეთ, რომ ნებისმიერ მრავალწახნაგას აქვს ორი ისეთი წახნაგი, რომელთაც გვერდების ერთნაირი რაოდენობა აქვთ.

დავუშვათ, რომ რაიმე მრავალწახნაგას ნებისმიერ ორ წახნაგს გვერდების განსხვავებული რაოდენობა აქვს. განვიხილოთ ის Ω წახნაგი, რომელსაც აქვს ყველაზე მეტი გვერდი. ვთქვათ, მისი გვერდების რაოდენობაა m.

ცხადია, რომ მრავალწახნაგას სხვა ნებისმიერი წახნაგის გვერდების რაოდენობა მკაცრად ნაკლებია m-ზე. ეს ამავე დროს ნიშნავს, რომ დარჩენილი წახნაგების რაოდენობაც მკაცრად ნაკლებია m-ზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ იარსებებდა ერთკუთხედი და ორკუთხედი. ჩვენ შეგვიძლია შევარჩიოთ სულ m-1 განსხვავებული მრავალკუთხედი. მეორეს მხრივ Ω წახნაგს მიერთებულია მრავალწახნაგას სხვა m წახნაგი (თითოეულ გვერდს თითოეული წახნაგი). მივიღეთ წინააღმდეგობა, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერ მრავალწახნაგს აქვს ორი ისეთი წახნაგი, რომელთაც გვერდების ერთნაირი რაოდენობა აქვთ.

ამოცანა 8. სივრცეში n წერტილი მოცემულია ისე, რომ არც ერთი სამი წერტილი ერთ წრფეს არ ეკუთვნის და არც ერთი ოთხი წერტილი ერთ სიბრტყეში არ ძევს. ამ წერტილებიდან ყოველ სამ წერტილზე გავლებულია სიბრტყე. დაამტკიცეთ, რომ როგორც არ უნდა ავიღოთ სივრცეში N-3 წერილი, გავლებულ სიბრტყეებს შორის მოიძებნება სიბრტყე, რომელიც არ შეიცავს არცერთ წერტილს N-3 წერილიდან.

ვთქვთ m არის მოცემული N წერტილისაგან შედგენილი სიმრავლე, a კი – ნებისმიერი N-3 წერტილისაგან შედგენილი სიმრავლე. ავიღოთ M სიმრავლიდან ისეთი x წერტილი, რომელიც არ ეკუთვნის A სიმრავლეს. ასეთი წერტილი არსებობს, რადგან M სიმრავლე შეიცავს n წერტილს, ხოლო A სიმრავლე n-3 წერტილს. გავავლოთ X წერტილსა და M სიმრავლის დანარჩენ წერტილებზე (n-1) წრფე. ამ წრფეებიდან ერთი წრფე არ კვეთს A სიმრავლეს. ამ წრფეზე და M სიმრავლის დარჩენილ (n-2) წერტილებზე გავავლოთ სიბრტყე. არც ერთი ამ სიბრტყეებიდან არ კვეთს A სიმრავლეს, რადგან სიბრტყეების რაოდენობა (n-2), ხოლო A სიმრავლეში (n-3) ელემენტია. სწორედ ეს სიბრტყე წარმოადგენს საძიებელ სიბრტყეს.

რამდენადაც დირიხლეს პრინციპით მტკიცდება სხვადასხვა თეორიები, ამდენად იგი მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს როგორც მიახლოებითი გამოთვლების, ასევე წრფივი უტოლობების სწავლების დროს. აუცილებელია მოსწავლეებს ჯერ შევასწავლოთ დირიხლეს პრინციპის გამოყენებით ალგებრული მაგალითების ამოხსნა, ხოლო ამის შემდეგ ეტაპობრივად გადავიდეთ გეომეტრიული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, სადაც ყურადღება უნდა გავამახვილოთ პრინციპზე, „მარტივიდან რთულზე„, პერიოდულად მასწავლებალი შეიძლება ჩაერიოს ამოცანების ამოხსნის პროცესში.

დირიხლეს პრინციპით ამოცანების ამოხსნის მეთოდების სწორად გამოყენება მოსწავლეებში ავითარებს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს, რაც აუცილებელია მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მისაღწევად.

სიტყვები: დირიხლეს პრინციპი; დისკრეტული მათემატიკა; ტოლგვერდა სამკუთხედი; არასტანდარტული ამოცანები; ეტლი;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Алфутова Н.Б., Устинов А.В. Алгебра и теория чисел. Сборник задач для математических школ. М.: МЦНМО, 2009.
2. 2. Дирихле принцип, ящики // Математическая энциклопедия (в 5 томах). М.: Советская энциклопедия, 1982., т.2.
3. Знак Е.И. Разбиения целочисленных решеток и принцип Дирихле // Математическое просвещение, 2015, Вып. 19 (третья серия), с.241-248.

MAMULI BUTCHUKHISHVILI
TEIMURAZ GIORGADZE
Akaki Tsereteli State University

THE USE OF A DIRICHLET PRINCIPLE IN SOLVING GEOMETRIC TASKS IN THE SECONDARY SCHOOL AND ITS TEACHING METHODOLOGY

Abstract

The German mathematician's Dirichlet's name is associated with the assertion of the connection between the object and the subject of certain conditions. The principle of Dirichlet is often used to prove theories, mainly in discrete mathematics; namely, the analysis of linear inequality systems in the principle of Diofantet's approximation. By using the Dirichlet principle, we should not begin to consider solving nonstandard tasks with geometric content until students are not well aware of the principle solving

mathematical tasks with arithmetic and algebraic content. In the article we discussed several tasks which are solved by using this principle and the conclusion is made, how and what methods we can use to teach students to achieve a high academic outcome.

Keywords: Dirichle's Principle; Discrete mathematics; Equilateral triangle; nonstandard tasks; Wheelchair;

ნანა ბუჯიაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის
მათემატიკის პედაგოგი

ტექნოლოგიების ინტეგრირება მათემატიკის სწავლებაში

განათლების სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რადგან ის უზრუნველყოფს მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესის ამაღლებას. ნებისმიერი საგნის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს კომპიუტერი საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, რათა მოსწავლეებს განუვითაროს კონსტრუქციული თანამშრომლობის, პრობლემების მოგვარების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და სხვა უნარ-ჩვევა.

წინამდებარე სტატიით შევეცდები საკუთარი პრაქტიკის მაგალითით დავასაბუთო ,, შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელისა„ და ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა მათემატიკის სწავლებაში, განვსაზღვრო მისი მნიშვნელოვანი როლი სასკოლო განათლების მიზნების განხორციელებაში. ამგვარი მოდელით სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ჩართულობის ზრდასა და სწვლებისადმი ინტერესის გაღრმავებაზე აისახება.

ისმის შეკითხვა: რა განსხვავებაა ტრადიციულსა და ,,შებრუნებულ საკლასო ოთახს„ შორის, რა შედეგებს გვაძლევს შებრუნებული საკლასო ოთახის დანერგვა?

როგორც ვიცით, ტრადიციული საკლასო ოთახები თითქმის ყველგან ერთნაირად გამოიყურება. ყველა მოსწავლე ერთსა და იმავე დროში ზუსტად ერთსა და იმავე ინფორმაციას იღებს. ზოგი მოსწავლე ყველაფერს იგებს და აკეთებს, ზოგი კი ამას ვერ ახერხებს, უჭირს საშინაო დავალების შესრულება. მასწავლებელი აცნობიერებს, რომ ყველა მოსწავლეს განსხვავებული მიდგომა სჭირდება. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა ,,შებრუნებული საკლასო ოთახია'', რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: მოსწავლეები სხდებიან სახლში და უყურებენ ვიდეოგაკვეთილს, რომელიც მათ მასწავლებელმა დავალებად მისცა. ვიდეოგაკვეთილი 4-6 წუთი გრძელდება, მასში შეიძლება ჩართული იყოს ელექტრონული ქვიზები და აქტივობები იმისათვის, რომ მოსწავლემ შეამოწმოს საკუთარი ცოდნა. ქვიზის შედეგად მიღებული მყისიერი უკუკავშირი და ვიდეომასალის ხელმეორედ გაშვების შესაძლებლობა მოსწავლეებს ეხმარება საკითხის უკეთ გააზრებაში და გაურკვევლობების აღმოფხვრაში.

,,შებრუნებული საკლასო ოთახის„ შემთხვევაში მოსწავლე თავად იღებს ცოდნას, მასწავლებელი ეხმარება მას ცოდნასთან წვდომაში. მოსწავლეები სახლში ეცნობიან ახალ მასალას, ხოლო კლასში განამტკიცებენ. მასწავლებელი მთელი გაკვეთილის განმავლობაში მერხებს შორის დადის და ამოწმებს, მოსწავლეები თანამშრომლობენ თუ არა ერთმანეთთან. ზოგ მოსწავლეს შედარებით რთულ დავალებას აძლევს, ზოგს ეხმარება იმ საკითხების უკეთესად გაგებაში, რომელიც მისთვის ბუნდოვანი იყო ან ვერ გაიგო.

ცნობილია, რომ ახალი მასალის ათვისების ხარისხი საკმაოდ ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია წინარე ცოდნა. მოსწავლეთა ნაწილი ახალ მასალის სრულყოფილად ათვისებას იმიტომ ვერ ახერხებს, რომ არ აქვს (ან არ ახსოვს) შე-

საბამისი წინარე ცოდნა. ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის მანძილზე არც თუ იშვიათად შევხვედ-რივარ ასეთ პრობლემას.

წილადებზე და ათწილადებზე მოქმედებები მე-6 კლასში ისწავლება, უშუალოდ სწავლების პროცესში მოსწავლეებს უკეთესი შედეგები აქვთ, მაგრამ შემდეგ მიღწეული შედეგი თანდათან უარესდება, რაც გამოწვეულია ზერელე ცოდნით, ნიშანზე ორიენტირებული სწავლებით, კალ-კულატორის გამოყენებით.

მე-7 კლასში დადებით და უარყოფით რიცხვებზე მოქმედებების სწავლებისას გამოიკვეთა, რომ წილადებზე და ათწილადებზე მოქმედებების შესრულება უჭირს კლასის მოსწავლეთა უმ-რავლესობას. დავიწყე ამ საკითხების გამეორება, მოსწავლეებს ვაკვირდებოდი საგაკვეთილო პროცესში, პარალელურად ვამოწმებდი საშინაო დავალების რვეულებს. დავრწმუნდი, რომ ამ მეთოდით მე-7 კლასის მასალის სწავლების პარალელურად პრობლემის მცირე დროში დაძლევა შეუძლებელი იყო. დავიწყე ფიქრი და გადავწყვიტე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა წინარე ცოდნის შეფასებისა და გააქტიურების ეფექტური გზების ძიებაზე ჩამეტარებინა.

წილადებსა და ათწილადებზე მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად ჩავატარე სადიაგნოს-ტიკო პრეტესტი, შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა ინდივიდუალური და ზოგადად კლასის სჭი-როებები. დავგეგმე ინტერვენციები ,,შებრუნებული სკლასო ოთახის მოდელისა„ და ტექნოლო-გიების გამოყენებით. წილადებსა და ათწილადებზე ოპერაციები დავყავი ექვს თემად, თითოე-ულ თემაზე სამუშაოდ გათვალისწინებული მქონდა ორი კვირა. მოსწავლეებს საჭირო დავალე-ბას ვაძლევდი სოციალურ ქსელში შექმნილი დახურული ჯგუფის გამოყენებით. მოსწავლეები სახლში უყურებდნენ ვიდეოგაკვეთილს, ასრულებდნენ სახალისო ციფრულ სავარჯიშოებს. ერ-თმანეთს მიმართავდნენ დახმარებისთვის ონლაინში სოციალური ქსელის მეშვეობით. ვიდეო-გაკვეთილებისა და ტესტებზე მუშაობის პარალელურად, ურთიერთსწავლებისა და ცოდნის გან-მტკიცების მიზნით, ხშირად ვიყენებდი თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს, რასაც ყურად-ღებით ვაკვირდებოდი და საჭიროების შემთხვევაში ვაძლევდი მათ სათანადო დახმარებას, ასევე ვახორციელებდი ცოდნის მონიტორინგს.

კვლევის მიმდინარეობისას შევქმენი სასწავლო ციფრული რესურსები: ვიდეო გაკვეთილები, სახალისო სავარჯიშოები, რომლებიც შეგიძლიათ იხილოთ ბლოგზე http://swavlaxalisit.blogspot.com/ და გამოიყენოთ საკუთარ პრაქტიკაში. ინტერვენციების შემდეგ ჩატარებულმა ,,პოსტ ტესტირებამ„ აჩვენა მოსწავლეთა ცოდნის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ცოდნის მიღებასთან ერთად მოსწავ-ლეებს გამოუმუშავდათ მრავალმხრივი უნარები[9].

ისტ-ის ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ასევე შესაძლებელია პროგრამა khoot-ის გამოყენებით. ამ პროგრამაში საინტერესო, სახალისო და მუსიკალურად გაფორმებული ტესტე-ბის შექმნა საკმაოდ ადვილია. მოსწავლეები ძალიან მარტივად, მობილური ტელეფონის გამოყე-ნებით შედიან პროგრამაში. აქტივობა შეიძლება დაიგეგმოს როგორც წყვილებში, ისე მცირე ჯგუფებში. პროექტორით ეკრანზე ჩანს ამოცანა სავარაუდო პასუხებით, მოსწავლეები მობი-ლური ტელეფონით აფიქსირებენ პასუხს. ეკრანზე ყოველი პასუხის შემდეგ ჩანს მონაწილეთა რეიტინგი სვეტოვანი დიაგრამის სახით. აქტივობა გადაიზრდება შეჯიბრში, რაც სტიმულს და ხალისს სძენს სასწავლო პროცესს. პროგრამა მასწავლებელს საშუალებას აძლევს მცირე დრო-ში(4-5წთ) შეძლოს მოსწავლეთა შედეგების შეფასება და ანალიზი. ამ პროგრამის გამოყენებით შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელის გამოყენება წინარე ცოდნის გასააქტიურებლად უფრო ეფექტური, სახალისო და საინტერესო გახდა: მას შემდეგ, როცა მოსწავლეები სახლში ნახავენ 3-4 წუთიან ვიდეოგაკვეთილს, შეასრულებენ შესაბამის ციფრულ სავარჯიშოებს, გაკვეთილს ვიწ-ყებ ცოდნის შემოწმებით khoot-ში შექმნილი ტესტის მეშვეობით, რაც ძალიან ეფექტურია, რო-გორც მოსწავლეთა ცოდნის მცირე დროში შემოწმებისათვის, ასევე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოსწავლეები მობილურს, როგორც სასწავლო რესურსს არაჩვეულებრივად იყენებენ.

[9]. იხ. კვლევის ანგარიში: https://drive.google.com/file/d/1En1ZlTVgFOk6ABwdQRTl2DjKSifINbE–/view?fbclid=IwAR3a6JnIv6BIr–C5KY54-C8OJZhuwRHrbLoEaDhaOtmay9wh28qoRc9CO9.

,,შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი„ პროგრამა khoot -თან ინტეგრირებით გამოვიყენე წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, ისეთ თემებზე, რომლებიც არაერთხელ საჭიროებს შეხსენებას და განმტკიცებას მათემატიკაში, ესგ-ს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. მაგალითად: შემოკლებული გამრავლების ფორმულები, ერთწევრსა და მრავალწევრზე მოქმედებები, რიცხვის ნაწილის, რიცხვის პროცენტის პოვნა, განტოლების ამოხსნა, უარყოფით რიცხვებზე მოქმედებები, ბრტყელი ფიგურების ფართობი, ხარისხი.

განხორციელებული აქტივობების შედეგად გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაუჩნდათ საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების, თვითრეალიზაციის მოთხოვნილება, სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, განუმტკიცდათ თვითრწმენა. განუვითარდათ დმოუკიდებელი სწავლის, თანამშრომლობის, ურთიერთსწავლების უნარ-ჩვევები.

ისტ-ის ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი პარალელურ კლასებში მუშაობის შედარებისას. შედეგი აშკარა იყო: იმ კლასში რომელშიც ისტ-ის გამოყენებით გავააქტიურე მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ახალი მასალის ახსნისა და განმტკიცებისთვის ბევრად ნაკლებ დრო დამჭირდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შემიძლია დავასკვნა, რომ შებრუნებული ,,საკლასო ოთახის მოდელისა„ და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების მიზანმიმართული, თანმიმდევრული, გეგმაზომიერი გამოყენება დადებითად აისახება სწავლების შედეგებზე.

თავდაპირველად ,,შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელის„ დანერგვა, სიძნელეებთან არის დაკავშირებული, შებრუნებული გაკვეთილის შედეგიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად არიან მომზადებული მოსწავლეები მსგავსი გამოწვევისათვის. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში თვითმართვადი სწავლის უნარის გამომუშავებას. მაგალითად: გავაცნოთ კლასს ახალ მასალაზე მუშაობის სხვადასხვა ხერხი, განვიხილოთ და ერთობლივად შევასრულოთ ამა თუ იმ ტიპის დავალება და სხვ. მოსწავლეთა ნდობის მოპოვება სიახლეების დანერგვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

აღსანიშნავია, რომ, შესაძლოა, მასწავლებელს არ ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა ან დრო საჭირო რესურსების შესაქმნელად, მაგრამ ეს დღეს აღარ წარმოაგენს პრობლემას, რადგან შექმნლია უფასო საგანმანათლებლო საიტები: https://ka.khanacademy.org/; https://ka.khanacademy.org/; https://silkschool.ge/, სადაც არის თემატური ვიდეოგაკვეთილები, სახალისო და საინტერესო სავარჯიშოები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგინაშვილი, ლელა. 2015. სწავლა-სწავლება დღეს – შებრუნებული საკლასო ოთახი. maswavlebeli.ge. თებერვალი 6. http://mastsavlebeli.ge/?p=1777 (05.11.2016).
2. გონაშვილი, რუსუდან. 2014. რატომ არის საჭირო სწავლებაში ტექნოლოგიების ინტეგრირება. maswavlebeli.ge. მაისი 9. http://mastsavlebeli.ge/?p=3987 (08.01.2017).
3. ლობჟანიძე, სოფიკო. 2014. როგორ განვუვითაროთ მოსწავლეებს თვითმართვადი სწავლის უნარები. maswavlebeli.ge. მარტი 11. http://mastsavlebeli.ge/?p=2082 (10.01.17)
4. ჭყოიძე, თეო. 2013. დამოუკიდებელი სწავლის უნარები და მათი განვითარება. maswavlebeli.ge. ნოემბერი 29. http://mastsavlebeli.ge/?p=2181 (14.01.2017).

NANA BUJIASHVILI

A teacher of Mathematics at Public School N29

INTEGRATION OF TECHNOLOGIES IN TEACHING MATHEMATICS

Abstract

The important task of the school is to develop in students the skills that facilitate independent learning. The development of self-controlled learning skills is one of the key issues in the modern educational

system. An important component of self-controlled learning is the selection of targeted resources and its usage. A rational use of information-technological and multimedia resources is of particular importance for developing teenagers as independent learners in the modern world. The results of many studies show that the more effective use of student resources, the more grows the effectiveness of learning strategies. Through IT technologies learning becomes: actual, accessible and interesting.

The use of IT technologies facilitates raising students' motivation, development of multilateral skills, transferring knowledge. It gives an opportunity to learn through studying and analyzing information. The effectiveness of the use of information technology increases the implementation of a collaborative method of learning in the course of teaching, which also facilitates the development of multilateral skills of learners and helps them to become independent learners.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

ნატო ქოგულაძე
ლელა ეძგვერაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის

საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყანაში, ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა განათლების სისტემის რეფორმირებასთან არის დაკავშირებული. ტოტალიტარული სახელმწიფოსაგან მემკვიდრეობით მიღებული სასკოლო განათლების მოდელი, რომელიც სისტემის მსახური, მორჩილი პიროვნებების აღზრდაზე იყო ორიენტირებული, ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს. ამ ცვლილებების უმთავრესი რგოლი მასწავლებელია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს პიროვნული ღირსების მქონე, თავისუფალი, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის ფორმირებას.

სწორედ ამიტომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში განუწყვეტლივ მიმდინარე განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი სამიზნე მასწავლებელია. ამ დროის მანძილზე გამოიცადა რამდენიმე მოდელი, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისად მასწავლებელთა კვალიფიკაციის ფორმირებას ემსახურება. ამ მოდელების პოზიტიური მხარეებისა და ნაკლოვანებების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. მოცემული სქემა საქართველოში ხორციელდება 2015 წლიდან.

სქემის უმთავრესი მიზანია მასწავლებლის სისტემური პროფესიული განვითარების გზით აამაღლოს სწავლა-სწავლების ხარისხი და გააუმჯობესოს მოსწავლეთა შედეგები. სქემის ამოცანაა მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის პრესტიჟის ზრდას, საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას, არსებული პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას.

სქემა ორიენტირებულია შეუქმნას მასწავლებლებს პოზიტიური მოტივაცია. სქემის მიხედვით გვყავს 4 კატეგორიის მასწავლებელი (პრაქტიკოსი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი, მენტორი მასწავლებელი). უფრო მაღალ კატეგორიაზე გადასვლას პედაგოგები სხვადასხვა აქტივობით კრედიტების დაგროვების შედეგად შეძლებენ. კატეგორიის ამაღლება აისახება არა მარტო მასწავლებლის პრესტიჟზე, არამედ მის ფინანსურ მდგომარეობაზეც. ყოველ მომდევნო საფეხურზე გადასვლა გულისხმობს უფრო მაღალი ანაზღურების მიღებას.

სქემის მიხედვით პროფესიული წინსვლის საშუალება ეძლევა ნებისმიერ მასწავლებელს საკუთარი კომპეტენციების ამაღლების კვალობაზე. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მასწავლებელთათვის იმ სერვისების შეთავაზება, რომლებიც საჭირო კომპეტენციების განვითარებას უწყობს ხელს.

ამგვარ სერვისებს მასწავლებლებს ძირითადად სთავაზობდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, პროცესში ასევე ჩართული იყო არასამთავრობო სექტორი. ბოლო პერიოდამდე ნაკლები იყო უნივერსიტეტების ჩართულობა. თუმცა უნივერსიტეტებს, სა-

დაც მუშაობს მასწავლებლი მოსამზადებელი პროგრამები, ასეთი სერვისების შეთავაზების დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

ბოლო პერიოდში მასწავლებელთათვის კომპეტენციის ამაღლების სერვისები აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტი, რომელიც მასწავლებლებს სთავაზობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა სერვისს.

მოცემულ მოხსენებაში ვისაუბრებთ აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში არსებული ტრენინგ-კურსის შესახებ, რომელიც მასწავლებლებისთვის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის კომპეტენციის განვითარებას ემსახურება.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი აუცილებელია უფროსი მასწავლებლიდან წამყვანი მასწავლებლის საფეხურზე გადასანაცვლებლად. ამასთან უნდა ითქვას, რომ კვლევითი უნარ-ჩვევები მასწავლებლებში ნაკლებად არის განვითარებული, რადგანაც აქამდე მასწავლებლები არანაირ კვლევით აქტივობებს არ ახორციელებდნენ სკოლებში.

კვლევითი მომპონენტის განვითარება, პრაქტიკის ბაზებზე საკვლევი თემატიკის იდენტიფიცირება, კვლევის დაგეგმვა-განხორციელება და ინტერვენციები, მასწავლებლების მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა.

აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული უწყვეტი განათლების ცენტრში 2017 წლიდან შემუშავდა 25 საათიანი ტრენინგ-კურსი „პრაქტიკული, სამოქმედო კვლევა მასწავლებლებისათვის„, რომლის სამიზნე ჯგუფია როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლების კარიერული სქემის მეორე კატეგორიის ანუ, უფროსი მასწავლებლები.

მოცემული ტრენინგ-კურსის ფარგლებში სხვადასხვა ქეისების განხილვის საფუძველზე ეცნობიან პრაქტიკული კვლევების სპეციფიკას. ტრენინგის განსაკუთრებულ ეფექტურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ტრენინგის ფარგლებში მასწავლებლები ტრენერების ჩართულობით არჩევენ თემატიკას თავიანთი მომავალი კვლევებისათვის, გეგმავენ ინტერვენციებს. ამასთან, ტრენერები მზად არიან კვლევის განხორციელების პროცესში მუდმივად გაუწიონ დახმარება მასწავლებლებს, მიაწოდონ საჭირო უკუკავშირი.

ვფიქრობთ, სწორედ ამგვარმა მიდგომამ განაპირობა ტრენინგის პრაქტიკულად ასპროცენტიანი ეფექტიანობა. უწყვეტი განათლების ცენტრმა 2017-2018 სასწავლო წელს აღნიშნული მიმართულებით გადაამზადა იმერეთის რეგიონის 116 მსმენელი. მათ შორის სკოლაში უკვე მომუშავე მასწავლებლები შეადგენდნენ მსმენელთა 80%-ს. ყველა პრაქტიკოსმა მასწავლებელმა წარმატებით განახორციელა პრაქტიკული კვლევა, დაიმსახურეს გარე შეფასების ექსპერტების მაღალი შეფასება და გადავიდა მესამე კატეგორიაში, ანუ გახდა წამყვანი მასწავლებელი.

სტატიაში სწორედ განხორციელებული კვლევის სტატისტიკა წარმოვადგინეთ. მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ ტრენერთა როლი მოცემული კვლევის ეფექტიანად განხორციელებაში. მოცემული ტრენინგ-კურსის განხორციელების პრაქტიკა ცხადყოფს უნივერსიტეტების გამოცდილების გამოყენების მაღალ ეფექტიანობას მასწავლებელთა კომპეტენციების ამაღლების მიმართულებით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარების ცენტრი განათლების სისტემში არსებული გამოწვევების შედეგად, სისტემატიურად გეგმავს შესაბამისი სერვისების შეთავაზებას მასწავლებელთათვის.

ლიტერატურა:

1.http://liberali.ge/articles/view/26648/mastsavlebelta-profesiuli-ganvitarebis-sqema--saboloo-versia

2, http://mastsavlebeli.ge/uploads/sqema.pdf

3. http://mastsavlebeli.ge/?p=12926

NATO KOBULADZE
LELA EDZGVERADZE
Akaki Tsereteli State University

UNIVERSITY AS A FACILITATOR OF PROFESSIONAL DEVELOPMENT OF A TEACHER

Abstract

Several models shaping teachers' qualifications in accordance with modern requirements have been recently tested in Georgia. Based on the analysis of the advantages and disadvantages of these models, there has been developed a scheme of the commencement of the teacher's activities, professional development and career advancement. This scheme is being implemented in Georgia since 2015. According to the scheme, we have 4 categories of teachers (practicing teacher, senior teacher, leading teacher, mentor teacher). Teachers will be able to move into a higher category by accumulating credits through different activities. Promotion by category will impact not only the prestige of teaching profession, but also the financial respect of teachers. Moving up to each subsequent level means higher income earning. These services were mainly offered to teachers by the National Center for Teacher Professional Development, and this process also involved the NGO sector. Until recently, the universities have not been sufficiently involved in this process. However, the universities having the teacher training programs have the great potential to offer such services. The competence raising services for teachers have been introduced in the recent past at Akaki Tsereteli State University, which offers teachers various services to enhance their qualifications. In this paper, we will talk about the training course existing at the Continuous Education Center of Akaki Tsereteli University, which serves the development of competence of a study of teaching practice for teachers.

მანანა მაღრაძე
ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი

ბაკალავრიატი-სწავლების ახალი ფორმა სამხედრო განათლებაში

2005 წლიდან დაწყებული რეფორმების შედეგად საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. შემოღებულ იქნა სწავლების სამსაფეხურიანი ფორმა, ECTS კრედიტები, შეიცვალა უნივერსიტეტის დაფინანსების სისტემა, მოხდა სასწავლო კურსების ოპტიმიზაცია და ა.შ. ერთ - ერთი ძირითადი მიზანი, რომელიც საფუძვლად დაედო განათლების რეფორმას საქართველოში, გულისხმობდა საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობას საერთაშორისო სივრცეში. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობაც ქვეყნის განათლების სისტემის რეორგანიზაციაში. შეიქმნა სისტემის მართვის ახალი სტრუქტურული მოდელი, რომლის მიზანია, უზრუნველყოს განათლების სისტემაში შემავალი ერთეულების ავტონომიურობის გაზრდა, სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება.

სტრატეგიული მიმართულებით გრძელვადიანი ხედვის, სამოქმედო გეგმებისა და შესაბამისი სტრუქტურის არსებობის პირობებშიც კი, საქართველოს განათლების სისტემა კვლავ დგას რთული გამოწვევების წინაშე. წინააღნდეგობების დასაძლევად და აღმოსაფხვრელად საჭიროა

არსებობდეს სტრატეგიული დაგეგმარების დინამიური პროცესი. ეს პროცესი, განსაზღვრავს სასწავლო ციკლის ეფექტურობას[10] ს.).

სტრატეგიული დაგეგმარების დინამიური პროცესი ყველა მმართველობითი ფუნქციას მოიცავს. სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიზნების მართვის საფუძველს. სტრატეგიული დაგეგმარება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მოქმედებათა, გადაწყვეტილებათა ნაკრებს, რომლებიც საჭიროა მიზნის მიღწევისათვის.

პიტერ ლორანჟის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი არის ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების დროს. იგი ორგანიზაციაში უზრუნველყოფს ახლის შემოღებასა და ცვლილებების განხორციელებას. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლების სტრატეგიულ დაგეგმვას, ის ნორმალური ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია. სტრატეგიული დაგეგმვის მიზანია უმაღლესი სასწავლებლების ხედვისა და მისიის შესრულების ოპტიმალური გზების ძიება და პერსპექტიული გეგმების დასახვა.

საქართველოში სამხედრო განათლებას საფუძველი ჩაეყარა 1919 წელს, როდესაც თბილისში დაარსდა იუნკერთა სკოლა, რომელმაც არსებობა შეწყვიტა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. ბოლშევიკური საქართველოს პერიოდში შეიქმნა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი. 1993 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში შეიქმნა გაერთიანებული სამხედრო აკადემია, სადაც ხორციელდებოდა 4- წლიანი პროგრამები და ხდებოდა სამხედრო გვარეობების შესაბამისი კვალიფიკაციების მინიჭება. 2005 წელს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში განხორციელდა რეფორმა, 4- წლიანი პროგრამები გაუქმდა და ჩამოყალიბდა 1-წლიანი პროგრამები, რომლებიც გენერალური შტაბის დადგენილებით საკმარისი იყო ოფიცრის პირველადი წოდების კვალიფიკაციის მისანიჭებლად. აღნიშნული ცვლილებასთან ერთად გაერთიანებული სამხედრო აკადემიას შეეცვალა სახელი და ეწოდა თავდაცვის ეროვნული აკადემია.

2010 წელს საქართელოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით თავდაცვის ეროვნულ აკადემიას დაევალა საბაკალავრო პროგრამების შექმნა და განხორციელება. ამავდროულად თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ კვლავ განიცადა რეფორმა, ჩამოყალიბდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ეწოდა სსიპ დ.აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია.

სპეციფიკური ფორმატიდან გამომდინარე, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის ორი სტრუქტურული, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა ჩამოყალიბებული: ბაკალავრიატი და იუნკერთა ბატალიონი. ბაკალავრიატის ძირითადი ფუნქცია და პასუხისმგებლობაა მის მიერ განსახორციელებელი პროგრამების მხარდაჭერა. იუნკერთა ბატალიონის პასუხისმგებლობაში შედის სამხედრო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და სამხედრო მოდულის განხორციელება.

ბაკალავრიატის მართვის ორგანოა ბაკალავრიატის საბჭო, რომელიც წარმომადგენლობითია და აკადემიური პერსონალის ყველა წევრისგან შედგება. სკოლის ხელმძღვანელს რექტორის წარდგინებით ნიშნავს თავდაცვის მინისტრი. ბაკალავრიატის სტრუქტურული ერთეულებია: ინფორმატიკის მიმართულება, მენეჯმენტის მიმართულება, თავდაცვა და უსაფრთხოების მიმართულება, ენობრივი მომზადების განყოფილება და ფიზიკური მომზადების განყოფილება.

აკადემიური მიმართულებები. აკადემიური მიმართულებების ხელმძღვანელები საკუთარი მიმართულებების ფარგლებში ახორციელებენ მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებს და კვლევით პროექტებს, უზრუნველყოფენ კურიკულუმებისა და სილაბუსების შედგენას, ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფას სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით, აწარმოებენ საგამოცდო უწყისებს, უზრუნველყოფენ საგამოცდო მასალისა და ტესტების მომზადებას.

მიმართულების ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ბაკალავრიატის ხელმძღვანელის, რექტორის სამოქალაქო სტატუსის მქონე მოადგილისა და აკადემიის რექტორის წინაშე.

[10] „სტრატეგია“ წარმოიშვა ბერძნული „სტრატეგოსი“ - დან და ნიშნავს „გენერალის ხელოვნება“

ენობრივი მომზადების განყოფილება. ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის გამო, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არის მოთხოვნა, თანამედროვე ოფიცერი ინგლისურ ენას ფლობდეს მაღალ დონეზე, რაც აუცილებელია ოფიცერთა კარიერული განვითარებისათვის. ბაკალავრიატში უცხო ენის სწავლის ფუნქცია აკისრია ენობრივი მომზადების განყოფილებას. მომავალი ოფიცრები ბაკალავრიატის დიპლომთან ერთად ნატოს სტანდართის შესაბამისი „STANA-2" დონის სერთიფიკატს უნდა ფლობდნენ.

სამხედრო ინსტრუქტორთა ჯგუფი. სამხედრო საქმესა და მასში შემავალ სასწავლო კურსებს ასწავლის აკადემიის სამხედრო ინსტრუქტორთა ჯგუფი, რომელიც სტრუქტურულად ბაკალავრიატის დაქვემდებარებაში არ იმყოფება. სამხედრო ინსტრუქტორებს გააჩნიათ სამხედრო წოდებასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ფიზიკური მომზადების განყოფილება. იუნკერთა ფიზიკური განვითარების პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს ფიზიკური მომზადების განყოფილება, რომელიც ახორციელებს ფიზიკური მომზადების დაგეგმვას, ატარებს მეცადინეობებს სხვადასხვა სპორტული წრეების მიხედვით, ატარებს ფიზიკური მომზადების შეფასებას და მონიტორინგს უწევს იუნკერთა ფიზიკური მომზადებას.

იუნკერთა ბატალიონი. იუნკერთა ბატალიონს ხელმძღვანელობს ბატალიონის მეთაური. იუნკერთა ბატალიონის მმართველობის ძირითად ფუნქციებში შედის ბატალიონის მიერ სასწავლო კალენდრით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვა და ადმინისტრირება, პროგრამების განხორციელების პროცესის მონიტორინგი და ლოჯისტიკური უზრუნველყოფა, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განსაზღვრა და ბიუჯეტის შედგენა.

უცხოელ მრჩეველთა ჯგუფი. ეროვნული თავდაცვის აკადემიაში საბაკალავრო სწავლების ჩამოყალიბებას მონიტორინგს უწევდა მრჩევლები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მრჩევლები არიან ამერიკელი ექსპერტები, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი სხვადასხვა სამხედრო მიმართულებებში. მრჩევლები ძირითადად აკვირდებიან იუნკერთა სწავლებისა და ცხოვრების პროცესს. სასწავლო პროცესისა და დაგეგმვის პროცესში მრჩეველთა წილი საკმაოდ მაღალია. მრჩეველთა ჯგუფმა მუშაობა დაამთავრა 2018 წელს, რადგან საბაკალავრო სწავლება გაიმართა ნატოს სტანდარტების შესაბამისად და ჯგუფის მისიაც დასრულდა.

პროგრამაზე მიღების წესი. საბაკალავრო პროგრამებზე მიღება ხორციელდება საქართველოში არსებული განათლების კანონის შესაბამისად. აბიტურიენტები რეგისტრირდებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და სპეციალურად ეროვნული თავდაცვის აკადემიისთვის ირჩევენ შემოქმედებით ტურს, რომელიც შედგება ფიზიკური მომზადების ტესტისგან, სამედიცინო შემოწმებისგან და გასაუბრებისგან. შემოქმედებითი ტურის წარმატებით გავლა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საკმარისი არ არის ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩასარიცხად. აბიტურიენტები ვალდებული არიან გაიარონ იუნკერთა საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი. აღნიშნული კურსის ხანგრძლივობაა 5 კვირა, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტები მოიპოვებენ იუნკერის სტატუსს[11]

თავდაცვის სამინისტრო იუნკერს უფორმებს კონტრაქტს 10 წლის ვადით, სადაც მხარეებისთვის მკაცრად არის განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და შეზღუდვები. კონტრაქტის მოქმედების ვადაში, იუნკერები პირველი ოთხი წელი სწავლობენ საბაკალავრო პროგრამაზე, ხოლო შემდეგ სამსახურს აგრძელებენ თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში. კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში, იუნკერებს ეკისრებათ ფულადი ჯარიმა.

ბაკალავრიატში არის სამი საბაკალავრო პროგრამა: მენეჯმენტი, ინფორმატიკა და თავდაცვა და უსაფრთხოება. პროგრამის განხორციელება ხდება მინიმუმ 240 კრედიტით. ეროვნული თავდაცვის აკადემიის დასრულების შემდეგ იუნკერები მიდიან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებულ სპეციალიზაციის სკოლებში, რომლის დასრულების შემდეგაც საქმდებიან

[11] იუნკერი - ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტუდენტი. აღნიშნული სტატუსი მიენიჭათ 2013 წელს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე და საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფებში.

დამატებითი პროგრამის ,,საერთო საჯარისო მართვა„. პროგრამის მიზანია იუნკერებს ფართო ცოდნა მიცეს სამხედრო სფეროში, რომლის საფუძველზეც მოხდება შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებების გათვალისწინებით ოფიცრების მომზადება და ორიენტირებული იქნება კურსდამთავრებულთა შემდგომ პროფესიულ ზრდაზე.

იუნკერს საჯარისო სადისციპლინო წესდების შესაბამისად ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში ეძლევა 100 სადისციპლინო ქულა. დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში იუნკერს აკლდება სადისციპლინო ქულა სხვადასხვა გადაცდომისთვის სხვადასხვა ოდენობებით. 100 სადისციპლინო ქულის დაკლების შემთხვევაში იუნკერს უწყდება იუნკერის სტატუსი.

რეიტინგული ქულა და რანჟირება. იუნკერთა რეიტინგული ქულა გამოითვლება ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს და ის მოიცავს სამ კომპონენტს: აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა, სამხედრო მომზადების ქულა, ფიზიკური მომზადების ქულა.

იუნკერის რეიტინგული ქულა გამოითვლება შედეგნაირად: აკადემიური მოსწრების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,6) ნამრავლს ემატება სამხედრო მომზადების ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,27) ნამრავლი, ასევე – ფიზიკური მომზადების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,13) ნამრავლი. იუნკერის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების გამო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის №615 დადგენილებით დამტკიცებული „სამხედრო სადისციპლინო წესდების„ მე-4 მუხლის „ი„ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 100 საკრედიტო ქულიდან ყოველი 5 ერთეულის გამოკლება იწვევს ზემოთ ნაჩვენები წესით გამოთვლილი რეიტინგული ქულიდან ერთი ქულის გამოკლებას.

სტიპენდია. ეთას საბაკალავრო პროგრამებზე სწავლა, სწავლასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ფინანსდება თავდაცვის სამინისტროს მიერ. ყველა იუნკერი უზრუნველყოფილია პირადი ლეპტოპით, რომელსაც იგი იყენებს ოთხი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ გადაეცემა პირად საკუთრებაში. ყველა იუნკერი იღებს სტიპენდიას. სტიპენდია რეიტინგის მიხედვით სხვადასხვაა. ის იუნკერი, ვინც რეიტინგში ყველაზე მაღლაა, ვისაც აქვს „A“ შეფასება როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სასწავლო კურსებში, ფიზიკური ტესტი ჩაბარებული აქვს 290-300 ქულაზე, არ აქვს დისციპლინალური დარღვევა, იღებს სტიპენდიას 300 ლარის ოდენობით. ყველა კურსზე რეიტინგში მაღლა მყოფი კურსის რაოდენობის 10% იუნკერი იღებს სტიპენდიას 200 ლარის ოდენობით, ხოლო ყველა დანარჩენი იღებს 100 ლარს.

იუნკერს აქვს უფასო ჯანმრთელობის დაზღვევა, უფასო კვება, სამხედრო და სპორტული ტანსაცმელი.

იუნკერის სტატუსის შეჩერება. იუნკერის სტატუსის შეჩერება ნიშნავს აკადემიასა და იუნკერს შორის კონტრაქტის შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას (ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში) იუნკერის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება უკავშირდებოდეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან იუნკერთან გაფორმებული კონტრაქტით განსაზღვრული პირობების დარღვევას.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო განათლება, ენობრივი მომზადება, სამხედრო ინსტრუქტორი, ფიზიკური მომზადების ჯგუფი, იუნკერი, საჯარისო მართვა, რეიტინგული ქულა და რანჟირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ.ნადარეიშვილი, ქ.ჩაჩხიანი, ნ.ჯანაშია. უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელო. თავისუფალი უნივერსიტეტი. თბილისი, 2008 წელი.
2. ა.ასათიანი. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. სტუ, თბილისი, 2016 წელი
3. ა.სამადაშვილი, შ.ჯაფარიძე. განათლების ხარისხის მართვა - ხარისხის პრემიები. სტუ, თბილისი, 2010 წელი.

4. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.
5. საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ.

MANANA MAGHRADZE
Professor of National Defense Academy

BACHELORETTE-A NEW FORM OF LEARNING IN MILITARY EDUCATION SYSTEM

Abstract

This work concentrates on the strategic mission and management process of LEPL D. Agmashenebeli National Defense Academy of Georgia. The reform has executed in existing highest military education system of Georgia since 2010. Formerly existing platforms of education have changed into three level academic high education models. This research is about the baccalaureate level, the first stage in academics. The research subjects are as follows: how the bachelor academic degree and officer's first rank is achieved, how academic and military subjects in the curriculum are integrated, what the curriculum structure looks like by considering different factors, and what additional activities are needed to achieve the planned goals. This work also provides the strategic missions of the National Defense Academy, the organizational structure of the institution, and the level and type of cooperation that exists within the organization.

Keywords: Military education, language training, military instructor, group of physical training, cadet, military control, rated rankings.

ფსიქოლოგია

ნოდარ ბარამიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აქსელერაცია და სწავლის მოტივაციური ფაქტორები

ბავშვთა და მოზარდთა დაჩქარებული ფსიქო-ფიზიკური განვითარება ანუ აქსელერაცია, რომლის შესახებაც ასი წელია ლაპარაკობენ მკვლევარები (და არა მხოლოდ მკვლევარები), ბევრი ასპექტით კვლავ გამოცანად რჩება. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ დიდი მნიშვნელობის მქონე პრობლემის შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმაც. მათ შორის აღსანიშნავია ფსიქოლოგ მელენტი ზარანდიას ექსპერიმენტული გამოკვლევები. კერძოდ, მან 40 წლის შემდეგ ზუსტად გაიმეორა ის ცდები, რომლებიც 1927-1928 წლებში დიმიტრი უზნაძემ ჩაატარა 5-6-7 წლის ბავშვებზე ცნებითი აზროვნების დონეების დასადგენად **[უზნაძე, 1996: 57-88** და ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში პირველად ექსპერიმენტულად დაადგინა გონებრივი განვითარების აქსელერაციის ფაქტი **[ზარანდია, 1985.** თუ გავითავალისწინებთ უკანასკნელი ათწლეულების მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და დღევანდელი ბავშვების ინფორმაციულ გარემოს, ეს ფაქტი კიდე უფრო გამყარებულად უნდა მივიჩნიოთ, რაც პრაქტიკულადაც ვლინდება. ასე რომ, ბავშვთა დაჩქარებული გონებრივი განვითარება ყოველმხრივ დასაბუთებულია და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს მოსწავლეთა სწავლის ინტელექტუალური მხარე სასურველ მდგომარეობაშია.

მაგრამ ინტელექტუალური და სხვა შესაძლებლობები რომ მოსწავლის სასწავლო ქცევაში ჩაერთოს, აუცილებელია სუბიექტის მხრიდან სათანადო მოტივაცია. ასეთი მოტივაცია კი შეუძლებელია მოსწავლეს ჰქონდეს ყოველთვის და ყველა საჭირო შემთხვევაში. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სწავლა, როგორც დამოუკიდებელი ქცევა, საკუთარი სურვილებით, თვითკმაყოფილების მიზნით აღძრული აქტივობა როდია. იგი სოციალურად დეტერმინირებული, ცოდნის შეძენის განზრახვით წარმართული ქცევაა, რომლის სუბიექტისათვის მთავარია შედეგი და არა ქცევის პროცესუალური მხარე. სწავლა შეიძლება სასიამოვნოც იყოს და არასასიამოვნოც, მაგრამ სწავლის სუბიექტი, ძლიერი შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, ორიენტირებულია სწავლის შედეგზე. ამ შედეგის საჭიროების, მისი ობიექტური ღირებულების განცდა აძლევს მის სასწავლო ქცევას აზრს და მნიშვნელობას და არა აღნიშნული ინტერესების დაკმაყოფილება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში სასწავლო მოქმედება დადებით ემოციურ ფონზე წარიმართება.

ზემოაღნიშნულის გამო, სწავლა ყოველთვის დაკავშირებულია აუცილებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობასთან. სასწავლო ქცევა მიმდინარე, ე.წ. ახლო, აქტუალური მოთხოვნილებებითა და მოტივებით კი არა, სოციალური, მეტ-ნაკლებად შორეული მიზნებითა და მოტივებით აღძრული აქტივობაა, რომელშიც ამჟამინდელი მოთხოვნილებები შეიძლება მონაწილეობდეს და შეიძლება – არა. სწავლა, როგორ გონებრივი შრომის სახესხვაობა, თამაშისაგან განსხვავებით, ყოველთვის სოციალურად განსაზღვრულ აქტივობად განიცდება. იგი თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, მოტივაციური წყობის თავისებურებით, არსებითად, შორეული მოტივაცური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევაა, რომლის აზრი და მიზანი ამ ქცევით მიღწეულ თუ ამ ქცევის გარეთ არსებულ შედეგში, ანუ ცოდნა-ჩვევაშია და არა სწავლის პროცესში, როგორც ამას ადგილი აქვს თამაშის დროს.

როგორც ვთქვით, გონებრივი განვითარების აქსელერაციის გამო მოსწავლეთა სწავლის ინტელექტუალური მხარე სასურველ მდგომარეობაშია. მაგრამ ინტელექტუალური შესაძლებლობები რომ მოსწავლემ მიზანმიმართულად გამოიყენოს, მას უპირველესად უნდა გააჩნდეს სწავლის მოთხოვნილება. ცნობილია, რომ ბავშვთა სკოლისადმი თავდაპირველ სწრაფვას სწავლის მოთხოვნილებაც განსაზღვრავს. მაგრამ სწავლის მოთხოვნილება პერმანენტული როდია. ამასთანავე, ასეთი მოთხოვნილებები სხვადასხვა ძალისაა და ყოველთვის აქტუალურიც არაა (ყველა საგნის მიმართ მაინც). ასეთ შემთხვევაში სწავლის განმსაზღვრელი ფაქტორის როლში უნდა გამოვიდეს ნებისყოფა. როდესაც მოზარდს არც სწავლის მოთხოვნილება აქვს და არც სათანადოდ განვითარებული ნებისყოფა, მაშინ მის სასწავლო აქტივობას განსაზღვრავს სწავლისადმი სრულიად უცხო, ჰეტეროგენული მოტივები (უფროსთა მუქარა, მოსალოდნელი სასჯელი...) და სწავლაც მძიმე, იძულებითი ხასიათის ქცევად განიცდება (ეს საკითხები მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავებული აქვს შ.ჩხარტიშვილს **[ჩხარტიშვილი, 1980.** აქედან ნათელია, რომ სასწავლო-შემეცნებითი ინტერესების აქტივაციასთან ერთად, მოსწავლეთა ნებისყოფის განვითარებაზე ზრუნვა ჩვენი სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რასაც ადასტურებს ასეთი მონაცემებიც: ძლიერი ნებისყოფის მქონე უნარიანი ბავშვები, ჩვეულებრივ, აღწევენ მაღალ, სტაბილურ წარმატებებს, მაშინ, როდესაც უნარიანი, მაგრამ სუსტი ნებისყოფის მოსწავლეები შესამჩნევად ჩამორჩებიან მათ.

როგორც ვხედავთ, გონებრივი განვითარების აქსელერაცია და ინტელექტუალური მონაცემები თავისთავად სასურველ შედეგს ვერ იძლევა. საჭიროა მათი „მოძრაობაში„ მოყვანა. პედაგოგიკის ფუძემდებელი იან ამოს კომენსკი ადამიანთა "სულიერი მოძრაობის" მთავარ ძრავად, ფსიქიკური ცხოვრების მთავარ მამოძრავებელ წყაროდ ნებისყოფას მიიჩნევდა. მისი აზრით, გონება განსაზღვრავს თუ რას, როგორ და რამდენად საჭიროა მივაღწიოთ, ნებისყოფა კი უზრუნველყოფს გონებით ნაწვდომის რეალიზაციას.

რა ვითარებაა დღევანდელ მოზარდებში მათი ნებისყოფის განვითარების მხრივ? შეეხო თუ არა აქსელერაცია მათი ფსიქიკის ამ სფეროს? ეს საკითხი გარკვეული ასპექტით ვიკვლიეთ ჩვენ მრავალვარიანტული ექსპერიმენტული მეთოდიკით. გავიმეორეთ ჩვენ მიერ თითქმის 35 წლის წინათ ჩატარებული ცდები, რომლითაც შესწავლილი გვქონდა ნებისყოფაზე დამოკიდებული შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობები სხვადასხვა ასაკში **[ბარამიძე, 1995.**

აღნიშნული ექსპერიმენტის ზოგადი პრინციპი ასეთია: ცდის პირს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შესაძლებლობა ეძლევა იმოქმედოს ან აწმყოს მოთხოვნილებებით აღძრული ე.წ. ახლო მოტივაციური ქცევის მიმართულებით, ანდა ნებისყოფით განსაზღვრული შორეული მოტივაციური ქცევის მიმართულებით. იმის მიხედვით, თუ რომელს აირჩევს ცდის პირი, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს იგი, შეძლებს თუ არა ამ გადაწყვეტილების დროში შენახვას და შემდეგში მის რეალიზებას, ჩვენ ვმსჯელობდით შესაბამის ასაკში ნებისყოფის განვითარების დონეზე.

ერთი სერიის ცდებში ბავშვს ეძლევა ასეთი ინსტრუქცია: "აი, შენს წინ, მაგიდაზე დალაგებულია კანფეტები: ერთი ცალი – ცალკე და ბევრი (5) სხვადასხვანაირი – ცალკე. ერთ ცალ კანფეტს მე ვიძლევი ახლა, ბევრს კი - მხოლოდ სადილის შემდეგ. მე იმას მოგცემ, რომელსაც შენ აირჩევ და შეგიძლია შეჭამო იგი. მაგრამ იცოდე, თუკი შენ ახლა წაიღებ ერთ კანფეტს, მაშინ სადილის შემდეგ ვერ მიიღებ ბევრს, ხოლო თუ ახლა არაფერს არ წაიღებ, მაშინ შეგიძლია ნასადილევს მოხვიდე ჩემთან, მე ვიქნები ამავე ოთახში და წაიღო ეს სხვადასხვანაირი კანფეტები. გადაწყვიტე, ერთი გირჩევნია ახლა თუ ბევრი - სადილის შემდეგ?"

ინსტრუქციიდან გასაგებია, რომ ყველა ბავშვი როდი გამოდგებოდა ცდის პირად. ცდებს ვატარებდით მხოლოდ იმ ბავშვებზე, რომლებიც ინსტრუქციის გაცნობამდე გამოთქვამდნენ ბევრი კანფეტის მიღების სურვილს, რასაც ვავლენდით წინასწარი გასაუბრებით.

მეორე სერიის ცდებში ექსპერიმენტული სიტუაცია ასეთია: საბავშვო ბაღის აღსაზრდელს (პირველი კლასის მოსწავლესაც) ხელში ვაძლევ ერთ ცალ კანფეტს და ვეუბნები: "აიღე ეს კანფეტი. შენ შეგიძლია ახლავე შეჭამო იგი, მაგრამ თუკი არ შეჭამ და მომიტან სადილის მერე (მოსწავლეებს ვეუბნებით - გაკვეთილების შემდეგ), მაშინ მე მოგცემ ყველა ამ კანფეტს ერთად

(ბავშვს მივუთითებ მაგიდაზე დაყრილი კანფეტების გროვაზე). როგორც გინდა, ისე მოიქეცი, გინდა შეჭამე ეს ერთი კანფეტი, გინდა - არა, ოღონდ გახსოვდეს, თუ შეინახავ მას და უკან მომიტანი, მაშინ შეგიძლია წაიღო ყველა კანფეტი, რასაც კი აქ ხედავ".

ვატარებდით სხვა სერიის ცდებსაც (და მაღალი კლასის მოსწავლეებზეც). მაგრამ ყველგან ერთმანეთს ვუპირისპირებდით ბავშვის მოთხოვნილებასა და ნებისყოფის ძალას. მოთხოვნილების იმპულსი ბავშვს უბიძგებს მისი დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებისაკენ. თუკი ბავშვმა მოახერხა ამ იმპულსის შეკავება, თუკი მან შეძლო უარის თქმა მოთხოვნილების ახლა დაკმაყოფილებაზე შემდეგში მისი უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვის ქცევა განსაზღვრა შორეულმა მოტივმა, რომ მან მოახდინა შორეული მოტივაცია და იგი მოქმედებდა როგორც ნებისყოფის სუბიექტი.

პირველად ეს ექსპერიმენტები ჩავატარეთ 1972-1973 წლებში. გამოირკვა, რომ ნებისყოფით განსაზღვრული შორეული მოტივაციური ქცევა ძნელად მისაწვდომია უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის. სასკოლო ასაკის მიჯნაზე კი ბავშვები შედარებით წარმატებით ახერხებენ ელემენტარული ხასიათის შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელებას, რაც შემდეგში მათი სწავლაში წარმატებების ერთ-ერთ საფუძვლად იქცევა, ვინაიდან სწავლა, როგორც ვთქვით, არსებითად შორეული მოტივაციური ბუნების მქონე ნებისყოფითი ქცევაა.

თითქმის 35 წლის შემდე ზუსტად გავიმეორეთ იგივე ექსპერიმენტები და მივიღეთ განსხვავებული შედეგები **[ბარამიძე, 2008**: კერძოდ, შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელება, რომელიც ნებისყოფის განვითარების შესაბამის დონეს მოითხოვს, კიდევ უფრო ძნელად მისაწვდომი აღმოჩნდა ახლანდელი ბავშვებისათვის. ჩვენი ბავშვები უფრო ახლო მოტივაციურები გახდნენ. აქსელერაცია არათუ არ შეეხო მათი ნებისყოფის განვითარების სფეროს, არამედ, პირიქით, ნებისყოფითი ქცევის უნარი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შესამჩნევად შემცირდა. ჩვენი შედეგების მიხედვით, ექსპერიმენტულად შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ნებისყოფის განვითარებაში, განსხვავებით გონებრივი განვითარებისაგან, თავი იჩინა აქსელერაციის საწინააღმდეგო ტენდენციამ - რეტარდაციამ.

ჭარბმა და მზამზარეულმა ინფორმაციამ, შინაარსით და ფორმით საკმაოდ ჭრელმა პრესამ, აღმზრდელობითი თვალსაზრისით მეტად მწირმა და არცთუ ისე ჯანსაღმა სატელევიზიო გადაცემებმა, თამაშის, სწავლის და შრომის პროცესების ტოტალურმა კომპიუტერიზაციამ, რამდენადაც განავითარა ჩვენი მოზარდების თვალსაწიერი და გააფართოვა მათი მრავალმხრივი ინტერესების სფერო, იმდენად შეასუსტა და შეზღუდა ჯანსაღი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის საჭირო დამოუკიდებელი აქტივობისა და ნებისყოფითი ძალისხმევის უნარი. აწმყოზე ორიენტაციის გარკვეული აქტივაციის ფონზე შესუსტდა ხვალინდელ დღეზე, მომავალზე ფიქრი და ზრუნვა. უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მოთხოვნილებისა და მოხმარების სუბიექტის, ე.ი. ახლო მოტივაციური ქცევის სუბიექტის ფორმირებისათვის და გაცილებით არახელსაყრელი - წარმოების, სწავლის, შრომის ანუ შორეული მოტივაციური ბუნების მქონე ნებისყოფითი ქცევის სუბიექტის ფორმირება-ჩამოყალიბებისათვის, რამაც ასახვა ჰპოვა მოსწავლეთა სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ პრობლემებშიც.

საკვანძო სიტყვები: *აქსელერაცია, გონებრივი განვითარება, მოთხოვნილება, ნებისყოფა, რეტარდაცია, სწავლა, შორეული მოტივაციური ქცევა*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნოდარი. (1995): შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, გამომცემლობა „აჭარა„, ბათუმი.
2. ბარამიძე ნოდარი. (2008): აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი„, ბათუმი.
3. ზარანდია მელენტი. (1985): ბავშვის გავითარების აქსელერაციის კანონზომიერებანი, გამომცემლობა „მეცნიერება„, თბილისი.
4. უზნაძე დიმიტრი. (1996): დაჯგუფების ცდები სკოლის წინარე ასაკში, მეცნიერებათა აკადე-

მიის გამომცემლობა, შრომები, ტ. I, თბილისი, გვ. 57-88.
5. ჩხარტიშვილი შალვა. (1980): ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები, გამომცემლობა „განათლება„, თბილისი

NODAR BARAMIDZE
Batumi Shota Rustaveli State University

ACCELERATION AND MOTIVATIONAL FACTORS OF LEARNING

Abstract

In the opinion of the author, the intellectual aspect of learning activities of pupils is in the desired condition, because of acceleration. Which we can't say on the side of permission. Based on the analysis of his/her own experimental data, the author proves that in the development of willpower was shown the tendency towards acceleration named as – retardation, which reflected in psychological problems related to the studying process of pupils. And it's unlike mental development.
Keywords: acceleration, mental development, need, willpower, retardation, learn, distant motivational behavior.

მერაბ მაღრაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლის მოტივაციის ზოგიერთი საკითხი განწყობის დინამიკური სტრუქტურის მოდელის თვალსაზრისით

განწყობის დინამიკური სტრუქტურის მოდელი დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის ორიგინალური განშტოებაა. მისი ავტორი, უზნაძის მეცნიერული სკოლის წარმომადგენელი, შალვა ჩხარტიშვილი, განწყობას განიხილავს სუბიექტის მუდმივად ცვალებადი და მოდიფიცირებადი მდგომარეობის სახით (ჩხარტიშვილი, შ., 1975), ხოლო თეორიის კლასიკურ ვარიანტში (სტატიკური მოდელში) განწყობა ქცევისთვის ისეთ მზაობადაა წარმოდგენილი, რომელიც მისი დაწყებიდან დამთავრებამდე უცვლელად ინარჩუნებს თავის სტრუქტურას. თეორიის განვითარების ეს ვექტორი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო ხანებში, როდესაც განწყობის ფსიქოლოგიის რამოდენიმე პრობლემურ საკითხზე პასუხის მოძებნა მისი გათვალისწინებით იქნა ნაცადი (იმედაძე ი., 2013, ვახანია ზ., 2010, ბარამიძე ნ., 2007 და სხვ.). ამ კვლევებმა რამდენადმე შეავსო და დააზუსტა საკუთრივ დინამიკური მოდელი. ჩვენი საკითხის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ განწყობის სტრუქტურა, როგორც ამ კვლევებში გამოიკვეთა, დინამიკურად იცვლება, არა მხოლოდ სიტუაციის, არამედ ქცევის მოტივის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებათა მიხედვითაც. ჩვენი მიზანია სწავლის მოტივაციის ამ თვალსაზრისით დახასიათება, მაგრამ ჯერ ზოგად ხაზებში აღწეროთ, თუ როგორ ახასიათებს დინამიკური მოდელი ადამიანის საქმიანობას მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში:

1) ადამიანი იბადება აქტიურობის მუდმივი განწყობით, რომელიც უწყვეტად მოქმედებს მისი სიცოცხლის დასასრულამდე. ამ უწყვეტი აქტიურობის პროცესში, იგი ცვალებად გარემოებათა შესაბამისად მოდიფიცირდება და ყოველთვის რომელიმე კონკრეტული ქცევის განწყობად წარმოსდგება.

2) ამა თუ იმ კონკრეტული ქცევისთვის მუდმივად აქტუალური განწყობის დაყალიბება, როგორც წესი, იწყება მოთხოვნილების განცდით. ეს უკანასკნელი, როგორც ფსიქიკური პროცესი, ხორციელდება მუდმივად აქტიური განწყობის მიერ და სიტუაციასთან ერთად, რომლის გან-

ცდაც განწყობის ასეთივე მოქმედების გზით ყალიბდება, საფუძვლად ედება მისსავე მოდიფიკაციას სათანადო ქცევის განწყობად. მუდმივად აქტუალური განწყობის კონკრეტული ქცევის განწყობად დაყალიბებაში ერთდრულიად ადამიანის მრავალი მოთხოვნილება მონაწილეობს.

3) ქცევის დასაწყისში განწყობა დაყალიბებულია მხოლოდ ზოგად ხაზებში, რითაც გარკვეულია, თუ რა მიმართულებით წარიმართება ქცევა. ამ უკანასკნელის მიმდინარეობის მანძილზე სიტუაცია პერმანენტულად იცვლება, რაც აისახება განწყობაში და თავისებურად ცვლის მის სტრუქტურას. ასევე ცვალებადია მოტივის სტრუქტურაც, რაც მასში შემავალ მოთხოვნილებათა დინამიკით განისაზღვრება: ზოგი მოთხოვნილება გზადაგზა კმაყოფილდება და აღიკვეთება (ან სუსტდება), ზოგი ძლიერდება ან პირველად აქტივირდება, შეიძლება ქცევის დინამიკასთან დაკავშირებული სხვა ძალებიც (თუკი ასეთთა არსებობას დავუშვებთ, – იხ. ქვემოთ) ჩაერთოს საქმეში და ა.შ. თავისი ფაქტორების ასეთი ცვალებადობის შედეგად, განწყობა დინამიკურად იცვლება ქცევის წამოწყებიდან მის დასრულებამდე.

განვიხილოთ სწავლის მოტივაცია ქცევის ამ მოდელის თვალსაზრისით. განწყობის ფსიქოლოგიაში სწავლა განიხილება თამაშსა და შრომას შორის გარდამავლ ქცევად, რომელიც, თავისი მოტივაციური სტრუქტურის მიხედვით, ორივეს ბუნებას იზიარებს. თამაში, ქცევის ფორმათა უზნაძისეული კლასიფიკაციით (უზნაძე დ., 1967), ინტროგენური (ფუნქციონალური მოთხოვნილებებით აღძრული), შრომა კი ექსტეროგენური (სუბსტანციური მოთხოვნილებებით აღძრული) ქცევაა. სწავლა, დ. უზნაძის თანახმად, ნაწილობრივ ინტროგენური ქცევაა, რადგან მისი განწყობის ფორმირების ერთ-ერთი სუბიექტური ფაქტორი მოსწავლის ფსიქიკური და ფიზიკური ფუნქციების აქტივაციასთან დაკავშირებული მოთხოვნილებებია. ამით სწავლა თამაშის ბუნებას იზიარებს. მაგრამ სწავლა მხოლოდ აქტივობისთვის არ ხორციელდება. სწავლის სუბიექტი, დასაუფლებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, სათანადო პროდუქტიულ მიზანზეა მიმართული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი განწყობის დაყალიბებაში სუბსტანციონალურ მოთხოვნილებათა განცდაც მონაწილეობს. ამით სწავლა შრომის ბუნებას იზიარებს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწავლის ასეთი დახასიათებით ავტორი წინააღმდეგობაში მოდის ქცევის მოტივის თავისივე კონცეფციასთან, რომლის მიხედვითაც ქცევასა და მოტივს შორის ცალსახა ურთიერთშესატყვისობა არსებობს და რამდენიცაა მოტივი, იმდენივეა ქცევაც (უზანაძე დ., 1998: 210). ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია. უზნაძის მიერ სწავლის ორგანიზებაში ორივე კატეგორიის მოთხოვნილებათა მონაწილეობის მტკიცება იმას გვიჩვენებს, რომ მოთხოვნილება და მოტივი მისთვის ერთი და იგივე არაა და მას შესაძლებლად მიაჩნია ერთდროულად მრავალი მოთხოვნილების მონაწილეობა მოტივის სტრუქტურის ფორმირებაში. ამ მოვლენას, თანამედროვე ფსიქოლოგიაში პოლიმოტივაციას უწოდებენ. მას, განწყობის თეორიის შუქზე, აქტიურად იკვლევს ირაკლი იმედაძე (იმედაძე ი., 2013). იგი, დამკვიდრებული ტრადიციის გათვალისწინებით, პოლიმოტივაციის ტერმინს იყენებს, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, თითქოს ქცევას ერთდროულად მრავალი მოტივი ედოს საფუძვლად, არამედ სწორედ მოტივის სტრუქტურის პოლიმოთხოვნილებისეულობის მნიშვნელობით.

ქცევები, მოტივაციური თვალსაზრისით, ერთიმეორისგან განსხვავდება არა მხოლოდ ინტროგენურობა-ექსტეროგენურობის ნიშნით, არამედ მათი ფსიქიკური რეგულაციის სირთულის დონის მიხედვითაც, რაც იმით განისაზღვება, მონაწილეობს თუ არა ქცევის ორგანიზებაში ცნობიერება. ამ ნიშნით ერთიმეორისგან განასხვავებენ იმპულსურ და ნებისმიერ ქცევებს. დ. უზნაძის თანახმად, იმპულსური ქცევა ცნობიერი დაგეგმვა-გადაწყვეტის გარეშე მიმდინარეობს და მის განწყობას უშუალოდ აქტუალური მოთხოვნილება აყალიბებს. ცხოველის ქცევათა რეპერტუარი ასეთი ქცევებით ამოიწურება, ადამიანი კი მხოლოდ მარტივ სიტუაციებში მოქმედებს ამ დონეზე. რაც შეეხება ნებისმიერ ქცევას, რომლის განწყობაც ცნობიერად მიღებული გადაწყვეტილებით იქმნება, ავტორის თანახმად, მისი აღმძვრელია არა აქტუალური მოთხოვნილება, არამედ სულ სხვა რამ, რაც ზოგჯერ უპირისპირდება კიდეც აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს.

ამ სხვა ძალის (აქტუალური მოთხოვნილების ძალისგან განსხვავებულის) რაგვარობის საკითხი განწყობის ფსიქოლოგიის სივრცეში დღესაც პოლემიკის საგანია (იხ. მაგალითად, ბარა-

მიძე ნ., 2007 და იმედაძე ი., 2013). დ. უზნაძე ამ ძალას პიროვნების ზოგად მოთხოვნილებებში ხედავს. პიროვნება, როგორც ნებისმიერი ქცევის სუბიექტი, ცნობიერად ეძებს ქცევის ყველაზე გამართლებულ ვარიანტს, რის შედეგადაც თეორიულად მოინახება მომავალი ქცევის განწყობა. მაგრამ ამ განწყობას, როგორც თეორიულ კონსტრუქციას ქცევის რეალურად გამოწვევის ძალა არ აქვს. იმისათვის, რომ იგი რეალურ ძალად იქნას განცდილი, პიროვნება, ნებელობის აქტით, მას ჩართავს თავის ზოგად მოთხოვნილებათა სისტემაში. ნებისმიერი ქცევის განწყობა ქცევის მიღებისა და წარმართვისათვის საჭირო ენერგიას, დ. უზნაძის აზრით, პიროვნების ზოგადი მოთხოვნილებებიდან იძენს.

შ. ჩხარტიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოთხოვნილება, როგორც ქცევის აღმძვრელი ძალა, მხოლოდ აქტუალურად მიმდინარე პროცესია. იზიარებს რა დ. უზნაძის დებულებას, რომ ნებისმიერ ქცევას აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი არ წარმართავს, იგი მოთხოვნილების ენერგეტიკაზე დამყარებულ ყველა ქცევას იმპულსურად მიიჩნევს, იმის მიუხედავად, თუ რა დონისაა ეს მოთხოვნილება და რამდენად ცნობიერადაა დაგეგმილი და გადაწყვეტილი ქცევის განხორციელება. ავტორის თანახმად, ნებისმიერ ქცევას თავისი სპეციფიკური მამოძრავებელი წყარო აქვს, ნებისყოფის სახით.

ნებისყოფის დამოუკიდებელ ძალად აღიარება საჭიროებს იმის ჩვენებას, თუ საიდან წარმოდგება იგი. ამის გარეშე ნებისყოფის ცნება მისტიკურ შინაარსს იღებს, რის გამოც თანამედროვე ფსიქოლოგიის ბევრი მიმართულება მას საერთოდ აღარ ახსენებს. ნებისყოფის ძალის წარმომავლობის საკითხს ჩხარტიშვილი საგანებოდ არ განიხილავს. იგი მხოლოდ ზოგადად მიუთითებს, რომ ნებისყოფა ადამიანის ბუნებაში მეტი თუ ნაკლები სიმკვიდრით ჩამჯადრი დისპოზიციაა, რომელიც ნებელობის პროცესებში (გადაწყვეტილებებში, განზრახვებში და სხვ.) ვლინდება (ჩხარტიშვილი, შ., 1974: 213). ეს თითქოს გასაგებს ხდის იმას, თუ საიდან წარმოდგება ნებისყოფის ძალა და აქარწყლებს მისი მისტიკურობის შთაბეჭდილებას. სამწუხაროდ, ჩხარტიშვილის ეს დებულება ჯერ კიდევ არ გამხდარა საგანგებო მსჯელობის საგანი არც მისი პოზიციის დამცველებთან (ბარამიძე, ნ., 2007) და არც მის ოპონენტებთან (იმედაძე, ი., 2013; ვახანია, ზ. 2010).

ი. იმედაძე ყოველგვარი ქცევის აღმძვრელად მხოლოდ მოთხოვნილებას, როგორც აქტუალურად მიმდინარე პროცესს, მიიჩნევს. ავტორი ქცევის პოლიმოტივირებულობისა და განწყობის დინამიკური ცვალებადობის დებულებებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ქცევის მოტივაციის პროცესის შესწავლაში მთავარია არა მისი ენერგეტიკული წყაროს ძიება (რაც ისედაც გარკვეულია), ანუ ენერგეტიკული პარადიგმა, არამედ მოთხოვნილებების, როგორც ქცევის ენერგიის ერთადერთი წყაროს, სუბიექტისმიერი რეგულაციის პროცესში გარკვევა, ანუ რეგულაციური პარადიგმა. ი. იმედაძის აზრით, ნებისმიერი ქცევის სპეციფიკური ნიშანი ის კი არაა, რომ იგი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს არ ემყარება (როგორც უზნაძე და ჩხარტიშვილი ფიქრობენ), არამედ ის, რომ ამ დროს პიროვნება შეგნებულად ააქტიურებს საჭიროდ მიჩნეული ქცევის შესატყვის მოთხოვნილებებს. აღმძვრელი ფაქტორების გამრავალფეროვნება-გაძლიერებით პიროვნება ზრდის ქცევის სუბიექტურ ღირებულებას, რასაც ავტორი „სუბიექტივაცია„-ს უწოდებს. სუბიექტივაცია საშუალებას აძლევს პიროვნებას დაძლიოს ქცევის წამოწყებასთან, ან გაგრძელებასთან, დაკავშირებული სუბიექტური წინააღმდეგობები და თვითრეგულაციის გზით წამოიწყოს და ბოლომდე მიიყვანოს იგი (იმედაძე ი., 2013: 23).

ნებისმიერი ქცევის სამივე აქ მოყვანილ კონცეფციას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელთა დეტალურ ანალიზსაც ამჯერად გვერდს ვუვლით. ჩვენი საკითხის განხილვის კონტექსტში მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას. საკითხი, როგორც ითქვა, ეხება სწავლის მოტივის სტრუქტურის დინამიკურ ცვალებადობას, კონკრეტული სასწავლო აქტივობის წამოწყებიდან მის დამთავრებამდე. ის, რომ ასეთ ცვალებადობას ყოველგვარ ქცევაში აქვს ადგილი და ის, რომ სწავლა ნამდვილად პილიმოტივირებული ქცევაა, როგორც ითქვა, განწყობის ფსიქოლოგიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე საკმარისად დასაბუთებულია.

საკითხის ანალიზისთვის მოვუხმოთ კონკრეტულ მაგალითს: მოსწავლე დგას არჩევანის წინაშე, ჩაუჯდეს დავალებული ალგებრული განტოლებების ამოხსანას (რაც ძალიან ეზარება), თუ წავიდეს ამხანაგებთან ბურთის სათამაშოდ (რაც ძალიან იზიდავს). შესაძლო ალტერნატივა-

თა ინტელექტუალური შეფასება მას უჩვენებს, რომ დავალების შესრულებას მეტი ობიეტური ღირებულება აქვს, ვიდრე თამაშს. ამრიგად, მოცემული კონკრეტული სასწავლო ქცევის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელებისთვის საჭირო განწყობა თეორიულად უკვე მოძებნილია. მაგრამ მას, როგორც მხოლოდ თეორიულ კონსტრუქციას, ჯერ ქცევის გამოწვევის ძალა არ აქვს. ამისთვის საჭიროა მისი დაკავშირება რაიმე ენერგეტიკულ წყაროსთან, ანუ ნებელობის აქტის განხორციელება. მაგრამ რაში გამოიხატება ეს აქტი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში? დ. უზნაძის კონცეფციიდან გამომდინარე, მოსწავლე განტოლებებზე მუშაობის გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ მოახრხებს თეორიულად მონახული განწყობის დაკავშირებას საერთოდ მისთვის დამახასიათებელ (ანუ ზოგად) მოთხოვნლებებთან.

ზოგად მოთხოვნილებას რომ ქცევის მამოძრავებელი წყაროს როლის შესრულება არ შეუძლია, ეს არგუმენტირებულად აქვს დასაბუთებული შ. ჩხარტიშვილს, რასაც მრავალი მკვლევარი ეთანხმება. ჩვენს მაგალითში სწავლის გადაწყვეტილების მიღებას ჩხარტიშვილი ასე განმარტავდა: რაკი მოსწავლე ხედავს დავალების შესრულების ობიექტურ ღირებულებას, იგი ნებისყოფის ძალით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ანუ განეწყობა მოცემული კონკრეტული სასწავლო ქცევის განსახორციელებლად. თუ იგი ამ გადაწყვეტლებას ვერ მიიღებს, ან შუა გზაზე შეცვლის მას და თამაშის ქცევაზე გადაინაცვლებს, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ მას სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, ან მისი რეალიზაციის საქმის ბოლომდე მისაყვანად, საჭირო ნებისყოფის ძალა არ აღმოაჩნდა. გადაწყეტილების შეცვლას ჩხარტიშვილი განწყობის სტრუქტურის დინამიკურ ცვალებადობასთან არ აკავშირებს, რადგან დინამიკური მოდელი მან მხოლოდ განწყობის სიტუაციურ ფაქტორთან მიმართებაში განიხილა. მოტივაციურ ფაქტორთან მიმარებაში იგი რჩება იმ პოზიციაზე, რომ ყოველ ცალკეულ მოთხოვნილებას, ან სხვა დინამიკურ ფაქტორს, ცალკე ქცევა შეესაბამება. გამოდის, რომ გადაწყეტილების შეცვლის დროს, იცვლება არა განწყობის სტრუქტურა, არამედ ხდება ერთი ქცევის განწყობის ბლოკირება და მეორე ქცევის განწყობით მისი ჩანაცვლება. განწყობათა ურთიერთმონაცვლეობის ასეთი დახასიათება კი მისსავე დინამიკურ მოდელს არ შეესაბამება.

ი. იმედაძე, როგორც ითქვა, ყოველგვარი ქცევის აღმძვრელად მიიჩნევს მოთხოვნილებას. ამ უკანასკნელს კი აღნიშნული ფუნქციის შესრულება შეუძლია იმდენად, რამდენადაც იგი ყოველთვის აქტუალურად მიმდინარე ფსიქიკური პროცესია. საკითხავია, თუ როგორ შეიძლება მოხერხდეს მოთხოვნილების პროცესის (რომელიც რაიმეს ნდომის, მისკენ ლტოლვის და მისწარაფების სახით განიცდება) ჩართვა იმ სიტუაციაში, რომელიც ჩვენს მაგალითშია აღწერილი: მოსწავლეს ძალზე ეზარება განტოლებებზე მუშაობა, მაგრამ მაინც ახერხებს ამას. ნებისყოფაზე აპელირება, რასაც ჩხარტიშვილი აკეთებს და რაც სრულიად ბუნებრივ გადაწყვეტად მოჩანს იმის გათვალისწინებით, რომ ნებელობის აქტი ფენომენურად სწორედ ნებისყოფის გამოვლენად განიცდება, იმედაძეს არ აკმაყოფილებს, ერთი მხრივ, ნებისყოფის უნარის წარმომავლობის დაუზუსტებლობის და მეორე მხრივ, საკითხის ობიექტურად გადაჭრისთვის ფენომენოლოგიური არგუმენტის არასაკმარისობის გამო.

იმედაძის კონცეფციიდან გამომდინარე, მოსწავლე იმის მეშვეობით ახერხებს მეცადინეობის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებას, რომ თვითრეგულაციის გზით ახდენს ისეთ მოთხოვნილებათა აქტუალიზაციას, რომლებსაც ქცევითი ამოცანის შესრულება დააკმაყოფილებს. ჩვენს მაგალითში, რაკი მოსწავლეს დავალების შესრულების ჰომოგენური მოტივაცია არ აქვს, სწავლის გადაწყვეტილების სუბიექტური ღირებულების გაზრდა (მისი სუბიექტივაცია) უნდა მოხდეს სწავლისადმი გარეგან (ჰეტეროგენულ) მოთხოვნილებათა (მიღწევის, აფილაციის, მოსალოდნელი ჯილდოს ან სასურველი შეფასების მიღების და სხვ.) აქტუალიზაციის გზით. თუ მათი ძალით, მოსწავლე კონკრტული სასწავლო დავალების სუბიექტური ღირებულების იმდენად გაძლიერებას მოახერხებს, რამდენიც საჭიროა სხვა მიმართულებით მოქმედი აღმძვრელების დასაძლევად, იგი განეწყობა კიდეც შესაბამისი ქცევისათვის.

ქცევის მიმდინარეობის მანძილზე მისი სუბიექტური ღირებულება დინამიკურად იცვლება, რაც იმას უკავშირდება, რომ მასში შემავალ მოთხოვნილებათა ნაწილი ძლიერდება. აქვე აქტივირდება და საქმეში ჩაერთვის ახალი მოთხოვნილებები. ხოლო მოთხოვნილებათა ნაწილი სუს-

ტდება, ან საერთოდ კარგავს ძალას. განსახილველ მაგალითში, თუ მოსწავლემ განტოლებათა ამოხსნის გადაწყვეტილების მიღებიღებისთვის საჭირო ძალებში როგორღაც ინტელექტუალური აქტივობის ფუნქციონალური მოთხოვნილების ჩართვა მოახერხა, აქტივობის დასაწყისში ეს მოთხოვნილება შეიძლება ისე გაძლიერდეს, რომ ქცევა მთლიანად მან წაიყვანოს, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი მუხტი შესუსტდება და საბოლოოდ სრულიად ჩაქრება. სამაგიროდ სუბიექტი გააძლიერებს სხვა აღმძვრელებს და მაინც დაასრულებს დაწყებულ საქმეს. ავტორი თავადვე აღიარებს, რომ ამ კონცეფციაში და საერთოდ თვითრეგულაციის ყველა თეორიაში, ჯერ კიდევ ბევრი რამაა დასაზუსტებელი. უპირველესი სირთულე, ჩვენი აზრით, აქ ისაა, რომ თვითრეგულაციასაც თავისი ენერგია ესაჭიროება. როდესაც ენერგიის ერთადერთ წყაროდ მოთხოვნილებებია მიჩნეული, გასარკვევი ხდება, თუ რანაირად გამოიყენება მათი ენერგია, მათივე მართვისა და რეგულირების საქმეში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კონკრეტული სასწავლო ქცევისთვის განწყობილი სუბიექტი გამუდმებით ახდენს თავისი განწყობის როგორც სიტუაციური ფაქტორის, ასევე მოტივაციური ფაქტორის ცვალებადობის მონიტორინგს და შესაბამისი ცვლილებები შეაქვს მათ სტრუქტურაში. მოტივაციური ფაქტორის ცვალებადობა, ყველაზე უკეთ, ი. იმედაძის მიერ შემოთავაზებული სუბიექტივაციის ცნების და თვითრეგულაციის მოდელის გათვალისწინებით აღიწერება. მაგრამ, როგორც ავტორი თვითონვე მიუთითებს, თვითრეგულაცის ხერხებისა და სტრატეგიების რეალური ფსიქოლოგიური მექანიზმები თანამედროვე ფსიქოლოგიაში ჯერ კიდევ ნაკლებადაა გარკვეული. ჩნდება აზრი, რომ ეს სირთულე და გაურკვევლობა შესაძლოა ნაწილობრივ იმის ბრალიცაა, რომ დღეისათვის დაწინაურებულმა ზოგიერთმა ფსიქოლოგიურმა მიმდინარეობამ (მაგალითად, კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ), თავისი მეცნიერული არსენალიდან საერთოდ გააძევა ნებისყოფის ცნება. ვფიქრობთ, თუ მოინახება ნებისყოფის, როგორც ენერგიის მოთხოვნილებისგან დამოუკიდებელი წყაროს, წარმომავლობის საკითხის ისეთი გადაჭრა, რომელიც კარდინალურად განსვავებული იქნება ვოლუნტარისტული თეორიებისგან, სადაც ნებისყოფა ადამიანის ზებუნებრივ უნარადაა მიჩნეული, თვითრეგულაციის მექანიზმებში გარკვევა საკმაოდ გაადვილდება. განწყობის ფსიქოლოგიისთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ მეცნიერულ სისტემაში ნებისყოფის ცნებას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს და მისი კვლევის დიდი გამოცდილებაა დაგროვილი.

***საკვანძო სიტყვები*:** ქცევა, მოთხოვნილება, პოლიმოტივაცია, სუბიექტივაცია, ნებისყოფა.

ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნოდარ (2007): „მე მინდა„ და „მე უნდა„ განცდების ადგილისათვის ნებისყოფის სტრუქტურაში. // საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, N 1. გვ. 33 – 42
2. ვახანია ზურაბ (2010): განწყობის ცნების განსაზღვრება შ. ჩხარტიშვილის ნააზრევზე დაფუძნებით. // ფსიქოლოგია, ტომი XXII. გვ. 84 – 117
3. იმედაძე ირაკლი (2013): გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში. //გამომცემლობა arpe qiem, თბილისი.
4. უზნაძე დიმიტრი (1998): ზოგადი ფსიქოლოგია. // გამომცემლობა „აღმაშენებელი„, თბილისი.
5. უზნაძე დიმიტრი (1967): შრომები, ტომი V. // გამოცემლობა „მეცნიერება„, თბილისი
6. ჩხარტიშვილი შალვა (1974): აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. // თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
7. ჩხარტიშვილი შალვა (1975): განწყობა და ცნობიერება. // გამომცემლობა „მეცნიერება„, თბილისი

MERAB MAGHRADZE
Akaki Tsereteli State University

SEVERAL ASPECTS OF LEARNING MOTIVATION IN THE LIGHT OF A DYNAMIC STRUCTURE SET MODEL

Abstract

According to dynamic model the subject, oriented towards specific learning behavior, during the learning activity is permanently monitoring changes in motivation and situation factors of set and makes appropriate changes in its structure. This process is well described according to self-regulation model offered by I. Imedadze, where the author bases these changes on the notions of subjectivation and poly-motivation. But as the author indicates, psychological mechanisms of self-regulation tools and strategies are not completely studied yet. We think that the main obstacle here lies in uncertainty regarding role of willpower in regulation of behavior: psychology is still unable to clearly answer the question if it is possible to consider the willpower as independent power. Finding evident answer to this question will make description of self-regulation mechanisms significantly easier.

Keywords: behavior, demand, poly-motivation, subjectivation, volution.

ნინო კოსტავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტრენინგი, როგორც სწავლების მეთოდი

ტრენინგი არის ინგლისური წარმოშობის სიტყვა და ქართულად ნიშნავს სწავლებას. იგი გამოიყენება იმ მიზნით, რომ პიროვნებამ მიიღოს არა მხოლოდ ახალი ინფორმაცია, არამედ მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში. ტრენინგის პროცესში მასში მონაწილე პერსონალს უვითარდება უნარ-ჩვევები და დამოკიდებულება განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებით.

ტრენინგების პრაქტიკაში დანერგვა პირველად დაიწყო დეილ კარნეგმა. მან 1912 წელს დაარსა ცენტრი - ale Carnegie Training. ტრენინგ ჯგუფის კვლევის ისტორია დაიწყო მეოცე საუკუნის 30-იან წლებში სოციალურმა ფსიქოლოგმა კურტ ლევინმა. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პიროვნების უკეთესობისკენ ცვლა უფრო ეფექტური იყო ჯგუფებში მუშაობის დროს. მისი მუშაობა 1948-1951 წლებში გახდა კლასიკური და მისი იდეა - სხვისი თვალით შევხედოთ საკუთარ თავს, გახდა ტრენინგ ჯგუფში მუშაობის ქვაკუთხედი. ლევინის ასეთ მიდგომას დაერქვა თვისებრივი კვლევა. მის მიერ ჩამოყალიბებული ტრენინგ ჯგუფები მიმართული იყო კომუნიკაციური უნარების ამაღლებაზე. 1954 წელს ჩამოყალიბდა ჯგუფებიც, რომელიც ორიენტირებული იყო ადამიანის ცხოვრებისეული ღირებულებების გამოვლენაზე, იდენტობის განვითარებაზე, პიროვნულ თვითგამოკვლევაზე. ასეთ ჯგუფებს სენზიტიური ჯგუფები ეწოდა.

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ჰუმანისტი ფსიქოლოგის, **კარლ როჯერსის** თეორიამ გავლენა მოახდინა ტრენინგების მიმართულებებზე, გაჩნდა სოციალური და ცხოვრებისეული უნარების ტრენინგები. ეს ტრენინგები გამოიყენებოდა მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისთვის, კონსულტანტებისთვის, მენეჯერებისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ლაიფციგისა და იენის უნივერსიტეტებში მანფრედ ფორვერგის ხელმძღვანელობით კი შემუშავებული იქნა მეთოდი სოციალურ- ფსიქოლოგიური ტრენინგების სახელწოდებით, ტრენინგი მიმდინარეობდა როლური თამაშების მეთოდებით, რომლის მეშვეობით ხდებოდა ეფექტიანი კომუნიკაცია. ზოგადად ტრენინგის მსვლელობისას გამოიყე-

ნება სხვადასხვა მეთოდი, რაც ხელს უწყობს ტრენინგის მონაწილეთა დაინტერესებას და ყურადღების კონცენტრაციას.

ისმის კითხვა, რა არის ტრენინგი? ტრენინგი არის აქტიური სწავლების მეთოდი, რომელიც მიმართულია ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების განვითარებაზე და დროის მცირე მონაკვეთში ახდენს უამრავი სიახლის, კონცეფციისა და სტრატეგიის გაცნობა-გათავისებას. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, **ტრენინგი არის სწავლება-სწავლის ფორმა, რომლის ფარგლებშიც ხდება აზრებისა და გამოცდილების ღია და ფართო ურთიერთგაცვლა, აქტიური და ცოცხალი ურთიერთთანამშრომლობა, რომლის მონაწილეებიც (მწვრთნელები და მსმენელები), თავიანთ პროფესიულ გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით, ერთად მსჯელობენ, აანალიზებენ, განიხილავენ სხვადასხვა აქტუალურ თემასა და პრობლემას, ეძებენ გამოსავალს, ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს, გამოაქვთ დასკვნები და ა.შ.**

ტრენინგს წარმართავს ჯგუფის წამყვანი/მწვრთვნელი. იგი წარმართავს და აკონტროლებს ჯგუფის მუშაობას. ყოველ ტრენინგს გააჩნია კონკრეტული მიზანი, რომელსაც მწვრთნელი აყალიბებს. მიზანი ფორმულირდება იმის მიხედვით, თუ ვისთვის და რა შედეგების მისაღებად ტარდება იგი. ტრენინგის წარმატებით ჩატარებას განაპირობებს სწორად შედგენილი ტრენინგ-გეგმა, ყოველი დღის სწორი მენეჯმენტი, წინასწარ განსაზღვრული თემატიკა (რომელიც აქტიური უნდა იყოს) და ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც მოხდება ამ თემატიკის მიწოდება. ყოველივე ეს ისე უნდა დაიგეგმოს, რომ შემჭიდროვებულ ვადაში მსმენელთათვის, შეძლებისდაგვარად, ამომწურავად იყოს მიწოდებული.

ტრენინგის წარმართვაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს აქტიური სავარჯიშოები, რომელსაც სხვაგვარად ,,მოთელვასაც„ უწოდებენ. მისი მიზანი, ერთი მხრივ, განმუხტვა, გონებრივი სამუშაოს შემდეგ ფიზიკური შესვენებაა, მეორე მხრივ, არც თუ იშვიათად, მას შინაარსობრივი დატვირთვაც აქვს. მისი სწორად და მოქნილად ჩართვა-გამოყენება ტრენერს საშუალებას აძლევს, წარმართოს მთელი დღე და დაეხმაროს მსმენელს თვითდამკვიდრებაში.

არსებობს ორი სახის მოთელვა: 1. უნივერსალური მოთელვა (შემეცნებითი), რომელიც ხელს უწყობს სასურველი გარემოს, განწყობის შექმნას, რაც მონაწილეებს თვითდამკვიდრებაში, წარმატების მიღწევაში, სტრესის დაძლევაში ეხმარება და ურთიერთობებს უადვილებს); 2. თემატური მოთელვა (კონკრეტული თემის, საგნის სწავლებას უკავშირდება და სწავლის მოტივაციას ზრდის).

პედაგოგიური ტრენინგის ჩატარების მთავარი მახასიათებლები და რესურსებია:

1. კარგად გამოკვეთილი მიზანი;
2. სატრენინგო სამუშაო გეგმის შედგენა;
3. მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრა;
4. ტრენინგის დროზე დაწყება, დამთავრება, შესვენებების რაოდენობა და ხანგრძლივობა;
5. კონკრეტული მითითებების მიცემა;
6. ტრენინგისთვის საჭირო აუდიტორიის და ვიზუალური ინფორმაციის მომზადება;
7. ტრენინგის მონაწილეთათვის ღია და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
8. წინასწარ მომზადებული მასალის დარიგება;
9. არ დაუშვათ ხანგრძლივი განხილვები;
10. სწრაფად გამოავლინეთ მოხალისეები;
11. სწავლების დამხმარე საშუალებების გამოყენება;
12. შეფასების ადეკვატური ფორმების გამოყენება;
13. უკუკავშირი;

ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ტრენინგს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეებია:

- სწავლა კეთების პროცესში;

• ხელს უწყობს საკითხის შესწავლას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

• ზრდის მოტივაციას;

• სახალისოა:

• ხელს უწყობს სოციალური უნარების განვითარებასა და ჩამოყალიბებას;

უარყოფითი მხარეებია:

• შესაძლებელია, ყველა წევრი ვერ გრძნობდეს თავს კომფორტულად ჯგუფში;

• შესაძლებელია, გამოიკვეთოს ლიდერი (ლიდერები), რომელიც წარმართავს პროცესს, რაც ჯგუფის სხვა წევრებს პასიურს ხდის;

• არ გამოდგება დიდი ზომის ჯგუფებისათვის სწავლების მეთოდად;

• სჭირდება დიდი დრო;

• რთულია შეფასების პროცესი.

ტრენინგის მიმდინარეობისას გამოიყენება შეფასების ძირითადი სახეები: თვითშეფასება, ტესტირება და დაკვირვება.

მ. კვიცარიძე დამხმარე სახელმძღვანელოში დამწყები ტრენერებისათვის სვამს კითხვას: როგორი უნდა იყოს ჯგუფის წამყვანი, ტრენერი? რა უნდა იცოდეს მან, როგორ უნდა წაიყვანოს ტრენინგი?

გთავაზობთ ამ კითხვებზე პასუხს მ. კვიცარიძის ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოდან.

ნებისმიერმა წამყვანმა, ტრენერმა, ნელ-ნელა, ცდისა და შეცდომების გზით, ტრენინგის წაყვანის ისეთი საკუთარი სტილი უნდა შეიმუშაოს, რომელიც მის პიროვნულ თვისებებს შეესატყვისება. ის უნდა გახდეს საკუთარი თავის ყველაზე მკაცრი და ამავდროულად კეთილგანწყობილი ოპონენტი და, ამასთან, ჰყავდეს კოლეგები, რომლებისგანაც უკუკავშირს მიიღებს. ის ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ მისი ემოციონალური მოთხოვნილებები არ დაზარალდეს, უნდა ახერხებდეს თავისი ენერგეტიკული და ფსიქოლოგიური დანახარჯების კომპენსირებას. და მაინც, ქცევის რა მოდელებით შეიძლება ვისარგებლოთ, როდესაც ვატარებთ ტრენინგს?

ამ საკითხთან დაკავშირებით მ. კვიცარიძეს მოჰყავს ლიბერმანის, იალომის და მაილსის შეხედულებები ტრენინგის ჩატარების ოთხგანზომილებიან მოდელზე, რომელიც შეიცავს:

• მონაწილეთა ემოციურ სტიმულაციას;

• მონაწილეთა მიმართ პატივისცემის გამოხატვას;

• ინტერპრეტაციების შეთავაზებას;

• ჯგუფური პროცესის სტრუქტურირებას.

1. ემოციური სტიმულაცია - გულისხმობს წამყვანის ისეთ ქცევას, როდესაც ის ჯგუფთან მუშაობისას არ ერიდება საკუთარი გრძნობებისა და შეხედულებების გამოთქმას, აძლევს რა ამით სტიმულს მონაწილეებს, თავადაც გამოთქვან საკუთარი გრძნობები და მოსაზრებები. ქცევის ასეთი სტილის წყალობით, რომლის ძირითადი ფუნქცია ემოციური სტიმულაციაა, ტრენერის ფიგურა ზედმეტად მნიშვნელოვანი და ცენტრალური ხდება, ხოლო ჯგუფის პოტენციალი კი ქვეითდება. თუმცა, გარკვეულ სიტუაციაში და ზოგიერთი მონაწილის მიმართ, ასეთი სტილი შესაძლოა საჭიროც იყოს.

2. მონაწილეთა მიმართ პატივისცემის გამოხატვა - ასეთი ქცევა გულისხმობს ჯგუფის წევრების დაცვას, მათ მიმართ მეგობრული გრძნობების, სიმპათიის გამოხატვას, მხარდაჭერას, აღიარებასა და გამხნევებას. ასეთი ქცევა ეფუძნება წამყვანის პიროვნულ თვისებებს: ჰქონდეს უნარი, მიიღოს მონაწილეები ისეთებად, როგორებიც არიან; იყოს ტოლერანტული და ჰქონდეს მონაწილეთა მიმართ ინტერესი. ტრენინგის წაყვანის ასეთი სტილი პირდაპირ კავშირშია ტრენერის ხასიათთან, მის პიროვნებასთან, რადგანაც ფსევდოინტერესი და ფსევდოპატივისცემა, რომლის დემონსტრირება შესაძლებელია ტექნიკური რეკვიზიტების საშუალებით, ხელს უშლის ტრენერისა და ჯგუფის წევრების ეფექტურ ურთიერთობას.

3. ინტერპრეტაციების შეთავაზება - ეს ისეთი ქცევაა, როდესაც ტრენერი უხსნის მონაწილეებს ჯგუფში მიმდინარე პროცესებს, რათა ისინი უკეთ გაერკვნენ საკუთარი ქცევისა და ჯგუფში მიმდინარე პროცესების არსში. ამ შემთხვევაში წამყვანი ფაქტიურად ასრულებს მშობ-

ლის, პედაგოგის როლს. ტრენერი, რომელიც ზედმეტად იყენებს ქცევის ასეთ სტილს, შესაძლებელია დადგეს საფრთხის წინაშე - ჩაახშოს ჯგუფის ინიციატივა და გადააქციოს ტრენინგი სასწავლო სემინარად.

4. ჯგუფური პროცესის სტრუქტურირება - ეს წაყვანის ისეთი სტილია, როდესაც ტრენერი თვითონ განსაზღვრავს და სთავაზობს ჯგუფს თამაშის წესებს, არეგულირებს ნორმებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის მიზნებთან და მუშაობის სტილთან. სტრუქტურირების მეშვეობით ტრენერი არეგულირებს ჯგუფის სვლის ტემპს და წყვეტს, როდის უნდა შეწყდეს ესა თუ ის მოქმედება; თავად სთავაზობს მსმენელებს, მიიღონ თუ არა მონაწილეობა ამა თუ იმ პროცედურაში. ასეთი ტრენერი მონაწილეთა მიერ აღიქმება როგორც რეჟისორი, რომელიც უშვებს ან წყვეტს გარკვეულ მოქმედებას.

დამწყები ტრენერებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორებს მიჩნიათ, რომ ტრენინგის წაყვანის საკუთარი სტილის გარდა, ტრენერს უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა, კერძოდ:

- ზოგადი წარმოდგენა ჯგუფის დინამიკაზე, რომლის მიღებაც შესაძლებელია პრაქტიკული გზით - ტრენინგზე მონაწილის როლში ყოფნით ან სპეციალური განათლების მიღებით.
- გარკვეული ცოდნა ინდივიდუალური ფსიქოდინამიკის შესახებ, რათა საშუალება ჰქონდეს, გამოიცნოს ჯგუფში მიმდინარე რეაქციები და მოიქცეს ისე, რომ არ დაზარალდეს არც ჯგუფი და არც რომელიმე ცალკეული წევრი.
- სპეციალური ცოდნა, რომელიც საჭიროა ჯგუფის სპეციფიკური მიზნების მისაღწევად.
- სხვადასხვა ჯგუფებში მუშაობის გამოცდილება. ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელსაც ფანტაზია და ინტუიცია ისე აქვს განვითარებული, რომ შეუძლია ჩაატაროს ტრენინგი მხოლოდ სპეციალური ლიტერატურის გაცნობის გზით.

გარდა ცოდნისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტრენერი იყოს განწყობილი:

- შეაფასოს ჯგუფში მიმდინარე მოვლენების მნიშვნელობა, პირველ რიგში, მასში მონაწილე ადამიანებისათვის სარგებლობის მოტანის თვალსაზრისით. მაგრამ თავის თავსაც უნდა ჰკითხოს: - რამდენად მნიშვნელოვანია ეს მისთვის, როგორც წამყვანისთვის?

ტრენერს უნდა ესმოდეს, რომ:

- მისი საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია მის ცოდნაზე და, აგრეთვე, მის შინაგან განწყობაზე ჯგუფის წევრების მიმართ.

ტრენერს უნდა აინტერესებდეს:

- პირველ რიგში, თვითონ მონაწილეები, და, შემდეგ, ის დავალებები და სავარჯიშოები, რომელსაც ისინი ასრულებენ;
- ჯგუფის წევრები და მოახერხოს მათთან კონტაქტის დამყარება.

ტრენერი უნდა იყოს დაინტერესებული:

- გამოავლინოს ჯგუფის წევრების უნარი - თვითონ მიიღონ რაღაც გადაწყვეტილებები;
- არ გაუჩნდეს სურვილი ჯგუფის წევრებით მანიპულირებისა და მათი კონტროლისა.

ტრენერს უნდა ჰქონდეს უნარი:

- გაიხსნას ჯგუფის წინაშე;
- გაუხარდეს სხვისი წარმატება;
- დაიცვას შინაგანი წონასწორობა;
- არ ეშინოდეს აუდიტორიის.
- ტრენინგის ეფექტურობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული ცოდნისა და განწყობების გარდა, ტრენერი ფლობდეს გარკვეულ ტექნიკასაც. მას უნდა შეეძლოს **გამოხატოს:**
  - პატივისცემა და ინტერესი მონაწილეთა მიმართ. **გამოიმუშაოს:**
  - სენსიტიურობა - უნარი, პროგნოზირება გაუკეთო, ჩაწვდე სხვის გრძნობებს, აზრებსა და ქცევას;

- სიმამაცე.

ჰქონდეს:

- ადაპტაციის უნარი;
- ჯგუფში მიმდინარე პროცესების გაგების უნარი;
- ოპტიმისტური დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ.

შეეძლოს:

- ფუნქციებისა და მოვლენების ურთიერთკავშირის გათვალისწინება;
- ავტონომიურობის წახალისება;
- საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაცვა ჯგუფის მოთხოვნილებებისა და ინტერესების შევიწროვების გარეშე.

იყოს:

- ტოლერანტული;
- ზომიერად გულახდილი.
- და ბოლოს, როგორი ეფექტურიც არ უნდა იყოს ტრენერი, ტრენინგის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ გარემოსა და პირობებზე, სადაც ტრენინგი ტარდება. ამიტომ, ტრენერმა წინასწარ უნდა დაათვალიეროს ის ადგილი და დარწმუნდეს, რომ ოთახი, სადაც ტრენინგი ტარდება, არის:
- განათებული;
- განიავებული.

უნდა დარწმუნდეს, რომ:

- ტემპერატურა შესაფერისია;
- კარგი აკუსტიკაა;
- აღჭურვილობა ადგილზეა;
- თვალსაჩინო დამხმარე მასალა სრულადაა;
- სკამები საკმარისია და კარგად არის დაწყობილი;
- საუზმისა და სადილის საკითხი მოგვარებულია.

ტრენინგის დასრულების შემდეგ, ტრენერმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვები:

- მივაღწიე თუ არა დასახულ მიზანს?
- თავიდან რომ ვატარებდე ამ ტრენინგს, რას შევცვლიდი?
- რა მომეწონა ყველაზე მეტად?
- რითი ვარ უკმაყოფილო?
- რა შევიძინე მე თვითონ ამ ტრენინგისაგან?

და ბოლოს, გთავაზობთ საყოველთაოდ აღიარებულ ტრენერის კომპეტენციათა 5 ოქროს წესს:

- ინტერპერსონალური კომუნიკაცია (ეფექტური კომუნიკაცია);
- ჯგუფის მართვა;
- პრეზენტაცია და პუბლიცისტური გამოსვლა;
- ტრენინგის ორგანიზაცია და დაგეგმა;
- პერსონალური და პროფესიული განვითარება.

ვფიქრობთ, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დაეხმარება ტრენერს, მომავალში უკეთ მოამზადოს და ჩაატაროს შემდეგი ტრენინგი.

ლ. ღლონტი, ა. ქიტიაშვილი, ნ. ლაბარტყავა, ც. გვარამაძე 2008 წელს გამოცემულ სახელმძღვანელო წიგნში „სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში„ ტრენინგის ჩატარებასთან დაკავშირებით იძლევიან შემდეგ რეკომენდაციებს:

- ყურადღებით შეარჩიეთ სატრენინგო თემა და ზუსტად განსაზღვრეთ ტრენინგის მიზანი;
- ჩამოაყალიბეთ გეგმა: თემატური და მატერიალურ-ტექნიკური;

- შეადგინეთ სესიის დეტალური გეგმა და მიუთითეთ ტრენინგის მეთოდოლოგია და რესურსები;
- დაგეგმეთ კურსის შინაარსი (სასწავლო პროგრამა);
- განსაზღვრეთ სამუშაო დრო და საჭირო რესურსები; მაქსიმალურად გამოიყენეთ ხელთ არსებული წყაროები და რესურსები;
- გაითვალისწინეთ შემდეგი ფაქტორები: დროის რესურსი; მონაწილეთა (ცოდნის) დონე; ჯგუფის ზომა;
- მოამზადეთ მონაწილეებისათვის საჭირო მასალები;
- შეიმუშავეთ შეფასების სქემა;
- ჯგუფში შეეცადეთ, იმუშაოთ მრავალფეროვნად;
- შეეცადეთ, რომ თქვენი პროგრამა იყოს მოქნილი;
- გამოიყენეთ ჯგუფთან მუშაობის და შეფასების სხვადასხვა მეთოდი;
- დაინტერესეთ მონაწილეები;
- აკონტროლეთ, რომ ჯგუფში რამდენიმე წევრი არ გახდეს დომინანტური;
- ჯგუფში შექმენით დადებითი ატმოსფერო;
- აქცენტი გააკეთეთ იმაზე, რა და როგორ უნდა გააკეთონ მონაწილეებმა;
- ტრენინგი დასრულეთ დადებითი განწყობით;
- დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს მიეცით აზრის გამოთქმის საშუალება.

მიგვაჩნია, რომ ტრენინგის მსვლელობის პროცესში ტრენინგის მონაწილე პიროვნებამ შეიძლება შეიძინოს წარმატებული ცხოვრების რამდენიმე უნარ-ჩვევა, მათ შორის:

- ცხოვრების მიმართულებისა და მიზნების არჩევა: როგორ ვიპოვო საკუთარი თავი და საკუთარი საქმე;
- ეფექტური ადამიანის ცხოვრება: როგორ მივაღწიოთ და დავიპყროთ ახალი მწვერვალები;
- წარმატებული ადამიანი: როგორ გავხდე საკუთარი ცხოვრების შემოქმედი;
- მიღწევის ენერგია: როგორ დავისახოთ მიზნები, რომლის განხორციელებაც გვსურს;
- თქვენი გარემოცვის ფორმირება; მხარდამჭერთა ჯგუფის შექმნა;
- პირადი დროის ორგანიზება: დროის მენეჯმენტი, გაარღვიოს რუტინა და დაიწყოს მეტის მოსწრება;
- გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები ცხოვრებისეული მიზნების ეფექტურად მისაღწევად;

ამრიგად, ტრენინგზე ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, გავერკვეთ ჩვენს მიზნებში და მოტივაციაში და გამოვიყენოთ ცხოვრებაში ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი, 2005 წ.
2. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, აქტივობის ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი, 2011 წ.
3. ბესელია ნ., მეიფარიანი ნ., და სხვა (2004) „ინტერაქტიური სწავლება : რეკომენდაციები პედ. ტრენინგისთვის„ თბილისი , გამ. „ სიესტა„.
4. ლობჟანიძე ს., სწავლების მეთოდები და სტრატეგიები, ჟურნალი „მასწავლებელი„, 2013.
5. სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში, წიგნი მოამზადეს: ლ. ღლონტმა., ა.ქიტიაშვილმა., ნ. ლაბარტყავამ., პასუხისმგებელი რედაქტორი ა. ქიტიაშვილი, თბილისი, 2008.

6. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ., სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016.

NINO KOSTAVA
Akaki Tsereteli State University

TRAINING AS A TEACHING METHOD

Abstract

The importance of the training, skills and attitudes of the personnel involved in the discussion are given in the paper. Principles of foundation and working of the training center are fully reviewed. Reviewed methods of the 20th century psychologists: Dale Carnegie, Karl Rogers, Manfred Forverg about the novelty, concept and introduction of training, the main features and resources of the pedagogical trainings, the advantages and disadvantages are analyzed in the topic. The four-dimensional model of training, five gold rules of trainer competences are reviewed. Recommendations for better training in future are given.

გურამ ჩაგანავა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიგურის მომდევნო ეფექტის კვლევის სიტუაციაში საექსპოზიციო ობიექტებისადმი ღირებულებითი დამოკიდებულების შესწავლის ცდა

1933 წელს გიბსონმა გააკეთა მოხსენება საინტერესო დაკვირვების შესახებ; თუ დიდი ხნის განმავლობაში თვალმოუცილებლად ვუყურებთ მრუდე ხაზს, მაშინ ის გვეჩვენება უფრო ნაკლებ მრუდე ხაზად. ამის გარდა, თუ მრუდე ხაზის ექსპოზიციის შემდეგ ცდისპირს მაშინვე ვუჩვენებთ სწორ ხაზს, მაშინ ეს უკანასკნელი მრუდედ მოგვეჩვენება იმ მიმართულების საპირისპიროდ, რომელიც ახასიათებდა პირველად მრუდე ხაზს (Стивенс,1963:491). სხვა ექსპერიმენტებში გიბსონმა შეისწავლა სწორი ხაზები (წრფე), რომლებიც ქმნიან ბლაგვ კუთხეს. ცდისპირებისადმი მათი წარმოდგენის შემდეგ ისინი ამბობდნენ, რომ სწორი ხაზი მათ ტეხილად ეჩვენებად, ხოლო ბლაგვი კუთხის მაჩვენებელი საპირისპირო იყო პირვანდელ მდგომარეობასთან შედარებით (Стивенс,1963:490).

გიბსონმა (1937), ვერნონმა (1934), გიბსონმა და რადნერმა (1937) მიუთითეს ერთ ეფექტზე. პირველად ცდისპირები აფიქსირებდნენ პირდაპირ ხაზს, რომელიც ოდნავ გადახრილი იყო მკაცრად ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ხაზიდან და შემდეგ მხედველობა გადაჰქონდათ ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ხაზზე. ობიექტურად ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ხაზი მათ იმ მიმართულებით დახრილად ეჩვენებოდათ, რომელიც საწინააღმდეგო იყო პირვანდელი საწყისი ხაზის დახრილობისა (Стивенс,1963:90). მოგვიანებით კელერმა და ვალახმა საკუთარი ექსპრიმენტების საფუძველზე აჩვენეს, რომ ფიგურის მომდევნო ეფექტის არსის გაგებისათვის მთავარია გადანაცვლების ეფექტი (Стивенс,1963:490-491). ი. ბჟალავა კი მიიჩნევდა, რომ ამ ეფექტში დასტურდება განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი კონტრასტული ეფექტი ((ბჟალავა, 1965:240-247; Бжалава, 1966:180-188).

ფიგურის მომდევნო ეფექტის კვლევის დროს ექსპერიმენტატორისათვის გაურკვეველი რჩება საექსპოზიციო ობიექტებისადმი ცდისპირთა ღირებულებითი დამოკიდებულება. ამ საკითხის გარკვევა ცდისპირების მიერ საგანწყობო და კრიტიკული ცდების ობიექტებს შორის უპირატესობის მინიჭების გამოვლენის შემთხვევაშია მოსალოდნელი საექსპოზიციო ობიექტებს შორის არჩევანის შესაძლებლობის დროს.

ჩვენ მიერ დასახული ამოცანის შესასრულებლად შევარჩიეთ გეშტალტფსიქოლოგ კელერისა და მისი ასისტენტის ვალახის მიერ ჩატარებული ფიგურის მომდევნო ეფექტის ექსპერიმენტის პრინციპი (Стивенс,1963:491), რომლის შედეგები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ი. ბჟალავას შეხედულებით არსებითად არ განსხვავდებიან განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში დადასტურებული "კონტრასტის ილუზიის" ეფექტისაგან (ბჟალავა, 1965:240-247; Бжалава, 1966:180-188).

ექსპერიმენტში გამოყენებული იყო ი. ბჟალავას მიერ აღწერილი კელერისა და ვალახის ექსპერიმენტების მსგავსი ექსპერიმენტის პრინციპი. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ საექსპოზიციო ფურცელზე ერთდროულად წარმოდგენილი იყო დიდი და პატარა წრეების (და არა ოთხკუთხედების, როგორც ეს აქვს ი. ბჟალავას) წყვილი ფურცლის ზემო ნაწილში და მათ ქვემოთ ორი პატარა ერთნაირი ზომის წრე. საექსპოზიციო წერტილები არ იყო გამოყენებული. წინასწარ ჩატარებულმა საცდელმა ექსპერიმენტებმა (40 ცდისპირი) გვიჩვენა, რომ კონტრასტულ ილუზიებს ვღებულობდით, როგორც საფიქსაციო წერტილების გამოყენებით (20 ცდისპირი), ისე საფიქსაციო წერტილების გამოყენების გარეშე (20 ცდისპირი). ამ საცდელ ექსპერიმენტებში ცდისპირებს პირველად ვთხოვდით ორი წუთის განმავლობაში (დროს ვაფიქსირებდით წამმზომით) ეყურებინათ დიდ (ცდისპირისათვის მარცხენა მხარეს) და პატარა (ცდისპირისათვის მარჯვენა მხარეს) წრეებს შორის საფიქსაციო წერტილზე და მხოლოდ ამის შემდეგ ეთქვათ, რომელი წრე იყო უფრო დიდი. ამის შემდეგ მათ მხედველობა უნდა გადაეტანათ ფურცლის ქვემო ნაწილში განლაგებულ ორი ტოლი წრის შუა ნაწილში განლაგებულ საფიქსაციო წერტილზე და აღენიშნათ, რომელი წრე იყო უფრო დიდი. ანალოგიურად ტარდებოდა ექსპერიმენტი საფიქსაციო წერტილების გარეშე. ორივე შემთხვევაში ცდისპირთა უმრავლესობა (პირველ შემთხვევაში 15 ცდისპირი ანუ 75%, ხოლო მეორე შემთხვევაში 14 ცდისპირი ანუ 70% ადასტურებდა კონტრასტულ ილუზიას ანუ უპირატესად "დიდად" მიიჩნევდნენ ტოლ ობიექტებს შორის მარჯვნივ განლაგებულ წრეს ე. ი. საგანწყობო დიდი ობიექტის (მარცხენა მხარე) საპირისპიროდ (მარჯვენა მხარეს) განლაგებულ კრიტიკული ცდის ობიექტს.

ცდისპირებს თავიდანვე ვეუბნებოდით, რომ საექსპოზიციო ქაღალდზე ზემოთ განლაგებულია მარცხნივ დიდი და მარჯვნივ პატარა წრეები, ხოლო მათ ქვემოთ კი - ორი ტოლი წრე. ამავე დროს ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ორ განსხვავებულ ობიექტზე პირველად მხედველობის კონცენტრაციის შემდეგ შესაძლებელია ორი ერთნაირი ზომის ობიექტი მათ ოდნავ მაინც განსვავებულად მოეჩვენოს.

ასეთი გაფრთხილება აუცილებელი იყო, რადგან გაფრთხილების გარეშე ცდისპირთა უმრავლესობა ტოლ წრეებზე მხედველობის გადატანის შემთხვევაში ამტკიცებდა, რომ ისინი ორ ტოლ ობიექტს ხედავენ და მათ "არაფერი ეჩვენებათ". ამით კი ისინი თითქოს ამტკიცებდნენ, რომ ისინი არ ტყუვდებიან ექსპერიმენტატორის მცდელობაზე, შეიყვანოს ისინი შეცდომაში.

ამავე დროს ფიგურის მომდევნო ეფექტის კვლევის დროს გამოირკვა, რომ კონტრასტული ილუზიის მიღება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად ექსპერიმენტის ჩატარებისას (საფიქსაციო წერტილის გამოყენების გარეშე: 30 ცდისპირიდან 20-ს ანუ 66,6% აღმოაჩნდა კონტრასტული ილუზია), ისე – ჯგუფურად (საფიქსაციო წერტილის გამოყენების გარეშე: 30 ცდისპირიდან 18-ს ანუ 60 % აღმოაჩნდა კონტრასტული ილუზია). ამრიგად, კონტრასტული ილუზიის გამოვლენის თვალსაზრისით არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ექსპერიმენტი ინდივიდუალურად ჩატარდებოდა თუ ჯგუფურად, ხოლო ექსპერიმენტის სწრაფად ჩატარების მხრივ უპირატესობა ჰქონდა ჯგუფურად ექსპერიმენტის ჩატარებას.

ყოველი ზემოთქმულის გამო ძირითადი ექსპერიმენტი ჩატარდა ჯგუფური მეთოდით, ანუ ცდისპირთა ჯგუფს ერთდროულად ვუჩვენებდით დაფაზე გაკრულ ფურცელს, რომელზეც დატანებული იყო ორი განსხვავებული ზომის წრე და მათ ქვემოთ – ორი ტოლი წრე. მარცხნივ განლაგებული დიდი წრის დიამეტრი შეადგენდა 19,5 სანტიმეტრს, ხოლო მის პარალელურად განლაგებული პატარა წრის დიამეტრი შეადგენდა 4 სანტიმეტრს. დიდი წრე

პირველი ნომრით აღინიშნებოდა ქვემოდან, ხოლო პატარა წრე კი – მეორე ნომრით. წრეებს შორის მანძილი 19 სანტიმეტრს უდრიდა. ქვემოთ განლაგებული ორივე წრის დიამეტრი 10 სანტიმეტრს შეადგენდა. წრეებს შორის მანძილი 20,8 სანტიმეტრს უტოლდებოდა. ამ შემთხვევაში მარცხენა წრე მესამე ნომრით, ხოლო მარჯვენა წრე მეოთხე ნომრით აღინიშნებოდა.

მეორე ვარიანტში იმავე ზომის წრეები იყო გამოყენებული, ოღონდ დიდ და პატარა წრეებს შორის დაშორება შემცირებული იყო ორ სანტიმეტრამდე, ხოლო მათ ქვემოთ განლაგებულ წრეებს შორის დაშორება არ აღემატებოდა 10 სანტიმეტრს.

კვლევა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა. აუდიტორიაში დაფაზე მაგრდებოდა საექსპოზიციო ქაღალდი. ყოველ ცდისპირს მომზადებული ჰქონდა ქაღალდის სუფთა ფურცელი. ცდისპირებს ვეუბნებოდით: "დაფაზე გაკრულ ქაღალდზე თქვენ ხედავთ წრეთა ორ წყვილს, ზემოთ განსხვავებული და ქვემოთ ტოლი ზომის წრეების წყვილს. ამ ორი წყვილიდან უნდა ამოირჩიოთ ერთერთი წყვილი. ქაღალდზე დაწერეთ ნომერი ერთი და მას მიუწერეთ ამორჩეულ წრეთა წყვილის ნომრები„ შემდეგ ცდისპირებს ვთხოვდით; „ახლა შეხედეთ ქაღალდის ზემო ნაწილში განლაბულ დიდი და პატარა წრეების წყვილს. ამ წრეებიდან ამოარჩიეთ ერთ-ერთი წრე, ქაღალდზე დაწერეთ ნომერი ორი და მის გვერდით დაწერეთ ამორჩეული წრის ნომერი„. მესამეჯერ ცდისპირებს ორი ტოლი წრეებიდან ერთ-ერთი უნდა ამოერჩიათ. მეოთხეჯერ კი უნდა აღენიშნათ, რომელი წრე იყო უფრო დიდი: მარცხენა თუ მარჯვენა. ექსპერიმენტი ორ ვარიანტად ტარდებოდა.

მესამე არჩევანის დროს ერთნაირი ზომის წრეებიდან მარჯვენა წრე პირველ ვარიანტში 95 (62,5%) ცდისპირმა აირჩია, ხოლო მეორე ვარიანტში – 25 (56,8%) ცდისპირმა. ამავე დროს მეოთხე არჩევანის შედეგად დადასტურდა, რომ პირველ ვარიანტში 99 ცდისპირმა (65 %), ხოლო მეორე ვარიანტში 27 ცდისპირმა (61%) მიიჩნია მარჯვენა წრე უფრო დიდად. ამრიგად გაირკვა, რომ წრეების არჩევანი და წრეების ზომის გადაფასება შეესატყვისება ერთმანეთს.

მეორე არჩევანის დროს პირველ ვარიანტში დიდი ზომის წრე 69 (45,4%) ცდისპირმა აირჩია, ხოლო მეორე ვარიანტში – 26-მა (59,1%). სტატისტიკურმა შედარებამ მოგვცა $\chi 2=2,54$, რაც დაბალი მნიშვნელობის დონეს შეესაბამება (=0,20). ეს ნიშნავს, რომ აქ განსხვავება არ არის არსებითი. საყურადღებოა, რომ ცდისპირთა დიდმა ნაწილმა აირჩია დიდი წრე. ეს მონაცემები ნაწილობრივ შეესატყვისება ადრე მიღებულ მონაცემებს, როდესაც ჩვენ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში ცდისპირებს არჩევანი უნდა გაეკეთებინათ დიდ და პატარა წრეებს შორის. 17 წლამდე ასაკის მოსწავლეებმა უპირატესობა დიდ წრეს მიანიჭეს, ხოლო 17 წლისა და უფროსი ასაკის ცდისპირებმა უპირატესად პატარა წრე აირჩიეს (ჩაგანავა, 2001:72).

პირველი არჩევანის დროს განსხვავებული ზომის წრეთა წყვილი აირჩია ცდისპირთა მთელი რაოდენობიდან (152 ცდისპირი) მხოლოდ 38 (25%) ცდისპირმა, ხოლო მეორე ვარიანტში განსხვავებული ზომის წრეთა წყვილი აირჩია ცდისპირთა მთელი რაოდენობიდან (44 ცდისპირი) 23 (52%) ცდისპირმა. განსხვავებულობა შემთხვევითი არ არის, რადგან $\chi 2=11,82$, რაც მეტად მაღალი მნიშვნელობის დონეს შეესაბამება (=0,001).

ვფიქრობთ, რომ ასეთი შედეგი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ცდის მეორე ვარიანტში წრეებს შორის შემცირებულმა დაშორებულობამ შესაძლებლობა მისცა ცდისპირებს, უპირატესად მარჯვენა ვიზუალურ ველში მოეთავსებინათ დიდი და პატარა წრეები (ცდისპირთა უმრავლესობა (92%) მემარჯვენე იყო, რაც წინასწარ დადგენილი გვქონდა წამყვანი (დომინანტური) თვალის ექსპერიმენტული მეთოდიკის გამოყენების საფუძველზე {ახობაძე, კეჩხუაშვილი, ყვავილაშვილი,1975:141-142}) და რამაც დიდი ობიექტისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენციის გაძლიერება გამოიწვია. ბუნებრივად მარჯნივ გადაფასების ტენდენციის გამოვლენის საფუძველზე მარცხენა ვიზუალური ველის კონკურენტულობის გაძლიერების შედეგად მივიღეთ ახლომდებარე განსხვავებული სიდიდის წრეების წყვილის მეტი სიხშირით გადაფასება.

საყურადღებოა, რომ სხვა ექსპერიმენტში ოდნავ დაშორებული ტოლი ობიექტების წყვილში (45 ცდისპირი) ოდნავ ჭარბობს მარცხენა წრის გადაფასება (44,4%) (ჩაგანავა, 2001:68), ხოლო მარჯვენა წრის გადაფასება უდრის 37,8% და ეს იმ დროს, როდესაც ძალიან დაშორებული წრეთა წყვილის შემთხვევაში ცდისპირთა 62,46% მარჯვენა წრეს გადააფასებს (ჩაგანავა,2001:68). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ ვიზუალურ ველში დიდი და პატარა წრეების მოთავსებამ განაპირობა დიდი წრის დომინანტური ეფექტის გაძლიერება.

კვლევის შედეგად ნაჩვენებია, რომ ცდისპირები უპირატესად ირჩევენ იმ წრეების წყვილს, რომელიც განლაგებულია ფურცლის ზემო ნაწილში მაშინ, როდესაც ობიექტებს შორის მანძილი მინიმალურია, რაც, ჩვენი აზრით, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ დიდი და პატარა ობიექტები მთლიანად თავსდებიან მარჯვენა ვიზუალურ ველში. დიდი წრის დომინანტობა აქ მტკიცდება იმით, რომ ის უფრო ხშირად აირჩევა, ის ზემოქმედებას ახდენს წრეების წყვილზე, რადგან მარჯვენა და მარცხენა ვიზუალურ ველებს შორის კონკურენტობა იზრდება წრეების დაახლოების გამო, როგორც ამას აქვს ადგილი დიდსა და პატარა ობიექტებს შორის მინიმალური მანძილის შემთხვევაში. ეს იძლევა საშუალებას გაიზარდოს მთლიანად დიდი და პატარა წრეთა წყვილის არჩევის რაოდენობა.

საქმე ისაა, რომ პირველ შემთხვევაში მარჯვენა და მარცხენა წრეების მაქსიმალური დაშორებულობის პირობებში მათი ვიზუალური ველები იმდენად კარგად არიან დიფერენცირებული ერთმანეთისაგან, რომ მარჯვენა ვიზუალური ველის უპირატესობა არ დგება ეჭვის ქვეშ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მარცხნივ განლაგებული ობიექტი იმდენად უახლოვდება მარჯვნივ განლაგებულ ობიექტს, რომ ადამიანის "მემარჯვენეობა" აიძულებს მას შეიყვანოს მარცხნივ განლაგებული ობიექტი მარჯვენა ვიზუალური ველის სფეროში, რაც ბუნებრივია იწვევს იმას, რომ მარცხენა, ახლა კონკურენტული, ობიექტის ღირებულება იზრდება, რაც კიდევაც იწვევს ახლომდებარე, განსხვავებული ზომის ობიექტების წყვილის არჩევის რაოდენობის ზრდას და აგრეთვე დიდი ობიექტის არჩევანის რაოდენობის ზრდას.

ექსპერიმენტში აგრეთვე ნაჩვენებია, რომ მარჯვენა წრის უპირატესად არჩევანის რაოდენობა ერთნაირი სიდიდის ობიექტებს შორის საექსპოზიციო ფურცლის ქვემო ნაწილში თითქმის შეესატყვისება მარჯვენა წრის ილუზიურად გადაფასებათა რაოდენობას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ შემთხვევაში არჩევანი, ანუ ობიექტისადმი უპირატესი ღირებულების მინიჭება, შეესატყვისება ობიექტის ილუზიურ გადაფასებას.

***საკვანძო სიტყვა*: კონტრასტული ეფექტი, ვიზუალური ველი,ობიექტის ღირებულება.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ახობაძე, გ. კეჩხუაშვილი, ჯ. ყვავილაშვილი, ფსიქოლოგიის პრაქტიკუმი, თსუ, თბ., 267 გვ.
2. ი. ბჟალავა, ფსიქოლოგია და კიბერნეტიკა,განათლება, თბ., 1965, 374 გვ.
3. გ. ჩაგანავა, განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები,გამომცემლობა "აჭარა", ბათუმი, 2001, 224 გვ.
4. Бжалава И.Т., Психология установки и кибернетика, Наука, М., 1966, 250 с.

Стивенс С.С., Экспериментальная психология,т. II.,Иностранная литература, М., 1963, 1037 с.

GURAM CHAGANAVA
Batumi Shota Rustaveli State University

EXPERIENCE OF THE STUDY OF THE VALUE ATTITUDE TO THE EXPOSING OBJECTS IN THE SITUATION OF THE EXPLORATION OF THE FIGURAL AFTER-EFFECTS

Summary

In the experiment before the two groups of subjects were presented painted on a large sheet of paper two pairs of circles. In the first case, there was the maximum distance between the circles and in the second case there was the minimum distance between the circles. Display: Big and small circles at the top of the

worksheet, and two of the same size of circles at the bottom of the leaf. Testing person had to pick: 1. one of the pair; 2. one of the circles at the top of the sheet; 3. one of the circles at the bottom of the sheet; 4. define illusory advantage of one of the circles at the bottom of the worksheet. The study shows that the test persons mainly choose the circles at the top of the worksheet when there is the minimum distance between objects, which we believe that large and small objects completely fall within the scope of the visual field and big circle dominance here, as evidenced by more frequent choice of large circle, affects the level of election of the couples of circles because the competition between right and left visual fields increases in the result of the coming together of the circles, with a minimum distance between large and small circles that increases the number of choices.
Keywords: contrast effect, visual space, objects value.

ლია ქურხული

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) პროფესორი

ფსიქიკური ინფანტილიზმი

ფსიქიკური ინფანტილიზმი არის ფსიქიკური შეფერხება განვითარებაში, რომლის განსაზღვრა დაბადებისთანავე შეუძლებელია. იგი ვლინდება ბავშვის ასაკისთვის შეუსაბამო ურთიერთობასა და ქცევაში მისი სკოლამდელ დაწესებულებაში ან სკოლაში შეყვანისას ასაკობრივი სოციალიზაციის პირობებში.

მეცნიერ-ფსიქოლოგები განასხვავებენ სამი სახის ფსიქიკურ ინფანტილიზმს.

პირველი სახის ინფანტილიზმის ძირითადი წინაპირობებია გენეტიკურ-კონსტიტუციონალური, ენდოკრინულ-ჰორმონალური ფაქტორები: გიპოქსია ან ინფექციურ-ტოქსიკური მოწამვლა ორსულობის პერიოდში, ასფიქსიით მშობიარობა, დაბადების პირველ თვეებში განვითარებული მძიმე ინფექციები.

ამ სახის ინფანტილიზმის განვითარების ხელშემწყობი პირობაა ასევე ბავშვთან დამოკიდებულებაში ეგოცენტრული ან შფოთვითი - ეჭვიანი აღზრდის მეთოდის გამოყენება.

აღნიშნული სახის ინფანტილიზმი განპირობებულია ზემოთ დასახელებული ობიექტური ფაქტორებით: თავის ტვინის შუბლის წილის განვითარების შეფერხებით და არასწორი აღზრდით, რის შედეგადაც ბავშვს უჭირს ურთიერთობისა და ქცევის ნორმის გაგება: არ იღებს ცნებებს *„არ შეიძლება,„ „საჭიროა„*. არ შეუძლია უფროსებთან დამოკიდებულებაში დისტანციურობის დაცვა, სიტუაციის ადეკვატურად შეფასება, ქცევის სიტუაციურად შეცვლა, მოვლენების განვითარების განჭვრეტა შესაძლო საფრთხისა და მუქარის თავიდან არიდების მიზნით. ბავშვებს შედარებით მსუბუქი ფორმის ინფანტილიზმისას აღენიშნებათ თავის ასაკთან შედარებით 1-2 წლით ჩამორჩენა. ფსიქიკური ინფანტილიზმი არ წარმოადგენს გონებრივი განვითარების საერთო შეფერხებას, მისი არსებობის პირობებში ბავშვები ხატავენ ასაკობრივი ნორმის შესაბამისად, დროულად ეუფლებიან მეტყველებას, კითხვას, თვლა-ანგარიშს, თუმცა პერიოდულად გამოთქვამენ მათი ასაკის შეუსაბამო, კონტექსტიდან ამოვარდნილ მიამიტურ, გულუბრყვილო აზრებს, რის გამოც მშობლები ხშირ შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან. მათ არა თუ არ შეუძლიათ თავიანთი საქციელის გააზრება, არც ანაღვლებთ იგი.

ინფანტილური ბავშვის აქტივობა არაა შეფერხებული. იგი შეიძლება გადაჭარბებული ხალისით და უსაზღვრო ემოციურობით, ცუღლუტობით გამოირჩეოდეს და 5-6 წლის ბავშვი აქტიურობით 2-3 წლის ასაკის დონეს უახლოვდებოდეს. ასეთი ბავშვები ბუნებით კეთილები არიან. სხვას ნაკლებად უშავებენ რამეს. არ უყვართ მრისხანება, ძალდატანება უფროსების მხრიდან, მაგრამ თუ ეს მოხდა, მტკივნეული ფორმით გამოხატავენ: *„რატომ გამაბრაზე„, „რატომ მაწყენი-*

ნე„, „რატომ დამღალე„... ის 6-7 წლის ასაკშიც ვერ ერკვევა, რა შეიძლება, რა არ შეიძლება. ხშირად სთხოვს უფროსს ერთად ითამაშონ, ირბინონ, გაართონ. *„მე მოვიწყინე, მოდი გამართე„.* მათ არ ესმით, რომ დედას, ბებია-ბაბუას მათთვის არ სცალიათ. ისინი ცხოვრებას თავისებურად აღიქვამენ. მუდმივად მხიარულები, ცუღლუტები არიან და არ იციან წყენის გულში ჩადება, თუმცა მათ არ ესმით, როდის შეიძლება ცუღლუტობა და როდის - არა. ასეთი ბავშვები გაზრდის სურვილს არ გამოთქვამენ, მათ არ იციან, რა არის მომავალი, მათთვის თითქოს მომავალი არ არსებობს და ახლანდელ დროში არიან შეჩერებულები. მოთხოვნებს: *„არ შეიძლება„* და *„საჭიროა„* – ინფანტილური ბავშვები არ იღებენ. ბავშვი ჭირვეულად ითხოვს იმას, რაც არ შეიძლება, არაფრით არ იღებს იმას, რაც საჭიროა. მას სურს, რომ ყველაფერი ისე იყოს, როგორც მისი ნებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მხრიდან შეიძლება დაუსრულებელი გულამოსკვნილი ტირილი მოყვეს.

თანატოლები მას, როგორც თანასწორს, ისე უყურებენ, მაგრამ ურთიერთობა არ გამოსდით. ასეთი ბავშვები უკიდურესად დამოკიდებულები არიან და არ იციან არაფერი: დამოუკიდებლად კვება, ჩაცმა, რადგან ამის ჩვევას ისინი ვერ ფლობენ და უფროსებისგან მოითხოვენ მომსახურებას. 4 წლის ასაკის ბავშვმა შეიძლება ხელში აყვანაც მოითხოვოს.

ინფანტილური ბავშვი სკოლაში წასვლის პერიოდის დადგომისას ამისთვის ჯერ მზად არ არის, თუმცა მას ასაკის შესაბამისი მოთხოვნები წაეყენება. იგი რეალობასთან პირისპირ აღმოჩნდება. თავდაპირველად ის გაოცებას გამოხატავს, შემდეგ მოიწყენს, ბოლოს ისტერიული ნევროზი ემართება. როგორც წესი, მშობლები ხშირ შემთხვევაში ვერ ერკვევიან ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ განვითარების ასაკობრივ თავისებურებებში, ისინი გადაჭარბებულად აფასებენ საკუთარი შვილების შესაძლებლობებს და ამგვარი სახის დარღვევებს მნიშვნელობას არ ანიჭებენ, პრობლემას ძირითადად აღმზრდელ-მასწავლებლებში ხედავენ. ფსიქიკური ინფანტილიზმის პირველადი ნიშნები, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვის სკოლამდელ დაწესებულებაში, განსაკუთრებით კი სკოლაში შესვლისას ვლინდება. სკოლაში ბავშვი ვერ ითვისებს ელემენტარულ მასალას, ექვსი წლის ასაკის ბავშვის ფსიქიკური ფუნქციები 3-4 წლის ასაკის ბავშვის დონეზეა, რაც შესაბამისად მათ ქცევაში ვლინდება. ისინი განუწყვეტლად სვამენ მათი ასაკისათვის შეუსაბამო გულუბრყვილო შეკითხვებს.

8 წლის გიორგი ეკითხება დედას:

- ვულკანი რომ ამოიფრქვევა და მერე მზე უფრო გაახურებს, რა დაემართება ვულკანს?
- ოკეანეში რომ ჩავიდეს ვულკანი, ჩაიძირება?
- ვულკანი უფრო ძლიერია თუ დედამიწა, რომელი მოერევა?

ინფანტილური ბავშვები გამოირჩევიან ჭარბი ემოციურობით, თუმცა მათ ემოციები და გრძნობებიც მოუმწიფებელი აქვთ. ისინი გულწრფელად გამოხატავენ როგორც სიხარულს, სიძულვილს, მოწყენილობას, სიმპათიებს და ანტიპათიებს, ასევე - შიშებს. თუმცა მათ ყოველივე ეს ზედმეტი აჟიოტაჟით, გადამეტებულად აღენიშნებათ. მათ ახასიათებთ ცოცხალი, მეტყველი მიმიკა და ჟესტიკულაცია, მაგრამ მათ არ სჩვევიათ სიღრმისეული სიყვარული, მოწყენილობა. მათი ემოციურობა ზაფხულის წვიმასავითაა, როდესაც თან წვიმს, თან მზე ანათებს. შედეგად არც ერთია და არც - მეორე. შეფერხებულია მათი ნებელობითი ფუნქციაც. მათთვის უცხოა სირთულეების დაძლევისათვის სერიოზული ძალისხმევა.

ცნობილია ასევე დისჰარმონიული ინფანტილიზმი, როცა ემოციურ-ნებელობით უმწიფრობასთან ერთად შეინიშნება ხასიათის ამა თუ იმ თვისების გაზვიადება, წინ წამოწევა, „ცალმხრივი ჰიპერტროფია„ (არანორმალური განვითარება). ზოგიერთ ბავშვში, მოზარდსა თუ ჭაბუკში წინა პლანზეა წამოწეული მეტისმეტი სიჯიუტე, სიფიცხე, ზოგში - მერყეობა და სუსტი ნებისყოფა, ზოგში კი - ფანტაზიორობისა და სიცრუისკენ მკვეთრი მიდრეკილება. ნებისმიერ შემთხვევაში ბავშვის სოციალური ადაპტაცია ფერხდება და გარემოს მხრიდან უყურადღებობის შემთხვევაში ასეთი ბავშვი მომავალში შესაძლოა დამნაშავე, კანონდამრღვევ, ან ფსიქიკური პრობლემების მქონე პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

ფსიქიკური ინფანტილიზმის მეორე ვარიანტია საერთო ფსიქოფიზიკური მოუმწიფებლობა, რომლის წინაპირობები შესაძლოა იგივე იყოს, რაც პირველი სახის ინფანტილიზმისას. მაგრამ მეორე ტიპის ინფანტილიზმისას ბავშვი მოუმწიფებელია, როგორც ფსიქიკურად, ისე - ფიზიკურად. ამ შემთხვევაში 5 წლის ასაკის ბავშვის ფიზიკური მონაცემები და ქცევა 3 წლის ასაკის ბავშვის დონეზეა. ეს არის ეგრეთწოდებული „ცეროდენა ბავშვი„, ასეთი ბავშვი გრაციოზული და მოძრავია, მას არა აქვს ჩამორჩენა ფსიქომოტორიკასა და მეტყველების განვითარებაში, ის ფსიქიკური განვითარების თვალსაზრისით პირველი ტიპის ბავშვის მსგავსია, თუმცა ამ შემთხვევაში ბავშვი მეტისმეტად დამოკიდებულია უფროსებზე და არ გამოსდის თანატოლებთან ურთიერთობა. ასევე პირველი ტიპის ფსიქიკური ინფანტილიზმისგან განსხვავებით, ამ ტიპის ბავშვებს ცუდი მადა აქვთ, ისინი ხშირად ავადმყოფობენ, არიან ჭირვეული, ალერსიანი და დამჯერიც. უფროსებში ასეთი ბავშვი იწვევს, ერთი მხრივ, შფოთვას, მეორე მხრივ კი - სიბრალულს. სკოლამდელ დაწესებულებაში მასწავლებელი ასეთ ბავშვს ხელით დაატარებს, მის მიმართ მოთხოვნებს ამცირებს. თანატოლები ეჩვევიან მის ბავშვურობას და სიამოვნებით თამაშობენ მასთან და აძლევენ „პატარას„ როლს, იცავენ, ამშვიდებენ. ასეთი ბავშვისთვის ამგვარი ურთიერთობა კომფორტულია და სიამოვნებით ასრულებენ ამგვარ როლებს. ისინი სასკოლო ასაკშიც იმავე ხარისხში აგრძელებენ ცხოვრებას. საბოლოოდ მომავალში ამგვარი ბავშვისგან ყალიბდება მამაკაცი-ბიჭუნა, ქალი-გოგონა. საოჯახო ურთიერთობაში მამაკაცს მფარველობს ცოლი, ქალს - ქმარი. ამ ტიპის ფსიქიკური ინფანტილიზმისას ბავშვებში მცირეა ნევროზი, რადგან მათ არ გააჩნიათ არასრულფასოვნების განცდა. შფოთვიანი აღზრდა ასეთი ბავშვების ინფანტილურობას კიდევ უფრო ამტკიცებს. სწორ აღზრდას შეუძლია ინფანტილურობის დაძლევა, 6-8 წლის ასაკში ასეთ ბავშვს თანდათანობით უმწიფდება უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციები და სქესობრივი მომწიფების შემდეგ ნორმალური ჯანმრთელობის პირობებში თანატოლებისგან მხოლოდ მცირე სიმაღლითა და მინიატურულობით განსხვავდება. მათი ფიზიკური სისუსტე და მცირე ზომა კომპენსირდება მოხერხებულობის განვითარებით. როგორც ვხედავთ, სწორი აღზრდა ყოველთვის მნიშვნელოვანია. აუცილებელია მხოლოდ მოთმინება, სიყვარული და მშობელთა სიბრძნე.

ფსიქიკური ინფანტილიზმის მესამე ვარიანტის შემთხვევაში ბავშვი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი იბადება, მაგრამ ხელოვნურად აბრკოლებენ მის სოციალიზაციას მის მიმართ ეგოცენტრული ან აღზრდის შფოთვიან-ეჭვიანი ხასიათის გამო. ასეთი რამ ხშირად ემართებათ ისეთ მშობლებს, რომლებისთვისაც შვილი ოცნებისა და ნატვრის ობიექტი იყო. როდესაც რამდენიმე მოზრდილი ადამიანი დაჰფოფინებს ერთ ბავშვს. ყველაზე საყვარელი ასაკი 2-3 წელია და მშობლები გაუცნობიერებლად ცდილობენ ბავშვი ჩატოვონ ამ ასაკში, ხშირად „წარმატებულად„ ახერხებენ. ფსიქიკური ინფანტილიზმის მესამე ვარიანტი მთლიანად განპირობებულია არასწორი აღზრდით, ზედმეტ ჰიპერმეურვეობას თან სდევს ბავშვის გაზარმაცება, სიზანტე. ჯანმრთელ ბავშვს გადააქცევენ უმწიფრად და ხელოვნურად აფერხებენ თავის ტვინის შუბლის წილის ფუნქციის განვითარებას.

მშობლები ბავშვის ნაცვლად ფიქრობენ და მოქმედებენ, რაც არ უნდა ჩაიდინოს, ყველაფერს უთმობენ და პატიობენ, ბავშვის ფსიქიკური განვითარება ხორციელდება მშობლების მიერ შემუშავებული არასწორი, ხისტი პროგრამით, რომლის გამოსწორება მომავალში რთულდება და, სამწუხაროდ, შესაძლოა ვეღარც მოხერხდეს, თუ ბავშვს არ აღმოაჩნდა ობიექტური მონაცემები ინფანტილიზმის დასაძლევად. შედეგად, 5.5 წელს გადაცილებული ბავშვი უკვე ინფანტილურია, თითქოს მას დაუზიანეს ტვინი. მესამე ვარიანტი პირველ ორ ვარიანტზე მძიმეა, ვინაიდან აღნიშნული მდგომარეობის დაძლევის შესაძლებლობას გამორიცხავს.

საბოლოოდ მშობლები ვარდებიან პანიკაში, უკვე მოზრდილი და თითქოს თანატოლებისგან არაფრით გამორჩეული ბავშვი გაკვეთილზე ჩანთიდან იღებს სათამაშოს და ერთობა, აქვს უნებლიე მოქმედებები, ყურადღებას არ აქცევს მასწავლებლის მხრიდან გამოხატულ აკრძალვებს და შენიშვნებს. სისტემატურად ლაპარაკობს გვერდით მჯდომ თანატოლთან და გამოხატავს დედასთან ყოფნის სურვილს.

ანალოგიურად იქცევა ოჯახშიც, ის ეგოცენტრული, ჭირვეული, მომთხოვნი და ისტერიულია. მშობლებს უკვე აღარ ხიბლავთ მისი ბავშვურობა. ისინი სასოწარკვეთაში ვარდებიან და

გარშემომყოფებისა და ფსიქოლოგების მხრიდან შველას ითხოვენ. მესამე ვარიანტის ინფანტილიზმის შემთხვევაში შესაძლოა ჩამოყალიბდეს ისტერიული ნევროზი.
ყოველივე ზემოთ განხილული მოსაზრებები სერიოზული გაფრთხილებაა იმ მშობლებისა და ბებია-ბაბუებისთვის, რომლებიც თავიანთი შვილებისა და შვილიშვილების ინფანტილურ განვითარებას ახალისებენ.

ფსიქიკური ინფანტილიზმით დაბადებული ან გარემო პირობები ზეგავლენით განვითარებულ ინფანტილურ ბავშვს მკურნალობს ფსიქოლოგი, ფსიქონევროლოგი. მკურნალობის შინაარსი გულისხმობს უმაღლესი ნერვოფსიქიკური ფუნქციების მომწიფების ხელშეწყობას. ასევე საჭიროა ენდოკრინოლოგის კონსულტაციებიც.

ფსიქიკური ინფანტილიზმის დაძლევაში მთავარია სწორი აღზრდა. მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ბავშვის სოციალიზაციისკენ. მკაფიოდ და ხაზგასმით ხდება ძირითადი ცნებების: „საჭიროა„, „არ არის საჭირო„, „შეიძლება„, „არ შეიძლება„, „კარგია„, „ცუდია„– გაცნობიერებაზე მუშაობა. ცხოვრების პირველი თვეებიდანვე სარეჟიმო მომენტების: ძილის, ღვიძილის, ჭამის – დაცვა, როგორც ბავშვის აღზრდის მადისციპლინირებული და სოციალიზაციის ფაქტორისა. ფსიქოლოგის რეკომენდაციებით ბავშვს აძლევენ დამოუკიდებლად მოქმედების და შეცდომების დაშვების შესაძლებლობას, რათა ის მიხვდეს რის გამო, რატომ შეიძლება განიცადოს ტკივილი, გულისტკენა, იმედგაცრუება. ასეთ ბავშვს მუდმივად უბიძგებენ სირთულეების დაძლევისაკენ. თუმცა დროდადრო მათ უფროსებიც ეხმარებიან და მასთან ერთად იზიარებენ სიხარულს წარმატებების მიღწევის შემთხვევაში. ინფანტილური ბავშვი ცდილობს ურთიერთობა იქონიოს მასზე უმცროს ბავშვებთან. ამ შემთხვევაში საჭიროა მისი წახალისება თანატოლებთან ურთიერთობისა და კონფლიქტების მოგვარებისთვის. ინფანტილურ ბავშვზე მშობელთა ზემოქმედების ერთერთი ძირითადი ფორმა თამაშია. მას ეთამაშებიან ყველაფერზე, რაც კი შეიძლება შეხვდეს ბავშვს ცხოვრებაში. მაგ., ეთამაშებიან „საბავშვო ბაღობანას„, სადაც ბავშვი აღმზრდელის როლშია, ხოლო მშობელი თავნება, ჯიუტი ბავშვის როლშია. თამაშში იხვეწება თვისებები, რომელიც საჭიროა საბავშვო ბაღთან ადაპტაციისთვის, მასთან იგეგმება თამაშები, რომლებსაც ისინი, შემდგომში თანატოლებთან ითამაშებენ. ამგვარ ერთობლივ თამაშებში დასცინიან დოყლაპიობას, არაორგანიზებულობას, მოუთმენლობას, ქცევის შედეგების გაუაზრებლობას, მხოლოდ საკუთარ თავზე ორიენტირებას...

ყოველგვარი ძალისხმევის მიუხედავად, თუ 6 წლის ინფანტილური ბავშვი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მომზადებული სკოლაში შესასვლელად, უმჯობესია ის ერთი წლის განმავლობაში კვლავ დარჩეს სკოლამდელი დაწესებულების მოსამზადებელ ჯგუფში და მხოლოდ 7 წლისა შევიდეს სკოლაში სკოლისადმი ინტერესის მოტივაციისა და სოციალიზაციის სურვილის გაჩენისას.

Lia Kurkhuli
Professor at Georgian National University (SEU)

Mental Infantilism

Abstract

Mental infantilism is a mental disorder that cannot be determined at the time of birth. It can be developed by inappropriate relationship and behavior while socializing at preschool or at school. Scientists and psychologists distinguish three types of mental infantilism. The main preconditions of the first type of infantilism are genetic-constitutional, endocrine-hormonal factors: infantile children have excessive emotions, however their emotions and feelings are not matured. It is also known a disharmonic infantilism when along with emotional immaturity we can see the exaggeration or advancing some features of child's character, „one sided hypertrophy" (abnormal development). The second type of mental infantilism is a common psychophysical immaturity. In the third type of mental infantilism a child is born physically and mentally healthy however his socialization is artificially hindered because of the self-centered care or upbringing anxiously-jealousy character. The third type of mental infantilism in completely conditioned by the improper

upbringing, the excessive hyper custody will result in a child's laziness and sluggishness. A healthy child will turn into an immature and the development of brains frontal function is artificially hindered. Psychologists and psycho-neurologists treat infantile children who are born with mental infantilism or have developed infantilism by the environmental conditions. The content of the treatment include promotion of maturing the higher nerve-mental functions. Proper upbringing is also essential in order to overcome infantilism. All efforts should be directed toward the child's socialization.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლევ ვიგოტსკი „ბავშვის ფსიქოლოგია“ თბ. 2017
2. ვალბურგი ბრიუგე. კატერინა მოსი „ასე სწავლობენ ბავშვები ლაპარაკს“ თბ. 2015
3. Психология детей с нарушениями и отклонениями психического развития. – «Питер», Санкт-Петербург – Москва, 2002.
4. Я.Л.Коломинский, Е.А.Панько, С.А.Игумнов. Психическое развитие детей в норме и патологии. – «Питер», Москва – Санкт-Петербург, 2004.
5. Нора Нькомб. Развитие личности ребенка. – «Питер», Санкт-Петербург – Москва, 2002.

განათლების ფილოსოფია

მაისურაძე ნათელა
თეა კვაბზირიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განათლების ფილოსოფია - ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმუმი

ყველა ცხოვრებისეული პრობლემა ადამიანის გარშემო იყრის თავს. სწორედ ადამიანი არის სიცოცხლის, არსებობისა და პროგრესული განვითარების უმნიშვნელოვანესი საფუძველი და უმაღლესი ღირებულება. ამ თვალსაზრისით განათლების პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და მისი შესაბამისობა ერთი მხრივ, განათლების თეორიული სიღრმისა და, მეორე მხრივ, პრაქტიკულ-გამოყენებით პრიზმაში უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან თეორია და პრაქტიკა ის აუცილებელი ფაქტორებია, რომლებიც ადამიანის აღზრდისა და განათლების საზრისს წარმოადგენს.

განათლება თან ახლავს ადამიანის ცხოვრებას აზროვნებისა და საქმიანობის თითქმის ყველა ეტაპზე. განათლება უწყვეტი პროცესია. იგი იწყება დაბადებიდან და გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სწავლების მთელი პროცესი განმსჭვალულია ცოდნის მიღების მიზანსწრაფულობით. თუ ადამიანი ჩათვლის, რომ მან უკვე ყველაფერი იცის, განათლების პროცესი წყდება და, სამწუხაროდ, ერთ ადგილზეც არ რჩება, არამედ უკუსვლას იწყებს და ის ცოდნაც ქრება, რაც მას მანამდე ჰქონდა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, განათლების ფილოსოფიური ანალიზი, გააზრებული პიროვნების, საზოგადოებისა და სოციალური სტრუქტურის, მათი ურთიერთობების, ქმედებებისა და ზემოქმედებების მატრიცის სახით უნდა განვიხილოთ.[12]

ადამიანი, არის ცნობიერის, ქვეცნობიერ-ინტუიციურის, გრძნობადის, პოტენციალურისა და ფიზიკურს ერთობა, რასაც მისი სულიერებაც ემატება, **ანუ ადამიანი არის ადამიანურისა და ღვთაებრივის, როგორც ადამიანში ამოუცნობი ფენომენის ერთობა[13].** იგი ერთდერთი არსებაა, რომელიც ცოდნის მიღებისა და, მაშასადამე, სიახლეების შექმნისა და გათავისებისაკენ მიისწრაფის. ნებისმიერი გამოწვევის საპასუხო ქმედება ყველა ეპოქაში საჭიროებს ფიქრს, აზროვნებას, ქმედებას, განათლებას - იპოვო საუკეთესო გზა, ცხოვრებისეული გამოწვევების საპასუხოდ[14]. ყოველივე ამის საფუძველი კი ფილოსოფიაში უნდა ვეძებოთ, რომლის მიმართ ადამიანს განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. სწორედ ამიტომ არის, რომ ფილოსოფიური ხედვა გააჩნია ადამიანური მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს. ამის ნათელი მაგალითია დღევანდელი გააზრების საგანი განათლების ფილოსოფიის სახით. ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო რეალობა კი ჯერჯერობით ადამიანის ცნობიერ, ეგზისტენციალურ და ინტუიციურ შესაძლებლობებს ცნობს. თუმცა ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორის ადრინდელ ნაშრომებში უკვე იყო საუბარი პოტენციურ, რეალურ და ფარულ შესაძლებლობებზე, რომლებიც შესაბამისი სიტუაციების არსებობისას ვლინდება, როგორც „მეორე სუნთქვა„ და ხელს უწყობს მთელი რიგი პრობლემების რაციონალურ, ეგზისტენციალურ და ინტუიციურ გადაწყვეტას. ამასთან, განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე გვაყენებს დემოკრატიული გზით დამკვიდრებული

---

[12] . **Крашнева О. Е. Философия образования. Ростов-на-Дону. 2005. с. 10.**

[13]. მაისურაძე ნ. სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯმენტი. თავისუფლად ვარირებადი, ინტეგრალური და ფილომენური სამართალი. თბილისი, 2013, გვ.15.

[14] . https://www.google.com.radiotavisupleba.ge.

გლობალიზაცია და პლურალიზმი, რომელიც ეხება როგორც ერთიანი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას, ისე მრავალმხრივი განათლების აუცილებლობას, რომელსაც პოსტმოდერნიზმის მიერ შემოთავაზებული თვითგანვითარების, თვითრეგულაციისა და თვითწარმოების საუძველზე დამყარებული ვიწრო ქვესისტემების შექმნისა და ფუნქციონირების აუცილებლობა განაპირობებს. ყოველივე ეს კი **ნეომოდერნისტულ სისტემად ყალიბდება,** რომელიც ინტეგრალურ მიდგომაში, როგორც განათლების კრეატიულ მეთოდში, მჟღავნდება და რომელიც ჯერ კიდევ ვერ ამბობს უარს მოდერნისტული ტიპის დიდ ნარატივებზე, სახელმწიფოებრივობასა და საზოგადოებრივობაზე[15].

რაც შეეხება განათლების სისტემას, აქ პლურალიზმიც, გლობალიზმიცა და ნეომოდერნიზმიც **ფილომენური (სიცოცხლის მოყვარული) უნდა იყოს** . ყოველი პედაგოგიური მიდგომა უნდა გამოხატავდეს მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ სიყვარულსა და პასუხისმგებლობას, რაც ისევ და ისევ ადამიანის ინტერესების გარშემო უნდა ფუნქციონირებდეს და მის არსზე, არსებობაზე, აზროვნებასა და მრავალფეროვან შესაძლებლობებზე უნდა გადიოდეს.

ადამიანი კი თავისი მოქმედების შედეგსა და შეფასებას საზოგადოებაში ეძიებს და პოულობს. ამიტომ განათლების ფილოსოფიის საკითხების კვლევისას **ფილომენური და თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური მიდგომა** უფრო ეფექტურად მოჩანს[16]. ასეთ მიდგომას განაპირობებს თვით ადამიანის ამოუწურავი ბუნება. ამიტომ, ვერ დავეთანხმებით თანამედროვეთა მოსაზრებას განათლების ვიწრო სპეციალიზაციასთან დაკავშირებით - მისი პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო მოხერხებულად რეალიზაციის გასამართლებლად. ვიწრო განათლება - ვიწრო შედეგების მომტანი შეიძლება იყოს ადამიანის აზროვნების, შემეცნებითი პროცესების, ქვეცნობიერ-ინტუიციურის, ეგზისტენციის, ფსიქიკის, განწყობის, ღირებულებითი ორიენტაციისა და სხვა სულიერი ფაქტორების გააზრების გარეშე.

როგორც ცნობილია, განათლებაში რაციონალური უნარების მნიშვნელობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია თავისი კარგად გათვლილი, აწონილ-დაწონილი, შემოწმებული და ლოგიკური თვალსაზრისით. ამიტომ იგი ერთმნიშვნელოვნად გასაგები და მისაღებია ყველასათვის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რაციონალური ფაქტორი საუკუნეების განმავლობაში შემეცნების ერთ-ერთი შეუცვლელი მნიშვნელობის საშუალება იყო, მის ღირებულებით შეფასებებში ეგზისტენციალისტებისა და მათი იდეური თანამიმდევრების (სიცოცხლის ფილოსოფიის, ფსიქოანალიზისა და ა.შ.) მიერ აბსტრაქტულ, ზოგად, მხოლოდ ცნებებზე დამყარებულ და ადამიანური ყოფიერებისაგან დაცლილ უნარად შეფასდა.

მაგრამ, მიუხედავად ამ მტკიცებულებისა, რაციონალური ფაქტორი სამყაროში არსებული მოვლენების ადექვატური გაცნობიერების საშუალებად და შეუცვლელ უნარად შეიძლება შევაფასოთ, ვინაიდან მის გარეშე ვერც ინტუიციურ და ვერც ეგზისტენციალურ არსებობასა და გააზრებაზე ვერაფერს ვიტყვით.

რაციონალურის აუცილებლობა ყველაზე უფრო რეალურად ტექნიკისა და ტექნოლოგიების სისწრაფესა ხელმისაწვდომობაში ვლინდება, რამაც მსოფლიო დააპატარავა და ადამიანებს კომუნიკაციის დღემდე არარსებული შესაძლებლობები მისცა.

რაციონალურის შედეგია აზროვნების სიღრმე და მრავალმხრივობა, რაც ადამიანის მოღვაწეობისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლინებას ფასდაუდებელი და წარუშლელი ღირებულებების სახეს აძლევს, რის შედეგადაც ისინი არასოდეს კარგავენ თავის მნიშვნელობას. ვგულისხმობთ მეცნიერებაში საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე მიღწევებსა და შემოქმედებაში მოპოვებულ შედეგრებს. აქედან გამომდინარე, რაციონალური უმნიშვნელოვანესი უნარია ადამიანური განვითარების გზაზე.

გარდა რაციონალურისა, ადამიანის აღზრდისა და განათლებისა პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეგზისტენციალურ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც ადამია-

---

[15] . მაისურაძე ნ. სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯმენტი. თავისუფლად ვარირებადი, ინტეგრალური და ფილომენური სამართალი. თბილისი,2013, გვ.87.

[16] იქვე, გვ.57.

ნის ფსიქიკის, მისი ღრმა და მრავალფეროვანი „მე„-ობის სულიერი გამოხატულებაა, და რომლებიც არსებობის განსხვავებულ წესს ემყარება (სამყაროში მიტოვებულობის, თავისუფლებით დაწყევლილობის, გაუცხოების, არჩევანის მიღების თვითმყოფადობისა და ამით გაზრდილი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით).

რაც შეეხება ინტუიციურს, როგორც არაცნობიერი ფაქტორების ქვეცნობიერის გავლის გზით გაცნობიერების პროცესი და როგორც საგანთა არსის უშუალოდ წვდომის პროცესი, საშუალებას აძლევს ადამიანს ქვეცნობიერის თვალით დაინახოს და მისი შინაგანი ხმით გააცნობიეროს ის ქვეტექსტი და ქვერეალობა, რომელიც ერთი შეხედვითა და ლოგიკური მონაცემებით არ ჩანს.

ადამიანის სტრუქტურის ახლებური წარმოდგენით „მე„, „არა-მე„ და „სხვა„ - ს ინტეგრალური ერთობიდან გამომდინარე, ადამიანის რთული და მრავალმხრივი სამყარო მოიცავს საზოგადოებასაც და გარე სამყაროსაც. ამიტომ განათლებაში დაშვებული ხარვეზების გამო ადამიანი, ერთი მხრივ, გარდა საკუთარი თავისადმი პასუხისმგებლობისა, ასევე პასუხისმგებელია საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშეც, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისა და გარე სამყაროს გავლენა მნიშვნელოვნად იკვეთება ადამიანის აზროვნებაზეც და მოქმედებაზეც. აქედან გამომდინარე, ადამიანი ან თავისუფალია, ან არ არის თავისუფალი, რაც, ჩვენი აზრით, მისი განათლების მრავამხრივობის, შემოქმედებითი აზროვნებისა და ნორმალური ფიზიკური კონსტიტუციის ერთობლივობის ან გათიშულობის შედეგია.

აღზრდისა და განათლების პრობლემებზე საუბრობდა პლატონი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა შემოქმედებით ფაქტორებს, რაშიც ადამიანის უნარებისა და პოტენციების თავისუფალი და სიღრმისეული სულიერი არსი დღის სინათლეს პოულობს. ამ თვალსაზრისით პლატონი მუსიკას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რამაც უნდა გააწონასწოროს მოზარდში არსებული ჭარბი ენერგიულობა და უამრავ შესაძლებლობებს შორის გონივრული შერჩევისა და გამოყენების უნარი. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ფლეიტას, რომელსაც ყველაზე მისაღებ ინსტრუმენტად აღიარებდა პლატონი, ადამიანის შინაგანი ეგზისტენციის ჟღერადობა ახასიათებს, და რომელიც დიდი სიფრთხილით, გულისყურითა და მონდომებით მიიკვლევს გზას ადამიანთა გულისა და გონებისაკენ.

აღზრდასა და განათლებაში მუსიკის მნიშვნელობაზე საუბრობდა კანტიც, რომელიც მუსიკას ახასიათებდა, როგორც უძლიერეს ზემოქმედებით ფაქტორს, რომელიც ადამიანის ყურადღებას იპყრობს ნებისმიერ სიტუაციაში, მიუხედავად მისი სურვილისა.

ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება, კარგად აცნობიერებს აღზრდისა და განათლების მნიშვნელობას. ამაზე მეტყველებს ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა და ადამიანთმცოდნეობის თითქმის ყველა ინსტიტუტი[17].

დღეს, როდესაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებმა მყარად დაიკავა ადამიანის ცნობიერი ფაქტორები, განათლებაში უპირატესობა პრაქტიკულ-გამოყენებითი უნარების გამომუშავებასა და შესწავლას მიენიჭა. მაგრამ ისიც უდავოა, რომ პრაქტიკა თეორიისა და ფილოსოფიურ-ლოგიკური გააზრების გარეშე სპონტანურ და არცთუ იშვიათად შემთხვევებზე დამყარებულ ქმედებად ყალიბდება, რაც, თავის მხრივ, თუნდაც საბაზრო ეკონომიკაში შეცდომების საფუძველი შეიძლება გახდეს. ჩვენს საზოგადოებაში წარმოშობილმა ახალმა ფენამ - მცირე და საშუალო დონის მეწარმეებმა და ბიზნესმენებმა განათლების პრაქტიკულ-გამოყენებითი მხარის აუცილებელ მნიშვნელობაზე მიგვითითეს ბიზნესში მიღწეული წარმატებებით, თუმცა ისიც ცხადი გახდა, რომ მათი წარმატებები უფრო ეფექტური იქნებოდა, ამ სფეროში გარკვეული თეორიული ცოდნაც თუ ექნებოდათ.

ჩვენი თანამედროვეობის ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევებით ადამიანის გონებრივმა შესაძლებლობებმა დაამტკიცა, რომ ადამიანი თუ ყოვლისშემძლე არა, მრავლისშემძლე ნამდვილად არის. ისიც რეალურია, რომ ადამიანის მიერ მიღებული თეორიული განათლების გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და საბოლოო მიზანი მისი სწრაფი, გონივრული

[17]. http://www.qwelly.com/group/philosophy/forum/topics/ganatlebis-filosofia.

და შემოქმედებითი პრაქტიკული რეალიზების უნარების გამომუშავებაა. მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების სისწრაფე, რომელსაც ჩვენი დღევანდელობა მოითხოვს, განათლების სისტემაში აუცილებელი ცვლილებების შეტანას გულისხმობს. კერძოდ, მათემატიკისა და ფიზიკის შესწავლისას აუცილებელია გამოყენებითი მათემატიკის შედეგების უშუალოდ გაცნობა და არ მხოლოდ თეორიული საუბარი და ფორმულების გაზეპირებული ცოდნა; ქიმიის შესწავლისას, ქიმიური პროცესების ლაბორატორიული ცდების გარდა, წარმოებაში არსებული მექანიზმების გაცნობა საწარმოებში და უშუალოდ გამოყენების პრაქტიკის შესწავლა, რაც ბევრად უფრო საინტერესოს და მრავლფეროვანს გახდის სწავლის პროცესს.

ჩვენმა დღევანდელობამ აუცილებელი გახადა, ერთი მხრივ, ეკონომიკური, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი განათლების მიღების აუცილებლობა.

ახალგაზრდას, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ამთავრებს, ზოგადად მაინც უნდა ჰქონდეს სამართალზე წარმოდგენა, თუნდაც იმისათვის, რომ ერკვეოდეს, როგორი წყობისა და მმართველობის სახელმწიფოში ცხოვრობს; რისი თხოვნისა და რისი მოთხოვნის უფლებები აქვს; რატომ არ უდა იმოქმედოს გაუაზრებლად, სპონტანურად, და დანაშაულებრივად; როგორი ურთიერთობები შეიძლება ჰქონდეს სხვა ადამიანებთან და საზოგადოებასთან და რა ქმედებები იკრძალება; როგორ დაიცვას თავისი უფლებები, თავისუფლებები და შეასრულოს ეთიკურ-სამართლებრივი და სამოქალაქო-პოლიტიკური მოვალეობები, როგორ მართოს თავისი ემოციები და სურვილები, რათა არ აღმოჩნდეს აფექტის მდგომარეობაში, რომელსაც სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს; როგორ იმოქმედოს აუცილებელი მოგერიების დროს, რათა თავისი სპონტანური ქმედებით არ დააზიანოს იმაზე უფრო მეტი სიკეთე, ვიდრე ის შეიძლება იცავდეს. როგორც სამეცნიერო კვლევებში მიუთითებენ, ერთიანი ცოდნა ჭეშმარიტია, იგი ვერ იხსნება ვერც მხოლოდ მეცნიერებით და ვერც მხოლოდ რელიგიით, არამედ მხოლოდ მათი ერთობით, რასაც უნდა დაემატოს მოსწავლეთა ფიზიკური მომზადებაც და ჯანსაღი ცხოვრების წესიც.

ამდენად, რწმენისა და გონივრულობის, შემოქმედებისა და შეფასებების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების, თეორიისა და პრაქტიკის, ეთიკურისა და სამართლებრივის, ფილოსოფიურისა და ფსიქოლოგიურის და ა.შ. თავისუფალი ვარირებითა და ინტეგრალური ერთობით არის შესაძლებელი განათლებისა და აღზრდის მეთოდების სრულყოფა[18].

***საკვანძო სიტყვები*:** ინტეგრალური განათლება, ფენომენოლოგიური მიდგომა. "მე", "არა-მე" და "სხვა", რაციონალური, ეგზისტენციალური და ინტუიტიური.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაისურაძე ნ. სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯმენტი. თავისუფლად ვარირებადი, ინტეგრალური და ფილომენური სამართალი.თბილისი, „იურისტთა სამყარო„, 2014 .
2. მაისურაძე ნ. სამართლებრივი მართვისა და რეგულირების მეთოდები. თბილისი.,„ იურისტთა სამყარო„, 2017.
3. Крашнева О. Е. Философия образования. Ростов-на-Дону. 2005.
4. https://www.google.com.radiotavisupleba.ge.
5. http://www.qwelly.com/group/philosophy/forum/topics/ganatlebis-filosofia.

[18] . მაისურაძე ნ. სამართლებრივი მართვისა და რეგულირების მეთოდები. თბ.,„ იურისტთა სამყარო„, 2017, გვ.82.

NATELA MAISURAZE
THEA KVABZIRIZE
Georgian Technical University

EDUCATION PHILOSOPHY - MAXIMUM OF HUMAN ABILITIES

Abstract

The work deals with the problems of the philosophy of education, which pass through conscious, subconscious and physical abilities. In the work, special attention is paid to the achievement of an active and fast problem solving, which is based on the integrative unity of thinking, ejaculation and intuition, as well as on the latent, potential and real ways of the individual. The author points out the relevance of the development of creative abilities and especially singles out music that can equip the young man's excessive energy and the ability of intelligent selection among the numerous abilities. The author points out in the process of education and the necessity need for an integral unity of theory and practice. The author pays special attention to training the foundations of law and the economy of the market, on physical and spiritual health, on philosophical, ethical and psychological problems of beliefs and mentalities, on creative and evaluation problems, on technical and technological development, etc.
Keywords. Integral education, philosophic-ontological approach. "I", "not-I" and "other", rational, existential and intuitive.

რომან აბაშიძე
განათლების აკადემიური დოქტორი,
ასოც.პროფესორი

ადამიანის აღზრდისა და დანიშნულების რაობისათვის ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში

ყოველ ახალ სახელმწიფოებრივ წყობასა და მასთან დაკავშირებულ ცვლილებებს აუცილებლად მოსდევდა და მოსდევს განათლების სფეროს შინაარსის ადეკვატური გარდაქმნა. მსოფლიო ისტორიისათვის სრულიად კანონზომიერ პროცესს წარმოადგენს, როცა სიახლეები ცხოვრების ყველა სფეროში წინააღმდეგობებს, პრობლემათა ახალ სპექტრს წარმოუჩენს მეცნიერებას, რომელთაგან არც პედაგოგიკა არის გამონაკლისი. ცხოვრების სიახლეებისგან წამოჭრილი ამოცანების სწორი ხედვა და ანალიზი პედაგოგიკას სრულიად ახალ რელსებზე აყენებს და უკარნახებს: საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება დროის ქურაში გაატაროს, დამაჯერებელი პასუხი გასცეს თანამედროვე ცხოვრებისგან წამოჭრილ შეკითხვებს და მოგვცეს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

თანამედროვე ცხოვრებაში ერთ-ერთ გამოკვეთილ პრობლემას განათლების ჰუმანიზაცია წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში გაიზარდა მოსახლეობის ინტელექტუალური დონე, ის ადექვატურად არ აისახა მათი აღზრდილობის, ზნეობის ხარისხზე. ადამიანთა საყოველთაო გაუცხოების ფონზე არსებული რეალობა მსოფლიო მასშტაბით აყალიბებს ერთგვარ დირექტივას: „ განათლების ჰუმანიზაციის პრობლემა სახელმწიფოებრივ რანგში უნდა იქნას აყვანილი!„ სწორედ ეს უკარნახებს პედაგოგიკას თავის არსენალში მოიძიოს საჭირო გამოცდილება საზოგადოებაში ემპათიის გრძნობის გასაძლიერებლად და სწავლებისა და აღზრდის ჰუმანისტურ პრინციპებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს პიროვნების მიერ საკუთარი თავის შეცნობასა და პიროვნული „მე„-ს რეალიზაციას.

აღნიშნული მიზნის მიღწევა პედაგოგიკამ ფილოსოფიის დახმარებითაც შეიძლება შეძლოს, რადგან ეს მეცნიერება წარმოადგენს არა მხოლოდ პედაგოგიური გამოცდილებისა და პედაგოგიკური კონცეფციების გააზრების „თეორიულ პლატფორმას„, არამედ პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძველსაც. ჩვენ აღარ შევჩერდებით სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობის ანალიზსა და პედაგოგიკასთან მათ კავშირზე, ყურადღებას გავამახვილებთ ეგზისტენციალიზმზე, რომელშიც სიღრმისეულად არის წარმოდგენილი ჰუმანურ, თავისუფალ გარემოში ადამიანის აღზრდისა და დანიშნულების პრობლემა.

ეგზისტენციალიზმი ლათინური სიტყვაა და არსებობას ნიშნავს. ის, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა, მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა და მასში კარგად აისახა მაშინდელი მსოფლიო საზოგადოების მეტნაკლებად დეპრესიული, პესიმისტური განწყობა: „ეგზისტენციალიზმი ამოიზარდა ტექნიკის, მეცნიერული და ზნეობრივი პროგრესის შესახებ პესიმისტურ შეხედულებათა ნიადაგზე, რომლებიც მსოფლიო ომებისა და ტოტალური რეჟიმის კოშმარად იქცა. ფაშიზმთან ომის პერიოდი იქცა ეგზისტენციალიზმის გაფურჩქვნის ხანად. ეს ის პერიოდია, როცა გერმანიამ და მასთან ერთად მთელმა ევროპამ არნახული ნგრევა განიცადა. სიკვდილი, ავადმყოფობა, შიში, შიმშილი, სიცივე, გაბატონებული თითქმის ყველა ადამიანის ოჯახში, საშინელი პესიმიზმის წყაროდ იქცა. ხალხი აპოკალიფსის განცდამ მოიცვა... ომის შემდგომი ევროპის მოქალაქეებში დასადგურებულმა სულიერმა მდგომარეობამ და დეპრესიამ განაპირობა ისეთი ახალი ფილოსოფიური მიმართულების ჩამოყალიბება, რომელშიც აისახებოდა ის სულიერი თუ ფიზიკური განცდები, რომელიც თითქმის ყველას ერთნაირად აწუხებდა. ასეთ ფილოსოფიად იქცა ეგზიტენციალიზმი„(5, 34).

ეგზისტენციალიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა, გერმანიაში ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნეში, მაგრამ მის ჩამოყალიბებას საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორია გააჩნია. ეგზისტენციალისტების ნაშრომებში აშკარად იგრძნობა გერმანული კლასიკური ფილოსოფიისა და XIX საუკუნის გერმანული რომანტიზმის, ასევე, ს. კირკეგორის იდეების ზეგავლენა, თუმცა თვითონვე მიიჩნევენ, რომ ეგზისტენციალიზმი არ არის დროის მოკლე ინტერვალში შექმნილი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომ მისი წარმოშობის ისტორია დაკავშირებულია წმ.ავგუსტინესა და მარკუს ავრელიუსთან, რომელთა შემოქმედებაშიც ვაწყდებით ზემოთ დასახელებული პრობლემების დანახვისა და გადაჭრის ეფექტურ გზებს, იმ იდეებს, რომელზედაც არის დაფუძნებული თანამედროვე იდეალიზმი.

ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ არა ეგზისტენციალიზმის მთლიანი არსი, არამედ ის, თუ როგორ არის ამ მიმდინარეობაში მოცემული ადამიანის აღზრდისა და დანიშნულების პრობლემა. საკითხის განხილვა დავიწყოთ მარკუს ავრელიუსის შემოქმედებით, რომელსაც ეგზიტენციალიზმის შორეულ წინაპრად მიიჩნევენ.

არსებული თემატიკის გარშემო საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული მ.ავრელიუსს წიგნში „ფიქრები„. მართალია, ეს ნაწარმოები არ განეკუთვნება პედაგოგიურ ჟანრს, მაგრამ პედაგოგიური თვალსაზრისით მასში მოცემული იდეები დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

მ. ავრელიუსის „ფიქრებს„ ლაიტმოტივად გასდევს შემდეგი აზრი: ადამიანის სიცოცხლე წუთისოფელში წამია მხოლოდ. ამიტომაც ამ საყოველთაო ჭეშმარიტების გაგება და განცდა უბიძგებს ადამიანს არსებობის მანძილზე ღირსეულად შეძლოს ღვთისგან დაკისრებული მისიის გაცნობიერება. „დროა შეიცნო, რომ შენი სიცოცხლე წამია მხოლოდ, და თუ ამ წამით არ ისარგებლებ, ის გაქრება, ისევე როგორც გაქრები შენ, და აღარასოდეს შემოიქცევი უკან„(1, 79).

ადამიანის დანიშნულების გაცნობიერების თვალსაზრისით საინტერესოა ის, თუ განისაზღვროს, საით უნდა მიემართებოდეს ადამიანის აღზრდის პროცესი. მ. ავრელიუსი ამისათვის სამ ძირითად მიზანს უსახავს საკუთარ თავს, ზოგადად, ადამიანს: 1) სიბრძნის სიყვარულს; 2) საკუთარი თავის შეცნობას; 3) ბუნების თანახმად ცხოვრების აუცილებლობას.

მ. ავრელიუსისთვის სიბრძნის სიყვარული არ ნიშნავს მხოლოდ მატერიალური ცოდნის დაუფლებას. მისი წარმოდგენით, ადამიანს ცოდნა ეხმარება განსაზღვროს ამსოფლიური ამაოება, სულიერი სიწმინდის შეულახავად წინ აღუდგეს ცხოვრების მანკიერებას, დაძლიოს განცხრომის

სურვილი, შეძლოს ვნებების მოთოკვა, ებრძოლოს სიცრუესა და პირმოთნეობას. „ცხოვრება ბრძოლაა და ხეტიალი უცხო მხარეში; სიკვდილის შემდგომი დიდება-დავიწყება. მაშ, რაღას მიუყვეთ, რა გიწინამძღვრებს? სიბრძნის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ. სიბრძნის მოყვარე კი ისაა, ვინც ხრწნილებისგან იცავს თავს და უმწიკვლოდ ამყოფებს საკუთარ სულში დამკვიდრებულ დემონს, რათა ეს უკანასკნელი მარტო სძლევდეს განცხრომის ყველა სურვილსა და ყველა სალმობას, რათა მისთვის უცხო იყოს ყოველგვარი სიშლეგე, სიცრუე და პირმოთნეობა, რათა არ დაგიდევდეს, რასაც იქმს მისი მოყვასი, რათა ყველაფერს, რაც ხდება ან წილად ხვდება მას, უმზერდეს, როგორც იმავე საწყისისგან წარმომდგარს, რომლისაგანც თავად მოიქცა ყოფად„ (1, 87).

მ.ავრელიუსს ადამიანის აღზრდის მეორე ქმედით ძალად საკუთარ სულსა და გონებაში ჩაღრმავება მიაჩნია. საკუთარ თავთან მარტო დარჩენა როდი ნიშნავს ასკეტიზმს, საზოგადოებისგან განდგომას. პირიქით, ამგვარი ქმედება ადამიანისთვის ისეთი მოუსყიდველი მსაჯულია, რომელიც საკუთარი თავის შეცნობისა და საზოგადოების სამსახურისკენ მოუწოდებს ადამიანებს საკუთარი თავის შეცნობა- საკუთარ შესაძლებლობებში სრულყოფილ გარკვევას გულისხმობს, სოციალურ გარემოში სწორი ორიენტაციის აღებას და სოციუმის ერთგულ, ღირსეულ წევრად დამკვიდრების განცდას. „წესად დარგე, შეძლებისდაგვარად თვალყური ადევნო მოყვასის ყველა ცალკეულ მოქმედებას, რათა გაიცხადო რას მიელტვის იგი. მაგრამ დაიწყე შენით და უპირველეს ყოვლისა, მიიქეც შენივე სული ჭვრეტად„ (1, 87); ხოლო ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, ამ მნიშვნელობის გაცნობიერებისაკენ მოუწოდებს: „... შენ საზოგადოების წევრი ხარ და მისი ნაწილი, ყოველი შენი მოქმედებაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი უნდა იყოს. რადგან შენი ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უმეშვეოდ თუ რისიმე მეშვეობით არ ამტკიცებს საზოგადო სიკეთეს, ანაწევრებს ცხოვრების მთლიანობას, არღვევს მის ერთობას და შინააშლილობას იწვევს„ (1,224).

მ. ავრელიუსს ადამიანის აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად ბუნების თანახმად ცხოვრება მიაჩნია; ბუნების თანახმად ცხოვრება კი სამყაროს შემოქმედის გზით ცხოვრებას ნიშნავს. ადამიანი საკუთარი სულიერი კონსტიტუციით, ფსიქიკური სამყაროთი იმეორებს სამყაროს მოდელს, მისი ორგანული ნაწილია და ენათესავება ღვთაებრივ ბუნებას. ღმერთმა ადამიანი ადამიანისთვის შექმნა და არა იმისთვის, რომ მტრად მოეკიდოს, შურითა და სიძულვილით განვლოს ცხოვრების გზა. ბუნების თანახმად, ცხოვრება ადამის მოდგმის სიყვარულია, სიტყვის საქმედ ქცევაა, ნათელი შეგნებით წინააღმდეგობის გარეშე სამყაროს ყოვლისქმნადობის ნებისმიერი შედეგის მიღებაა და ამ პრინციპებით ცხოვრებაა, რომლის შესახებაც ბაჩანა ბრეგვაძე აღნიშნავს: „დაუცადებლად დაამკვიდრო სამყაროში გონიერების უზენაესი პრინციპის სუფევა.„

ჩვენ ძალიან მოკლედ განვიხილეთ მარკუს ავრელიუსის მოსაზრებები ადამიანის აღზრდასა და დანიშნულებაზე. მას შემდეგ რამდენიმე საუკუნემ გაიარა, მნიშვნელოვანად შეიცვალა საზოგადოების ცხოვრების წესი. ჩვენთვის ნიშანდობლივია, რამდენად მოახერხა ეგზიტენციალიზმმა ირაციონალური ფილოსოფიის დახვეწილ ფორმად ჩამოყალიბება ისე, რომ სპონტანურად შეძლო თავისი შინაარსობრივი მხარით აესახა საზოგადოებაში არსებული კრიზისული მოვლენები ადამიანის არსებობასთან, აღზრდასა და დანიშნულებასთან დაკავშირებით.

ადამიანის აღზრდისა და დანიშნულების პრობლემა წარმოუდგენელია აიხსნას იმ ფუნდამენტური საკითხების ახსნის გარეშე, რასაც თავისუფლებისა და თავისუფალი პიროვნების აღზრდის ცნება ჰქვია. ეგზისტენციალისტები ამ ცნებას სრულიად სპეციფიკურად ხსნიან, რაც ქმნის მეცნიერთა ერთ ნაწილში მოსაზრებას, რომ ეგზისტენციალიზმში თავისუფლება შორს დგას პასუხიმგებლობისგან, რომელიც ორგანულად უკავშირდება ადამიანის აღზრდასა და დანიშნულებას.

ბუნებრივია ისმის კითხვა, რა არის ზოგადად თავისუფლება? როგორი წარმოდგენა აქვთ ეგზისტენციალისტებს თავისუფლების ცნების შესახებ?

მაგალითად, ჰობსი თავისუფლებას ასე განმარტავს: „თავისუფლება არის მოქმედების დამაბრკოლებელ საშუალებათა არარსებობა არც ბუნებაში და არც მოქმედი სუბიექტის შინაგან თავისებურებებში.„(6,525) ეგზიტენციალისტების მიერ თავისუფლების ცნების განსაზღვრისათ-

ვის ასევე საინტერესოა მონტესკიესეული თავისუფლების დეფინიცია: „ თავისუფლება ჩვენი ნებიყოფის დაუბრკოლებლად გამოვლენაა. უკიდურეს შემთხვევაში... რწმენა, რომ ჩვენ მას თავისუფლად ვავლენთ„(7, 317)

თავისუფლების ცნების კიდევ უფრო ფართო გაგებას გვაძლევს ეგზისტენციალური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ნ. ბერდიაევი („თავისუფლების ფილოსოფოსი„). მისი აზრით, თავისუფლების ფილოსოფია-სიყვარულისა და თავისუფლების რელიგიაა. დროთა განმავლობაში იგი უნდა გადაიქცეს ერთგვარ მკურნალად ადამიანების შიშისა და ტანჯვისაგან გათავისუფლებაში, რომ ღმერთს სჭირდება არა მონები, არამედ თავისუფალი ადამიანები, ხოლო რაც შეეხება საკუთრივ თავისუფლებას, ის არ არის აუცილებლობის შეცნობა, არამედ აუცილებლობა არის შეუცნობელი თავისუფლება. თავისუფლების ამგვარი ინტერპრეტაცია, ზოგიერთის წარმოდგენით, ეწინააღმდეგება საყოველთაო ჭეშმარიტებას, რომ ამქვეყნად არსებობა, სოციუმის წევრად ყოფნა გარკვეული პასუხისმგებლობა და მოვალეობაა საზოგადოების წინაშე. პასუხისმგებლობა გარკეულწილად საზოგადოების წევრად ყოფნის განცდასაც გულისხმობს, თუმცა ეგზიტენციალისტები, მათ შორის ბერდიაევი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობის, აუცილებლობის მტკიცებას და მის განცდას არ მოაქვს ჭეშმარიტი თავისუფლება ადამიანისათვის. თავისუფალი პიროვნების აღზრდა მხოლოდ თავისუფლების პირობებში, მათში მიმდინარე სწავლება-აღზრდის გარემოშია შესაძლებელი. მართალია, თავისუფალი პიროვნების აღზრდის იდეა ბერდიაევთან არ არის ინოვაცია, მის ისტორიულ წინამძღვრებს ჟან-ჟაკ რუსოსა და ლევ ტოლსტოის შემოქმედებაში ვაწყდებით, მაგრამ ეგზიტენციალისტებისთვის სწავლებისა და აღზრდის მკვეთრად ინდივიდუალიზების ტენდენცია სცილდება თავისუფალი აღზრდის ჩარჩოებს. მათი აზრით, ადამიანი წარმოადგენს მისი თვითრეალიზაციისა და ზრდისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების გამოხატულებას. თვითრეალიზაციისადმი მისწრაფება არა მხოლოდ ადამიანური უნარია, არამედ ადამიანური მოთხოვნილებაც. ადამიანებს ბუნებრივი მიდრეკილება გააჩნიათ სიყვარულისა და სიკეთისადმი, შემოქმედებისადმი, არსებული პოტენციური უნარების განვითარებისთვის კი საჭიროა სამყარო მათი თვალით დავინახოთ და შევქმნათ თავისუფალი გარემო პიროვნული ღირსებების აღიარებისთვის. სწორედ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ადამიანმა შეძლოს საკუთარი პიროვნული „მე„-ს სრული რეალიზაცია და ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება. ეგზიტენციალისტთა მსგავსი ხედვა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში სრულიად მისაღებია და ამ მოსაზრებამ დროის შემოტევას თავისუფლად გაუძლო. სწორედ ამ იდეების გაფურჩქვნის პერიოდში, გასული საუკუნის 20-იან წლებში გაიხსნა სომერჰილის სკოლა, რომლის კურსდამთავრებულები ცნობილი მწერლები, მეცნიერები, მუსიკოსები და ექიმები გახდნენ. ამ იდეის მდგრადობას ადასტურებს ისიც, რომ დღესაც, თავისუფალი აღზრდისა და სწავლების პრინციპებს ფუნდამენტურად იკვლევენ ჰარვარდის უნივერსიტეტში. ასე რომ, ჩვენ შეიძლება რაღაც დეტალებში ვერ დავეთანხმოთ ეგზიტენციალისტთა მოსაზრებებს ადამიანის მკვეთრად ინდივიდუალიზებულ აღზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ თავისუფალი აღზრდის იდეის განხორციელების პროცესში თუ მოხერხდება პიროვნების საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება და საზოგადოების სასიკეთოდ აქტიურად ჩართვა, პიროვნების მაქსიმალური აქტუალიზაცია, არ შეიძლება ეს აზრი უსარგებლოდ მივიჩნიოთ.

თავისუფლებისა და ადამიანის დანიშნულების ეგზიტენციალური გაგება არ აღიარებს ადამიანის იზოლირებულ, ჩაკეტილ არსებობას. ადამიანი აღიქმება, როგორც გახსნილი, ღია რეალობის მატარებელი არსება, რომლის არსებობა წინასწარ არ არის დეტერმინებული, რომ იგი მუდმივ პროექტირებასა და ქმნადობაშია. ის გარესინამდვილესთან აღზრდის სწორი ორგანიზებით ქმნის ალტერნატიულ სივრცეს და მის მიერ შექმნილ თავისუფალ გარემოში განსაზღვრავს სამყაროსთან-ობიექტურ სინამდვილესთან ორგანულ კავშირს. მართალია, ეგზისტენციალისტების მოსაზრება ადამიანის აღზრდის, თავისუფლების და დანიშნულების შესახებ მეცნიერთა ერთ ნაწილში განსხვავებულ ინტერპრეტაციას იწვევს, მაგრამ მათი მოსაზრების მნიშვნელობას განსაზღვრავს მათ მიერ შემუშავებული იდეების მდგრადობა და პრაქტიკული ღირებულება საზოგადოების დემოკრატიის ხარისხის ასამაღლებლად. ჩვენთვის მისაღებია თამარ კუკავასეული მოსაზრება: „ადამიანს უნდა შევუნარჩუნოთ მოქმედების თავისუფლება. მაგრამ ყოველი მი-

სი მოქმედება და არჩევანიც დავუქვემდებაროთ მხოლოდ ერთადერთ პრინციპს: იმოქმედოს ისე, რომ სხვებს არ მიაყენოს არავითარი ზიანი და არავითარი ვნება. მხოლოდ ამ პრინციპის წინაშე უნდა იყოს ყველა პასუხისმგებელი და ვალდებული„(4,65)

ეგზიტენციალისტებისათვისაც თავისუფლება შემოქმედებითი ძალაა, ჭეშმარიტებასთან ზიარებისა და შეცნობის საშუალებაა, ამსოფლიური ამაოების ტრაგიკული შეცნობაა, პასუხისმგებლობის ტვირთია... თუ ბერდიაევი ერთგან წერს, რომ თავისუფლება შემოქმედებითი ძალაა და არა სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანი, ბევრს აფიქრებინებს, რომ ბერდიაევისა და სხვა ეგზიტენციალისტთა მოსაზრებები ნაკლებად არის გამსჭვალული ჰუმანიზმით, თუმცა კომენტარისგან თავს შევიკავებ და ისევ ბერდიაევს დავესესხები: „... ძლიერ მიყვარდა და ვაფასებდი ცხოვრებაში აქტიურ, სხივმფენი სიყვარულის ადამიანებს. სიბრალულს ჩემსას ერწყმოდა ზრუნვა. მე ვარ მზრუნველი ადამიანი. ახლობელთა გამო გამუდმებით ვწუხდი, არ შემეძლო შევგუებოდი აზრს მათი სიკვდილის შესახებ... ადამიანებს, მე რომ მიცნობდნენ, უჭირდათ დაჯერება, რა ზომამდე ვიყავ მზრუნველი. ზრუნვას ხშირად გავუთელილვარ. მეჩვენებოდა, რომ ჩემს მზრუნველობაზეა დამოკიდებული, დაიღუპება თუ გადარჩება ადამიანი„(3,305).

ადამიანის აღზრდის, თავისუფლებისა და დანიშნულების შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს ჩამოყალიბებული ეგზიტენციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელს ჟან პოლ სარტრის. მისი აზრით, ადამიანის ცვალებადობა თავისთავად მიუთითებს მის თავისუფლებაზე. ადამიანმა საკუთარი თავის რეალიზება უნდა მოახდინოს მხოლოდ თავისუფალ გარემოში. აღზრდამ უნდა უზრუნველყოს ჯანსაღი, ობიექტური გარემოს შექმნა პიროვნების თვითაღზრდისა და თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. პიროვნული თავისუფლება კი სხვა ეგზიტენციალისტების მსგავსად, სარტრის სულიერი კათარზისისა და ზნეობრივი დეფიციტის კომპენსირების წინაპირობად მიაჩნია.

სარტრი თავის მოძღვრებას ოპტიმისტურ დოქტრინას ეძახდა, რადგანაც ადამიანებს თავისუფლებას ანიჭებდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი მოძღვრება უფრო მეტად პესიმისტურია, ვიდრე ოპტიმისტური. აბსოლუტურმა, „მოუხმარებელმა„ თავისუფლებამ ბედნიერების ნაცვლად ტანჯვა და ტკივილი მოუტანა ადამიანებს, რადგანაც სარტრისთვისაც, თავისი თანამოაზრეების მსგავსად, თავისუფლება პასუხისმგებლობით გამოწვეული ტვირთია სოციუმის წინაშე, საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნისათვის დაკისრებული მოვალეობაა, რაც ადამიანთა დიდ ნაწილში შიშს იწვევს და ერთგვარ სკეპსისში აგდებს. თავისუფლება სარტრისთვის მსოფლიო წესრიგში კუთვნილი წვლილის შეტანაა. „ადამიანი პასუხისმგებელია ყველაფრისათვის... მას პასუხი მოეთხოვება არა მარტო მის ყოველდღიურ მოქმედებაზე, არამედ ვიეტნამში წარმოებული ომისთვისაც, ზანგების დევნისათვის, ან არჩევნებში არადემოკრატიული ძალების გამარჯვებისთვისაც; ის რომ წინ აღდგომოდა ამ საქმეს, მას სათანადო სიფრთხილე გამოეჩინა-ეს არ მოხდებოდა, ამიტომ ადამიანი ვალდებულია ყველაფერზე აგოს პასუხი, რაც კი ხდება მის გარემომცველ სამყაროში, ადამიანთა საზოგადოებაში„(2,115).

ამრიგად, ადამიანის აღზრდისა და დანიშნულების პრობლემას თუ განვიხილავთ ეგზისტენციალური ფილოსოფიის ჭრილში, აღმოჩნდება, რომ თავისუფალი პიროვნების აღზრდა-ჰუმანისტური პედაგოგიკის შემადგენელი ნაწილი, შესაძლებელია, შინაარსობრივად მრავალფეროვანი გახდეს და განხორციელდეს იმ რაციონალური იდეების გათვალისწინებითაც, რაც ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში არსებობს. ასე რომ, ზოგიერთათვის მიღებული აზრი, ეგზიტენციალური ფილოსოფია არის მკვეთრად ინდივიდუალიზებული, ირაციონალური, უაღრესად პესიმისტური მიმდინარეობა, რომელშიც გაფეტიშებულია პიროვნების განდეგილობა, წინა პლანზეა წამოწეული პიროვნების აბსოლუტური თავისუფლება, რომელიც შორს დგას საზოგადოების პასუხისმგებლობის გაცნობიერებისგან, არ შეესაბამება სიმართლეს. პედაგოგიური თვალსაზრისით, წარმოუდგენელია ყველაფერში დაეთანხმო ეგზიტენციალისტებს, მაგრამ თავისუფალი აღზრდის პირობებში ინდივიდი ცნობიერად და ქვეშეცნეულად რომ იცვლება, რაც უზრუნველყოფს მის კონსტრუქციულ, გონივრულ და სოციალიზებულ ქმედებას, ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებას, თანამედროვე ცხოვრებამაც ნათლად დაადასტურა.

ლიტერატურა:
1) ავრელიუსი მ; ფიქრები, თბ;1972
2) ბალანჩივაძე რ; ასათიანი ვ; პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვები, თბ;1997
3) ბერდიაევი ნ; თვითშემეცნება, ჟურ, „საუნჯე„1992, №1
4) კუკავა თ; ეთიკა, თბ; 2000
5) შერვაშიძე გ; ჟან პოლ სარტრის ფილოსოფია, ბათ;2005
6) Гоббс Т; произведения в 2 томах; т 1; М 1964
7) Монтескье Ш; О духе закона; М1964

ROMAN ABASHIDZE
Doctor of Education, Assoc. Professor

FOR THE ESSENCE OF HUMAN UPBRINGING AND MISSION IN EXISTENTIAL PHILOSOPHY

Abstract

One part of modern scholars thinks, that existentialism stands individually the concept of free upbringing and free personality, which is less connected to social responsibility. However, the in-depth analysis of their work reveals that current considerations are less suited to the truth. The modern world education trends have confirmed that upbringing of a free person is possible in free upbringing conditions. The person who is formed in such environments will better make sense of its own purpose, as well as of the society itself. The visible representatives of existentialism are Berdyaev and Jean Paul Sartre whose philosophical works give possibility to make indicated conclusions.

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მანონი ბერუჩაშვილი
ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების
№ 31 ბაგა-ბაღის აღმზრდელი

რეჯიო ემილიას საგანმანათლებლო ფილოსოფია

რეჯიო ემილიას პედაგოგიკა შეიქმნა და დაიბადა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებში იტალიის ჩრდილოეთით მდებარე ამავე სახელობის ქალაქში. ამ ქალაქში ერთ დღეს გადაწყვიტეს, რომ ომის მოწინააღმდეგე თაობები აღეზარდათ. ამისათვის საჭირო იყო ახალი გზა, რომლის საჭიროებაც იგრძნო და დაინახა ლორის მალაგუციმ.

მან მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ქალაქის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით და დახმარებით გახსნა პირველი მუნიციპალური სკოლამდელი ცენტრი. მალე მისივე ხელმძღვანელობით გაიხსნა მუნიციპალური ბაღები, საბავშვო ცენტრები, აღმზრდელთა სკოლა. ამასთან ის გახდა ავტორი მანიფესტისა ბავშვთა, მშობელთა და მასწავლებელთა უფლებების დაცვისა, რომელსაც ზედმიწევნით იცავენ რეჯიო ემილიას სკოლებში.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ქალაქის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით და დახმარებით გახსნა პირველი მუნიციპალური სკოლამდელი ცენტრი. მალე მისივე ხელმძღვანე-

ლობით გაიხსნა მუნიციპალური ბაღები, საბავშვო ცენტრები, აღმზრდელთა სკოლა. ამასთან ის გახდა ავტორი მანიფესტისა ბავშვთა, მშობელთა და მასწავლებელთა უფლებების დაცვისა, რომელსაც ზედმიწევნით იცავენ რეჯიო ემილიას სკოლებში.

იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოების დამოკიდებულება იყო ფრთხილი, მათ უწევდათ დოკუმენტურად დაეფიქსირებინათ თითოეული პედაგოგიური გადაწყვეტილება, რათა ყოველთვის ყოფილიყო შესაძლებელი იმის დამტკიცება, რომ ბავშვებს არაფერს ცუდს არ უკეთებდნენ. მაგალითად, მთელი კვირის განმავლობაში სწავლება ჩატარდა პირდაპირ ქალაქის ცენტრში, პარკში, რათა მეთოდი ღია გაეხადათ ყველასთვის.

საბავშვო ბაღები არის ადგილი, სადაც ურთიერთქმედებენ აღმზრდელები, ბავშვები და მშობლები, და მათი ურთიერთობა სხვადასხვაგვარია, ვრცელი, გამყარებული გადაცემული ინფორმაციით, რომელიც თითქოს და გადაიცემა "ას ენაზე" - ყველა შესაძლო გზით. თანამშრომლობის სულისკვეთება, ინდივიდუალური და კოლექტიური ძალისხმევის შერწყმა, ურთიერთობა ზრდის, განვითარებისა და სწავლის, სხვადასხვა სახის ურთიერთობა გარე სამყაროსთან და საბავშვო ბაღის შიგნით შეადგენს რეჯიო ემილიას ფილოსოფიის არსს.

ბავშვი შედგება ასეულისგან, - წერს ლ. მალაგუცი თავის ერთ-ერთ ლექსში, - ბავშვს აქვს ასი ენა, ასი ხელი , ასი აზრი, აზროვნების, თამაშის და საუბრის ასი ხერხი,. ასი, ყოველთვის ასი გზა მოსმენის , აღფრთოვანების, სიყვარულის. ასი ბედნიერი განცდა, რათა იმღერონ და გაიგონ, ასი სამყარო, რათა გააკეთონ აღმოჩენები, ასი სამყარო, რათა განახორციელონ გამოგონება, ასი სამყარო, რათა იოცნებონ. ბავშვს აქვს ასი (და კიდევ ასი, ასი, ასი) ენა, მაგრამ მას პარავენ ოთხმოცდაცხრამეტ მათგანს. სკოლა და კულტურა აცილებენ ერთმანეთს თავსა და სხეულს. ისინი ასწავლიან ფიქრს ხელების გარეშე, კეთებას თავის გარეშე, მოსმენას დუმილით, სიყვარულს და აღფრთოვანებას მხოლოდ აღდგომას და შობას. ისინი ასწავლიან უკვე არსებული სამყაროს აღმოჩენას და ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ სამყაროს იპარავენ. ისინი ასწავლიან: თამაში და მუშაობა, რეალობა და ფანტაზია, მეცნიერება და წარმოსახვა, ცა და დედამიწა, გონება და ოცნება - ისეთი საგნებია, რომ არ არიან თავსებადი ერთმანეთთან. ზოგადად, ასწავლიან, რომ არ არსებობს არავითარი ასეული. ბავშვი კი ამბობს: „ასეული არის აქ“ (2. გვ.62).

„რეჯიო-ემილიას მეთოდოლოგიაში“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სააღმზრდელო ჯგუფების ინტერიერი, რომელიც რეკომენდირებულია ჯანსაღი ფსიქიკის განვითარებისთვის. საბავშვო ბაღის სივრცე დატვირთულია ბავშვისათვის სასარგებლო ვიზუალური და ტაქტილური ინფორმაციით, ნივთებით, რომელთა ხელში აღება საინტერესოა, რათა გაერკვე მათ მოწყობილობაში, გამოიყენო თამაშში: ეს არის უზარმაზარი რაოდენობის ბუნებრივი მასალები (ფოთლები, თესლი, ტოტები და ა.შ ...) და მათი შესასწავლი სხვა ნივთები (გამაძლიერებლები, ლუპები, მიკროსკოპები, განათებიანი მაგიდები, ხის და საზეინკლო ინსტრუმენტები და ასე შემდეგ), სხვადასხვა დიზაინერები (კონსტრუქტორები) და სათამაშოები, მძივები და საღებავი, უსარგებლო მასალები. ავეჯი გამოიყენება ძველებური (კომოდები, ყუთები, უჯრები, კალათები და თაროები), რომელსაც აქვს "ინდივიდუალური სახე" და ნელ-ნელა ივსება ბავშვების მასალებით და ნამუშევრებით. საბავშვო ბაღში მუდმივად მუშაობს ატელიელისტი მხატვარი, რომელიც იგონებს, თუ როგორ უნდა დაეხმაროს ბავშვებს აღმოაჩინონ სამყარო. შემოქმედება, ფანტაზია - ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად ვითარდება ასეთ სკოლამდელ დაწესებულებაში. ბავშვები ძალიან ბევრს ხატავენ და გამოსახავენ, იყენებენ სხვადასხვა მასალებს. პირველი შთაბეჭდილებები, როგორც წესი, გადმოიცემა ფლომასტერით, შემდეგ ტექნიკა რთულდება, მაგრამ, საბოლოოდ, შეიძლება შეიქმნას დიდი საერთო პანო. ინტერესი თითოეული ბავშვის მიმართ იწვევს მისი ნაწარმოებების კრებულის შექმნას საბავშვო ბაღში ყოფნის დროს„ (2. გვ.68).

სკოლამდელი დაწესებულებები აგებულია ისე, რომ გამოიწვიონ ბავშვთა ცნობისმოყვარეობა და წყურვილი. თითოეული სკოლამდელი დაწესებულების ცენტრში , იტალიური ტრადიციის მიხედვით, მდებარეობს "პიაცა" -ყველა ბავშვის შეხვედრის ადგილი; აქვეა შიდა ეზო ან ზამთრის ბაღი მწვანე მცენარეებით. თითქმის ყველა კედელი გამჭვირვალეა ან გააჩნია ბევრი

ფანჯარა. ბევრი გამჭვირვალე კედელი და მინაა, ასე, რომ ყველას შეუძლია დაინახოს, სად რა მოხდა; თავდაპირველად ცოტა რთულია ორიენტირება, რადგან ძალიან ბევრი რამ ხდება ერთდროულად. ბაგაში კარის ზედა ნაწილი მინისაა, ქვედა ნაწილში არსებობს ფანჯარა, ასე რომ მცოცავ ბავშვებსაც შეუძლიათ სხვების დანახვა, და ისინიც ჩანან. ყველგან, მათ შორის იატაკზე, სარკეებია, და ეს პრინციპულია: ეს მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები ყოველთვის ადევნებდნენ თვალს საკუთარ თავს, ადარებდნენ თავს სხვებს, გააანალიზონ მოძრაობები და ქმედებები. დარბაზში დიდი სათამაშო ელემენტებია: პირამიდები, სახლები, მანქანები, სპორტული ინვენტარი (გორაკი, ფუბა, კიბეები, და სხვა ...), სათამაშოები; დარბაზს, ისევე როგორც ზამთრის ბაღს, აქვს მინის კედლები სახურავის გარეშე, ან გადახურულია გამჭვირვალე სახურავით ისე, რომ მისგან მოდის მწვანე ნათება. საბავშვო ბაღს ერთი შესასვლელი აქვს, მაგრამ სხვადასხვა ოთახებს აქვს ქუჩაში გასასვლელი. ბავშვების გამოსაყენებელი ნივთების წარმოებისათვის იღებენ მასალებს , რომლებიც განსხვავდებიან შეხების დროს და სხვა თვისებებით: რბილი, მსუბუქი, მძიმე, ხაოიანი, დაქანებული, მუქი, მსუბუქი და ა.შ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაგა–ბაღის ასაკის პერიოდის ბავშვებისათვის.სამზარეულო მდებარეობს შესასვლელთან, საერთო სასადილო დარბაზის ნაწილია. მზარეული საბავშვო ბაღის ცხოვრების აქტიური მონაწილეა. ყველა ბავშვი რიგრიგობით ეხმარება მას მზადებაში (ნამდვილად მონაწილეობენ საკვების მომზადებაში: ჭრიან, ურევენ , ზელენ და ა.შ.), აწყობენ მაგიდებს, ალაგებენ. მათ შეუძლიათ მოიტანონ თავიანთი რეცეპტები და მოამზადოსნკერძები მათ მიხედვით. ყოველდღიური მენიუ წერია დიდი ასოებით, და აქვეა კერძის ფოტო, ასე, რომ ბავშვებსაც შეუძლიათ უკეთ გაიგონ, რას მირთმევენ ისინი დღეს. მშობლებს უყვართ მზარეულთან საუბარი. ისინი ხშირად განიხილავენ, თუ რა და რამდენი შეუძლია ჭამონ მათმა შვილებმა, და საბავშვო ბაღში ან ბაგაში ცდილობენ გაითვალისწინონ ბავშვების გემოვნება , ამავე დროს, აჩვევენ ახალს.თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს გააჩნია ერთი დიდი საკლასო ოთახი; ბიბლიოთეკა ან კუთხე, სადაც შეიძლება წაიკითხოთ, მოუსმინოთ მუსიკას ან ზღაპარი, იხილოთ სურათები; მინი-სახელოსნო; ტუალეტი, სადაც არის პირსაბანი. საშხაპეს ნაწილი მოწყობილია წყლის თამაშებისთვის. ბაგების ჯგუფებში საძინებელი გადაწყვეტილია განსხვავებულად: სპეციალური ოთახი ჭერიდან დაკიდებული ნაჭრებით; ლეიბები; ორსართულიანი საწოლები. საბავშვო ბაღებში ისვენებენ ოთახებში, ვისაც სურს - იძინებს.თუ შესაძლებელია, ბავშვების საუბარი და ქმედებები იწერება ფირზე ან იღებენ სურათებს, იწერენ ვიდეოზე. აღირიცხება ყველა ეტაპზე მუშაობა, და ბავშვთა საქმიანობის შედეგები ქვეყნდება სტენდებზე და უბრალოდ ოთახში. არქივის შექმნა იწყება დასაბამიდან, მხოლოდ უმჯობესდება ფიქსირების მეთოდები . ასეთი მასალების შესანახად ყველა საბავშვო ბაღს აქვს საკუთარი არქივი. თითოეული ბავშვისათვის იქმნება საკუთარი საქაღალდე დოკუმენტებით (ფოტო, ნახატი, მოთხრობების ჩანაწერები, სუვენირები და ა.შ.), რომლის ყიდვა მშობლებს შეუძლიათ, როდესაც ბავშვი წავა სკოლაში. ფოლდერში ტოვებენ ცარიელ გვერდებს, რათა მშობლებმა და ბავშვმა განაგრძონ მისი შევსება.გარდა ამისა, არსებობს საერთო პედაგოგიური ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებელებით, რომელთაგან თითოეული ზედამხედველობას უწევს 4 - 5 დაწესებულებებას. ისინი არ მონაწილეობენ ბავშვებთან მუშაობაში, მაგრამ მუშაობენ პერსონალთან, მიდიან საბავშვო ბაღებში ან ბაგაში მინიმუმ კვირაში ერთხელ. ისინი აგრეთვე ორგანიზებას უწევენ სასწავლო კურსებს მათი მასწავლებლებისათვის და სემინარებს უცხოებისათვის. მუდმივი კომუნიკაცია, სპეციალური ლექციების მოსმენა,დოკუმენტაციის ანალიზი - აი, ფაქტორები, რომლებიც იძლევიან პროფესიონალი პედაგოგების ჩამოყალიბების საშუალებას.

წარმატების ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა ყველა მონაწილის ეფექტური მუშაობა სასწავლო პროცესში. ასე რომ, არც ერთი აღმზრდელი არ იცლის სხვა საქმისთვის იმ დროს, როდესაც არის ბავშვებთან: 31 საათი კვირაში ჯგუფში; 4.5 - საათი დოკუმენტაციის დამუშავებაზე, დისკუსიები, შეხვედრების დაგეგმვა; 0.5 - საათი ტრენინგის მასალები და ორგანიზაციული სა-

კითხები (სულ 36 საათი კვირაში). თუმცა, ბევრი მასწავლებელი რჩება სამუშაო საათების შემდეგ : ამას მოითხოვს დაკვირვებული გააზრება იმისა, თუ რა ხდება, საბავშვო ბაღში.

მშობლების და მასწავლებლების ურთიერთქმედება არის პედაგოგიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. ერთობლივი დაგეგმვა და დისკუსია, კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება, მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ხდება, რას მიაღწიეს მოსწავლეებმა, იკავებს უმეტეს დროს და ემსახურება აღმზრდელების შემდგომ პროფესიულ განვითარებას. ერთობლივი ღონისძიებები ხორციელდება დასვენების დღეებშიც, რაც უფრო აერთიანებს უფროსებს და ბავშვებს. მშობლები ჩართულნი არიან ლაშქრობებსა და ექსკურსიებში, მასალის დოკუმენტირებასა და დამუშავებაში, ფულის შეგროვებაში, სხვადასხვა ბაზრობებში, სხვა ღონისძიებებში ბავშვებთან ერთად. შეადგენენ და იცავენ ბავშვების, მასწავლებლების და მშობლების უფლებების დაცვის ქარტიებს. მშობლებს შეუძლიათ ბავშვებთან მუშაობა. თუ მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან აჩვენონ, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ, ისინი მოდიან საბავშვო ბაღში და დაკავებული არიან მათთვის საყვარელი საქმით (მაგალითად, წნავენ კალათებს), ბავშვები მათ უსვამენ კითხვებს და თვალს ადევნებენ მათ ქმედებებს. მშობელთა კრებები ზოგჯერ ტარდება მოწვეული სპეციალისტების ლექციების სახით 1 -2 თვეში ერთხელ. მასწავლებლები მშობლებს ყოველდღიურად ესაუბრებიან მინიმუმ რამდენიმე წუთი. მნიშვნელოვანია, რომ ისინი იზიარებდნენ საბავშვო ბაღის იდეოლოგიას და არ ეწინააღმდეგებოდნენ საკუთარი პრეტენზიებით პერსონალის მოთხოვნებს.

ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება ბავშვების ასაკით. იგულისხმება, რომ ყველა ბავშვი იქნება ერთად დასაწყისიდან ბოლომდე და ერთსა და იმავე აღმზრდელთან. ახალი ბავშვები არასოდეს არ ემატებიან სასწავლო წლის განმავლობაში. ბაღში შემოსვლამდე ბავშვი მშობლებთან ერთად წინასწარ ეცნობა აღმზრდელებს, ბაღის შენობას და ა.შ. თუ ბავშვი გადადის სხვა ქალაქში, განშორება იქცევა დიდ მოვლენად ჯგუფის სხვა ბავშვებისათვის. თუ ბავშვი ავად არის, მას ესაუბრებიან ტელეფონით, უგზავნიან ბარათებს, მიაქვთ საჩუქარი.

რეჯიო ემილიაში სჯერათ თითოეული ბავშვის შესაძლებლობების და ენდობიან მათ. „ჩვენ ბავშვების ასისტენტები ვართ და არა აღმზრდელები„- ამბობდა ლორისი.ზრდასრულის ამოცანაა - რათა დაეხმაროს ბავშვს გამოხატოს საკუთარი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წარმოდგენები სამყაროზე და ახსოვდეს, რაც მან განიცადა. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა შეგვეძლოს ბავშვებთან ისეთი საუბარი, რომ დავაინტერესოთ საქმიანობის შინაარსით, დაებადოთ კითხვები. ბავშვებს აძლევენ იმდენ დროს ერთ და იმავე თემაზე, სანამ არ გაუნელდებათ მისდამი ინტერესი. გარდა ამისა, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა შეედაროს საკუთარ თავს და გარე სამყაროს. ზრდასრული ბავშვისათვის - არის არა დარაჯი ან ჯადოქარი, არამედ სანდო მეგობარი, რომელმაც იცის როგორ გაჩნდეს შესაბამის დროს, და როგორ გაუჩინარდეს. ის არ აძლევს პირდაპირ პასუხებს კითხვებზე, მაგრამ უხსნის გზას პასუხებისაკენ. ის ქმნის პირობებს მუშაობისათვის, მაგრამ უშუალოდ არ ახდენს გავლენას ხარისხის შედეგზე. რომ გაიგონ როგორ ვითარება ბავშვი, მასწავლებლებმა და სხვა თანამშრომლებმა მუდმივად უნდა განავითარონ საკუთარი თავი.ზოგჯერ ბავშვები იკვლევენ თუ როგორ უნდა გაიარონ მაღალ ბალახში; მოაწყონ კონცერტი პარკში; გადაივლონ წყალი; გააკეთონ ცისარტყელა; რა არის ჩრდილი; რის მეშვეობით მიედინება წყალი; როგორ იზრდება ფოთოლი; როგორ გაზომონ დრო. ბავშვები ხშირად ადევნებენ თვალყურს უფროსების შრომას და ეხმარებიან მათ, მაგალითად, ცხენების მოვლაში, ყურძნის მოსავლის აღებაში.ეს არ არის აღზრდის მეთოდი, არამედ აზროვნების ხერხი ცხოვრების, ბავშვის, ცოდნის და მისი ათვისების შესახებ, რაღაც ისეთი, რომელიც შეიძლება შეიქმნას ერთობლივად, მაგრამ არ შეიძლება მზა სახით გადაცემა. ამ შემთხვევაში იხსენებენ იტალიურ იგავს შედარებისთვის: როდესაც რამდენიმე მხატვარი წერს ფრესკას, უნდა ვიქონიოთ მოთმინება და უნდა ველოდოთ,როდის შედგება ფრაგმენტებიდან ერთიანი სურათი , რათა გავიგოთ, რის შესახებ არის და რას წარმოადგენს საერთოდ„(2. გვ.74).

რეჯიო ემილიას იდეოლოგები თვლიან, რომ დაკვირვება, მოსმენა და შემოქმედებითი აქტი - შემეცნების ძირითადი წყაროებია. ცოდნის მიღება - არის პიროვნების შეგრძნებებით და ინფორმაციით გამდიდრების მუდმივი პროცესი.ინდივიდუალური შეხედედულება, საკუთარი ხედვა ყოველთვის სუბიექტურია, არასრულია. განსხვავებული შეხედულებების დაგროვება და აზრთა გაცვლა იძლევა ცოდნის ობიექტურად შეთვისების საშუალებას. ზრდასრული, რომელიც ხელახლა იძიებს სამყაროს ბავშვებთან ერთად, ჩართულია თვითშესწავლაში, თვითშემეცნებაში და თვითგანათლებაში. იმ შემთხვევაში, თუ კი განვლილი ცხოვრება ტოვებს "კვალს", მაშინ მას შეიძლება დაუბრუნდე, წარსული ახლებურად გაიაზრო და თუ განიხილავ მას სხვებთან ერთად, კიდევ უფრო მეტს ვისწავლით.

სწავლების ეს მეთოდოლოგია ბავშვის შემეცნებითი განვითარებისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზეა ორიენტირებული. რეჯიო ემილიას მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროექტის მეთოდით სწავლებასაც, რომელიც რამდენიმე წელია დაინერგა ბაღში. პროექტი გულისხმობს ბავშვების მიერ რაიმე საკითხის სიღრმისეულ კვლევას, საკვლევი ობიექტის შესწავლას და ექსპერტებთან ურთიერთობას.

რეჯიო ემილიას მეთოდი საგანმანათლებლო ფილოსოფიაა, რომელიც სკოლამდელ და დაწყებით განათლებაზეა ორიენტირებული. მას საფუძვლად დაედო ჰუმანისტური ღირებულებები. საზოგადოებას სურდა, ადრეულ განათლებაში ჩაედო განსაზღვრული პრინციპების პატივისცემა, აღეზარდა ადამიანები, რომლებიც პატივს სცემდნენ ერთმანეთს და აღარასოდეს დაიწყებდნენ ომს. პროგრამა აგებულია პროექტებით სწავლების მეთოდზე, რაც გულისხმობს ბავშვებისთვის საინტერესო თემების სიღრმისეულ კვლევას. პროცესში ინტეგრირებულია ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფერო. კურიკულუმი მოქნილია და გამუდმებით იცვლება, რათა პროგრამაში ჩართული ბავშვების საჭიროებებსა და ინტერესებს მოერგოს. რეჯიო ემილიას მეთოდოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ესთეტიკურად მოწყობილ გარემოს, რომელიც თვითონვეა „მასწავლებელი“. აქცენტი დაისმის ბავშვის შემოქმედებითი უნარებისა და ზედა დონის აზროვნების განვითარებაზე. სასწავლო პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლებიც.რეჯიო ემილიას მეთოდოლოგია აგებულია წინასწარ დაუგეგმავ კურიკულუმზე (Emargent curriculum), რომელიც თანდათან ყალიბდება სააღმზრდელო პროცესში.სასწავლო თემები და პროექტები ბავშვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეობს. მათთვის საინტერესო პროექტზე მუშაობისას ბავშვები რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში ეწევიან სიღრმისეულ კვლევას, მერე კი შეიძლება ააგონ რაკეტა, დააპროექტონ სათამაშო მოედანი, შექმნან ხელნაკეთი წიგნი. მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა ისიცაა, რომ თავად ბავშვები არიან აქტივობათა დაგეგმვისა და განხორციელების უშუალო მონაწილეები.რეჯიოს ბაღში ბავშვებს ხელს უწყობენ, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრები და გრძნობები არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ ხელოვნების სხვადასხვა დარგის საშუალებითაც.ყოველი თემა თუ პროექტი მოიცავს მეტყველების, შემეცნებითი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარების განსავითარებელ აქტივობებს – ხატვას, ძერწვას, კონსტრუირებას, სიმღერას, ცეკვას, დრამას, თოჯინებისა და ჩრდილების თეატრს, როლურ, მოძრავ და სამაგიდო თამაშებს, ექსპერიმენტებს და სხვა. მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვებს შორის მეგობრული და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ყოველდღიური პროცესი სახალისოა და არ გულისხმობს რაიმე სახის ინფორმაციის ფორმალურ გადაცემას. თამაშის, კვლევის, კეთების მომენტში ბავშვები თავს კომფორტულად გრძნობენ და ივითარებენ შემოქმედებით თუ კრიტიკულ აზროვნებას, ანალიზისა და პრობლემების გადაჭრის უნარს. ამრიგად, ეს მეთოდი ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას უზრუნველყოფს.ბავშვებს თავისუფალი აღქმის განსავითარებლად შესაბამისი სივრცე სჭირდებათ, ამიტომ ბაღში მათ უნდა ჰქონდეთ მასალების ხელით მოსინჯვის, მათით მანიპულირების საშუალება. ჯგუფში არსებული სათამაშოები ტრანსფორმირებადია, რაც ეხმარება პატარებს, შემოქმედებითად გამოიყენონ ისინი და შექმნან მათთვის საინტერესო ნივთი. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორია მასალა – რა შეგრძნებებს ბადებს შეხებისას, როგორი სუნი აქვს, აქვს თუ არა რაიმე უნიკალური თვისება, არის თუ არა ბუნებაში მოპოვებული, შეუძ-

ლიათ თუ არა ბავშვებს მისი რამეში გამოყენება, იძლევა თუ არა ის სწავლებისა და აღმოჩენის საშუალებას.რეჯიო ემილიას ბაღის ჯგუფების სივრცე ბავშვებისთვის იოლი აღსაქმელია. იქ მათი ნამუშევრები კედლებზე მათივე თვალების სიმაღლეზეა გამოფენილი. მასალები და აღჭურვილობა ყველასათვის ხელმისაწვდომია. ოთახში შექმნილია სახლის მსგავსი მყუდრო ატმოსფერო დეკორატიული ნივთებით, ოთახის მცენარეებით, აკვარიუმით, მაგიდის გადასაფარებლებითა და ლამაზი ბალიშებით. არის პატარა, წყნარი კუთხეებიც, სადაც შეიძლება ითამაშოს ერთმა ან ორმა ბავშვმა. როგორც ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რეჯიო ემილიას ბაღშიც უდიდესი როლი ენიჭება მასწავლებელს. მისი უმთავრესი მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, რომ ბავშვმა თავი ლაღად და მხიარულად იგრძნოს, სიხარულით მიდიოდეს ბაღში და სიამოვნებით ატარებდეს დღეს. მასწავლებელი ხელს უწყობს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას ისე, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს უარყოფილი და გარიყული; ასწავლის ბავშვებს კონკრეტულ სტრატეგიებს მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ცდილობს, დააინტერესოს ბავშვი სხვადასხვა მოვლენით, რათა მან თავად მოინდომოს გაჩენილ კითხვებზე პასუხების პოვნა. კითხვების გასაჩენად კი მასწავლებელს უწევს ბავშვის დაინტერესების სხვადასხვა ხერხის გამოყენება: ამბის მოყოლა, არტეფაქტის ჩვენება, ექსკურსია. მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები ხელს უწყობს ბავშვების აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას. რეჯიო ემილიას პედაგოგიკის მიზანია, მზა გადაწყვეტილებები კი არ შესთავაზოს ბავშვებს, არამედ მხარი დაუჭიროს, განავითაროს საკუთარი თეორიები საკუთარ კითხვებზე პასუხის გაცემისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანელიძე ა., კვლევა ბავშვებთან ერთად: მრავალფეროვანი მეთოდები, 5 ოქტომბერი, 2016 წ., mastsavlebeli.ge
2. ტყეშელაშვილი შ., რეჯიო ემილიას საგანმანათლებლო ფილოსოფია, 9 ივნისი 2015 წ., mastsavlebeli.ge
3. Johanna Romberg in GEO,Heft 10/2001 „Was ist Reggio-Pädagogik? In hundert Sprachen Ball spielen.“
4. Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений М.: Издательский центр «Академия», 2001.
5. Michaela Hasberg, Stefanie Ruhe „Reggio-Pädagogik, http://www.kindergarten-heute.de“

IMERI BASILADZE
Akaki Tsereteli State University
MANONI BERUCHASHVILI
NGO Kutaisi Kindergarten Union
№ 31 Kindergarten Teacher

EDUCATIONAL PHILOSOPHY OF REGGIO EMILIA

Abstract

The method of Reggio Emilia is educational philosophy, which is focused on preschool and primary education. It was based on humanistic values. The public wanted to take into consideration the respective principles in early education. People grew up to respect one another and would never start a war. The program is based on the projects teaching method, which involves in-depth study of topics interesting for children.

ჩვენი იუბილარები

რევაზ ბალანჩივაძე - 80

ცნობილ ქართველ მეცნიერს, თვალსაჩინო მკვლევარსა და პედაგოგს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რევაზ ბალაჩივაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

რევაზ ბალანჩივაძე დაიბადა წყალტუბოს რაიონის სოფელ ბანოჯაში. იქვე შეიყვანეს სკოლაში, შემდეგ მან სწავლა გააგრძელა ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლაში, რომელიც 1956 დაამთავრა და სწავლა განაგრძნო ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის (დღევანდელი ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. როგორც წარჩინებულ სტუდენტს, რევაზ ბალანჩივაძეს, რომელიც მაიაკოვსკისა და სტალინის სახელობის სტიპენდიანტი იყო, პროფესორთა განსკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია. სწორედ მისივე ლექტორის,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის, ანგია ბოჭორიშვილის რეკომენდაციით მან მუშაობა დაიწყო ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის განყოფილებაში, ხოლო ორი წლის შემდეგ მასთან ერთად სამუშაოდ გადავიდა ფილოსოფიის ინსტიტუტში.

ნაყოფიერი გამოდგა რევაზ ბალაჩივაძის სამეცნიერო საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1970 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიტატო, ხოლო 1982 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1976 წლიდან რევაზ ბალაჩივაძე სამეცნიერო მუშაობას წარმატებით უთავსებს პარტიულ-პოლიტიკურ და ჟურნალისტურ საქმიანობას. 1982 წელს იგი დაინიშნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" მთავარ რედაქტორად და 1986 წლამდე მუშაობდა მაღალ კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე.

1986 წლიდან პროფესორი რევაზ ბალაჩივაძე კვლავ სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა: წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში კათედრის გამგედ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის პრორექტორად. ამჟამად ბატონი რევაზი გურამ თავართქილაძის სახელობის და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების პროფესორია.

პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე მრავალი სამეცნიერო ჟურნალის და შრომათა კრებულის დამფუძნებელი და რედაქტორია. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მოამბეს" მთავარი რედაქტორი. ბატონი რეზოს წერილები სისტემატურად იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალებში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ხშირად გამოდის მისი პოლემიკური სტატიები განათლების საჭირბოროტო პრობლემებზე. პოპულარულია ბატონი რეზოს საავტორო გადაცემა „განათლების ფილოსოფია", რომელიც „ქართულ ტვ"- გადაიცემა.

ხელდამშვენებული ხვდება თავის 80 წლისთავს ჩვენი სახელოვანი მეცნიერი. მისი წიგნები დიდი ხანია სპეციალისტთა ყურადღების ცენტშია მოქცეული და ბევრი მათგანი სტუდენტთა აღზრდა-განათლების სამსახურშია. სწორედ ამაზე მიუთითებს მათი არასრული ჩამონათვალი: „ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა", „ადამიანის ფილოსოფიური კონცეფცია ქართულ

მხატვრულ ლიტერატურაში", „ადამიანი და ტრადიცია", „ზნეობრივი აღზრდის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე", „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები", „უმაღლეს ღირებულებათა სამსახურში", „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა", „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები" და სხვ.

პროფესორ რევაზ ბალანჩივაძის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი აღიარებულია ქართული აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოების მიერ. იგი არჩეულია მრავალი დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსად.

ქართული განათლების მიმართ ბატონი რეზოს ღვაწლი გამორჩეულად დაფასდა 2000 წელს, როცა მას დამსახურებულად მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის პრემია. მისი მოღვაწეობა ჟურნალისტიკაშიც სათანადოდ აღინიშნა და მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება. მშობლიურმა წყალტუბოს რაიონმაც პატივი მიაგო ბატონ რეზოს დამსახურებას და იგი წყალყუბოს საპატიო მოქალაქედ აირჩია.

ბატონი რეზო განვლილი რვაათწლეულის მიუხედავად მხნედ გამოიყურება. გვჯერა, რომ ის კიდევ დიდხანს იქნება ქართული განათლების და მეცნიერების სადარაჯოზე და კვლავაც წარმატებით იღვაწებს საქართველოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის" რედაქცია გულითადად ულოცავს ღირსეულ პიროვნებას, დამსახურებულ მეცნიერს, აკადემიკოს რევაზ ბალანჩივაძეს დაბადებიდან 80 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას.

გია გვარამია – 80

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გია გრიგოლის ძე გვარამიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

უმაღლესის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1961 წლიდან იგი იწყებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში.

1967 წლიდან, ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, გია გვარამია აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას პეტერბურგში, ტექნიკური კიბერნეტიკის, კერძოდ კომპიუტერული მეხსიერების მსოფლიოში აღიარებული სამეცნიერო სკოლის ლიდერის, პროფესორ ლეონიდ კრაიზმერის ხელმძღვანელობით.

1968-69 წლებში იგი ხანგრძლივი ვადით სადოქტორო სტაჟიორად მივლინებულ იქნა ინგლისში, მანჩესტერის უნივერსიტეტში, კომპიუტერული მეცნიერების პიონერის, 1962 წელს მსოფლიოში პირველი სუპერკომპიუტერის (Atlas Computer) შემქმნელის, პროფესორ ტომ კილბურნის კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის ლაბორატორიაში.

პროფსორ გია გვარამიას თაოსნობითა და საქართველოს განათლების იმჟამინდელი მინისტრის, პროფესორ ოთარ ქინქლაძის მრავალმხრივი მხარდაჭერით, 1979 წელს დაფუძნდა განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრი (შემდგომში სამეცნიერო-სასწავლო-საწარმოო გაერთიანება - სსსგ „ინფორმატიკა„) და შეიქმნა ამერიკული კომპიუტერული კორპორაცია IBM (International Business Machines) სტანდარტების შესატყვისი სამუშაო გარემო.

1985 წელს ავტორთა ჯგუფმა გია გვარამიას ხელმღვანელობით და აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის რედაქტორობით, შექმნა მე-10 და მე-11 კლასების სასკოლო სახელმძღვანელოები „ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნიკის საფუძვლებში„ (I და II ნაწილი) და მათი საშუალებით დაიწყო ინფორმატიკის, როგორც სავალდებული სასკოლო საგნის, სწავლება.

1987 წელს, „სწავლებაში დამხმარე საშუალებების კონტროლის ახალი პრინციპების დამუშავებისა და ავტომატიზებული საინფორმაციო-პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისათვის (ალგებრაში, ფიზიკასა და ინგლისურში)„ გია გვარამია მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე (Выставкадостиженийнародногохозяйства - ВДНХ) ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ეს პროგრამები შეტანილი იქნა სახელმწიფო ალგორითმების ფონდში. პროგრამები გავრცელდა როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ (ბრატისლავის უნივერსიტეტი).

1989 წელს, პროფესორ გია გვარამიას საავტორო ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება სამუშაოსათვის: „1980-88 წლებში შესრულებული, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში კომპიუტერულ ბაზაზე დამუშავებული დამხმარე სახელმძღვანელოები და მათი დანერგვა სასწავლო პროცესში„.

1999 წელს გია გვარამიამ წარმატებით უხელმძღვანელა თბილისის მერიის პროგრამას, რის შედეგადაც თბილისის ყველა სკოლაში შეიქმნა ინფორმატიკის კაბინეტები. მისი ავტორობითა და ხელმძღვანელობით შექმნილია არაერთი კომპიუტერული სასწავლო-შემეცნებითი დანიშნულების პროგრამა.

პროფესორი გია გვარამია არის 64 სამეცნიერო შრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ (პიტსბურგი–აშშ, დრეზდენი, ბრატისლავა, ვარნა, მოსკოვი, პეტერბურგი, იერუსალიმი, ანკარა). მან UNESCO-ს ეგიდით საქართველო წარადგინა 1995 წელს ბირმინგემში გამართულ „განათლების კომპიუტერიზაციის მე-6 მსოფლიო კონგრესზე„. გია გვარამია 1996 წლიდან იყო ინფორმატიკაში მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებზე (IOI – International Olimpiads in Informatics) საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადების მენტორი და დელეგაციების ხელმძღვანელი. გუნდის წევრებს ოლიმპიადებზე ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები აქვთ მოპოვებული.

პროფესორმა გია გვარამიამ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში საფუძველი ჩაუყარა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასა და გავრცელებას. მისი მრავალმხრივი - მეცნიერული, პედაგოგიური და ორგანიზატორული საქმიანობა აღინიშნა საქართველოს ღირსების ორდენით. იგი არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრად და მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის" რედაქცია გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას დაბადებიდან 80 წლისთავს და ვუსურვებთ წარმტებებს პროფესიულ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

ოთარ გოგილაშვილი- 80

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს, ოთარ გოგილაშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ოთარ გოგილაშვილი დაიბადა 1938 წლის 21 თებერვალს ქ. თბილისში. 1956 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის მე-60 საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მეტალურგის კვალიფიკაციით. ოთარ გოგილაშვილს მინიჭებული აქვს აგრეთვე სამართალმცოდნე-იურისტის კვალიფიკაცია. 1965-1968 წლებში

ოთარ გოგილაშვილი სწავლობდა ქ. მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. იგი, როგორც ინჟინერ-მეტალურგი, წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

პროფესორ ოთარ გოგილაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ძირითადად მასწავლებელთა კადრების მომზადებას ეძღვნება. 40 წელზე მეტია მეტია, რაც იგი ამ სფეროში მოღვაწეობს ჯერ სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ბოლო ათწლეულში – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ნიშანდობლივია, რომ მასწავლებლის მომზადებას მიუძღვნა მან თავისი სადოქტორო დისერტაციაც.

წლების განმავლობაში ოთარ გოგილაშვილი არჩეული იყო საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ ინსტიტუტებში (უნივერსიტეტებში) ტექნიკური საგნების სწავლების სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრად.

1992-2007 წლებში იყო თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) რექტორი. მას გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 4 წიგნი, მისი ნაშრომები გამოცემული არის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, რუსეთში, თურქეთში, უკრაინაში, ყაზახეთში და სხვ.

ოთარ გოგილაშვილი იყო მრავალი საერთაშორისო კონგრესის და კონფერენციის ორგანიზატორი და მონაწილე (ქ. ბოსტონი, აშშ, 1998 წ., ქ. სტამბული, თურქეთი, 2003 წ., ქ. პეკინი, ჩინეთი, 2018 წ.). მისი მოხსენებები ეძღვნებოდა ტექნიკის, სამართლის და სპორტის ფილოსოფიას.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გულითადად ულოცავს ღირსეულ მეცნიერს, შესანიშნავ პიროვნებას, პროფესორ ოთარ გოგილაშვილს დაბადებიდან 80 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას, ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას.

გივი ლობჟანიძე - 70

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გივი ლობჟანიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა განვლო პროფესორმა გივი ლობჟანიძემ. ათეული წლების განმავლობაში იგი ერთგულად ემსახურა ჩვენს ქვეყანას სამართალდამცავ სისტემაში: პოლიციის ლეიტენანტობიდან გენერალ-მაიორის უმაღლეს წოდებამდე მიაღწია და მცირედითაც არ გადაუხვევია სამართლიანობის პრინციპებიდან. ბატონი გივი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ერთდროულად გენერალ-მაიორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის და აკადემიკოსის მაღალი წოდებებით ამშვენებს ქართულ საზოგადოებას. მისი მეცნიერული მონაგარი 100-ზე მეტ შრომას ითვლის, მათგან ბევრი სახელმძღვანელო და მონოგრაფიაა.

პროფესორ გივი ლობჟანიძის ნაშრომები იმდენად ღირებულია ქართული სამართლებრივ-პოლიტიკური აზროვნებისათვის, რომ ძნელია მათგან რომელიმეს გამოყოფა, თუმცა ასევე შეუძლებელია გვერდის ავლა მისი მონოგრაფიისათვის – „ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან", რომელიც „საერთო ნიადაგის" თეორიის გამო დღესაც განსაკუთრებულ აქტუალობას ინარჩუნებს; ასევე აქტუალურია სტუდენტთათვის გამიზნული სახელმძღვანელო „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია", რომელიც მაღალი მეცნიერული და მეთოდური ღირსებებით უდავოდ გამორჩეული სამაგიდო წიგნია.

პროფესორი ივი ლობჟანიძე მრავალი წლის მანძილზე ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. მის მიერ დაფრთიანებული თაობები წარმატებით საქმიანობენ როგორც მეცნიერებაში, ისე საჯარო და კერძო სექტორებში.

ბატონი გივის ბიოგრაფიის განსაკუთრებული ნაწილია მისი პოლიტიკური მოღვაწეობა. იგი იყო 1992-1995 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაში. მისი ინიციატივით არაერთი კანონპროექტი იქნა მომზადებული და მიღებული.

პროფესორი გივი ლობჟანიძე წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში პრორექტორად სასწავლო-სამეცნიერო დარგში. მისი ხელმღვანელობით მრავალ სასიკეთო წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი და მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა საპოლიციო კადრების მოსამზადებლად. ამჟამად ბატონი გივი გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, საჯარო სამართლის კათედრის გამგე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია. საერთაშორისო სამეცნიერო-პარაქტიკული ჟურნალის „ცხოვრება კანონი" - ს მთავარი რედაქტორი და რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსია.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის პოლიციის გენერალ-მაიორი გივი ლობჟანიძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის და ღირსების ორდენებით.

გივი ლობჟანიძე სანდო, სამართლიანი და კაცთმოყვარე პიროვნებაა. ცხოვრების მანძილზე მას მრავალი სირთულის გადალახვა არგუნა ბედმა, მაგრამ მაღალი ზნეობრივი პრინციპებიდან არასოდეს გადაუხვევია. 70 წელი ცხოვრების ის მიჯნაა, როცა ნაღვაწის შეფასებას იწყებს კაცი. ბატონ გივის გული მშვიდად უნდა ჰქონდეს, რადგან მეცნიერულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად მას ამშვენებს დიდებული ოჯახი, მეგობრებისა და კოლეგების მრავალრიცხოვანი არმია და მისი უზადო ლექციებით მოხიბლული მადლიერი სტუდენტობა.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის" რედაქცია გილოცავთ, ბატონო გივი! თქვენი დაბადებიდან 70-ე წლისთავს და გისურვებთ მრავალ შემოქმედებით წარმატებასა და პირად კეთილდღეობას.

ვახტანგ სართანია - 70

განათლების დარგის თვალსაჩინო მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ სართანიას 70 წელი შეუსრულდა.

ვახტანგ შალვას ძე სართანია დაიბადა 1948 წელს, სოფ. საგურამოში, მოსამსახურის ოჯახში. ორი წელი იმსახურა სავალდებული სამხედრო სამსახურში. 1971-1974 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1974-77 წლებში მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტია, ხოლო 1977-1981 წლებში ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციისა და მართვის (მენეჯმენტის) ცენტრის დასწრებული განყოფილების ასპირანტი.

მისი სამეცნიერო ხარისხები და წოდებები მრავალრიცხოვანია: იგი არის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, დოცენტი და პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა და საქარ-

თველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა (პოლიტოლოგიის) დარგობრივი აკადემიების ნამდვილი წევრი.

ვახტანგ სართანიას შრომითი გამოცდილება 1981 წლიდან დაიწყო: ის გახლდათ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი, სექტორის გამგე. ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი აღმზრდელობით და საგარეო ურთიერთობების დარგში; UNESCO-ს შტაბ-ბინის (პარიზი) ეგიდით UNESCO-ს მშვიდობის, კულტურისა და დემოკრატიის საერთაშორისო კათედრის გამგე და UNESCO-ს სამხრეთ კავკასიის სუბრეგიონული პროექტის „პრომეთეს" მთავარი კორდინატორი, ხოლო 1992-1997 წლებში სულხან - საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე.

1992 – 2005 წლებში სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორად ვახტანგ სართანია არჩეულ იქნა ზედიზედ სამჯერ, 1992-1997, 1997-2002 , 2002 – 2005 წლებში.

პროფესორი ვახტანგ სართანია 1998-2005 წლებში საქართველოს პარლამენტის მიერ ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად, ხოლო 1991-2002 წლებში იყო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი.

2010 – 2018 წლებში ვახტანგ სართანია გახლდათ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი; ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სრული პროფესორი.

პროფესორი ვახტანგ სართანია მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია, მისი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები პოპულარულია აკადემიურ საზოგადოებაში. იგი ,,საქართველო - ჩვენი ფასეულობების„ თორმეტომეულის გამოცემის მთავარი კოორდინატორია.

ბატონი ვახტანგი აქტიურად არის ჩაბმული სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში და სიტემატურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში. იგი არჩეულია რუსეთის პედაგოგიკურ და სოციალურ და მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

პროფესორ ვახტანგ სართანიას დამსახურება სათანადოდ არის დაფასებული როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში. იგი დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით (1998 წ.), იაკობ გოგებაშვილის მედლითა და პრემიით (2002-2003 წ.); საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო დიპლომით "სტუდენტ ახალგაზრდობაში მასიური სპორტის ხელშეწყობისათვის" (ჯილდო პირადად გადაეცა პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის მიერ 2001 წ.), იტალიის, სიცილიის ქ. პალერმოს რენესანსის ინსტიტუტის ჯილდოთი „დემოკრატიის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის", რომელიც პირადად გადაეცა ქ. პალერომოს მერის ბ-ნ ლეოლუკა ორლანდოს მიერ (2002 წ.), მოვსეს ხორენაცის სახელობის მედლით, (სომხეთი, 2002 წ,); მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დაარსების 250 და სანკტ-პეტერბურგის სამას წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო მედლებით (2002-2003 წ.წ.); „წლის ადამიანის„ წოდება, აშშ ქ. ვაშინგტონის საერთაშორისო კვლევის ამერიკული ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი (2003 წ.), „21-ე საუკუნის მოაზროვნის დიპლომით", აშშ ბიოგრაფიის ინსტიტუტი (2011 წ.); ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ასოციაციის მედლით, დიპლომით და ჰუმანური პედაგოგიკის რაინდის ოქროს სამკერდე ნიშნით (2012 წ.); ებრაელთა საერთაშორსო კონგრესის მიერ ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის (2016 წ.).

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟუნალ „მოამბის" რედაქცია გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას და მეგობარს დაბადებიდან 70-ე წლისთავს

და ვუსურვებთ წარმატებებს როგორც პირად ცხოვრებაში,ისე საზოგადოებრივ და პროფესიულ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მურად მთვარელიძე - 65

დღეები ბრუნავს, ვით კამათელიო, - დიდ გალაკტიონს აქვს ნათქვამი. ვინ-ვინ, მაგრამ სიჭარმაგეში შესული ადამიანი არ შეიძლება არ დაეთანხმოს გენიალურ პოეტს. მართლაც, ბავშვობაში ერთი დღე თუ დროის უსაზღვრო მონაკვეთად გვეჩვენებოდა, მერე და მერე თანდათან დაპატარავდა იგი და ბოლოს სულაც კამათლებად იქცა. აბა ასე რომ არ იყოს, თითქოს გუშინ იყო სრულიად ახალგაზრდა ბიჭი მურად მთვარელიძე მისი (და ჩემიც!) მშობლიური სკოლის დირექტორად რომ დანიშნეს. ახლა კი 65 წლის გამხდარა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ცნობილი პოეტი და პროზაიკოსი მურად მთვარელიძე.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მურად მთვარელიძე მშობლიურ ხაშურს დაუბრუნდა ქართულის მასწავლებლად, თუმცა გარანტირებული შანსი ჰქონდა კათედრაზე ან სხვა სამეცნიერო დაწესებულებაში დარჩენილიყო ხაშურზე დიდ ქალაქში. ასე იცის პროფესიისა და ადგილის დედისადმი სიყვარულმა და ერთგულებამ. მალე ნიჭიერი და აქტიური პედაგოგი თავისივე სკოლის დირექტორად დააწინაურეს, შემდეგ კი რაიონის განათლების განყოფილების გამგე გახდა, მერე კვლავ სკოლის ხელმძღვანელობა დაავალეს.

ამასობაში ბატონმა მურადმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისეტაციები, გამოსცა წიგნები სამეცნიეროცა და მხატვრულიც და მაინც პედაგოგად დარჩა, რადგან მისთვისაც პედაგოგობაც და მწერლობაც იმდენად პროფესია კი არ არის, რამდენადაც ბედისწერა!

მურად მთვარელიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხაშურის რაიონის სახალხო განათლების განვითარებაში, ჯერ როგორც სკოლის (სკოლების!) დირექტორმა, მერე კი რაიონის განათლების ხელმძღვანელმა ფართოდ გაუღო კარი მეცნიერულ სიახლეებს, ახალ, რაციონალურ მეთოდებს; იგი მუდამ სათავეში ედგა და ახალისებდა პედაგოგთა და მოსწავლეთა შემოქმედებით ინიციატივასა და ამ ინიციატივების რეალიზაციას. თვითონ შესანიშნავი მეცნიერი, პედაგოგთა და მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციების სანიმუშო ორგანიზატორიც იყო მუდამ, რადგან მან კარგად იცის, რომ მასწავლებელი მანამდეა მასწავლებელი, ვიდრე სწავლას თვითონ არ შეწყვეტს. სწორედ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის აირჩიეს იგი საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად

ჩვენი მეგობარი მურადი დღესაც ჩვეული ენთუზიაზმით ემსახურება განათლებისა და კულტურის ეროვნულ საქმეს. ამჯერად იგი არის ხაშურის მინიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში და პარალელურად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორია, ლექციების კურსი მიჰყავს ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ცალკე აღსანიშნავია ბატონი მურადის ლიტერატურული საქმიანობა, იგი არის არაერთი პოეტური კრებულის, პროზაულ ნაწარმოებთა ციკლის, ესსეს თუ წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომის ავტორი. ნებისმიერი ჟანრის მისი ნაწარმოები გამსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით, მშობლიური მიწისა და ხალხის სიყვარულით. სამშობლოსადმი მისი ერთგულება და სიყვარული გადამდებია და მისი შემოქმედების ადრესატი სწორედ ახალგაზრდობაა, რომელსაც დღეს ასე სჭირდება ნამდვილი ლიტერატურა. აი, აგერ მიდევს მაგიდაზე მისი ბოლო პროზაული კრებული („ხციულასპირა ზღაპარ-არაკები") და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები: ნამდვილი მწერალი, სწორედ პედაგოგია, რადგან იგი სიყვარულს ასწავლის მკითხველს და ჰუმანისტად ზრდის მას.

მურად მთვარელიძის სამეცნიერო, მხატვრულ და პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, თუმცა წიგნიერი საქართველოსთვის ეს იმდენად ნაცნობია, რომ გამოწვლილვით მისი საზოგადოებისთვის შეხსენება აუცილებელი არ არის. ამიტომ მეც ამ მოკლე ნათქვამით შემოვიფარგლები და მივულოცავ ჩვენს მეგობარ მურად მთვარელიძეს დაბადების 65-ე წლისთავს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერ სიცოცხლეს დიდ შემოქმედებით წარმატებებთან ერთად, რაც უთუოდ ელოდება მას მეცნიერებისა და მწერლობის დიდ გზაზე.

ზურაბ ცუცქირიძე
პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

რედაქციისაგან: საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟუნალ „მოამბის" რედაქცია გულითადად ულოცავენ აკადემიის წევრს, პროფესორ მურად მთვარელიძეს დაბადების 65-ე წლისთავს და უსურვებენ ჯანმრთელობასა და დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი პედაგოგიკა

ნათელა მაღლაკელიძე - დედაენა და 21-ე საუკუნის გამოწვევები..... 3
ზანგალაძე მზია - ორიენტირებული კითხვა, მოსმენა და აზროვნება..... 6
ლევან ჯინჯიხაძე - კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგია..... 10
ავთანდილ ასათიანი - ღირებულების პრობლემა აღზრდაში 14
მზია თამაზაშვილი, დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი - თანამედროვე გაკვეთილი და მისი მრავალფეროვანი ასპექტები 20
მესხიძე შორენა, გორგოშაძე მადონა - გენდერული პრობლემები თანამედროვე სკოლაში..... 25
ლალი (ბარბარე) აბდალაძე, მაია ახვლედიანი - სახალხო განათლების კერები გურია-სამეგრელოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში 29

სკოლამდელი აღზრდა

ფალავანდიშვილი მარინე - გლობალიზაცია და საგანმანათლებლო სტანდარტები (სკოლამდელთა ასაკი)..... 34

საგანთა სწავლების მეთოდიკა

გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე, ბაკურ ბაკურაძე - ოთხკუთხედის ელემენტებს შორის ზოგიერთი მეტრული თანაფარდობის დადგენის ერთი არასტანდარტული ხერხი 38
მამული ბუჭუხიშვილი, თეიმურაზ გიორგაძე - დირიხლეს პრინციპის გამოყენება გეომეტრიული ამოცანების ამოხსნისას საშუალო სკოლაში და მისი სწავლების მეთოდიკა 43
ნანა ბუჯიაშვილი - ტექნოლოგიების ინტეგრირება მათემატიკის სწავლებაში 47

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

ნატო ქობულაძე, ლელა ეძგვერაძე - უნივერსიტეტი მასწავლებლის პროფესიული განვითრებისათვის..... 51
მანანა მაღრაძე - ბაკალავრიატი-სწავლების ახალი ფორმა სამხედრო განათლებაში..... 53

ფსიქოლოგია

ბარამიძე ნოდარი - აქსელერაცია და სწავლის მოტივაციური ფაქტორები 58
მაღრაძე მერაბი - სწავლის მოტივაციის ზოგიერთი საკითხი განწყობის დინამიკური სტრუქტურის მოდელის თვალსაზრისით 61
ნინო კოსტავა - ტრენინგი, როგორც სწავლების მეთოდი 66
გურამ ჩაგანავა - ფიგურის მომდევნო ეფექტის კვლევის სიტუაციაში საექსპოზიციო ობიექტებისადმი ღირებულებითი დამოკიდებულების შესწავლის ცდა . 72
ლია ქურხული - ფსიქიკური ინფანტილიზმი 76

განათლების ფილოსოფია

მაისურაძე ნათელა, თეა კვაბზირიძე - განათლების ფილოსოფია - ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმუმი.....81

რომან აბაშიძე - ადამიანის აღზრდისა და დანიშნულების რაობისათვის ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში 85
იმერი ბასილაძე, მანონი ბერუჩაშვილი - რეჯიო ემილიას საგანმანათლებლო ფილოსოფია 90

ჩვენი იუბილარები

რევაზ ბალანჩივაძე 96
გია გვარამია 97
ოთარ გოგილაშვილი 98
გივი ლობჟანიძე 99
ვახტანგ სართანია 100
მურად მთვარელიძე 102

CONTENT

GENERAL PEDAGOGY

Natela Maghlakelidze - Mother Language and Challenges of the 21st Century 3
Mzia Zangaladze – Oriented Reading, Listening and Thinking 6
Levan Jinjikhadze – Educational Technology for Development of Critical Thinking 10
Avtandil Asatiani – The Problem of Value in Upbringing 14
Mzia Tamazashvili, Rev. Michael Chabashvili – Modern Class and its Various Aspects..... 20
Shorena Meskhidze, Madona Gorgoshadze – Gender Problems at Contemporary School 25
Lali (Barbare) Abdaladze, Maia Akhvlediani - Secular, Public Education Centers in Guria-Samegrelo in the First Half of the 19th Century 29

PRE-SCHOOL UPBRINGING

Marine Palavandishvili – Globalization and Educational Standards (Pre-School Age)..... 34

METHODOLOGY OF TEACHING DISCIPLINES

Giorgi Berdzulishvili, Giorgi Bregadze, Bakur Bakuradze - Different Methodical Approach to Determining Some Metric Correspondence between Elements of the Quadrangle 38
Mamuli Buchukhishvili, Teimuraz Giorgadze - The Use of a Dirichlet Principle in Solving Geometric Tasks in the Secondary School and its Teaching Methodology 43
Nana Bujiashvili - Integration of Technologies in Teaching Mathematics 47

HIGHER EDUCATION PEDAGOGY

Nato Kobuladze, Lela Edzgveradze - University as a Facilitator of Professional Development of a Teacher 51
Manana Maghradze - Bachelorette-A New Form of Learning in Military Education System 53

PSYCHOLOGY

Nodar Baramidze - Acceleration and Motivational Factors of Learning..... 58
Merab Maghradze - Several Aspects of Learning Motivation in the Light of a Dynamic Structure Set Model..... 61
Nino Kostava – Training as a teaching Method 66
Guram Chaganava - Experience of the Study of the Value Attitude to the Exposing Objects in the Situation of the Exploration of the Figural After-Effects 72
Lia Kurkhuli – Mental Infantilism 76

PHILOSOPHY OF EDUCATION

Natela Maisuradze, Thea Kvabziridze - Education Philosophy - Maximum of Human Abilities 81
Roman Abashidze - For the Essence of Human Upbringing and Mission in Existential Philosophy 85
Imeri Basiladze, Manoni Beruchashvili - Educational Philosophy of Reggio Emilia..... 90

OUR BIRTHDAY PEOPLE

Revaz Balanchivadze..... 96
Gia Gvaramia 97
Otar Gogilashvili 98
Givi Lobzhanidze..... 99
Vakhtang Sartania..... 100
Murad Mtvarelidze 102

С О Д Е Р Ж А Н И Е

ОБЩАЯ ПЕДАГОГИКА

Нателла Маглакелидзе - Родная речь и вызовы XXI века 3
Мзия Зангаладзе - Ориентированное чтение, слушание и мышление 6
Леван Джинджихадзе - Образовательные технологии развития критического мышления 10
Автандил Асатиани - Проблема ценностей в воспитании 14
Мзия Тамазашвили, деканоз Микаэль Чабашвили - Современный урок и разновидности его аспектов 20
Шорена Месхидзе, Мадонна Горгошадзе - Гендерные проблемы в современной школе 25
Лали (Барбаре) Абдаладзе, Майа Ахвледиани - Очаги народного образования в первой половине XIX в Гурия- Самегрело 29

ДОШКОЛЬНОЕ ВОСПИТАНИЕ

Маринэ Палавандишвили - Глобализация и образовательные стандарты (дошкольный возраст) 34

МЕТОДИКА ПРЕПОДАВАНИЯ

Георгий Бердзулишвили, Георгий Брегадзе, Бакур Бакурадзе - Один нестандартный метод определения некоторых метрических коэффициентов между прямоугольными элемент 38
Мамули Бучухишвили, Теймураз Гиоргадзе - Использование принципа Дирихле при выполнении геометрических заданий в средней школе и методика его преподавания .. 43
Нана Буджиашвили - Интеграция технологий в преподавании математики 47

ПЕДАГОГИКА ВЫСШЕЙ ШКОЛЫ

Нато Кобуладзе, Лела Эдзгверидзе - Университеты для профессионального развития учителей 51
Манана Маградзе - Бакалавриат – новая форма обучения в военном образовании 53

ПСИХОЛОГИЯ

Нодар Барамидзе - Акселлерация и факторы мотивации обучения 58
Мераб Маградзе - О некоторых вопросах мотивации обучения в динамике настроения с точки зрения структурной модели 61
Нино Костава - Треннинг – как метод обучения 66
Гурам Чаганава - Попытка изучения зависимости ценности выставочных объектов в ситуации исследования последствий эффектов фигуры 72
Лия Курхули - Психический инфантилизм 76

ФИЛОСОФИЯ ОБРАЗОВАНИЯ

Майсурадзе Нателла, Тея Квабзиридзе - Философия образования – максимум человеческих возможностей 81
Роман Абашидзе - О человеческом воспитании и значении в экзистенциальной философии .. 85

НАШИ ЮБИЛЯРЫ

Реваз Баланчивадзе 96
Гия Гварамия 97
Отар Гогилашвили 98
Гиви Лобжанидзе 99
Вахтанг Сартания 100
Мурад Мтварелидзе 102

ავტორთა საყურადღებოდ!

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე" არის რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.

რეფერირებულია საქართველოს ტექინფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში და სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ РАН) საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში.

შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მოეწოდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექინფორმს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

• სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;

• ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (8-10 სტრიქონი) და საკვანძო სიტყვები (4-8) სტატიის და რეზიუმეს ენებზე. ამავე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა და სამუშაო ადგილი.

• ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს ორიგინალის ენაზე საერთაშორისო APA-ს სტილის მიხედვით. ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით. თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ევროპულ და რუსულ ენებზე.

• ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word -ში;

• ქართული ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით;

• რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;

• შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.

• ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;

• ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები:

მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობ, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა;

• ნაშრომი უნდა მოგვაწოდოთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად A 4 ზომის ქაღალდზე;

• ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისგებელია ავტორი;

• სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე 5 95 44 91 21

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
საქართველო, თბილისი, 0144, წინანდლის ქ. №9
ტელ: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
ელ-ფოსტა: ganatlebisakademia@gmail.com
ვებ-გვერდი: www.sgma.ge

ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
Tsinandali Str.9, 0144. Tbilisi, Georgia
Tel: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
E-mail: ganatlebisakademia@gmail.com
WEB-page: www.sgma.ge

АКАДЕМИЯ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ
Грузия, Тбилиси, 0144, ул. Цинандали №9
Тел.: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
Эл-почта: ganatlebisakademia@gmail.com
WEB-страница: www.sgma.ge

© საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
© ACADEMY OF ED UCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
© Академия образовательных наук Грузии

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com